

ISSN 1987-5789

ეკონომიკა და ბიზნესი
ECONOMICS AND BUSINESS
ЭКОНОМИКА И БИЗНЕС

4

ტომი ✧ Volume ✧ Том

IX

№4, 2016

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და
რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Practical Journal
of the Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Реферируемый и рецензируемый международный научно-практический журнал
факультета экономики и бизнеса Тбилисского государственного университета
им. Иванэ Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2015 წლიდან – კვარტალში ერთხელ

Published since January 2008 once in two months,
Since 2015- Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ.,
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.
e-mail: ebf.journal@tsu.ge
lia_lugela@mail.ru

სარედაქციო კოლეჯია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რამაზ აბესაძე, იური ანანიაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, **რევაზ გოგოხია** (*მთავარი რედაქტორი*), **თამაზ ზუბიაშვილი** (*პასუხისმგებელი მდივანი*), ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ქეთევან მარშავა, მურთაზ მაღრაძე, ელგუჯა მექვაბიშვილი, დავით ნარმანია, ვლადიმერ პაპავა (*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*), ავთანდილ სილაგაძე (*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*), დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ლალანიძე, თეიმურაზ შენგელია, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი.

EDITORIAL BOARD

Doctors of Economic Sciences, Professors: Ramaz Abesadze, Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, George Ghaghanidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, **Revaz Gogokhia** (*Editor-in-Chief*), **Tamaz Zubiashvili** (*Executive Secretary*), Nugzar Todua, Irakli Kovzanadze, Ketevan Marshava, Murtaz Maghradze, Elguja Mekvabishvili, Davit Narmania, Vladimer Papava (*Academician of the National Academy of Sciences of Georgia*), Avtandil Silagadze (*Academician of the National Academy of Sciences of Georgia*), Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Temur Shengelia, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Eter Kharashvili.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Доктора экономических наук, профессора: Рамаз Абесадзе, Юрий Ананиашвили, Теймураз Беридзе, Георгий Гаганидзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, **Реваз Гогохия** (*главный редактор*), **Тамаз Зубиашвили** (*ответственный секретарь*), Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанадзе, Муртаз Маградзе, Кетеван Маршавა, Элгуджа Меквабишвили, Давид Нармания, Владимир Папава (*Академик Национальной Академии Наук Грузии*), Автандил Силагадзе (*Академик Национальной Академии Наук Грузии*), Демур Сичинава, Мириан Тухашвили, Темур Шенгелия, Нодар Хадури, Элене Харабадзе, Этер Хараишвили.

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი; ოლეგ კარასევი – ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; გრაჟინა კარმოვსკა - დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ფინანსებისა და სისტემური ანალიზის კათედრა, პროფესორი (ქ. შჩეცინი, პოლონეთი); იან მიხალეკი – ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის დეკანი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; დიმიტრი სოროკინი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; ვიტალი ტამბოვცევი - ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ინსტიტუციური ანალიზის ლაბორატორიის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; ტომას ჰალდმა – ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

Wolfgang Weng - Berlin University, Professor; Oleg Karasev - Lomonosov Moscow State University, Chair of the Department of Statistics, Doctor of Economic Sciences, Professor; Grazyna Karmowska, Faculty of Economics, West Pomerania University of Technology in Szczecin, Professor (Poland); Jan Mikhalek - University of Warsaw, Dean of the Faculty of Economic sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; Dmitry Sorokin - Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; Vitaly Tambovtsev - head of the Laboratory for Institutional Analysis of Economic Faculty of Lomonosov Moscow State University, Doctor of Economic Sciences, Professor; Toomas Haldma - Tartu University, Dean of the Faculty of Economics and Business Administration, Professor.

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ

Вольфганг Венг - профессор Берлинского Университета; Олег Карасев - зав. кафедрой статистики Московского Государственного Университета им. Ломоносова, д.э.н., профессор; Гражина Кармовска, д. э. н., Экономический фак. Технологического Университета Западного Померания, Шчецин (Польша); Ян Михалек - декан факультета экономических наук Варшавского Университета, д.э.н., профессор; Дмитрий Сорокин - член корреспондент Российской Академии Наук, д.э.н. профессор; Виталий Тамбовцев -Заведующий Лабораторией институционального анализа Экономического факультета Московского Государственного Университета им. Ломоносова, д. э. н., профессор;Томас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса университета Тарту, профессор.

ს ა რ ჩ ე ბ ი

შოთა რუსთაველი— 850

პაატა გუგუშვილი, შოთა რუსთაველის სოციოლოგიის შესახებ 9

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

იური ანანიაშვილი, ლაფერ-კეინზიანურ სინთეზზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელები	30
გიორგი თეთრაული, კონტრაციკლური კაპიტალის ბუფერი: გამონვევები საქართველოსთვის	49
ლაშა ქავთარაძე, ლარი/დოლარი გაცვლითი კურსის პროგნოზები ფაქტორული ბაიზიანური ვექტორული ავტორეგრესიის (FBVAR) მოდელით	60
გრაჟინა კარმოვსკა, მიროსლავა მარჩინიაკი, ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სტრუქტურული ცვლილებებისა და ფინანსური ხელმისაწვდომობის ანალიზი (ინგლისურ ენაზე)	76

მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომიკური

ეთერ ხარაიშვილი, მოთხოვნა ქართულ ღვინოზე და მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის კონკურენტული უპირატესობის ფაქტორების შეფასება	92
ნოდარ ცანავა, ჯუსტან ზოკუჩავა, ელექტროენერჯის ტარიფები საქართველოში - რეალობა და პრობლემები	109
აკაკი გაბელია, საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში მოგების გადასახადიდან მისაღები შემოსავლების პროგნოზირების პრობლემა	120
ნინო ლაშვიაშვილი, ჟანა შალახაშვილი, მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკები და მისი შემცირების ძირითადი მიმართულებები	126
სოფიკო თაღიაშვილი, საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი საფუძვლების ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციები	137

მარკეტინგი ✧ მენეჯმენტი ✧ ტურიზმი

გიორგი ღაღანიძე, მომსახურების ექსპორტის განვითარების პოტენციალი საქართველოში	143
გიორგი აბუსელიძე, გიორგი ქათამაძე, ფინანსური ინსტიტუტების დაკრედიტების პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე	151
დავით ნიჟარაძე, ტექნოლოგიური მენეჯმენტის თავისებურებები გლობალურ გარემოში	162
ეკატერინე ურუტაძე, ბრენდის იმიჯის გავლენა სმარტფონების მომხმარებელთა ქცევაზე	171
ნოდარ ღუნღუა, „ტექნოლოგიური ხაფანგი“ და მისი დაძლევის სირთულეები.....	185
გიორგი შრეგაძე, ტურიზმის ღონისძიებების პირდაპირი ეკონომიკური სარგებლიანობის გამოთვლის მეთოდოლოგიური საკითხები	197

რუსუდან სეთურიძე, ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი საქართველოს საბაჟო სისტემის მართვაში	208
თამარ ხაბელაშვილი, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა საქართველოში მცირე მენარმეობის განვითარების კონტექსტით	221
ვაჟა შუბითიძე, ოცდაექვსსაუკუნოვანი ფენომენი ისრაელის გაკვეთილები საქართველოსთვის	231



ნინო ფარესაშვილი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თბილისი, 11-12 ნოემბერი, 2016	235
---	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გივი ზედიანაშვილი, რეზო გოგოხია, საინტერესო ფუნდამენტური გამოკვლევა გამოყენებითი ასპექტებით (რუსულ ენაზე)	252
ლარისა თაკალანაძე, ვასილ კიკუტაძე, ნინო ფარესაშვილი, გურამ(გოჩა) ამყოლაძე, გუგული ყურაშვილი, მრავალმხრივ საყურადღებო სახელმძღვანელო	254

CONTENTS

SHOTA RUSTAVELI – 850

Paata Gugushvili , About Shota Rustaveli Sociology	9
---	---

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

Iuri Ananiashvili , The Models of Macroeconomic Equilibrium Based on the Laffer-Keynesian Synthesis	30
Giorgi Tetrauli , Countercyclical Capital Buffer: Challenges for Georgia	49
Lasha Kavtaradze , GEL/USD Exchange Rate Forecasts Using Factor Bayesian Vector Autoregression (FBVAR) Model	60
Grażyna Karmowska, Mirosława Marciniak , The Analysis of the Structural Changes and Access to the Finance of the Small and Medium-Sized Enterprises in the European Union (in English)	76

MICROECONOMICS ² MACROECONOMICS ² ECONOMETRICS

Eter Kharaiashvili , Demand for Georgian Wine and the Evaluation of Competitive Advantage Factors of Viticulture and Winemaking Sector.....	92
Nodar Tsanava, Justan Bokuchava , Electricity Tariffs in Georgia – Existing Reality and Problems.....	109
Akaki Gabelaia , Forecasting Problem of Receipts from Income Tax in the Consolidated Budget of Georgia	120
Nino Lazviashvili, Zhana Balakhashvili , Risks of Population Health and Major Directions of Its Reduction	126
Sophie Taghiashvili , Modern Trends in Transformation of Legal Basis in the Budgetary System	137

MARKETING ² MANAGEMENT ² TOURISM

Giorgi Gaganidze , Peculiarities of the Formation of Export Strategies and Assessment of Their Effectiveness	143
Giorgi Abuselidze, Giorgi Katamadze , The Lending Policy of Financial Institutions in Georgia and Its Impact on the Economic Development	151
David Nizharadze , Peculiarities of Technological Management in Global Environment	162
Ekaterine Urotadze , The Impact of Brand Image on Consumer Behavior of Smartphones	171
Nodar Dundua , “Technological Trap” and Its Overcoming Difficulties	185
Giorgi Bregadze , Methodological Issues of the Calculation of Events Direct Economic Benefits	197
Rusudan Seturidze , The Role of Information Technologies in the Efficient Management of Georgian Customs System	208
Tamar Khabelashvili , The European Neighbourhood Policy in Georgia in the Context of Small Business Development.....	221
Vazha Shubitidze , Twenty-six Century Phenomenon Israel’s Lessons for Georgia	231



Nino Paresashvili , International Scientific Conference “Challenges of Globalization in Economics and Business” November 11-12, 2016, Tbilisi	235
--	-----

CRITICISM AND BIBLIOGRAPHY

Givi Bedianashvili, Rezo Gogokhia , The Fundamentals of Market Economy (in Russian)	252
Larisa Takalandze, Vasil Kikutadze, Nino Paresashvili, Guram (Gocha) Amkoladze, Guguli Kurashvili , Important and Necessary Textbook	254

СОДЕРЖАНИЕ

ШОТА РУСТАВЕЛИ – 850

Паата Гугушвили. О социологии Шота Руставели.	9
---	---

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

Юрий Ананишвили. Модели макроэкономического равновесия основанные на Лафери-Кейнзианском синтезе.	30
Георгий Тетраули. Буфер контрциклического капитала: вызовы для Грузии.	49
Лаша Кавтарадзе. Прогнозы обменного курса Лари/Доллар с моделью факторной Байезовой векторной авторегрессии (FBVAR).	60
Гражина Кармовска, Мирослава Марчиняк. Анализ структурных изменений и доступа к финансовым ресурсам малых и средних предприятий в странах Европейского Союза (на английском языке).....	76

МИКРОЭКОНОМИКА. МАКРОЭКОНОМИКА. ЭКОНОМЕТРИКА

Эгер Хараишвили. Спрос на грузинское вино и оценка факторов конкурентного преимущества сектора виноградарства – виноделия.....	92
Нодар Цанава, Джустан Бокучава. Тарифы электроэнергии в Грузии – реальность и проблемы.	109
Акакий Габелая. Проблемы прогнозирования поступлений от налогов на прибыль в сводном бюджете Грузии.....	120
Нино Лазвиашвили, Жана Балахашвили. Риски здоровья населения и основные направления их уменьшения.....	126
Софико Тагишвили. Современные тенденции трансформации правовых основ бюджетной системы.....	137

МАРКЕТИНГ. МЕНЕДЖМЕНТ. ТУРИЗМ

Георгий Гаганидзе. Потенциал развития экспорта услуг в Грузии.....	143
Георгий Абуселидзе, Георгий Кагамадзе. Политика кредитования финансовых институтов и её влияние на развитие экономики Грузии.....	151
Давид Нижарадзе. Особенности технологического менеджмента в глобальной сфере 162	162
Екатерине Уротадзе. Влияние имиджа брендов на поведение потребителей смартфонов.....	171
Нодар Дундуа. «Технологический капкан» и сложности его преодоления.	185
Георгий Брегадзе. Методологические вопросы расчёта прямой экономической полезности туристических мероприятий.....	197
Русудан Сетуридзе. Роль инфраструктурных технологий в управлении таможенной системы Грузии 208	208
Тамара Хабелашвили. Политика соседства Европы в контексте развития малого предпринимательства в Грузии.....	221
Важа Шубитидзе. Двадцативековой феномен. Уроки Израиля для Грузии.	231



Нино Паресашвили, Международная научная конференция: „Вызовы глобализации в экономике и бизнесе“, 11-12 ноября, 2016, Тбилиси.....	235
---	-----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Гиви Бедианашвили, Резо Гогохия. Интересное фундаментальное исследование, с прикладными аспектами.....	252
Лариса Такаландзе, Василий Кикутадзе, Нино Паресашвили, Гурам (Гоча) Амколадзе, Гугули Курашвили. Заслуживающий многостороннего внимания учебник.....	254

შოთა რუსთაველი - 850
SHOTA RUSTAVELI - 850

შოთა რუსთაველის სოციოლოგიის შესახებ*

პაატა გუგუშვილი
(1905-1987)

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოსი*

1. შოთა რუსთაველის ეპოქაში პატრონცმურმა, ფეოდალურმა საქართველომ თავისი კულტურულ-ეკონომიკური განვითარების უმაღლეს წერტილს მი-აღწია. დავით აღმაშენებლის დიდმა სახელმწიფოებრივმა მოღვაწეობამ, ყვე-ლა ქართველურ ტომთა ერთ მონარქიაში გაერთიანებამ, სანყისი მისცა ქვეყნის ახალ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას. მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში, გიორგი III-ისა და თამარის მეფობის პერიოდში, კიდევ უფრო გაფართოვდა სახელმწიფოს ფარგლები, რომელშიც შევიდნენ თურქ-სელჯუ-კების ბატონობისაგან განთავისუფლებული თითქმის მთელი სომხეთი და აგ-რეთვე რამდენიმე კავკასიური მუსულმანური ქვეყანა (რანი, შერვანი); საერთოდ ქართულ პოლიტიკურ კავშირში შედიოდა ვრცელი ტერიტორია შავი და კასპიის ზღვებს შორის, არზუმიდან და ტრაპიზონიდან მოყოლებული ჩრდილოეთ კავ-კასიის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩათვლით.

ვაჭრობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარება ხელს უწყობ-და ამ პოლიტიკური წარმონაქმნის შემდგომ განმტკიცებას და ქართული ეროვ-ნული ცივილიზაციის განვითარება-გავრცელებას. საქართველოზე გადიოდა დასავლეთ და აღმოსავლეთს შორის ანტიკური ეპოქიდანვე ცნობილი დიდი სავაჭრო გზა, რომელიც აადვილებდა უცხო, შორეულ ქვეყნებთან კომერციული და კულტურული კავშირის გაფართოებას. ამ კავშირის ორბიტაში შედიოდნენ დასავლეთევროპული ქვეყნები, განსაკუთრებით ბიზანტია და მისი მეშვეობით იტალიური ქალაქი-სახელმწიფოები (რომი, ვენეცია, ფლორენცია და სხვ.), რუ-სული სამთავროები, აღმოსავლური ცივილიზაციები - არაბეთი, ეგვიპტე, სპარ-სეთი და სხვა. ასე რომ, საქართველო ფართოდ იყო ჩაბმული იმდროინდელი მსოფლიოს მონინავე ქვეყნებთან კომერციულ და კულტურულ გაცვლაში, რა-საც თავის მხრივ, ცხადია, არ შეეძლო ხელი არ შეეწყო თვითმყოფური ქართუ-ლი კულტურის შემდგომი სწრაფი აღორძინებისა და განვითარებისათვის.

* გადმოებეჭდილია შურნალიდან „საქართველოს ეკონომისტი“, 1966, №9, გვ. 52-70.

საეკლესიო-თეოლოგიური ლიტერატურის განვითარების გვერდით საფუძველი ეყრებოდა მაღალი დიაპაზონის საერო მწერლობას, რაც დიდმნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს მხატვრული სიტყვისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში. იყალთოსა და გელათის აკადემიები გადაიქცნენ ძლიერ სამეცნიერო ცენტრებად, სადაც მოღვაწეობდნენ აგრეთვე უცხოეთიდან მოწვეული გამოჩენილი სწავლულები და სადაც მეცნიერულმა ფილოსოფიურმა აზრმა ფრიალ მაღალ საფეხურს მიაღწია.

ასეთივე ქართული კულტურის კერები, მონასტრების სახით, იყვნენ საქართველოსთვის ისეთ შორეულ ქვეყნებში, როგორიცაა ივერიის მონასტერი (ათონის მთაზე), ჯვრის მონასტერი (პალესტინაში), პეტრიწონის მონასტერი (მაკედონიაში) და სხვ.

ამასთანავე ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ მე-12 ს. ქართულ საერო მწერლობაში, განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურაში შეიჭრა ხალხური ენა, რა მხრივაც უმნიშვნელოვანესი როლი, ცხადია, „ვეფხისტყაოსანმა“ შეასრულა. ამავე დროიდან ფართო გავრცელებას პოულობს მხედრული დამწერლობა, რაც არსებითად საერო მწერლობის იარაღს წარმოადგენდა და რამაც უკვე, ასე ვთქვათ, გაანაპირობა საეკლესიო მწერლობა, რაც ხუცური დამწერლობით სარგებლობდა და რაც თავისი მძიმე მწიგნობრული ენის მეოხებით ნაკლებად გასაგები იყო მკითხველი მოსახლეობის ხალხური (მდაბიური) ფენებისათვის.

კულტურის სხვა დარგთა შორის ფრიალ მნიშვნელოვანია, მაგალითად, ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების, ფერწერის, ოქრომჭედლობისა და მხატვრული ხელოსნობის სხვადასხვა სახეობათა შესანიშნავი ძეგლები, რომელთაგან მცირეოდენმა მაინც ჩვენს დრომდეც მოაღწია და მეტყველებს ნაცისი მაღალი მხატვრული პოტენციალისა და საერთოდ დიდი ინტელექტუალური ენერჯის შესახებ. არსებულმა ვითარებამ დავით აღმაშენებელის მეხოტბე იოანე შავთელს ათქმევინა, რომ მკლავ ძლიერ, გმირთა მძლე ქართველი ხალხი არის „ერი რჩეული, ნიჭთა ჩვეული“.

მატერიალიზმსა და იდეალიზმს (რეალიზმსა და ნომინალიზმს) შორის იდეოლოგიური ბრძოლა რუსთაველის ეპოქასა და საერთოდ ფეოდალურ საქართველოში საერო და საეკლესიო მწერლობისა და, მაშასადამე, მსოფლმხედველობათა შორის ბრძოლის ხასიათს ატარებდა. მაგრამ, არა მხოლოდ საეკლესიო მწერლობის, არამედ საერთოდ ყოველგვარი ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზრის განვითარება ოფიციალურად მხოლოდ თეოლოგიისა და მის განშტოებათა სახით შეიძლებოდა. ასეთ ვითარებაში, გასაგებია, ისეთი ფილოსოფოსებიც კი, როგორიც იყვნენ არსენ იყალთოელი, ეფრემ მცირე და თვით იოანე პეტრიწი, ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოძღვრები იყვნენ. არსებულ ვითარებაში საერო მწერლობას, მატერიალისტურ, რეალისტურ იდეოლოგიას მხატვრული ლიტერატურისა და საერთოდ ხელოვნების სხვადასხვა დარგში რამდენადმე უფრო ადვილად შეეძლოთ ჩასახვა-განვითარება.

მანც საეკლესიო და საერო მსოფლმხედველობათა შორის ბრძოლა, როგორც ჩანს, აშკარა თუ ფარული სახით, მეტნაკლები ინტენსივობით გამუდმებულად მიმდინარეობდა. ეფრემ მცირეს აუცილებლად მიაჩნია „შვილნი ეკლესიისანი“ შეისწავლიდნენ ფილოსოფიას, რათა შეეძლოთ გაუმკლავდნენ ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლ „გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და ...მათივე ისრითა განჰკურემდნენ მათ“. ქართული სქოლასტიკური ფილოსოფიური აზრი ახალ და ძველ განვითარებას აღწევს იოანე პეტრიწის მოღვაწეობით. მიუხედავად იმისა, რომ ი. პეტრიწი, მსგავსად პროკლე დიადოხოსისა, ფილოსოფიას მიზნად უსახავდა ათეისტების წინააღმდეგ ბრძოლას და ღმერთის უეჭველი არსებობის დასაბუთებას, მას (პეტრიწს) აქ ძლიერი მტრები გაუჩნდნენ, რადგან „სამღვდელოების გავლენიანი ნაწილი წმინდა საფილოსოფიო მოძღვრებათა დიდი წინააღმდეგი იყო, მეტადრე ნეოპლატონური ფილოსოფიისა იმიტომ, რომ მან გამოაღვიძა ცნობისმოყვარეობა ძველი წარმართობის დროინდელი ელინური საფილოსოფიო მწერლობისადმი“ (ივ. ჯავახიშვილი).

თვით ი. პეტრიწი აცხადებს, რომ მას საბერძნეთშიაც (კონსტანტინოპოლშიც) და აქაც, საქართველოში, სდევნიდნენ: „...ვერაგობათა სახუმილოსაგან მერმე, ამის ჟამისა ქართველთა და ბერძენთა შორის... მე ან ამათ ყოველთა მიუგებელთაგან ვისჯები და რაიმე ნაქმადი ტკივილთა ჩამთა საბჭოდ მათ წინ დედებოდეს“.

საბოლოოდ, ი. პეტრიწი, მართალია, ქრისტიანული რელიგიის დამცველის როლში გამოდიოდა, მაგრამ იგი ამას აკეთებდა ლოგიკური მტკიცებისა და დასაბუთების გზით, რაც არსებითად არა ცოდნაზე, არამედ რწმენაზე დამყარებული ქრისტიანობის დაშლას მოასწავებდა. მაგალითად, ცუცხლის ჩაქრობის საფუძველზე დედამიწის წარმოშობის პეტრიწისეული თეორია აშკარად ეწინააღმდეგებოდა ბიბლიის დოგმებს სამყაროს გაჩენის შესახებ.

რუსთაველოლოგიას საუკუნე ნახევარზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის, სოციალურ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ შეხედულებათა შესწავლაში დიდი წარმატებები მოპოვებული. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თ. ბაგრატიონის, ნ. მარის, ი. ჯავახიშვილის, ვ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, პ. ინგოროყვას, ა. ბარამიძის, ზ. ავალიშვილის, ვ. ნობაძის, ს. დანელიას, მ. გოგიბერიძის, შ. ხიდაშელის, ვ. კერძევაძისა და სხვ. გამოკვლევები.

2. შოთა რუსთაველისათვის შაირობა სიბრძნის დარგია და უაღრესად დიდია მისი შემეცნებითი, ესთეტიკური, ემოციური და აღმზრდელობითი როლი და მნიშვნელობა. პოეზია წმინდანობის შარავანდელმოსილი, ღვთაებრივი ფენომენია.

თავისი საკუთარი შეგნებით რუსთაველი ღვთაებრივი პოეტი და პოეტების ღმერთია. ამიტომაც იგი დიდ ადგილს უთმობს ღვთაებისა და პოეზიის რაობას, მართალია, ის არ ეხება საკითხს, თუ ვინ შექმნა ღმერთები, მაგრამ ხშირად ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა შექმნეს და რისი გაკეთება შეუძლიათ ღმერთებს.

ამასთანავე, საბოლოოდ მისი პოეზიისათვის ყველაფერს ერთი აზრი აქვს, რაც მიჯნურობასა, სიყვარულის სიმღერაში აისახება და რაც ადამიანის სულის მშვენიერებისადმი მისწრაფების საყოველთაო მოძრაობის არსს წარმოადგენს.

ავთანდილის სიმღერითაც ყოველივე მოხიბლულია იმიტომ, რომ ის სიყვარულით შთაგონებული, სიყვარულის გამარჯვებისათვის მღერის, რაც არამც თუ ამქვეყნიური, არამედ კოსმიური სხეულებისათვისაც გასაგებია და, ამდენადვე, უნივერსალური კანონზომიერების ღვთებრივი გამოვლინებაა.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ ლაიტმოტივი სიყვარულია. ესაა უწინარეს, ნესტანისა და ტარიელის უებრო და უმნიჭლო სიყვარულის პოემა. რუსთაველის გენიამ სხვადასვა ერისა და რელიგიის, ადათისა და მორალის ადამიანები ერთ გენიალურ იდეას, უჭკნობი და უზადო სიყვარულის ფენომენს ისე განუწონა, რომ მათ და ყველა მათს მეგობარს, მათ შორის კიდევ სხვა ქვეყნის შვილებს, იგი განაცდევინა როგორც ისეთი უნივერსალური და ღია გრძობა, რომლის შეცნობამ და აღიარებამ ყველა ისინი გამსჭვალა და აავსო მეორე დიდი იდეით - ურყევი და უყოყმანო მეგობრობის, ძმადნათფიცობის იდეით, რომელმაც განსაზღვრა სხვადასხვა რაჯულისა და წოდების (ასმათი, ფატმანი) ადამიანთა ყოფიერებისა და ცნობიერების მთელი შემდგომი მოძრაობა.

შოთა რუსთაველმა ხორციელი, ერთი წყვილის, ქალ-ვაჟის, სქესობრივი სიყვარული, მიჯნურობა, როგორც უაღრესად უმანკო და ფაქიზი გრძობა, რომელიც ოჯახის შექმნისადმი მისწრაფებული წმინდა იდეალის სახით თავგანწირული გმირული ბძოლებისათვის აღძრავს და ამოქმედებს მის გმირებს, რომანტიკული ცხოვრების ისეთ სიმალღეზე აზიდა, რომელსაც ვერ მისწვდენია არც აღრინდელი და არც მისი ეპოქის არც ერთი მწერალი და მოაზროვნე მთელ მსოფლიოში.

სიყვარულის ძალამ კდემამოსილი და უმანკო ქალწული ვეფხვად აქცია და შთაბერა მას უდრეკი და მალალი მორალური ძლიერება; სიყვარულის ძალამ სამეფოს დაუფლებისათვის აღძრული ვაჟკაცი გაახელა და მოსწყვიტა საზოგადოებას და უგზო-უკლოდ გატაცებული სატრფოს ძებნაში გადაიკარგა. მაინც ქაჯეთის ტყვეობიდან ნესტან-დარეჯანი ტარიელს წერს: ჩემს უიმედო მიჯნურობაზე ხელი აიღე და მშობელ ქვეყანას დაეხმარეო, მაგრამ ტარიელს ახლაც, ცხრა წლის განმავლობაში სატრფოს ძებნით განანამებს, მრავალ ფათე-რაკ მოვლილს, მეფის ტახტი, ინდოეთი უნესტანოდ არად უღირს.

ბოლოს, სხვისი უმანკო სიყვარულის განცდაც კი შეყვარებულთათვის („... მიჯნური მიჯნურსა შეებრალების“) ისე ძლიერია, რომ თინათინი და ავთანდილი მზად არიან შეელონ საკუთარ ბედნიერებას, რათა დაეხმარონ ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის გამარჯვებას. კიდევ მეტი, სიყვარული არა მხოლოდ გმირობის, მეგობრობის, რაინდობის, თავგამოდებისა და ძმადნათფიცობის, არამედ სიბრძნის წყაროცაა. მიუდგომელი და აუღებელი ქაჯეთის ციხის ტყვე თითქოს და საყვარელთან შეყრის იმედდაკარგული ნესტან-დარეჯანი დღენიდავ განათავისუფლებისათვის ცდილობს, რადგან „სიკვდილისამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა? რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“.

სიყვარული თავისუფლებებისაკენ შეუდრეკელი და შეუწელებელი მიზანსწრაფვის უძირო ზღვაა, ვინაიდან იქ, სადაც ყველაფერი სიყვარულისათვისაა, სატრფოს გარეშე სიცოცხლესა და სიმდიდრეს ფასი არ აქვს, მით უფრო, რომ სიყვარულის საგანი ერთადერთია, - „შენმან მზემან, უმენოსა არვის მოჰხვდეს მთვარე შენი“, - და, ამდენად, სიყვარული სიცოცხლის აღმაფრენაა, ის აფრებ-გაშლილი რომანტიკაა, რაც ყოველთვის საკმარისად მოიპოვება ამ ქვეყნად მისი ღირსი ადამიანისათვის.

მაგრამ, ქალ-ვაჟის ასეთი სიყვარული თავისთავად გულისხმობს ურთიერთარჩევის, ურთიერთგაგებისა და თანაგრძნობის თავისუფლებას, როგორც თანასწორობის, სილამაზისა და მშვენიერების, სათნოებისა და სანდომიანობის სუბიექტურ აღქმას, რაც საბოლოოდ, ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი მორალის საფუძვლად და, ამდენადვე, საერთოდ ქალის, დედის, მანდლოსნის კულტის (ქალისადმი განსაკუთრებული პატივისცემის, მონივნის, თაყვანისცემის) სახით ყალიბდება.

ეს იდეა „ვეფხისტყაოსანში“ ესოდენ გაკრისტალებული და განივთებული, რა თქმა უნდა, ქართული სინამდვილის ანარეკლია და მას მხოლოდღა ნაწილობრივი ანალოგიები შეიძლება მოეძებნოს იმდროინდელ არამხოლოდ აღმოსავლურ, არამედ დასავლურ ლიტერატურაშიც.

აქ ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ სიყვარულის გამარჯვება არამხოლოდ შეყვარებულთა უშუალო მიზანსწრაფვის პირადული ბედნიერების განხორციელებაა, ის საზოგადოებრივი სამართლიანობისა და სიკეთის, კიდევ მეტი, ხალხთა შორის მეგობრობისა და უცხოთაგან ურთიერთგაგების გამოცხადებაა.

„ვეფხისტყაოსანში“ სიყვარული პატრიოტულ გრძნობათა გაღვივების და სამშობლოსათვის თავდადების, უმაგალითო გმირობის, ვაჟკაცობის, უანგარობის, კეთილშობილების მომასწავებელია.

პლატონი და ნეოპლატონიკოსები ქადაგებდნენ ტრანსცენდენტური, ზეციური სამყაროს სუყვარულს, ქრისტიანული მორალური ჰგმობს მინიერ, ხორციელ სიყვარულს, რაშიც შეცოდების, ღმერთის უარყოფის, სულის გამხრწნელ მოვლენას ხედავს. შუასაუკუნეთა დასავლური ქრისტიანობის გამოჩენილი მოძღვარი თომა აქვინელი ქადაგებდა, რომ სულის ნეტარებისათვის აუცილებელია არა ამქვეყნური სიყვარული და მეგობრები, არამედ მარტოოდენ ღმერთის სიყვარული.

შოთა რუსთაველმა კი, როგორც დავინახეთ, გულსრულად უმღერა სქესობრივ სიყვარულსაც და ამ გზით ადამიანური სამყაროს, საზოგადოების მინიერი ცხოვრების მარადიული განახლებისა და სიკეთის წარმტაცი იდეები იქადაგა, იგი თვითონვე აცხადებს: „ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხედებიან“.

შოთა რუსთაველი აქებს და აღიღებს ადამიანის არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ სულიერ სილამაზეს, მის გონიერებას, თვით სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი ადამიანი აუჩქარებლად, გონიერად უნდა მსჯელობდეს და აფასებ-

დეს ყოველგვარ მოვლენას, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ნესტან-დარეჯანი საბოლოოდ უიმედობასა და მისტიციზმს როდი ეძლევა, - გამოსავალს ეძებს, რადგან „რა მისჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“.

რაც უფრო ძნელი და მძიმე საქმეა მოსაგვარებელი, მით უფრო ღინჯი და დაკვირვებული გონიერებაა საჭირო „ხამს თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოავოს“. მძიმე საქმეს უშველის არა მჭუნვარება, გაჯავრება, ნუხილი. ასეთ ღროს „სჯობს გამორჩევა, ამრობა საქმისა დასაგვანისა“, რადგანაც ცხოვრებით გამოცდილია, რომ „ასი ათასსა აჯობებეს, თუ გამორჩევით მქმნელია“. გამორჩევა ანონ-დანონვაა, სხვადასხვა გამოსაყენებელი ხერხებიდან აქტიური მოქმედების უკეთესი ვარიანტის შერჩევაა, რაც არა აღელვებული და აჩქარებული აღამიანის, არამედ ღინჯი და ცივი გონების მუშაობის მეოხებით მიიღწევა.

მაგრამ, გულისთქმა ზოგჯერ ისე ძლიერია, რომ გონიერება ფარავს - „გული, ცნობა და გონება, ერთმანეთზედა ჰკიდიან; რა გული წავა იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“, ამიტომ, გარკვეული ღროა საჭირო, რათა დაცხრეს აღელვება და გონიერმა გული მოიბრუნოს. გადაკარგული სატროფოს უშედეგო ძიებით გულგატეხილი ტარიელი აღამიანთა საზოგადოებას, ცივილიზაციას განშორდა, სანუთროს გაეყარა და როგორც თვითონ ამბობს, კინალამ განადგურდა. ასეთ ვითარებაში აუცილებელია გონიერი და მეგობრული რჩევა-დარიგება, რაც მას ავთანდილის სახით მოეწვინა. ავთანდილი გახელვებულ ტარიელს არა გულისთქმის აყოლას „რაც არა გნადდეს იგი ქმენ..“, არამედ ბრძნული გამორჩევისაკენ მოუწოდებს.

ტარიელი ხანგრძლივი ხეტიალისა და უკაცრიელ ადგილებში განმარტოებული ცხოვრების შემდეგ, როგორც გინდ ღრმა და უკიდევანო არ ყოფილოყო მისი განცდები, უკვე მომზადებულია იმისთვის, რათა თავისი მოქმედება მდგომარეობის დანვრელებითი ანალიზის გზით დასახულ ღონისძიებათა შესაბამისად წარმართოს.

ახლა აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვარიგად, ე. ი. პრაქტიკაში გამოყენების გარეშე ისეთ საუნჯესაც კი, როგორიცაა ცოდნა (მეცნიერება) ამრი არა აქვს: „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმნ ბრძენთა თქმულსა; არ იხმარებ, რას ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა“. აქედან უკვე ისიც ნათელია, რომ ბედისწერა, განგების ძალა, რაც ზოგან ვითომდა აღიარებულია „ვეფხისტყაოსანში“, არსებითად აღამიანის გონიერი, გააზრებული მოქმედების გავლენას განიცდის, პასიურობა მავნებელია. „იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერი“. ამგვარად, ყოველგვარი ფატალიზმის წინააღმდეგ თავიანთი კეთილშობილური მიზნების, სიმართლისა და სიკეთის განხორციელებისადმი აქტიურად მისწრაფებული რუსთაველის გმირები „მიჰხვდეს მათსა სანადელსა“.

მაგრამ, რუსთაველი უმღერის არამხოლოდ ქალისა და ვაჟის, საზოგადოდ აღამინის ფიზიკურ და სულიერ მშვენიერებას, არამედ საერთოდ ბუნების სილამაზეს. აღამიანი ხომ მხოლოდ ბუნების ნაწილია და თვით მისი გარესამყაროს მშვენიერება, ვარდ-ყვავილთა ფერადოვნება, მოკაშკაშე ვარსკვლავები, ფრინველთა ტკბილი გალობა, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, საერთოდ

ბუნების დაუსრულებელი მრავალფერობა ხიბლავს, ახარებს, აძლიერებს, ახალისებს, აახალგაზრდავებს ადამიანს.

გულანშაროს მდიდარ და კეთილმონყობილ ქვეყანას ყველანი შესტრფიან და ბუნებისა და კეთილმონყობილი საზოგადოების ეს უსასრულო და მომხიბლავი მრავალფერობა „ვეფხისტყაოსანში“ მონოდებულია თანაუგრძნობდეს, ხელს უწყობდეს, ამკობდეს ადამიანის ამქვეყნიურ ბედნიერება. ავთანდილისათვის საამოა ვარსკლავთა ხილვა, რადგან მათ იგი სატრფოს ამსგავსებს და ესაუბრება, გულისნადებს უზიარებს. ნესტან-დარეჯანის დაბადების უამს „...სიხარულით ცა ნათობდა“. აღფრთოვანებულ ადამიანს ბუნება, მთელი ქვეყანა უფრო მშვენიერი, მომაჯადოებელი და ასხივოსნებელი წარმოუდგება.

ბუნებას თავისი ობიექტური კანონები აქვს. აქ „მსგავსი (არსი) ყველაი მსგავსსა შობს“ სწორედ ისევე, როგორც ყოველი შობილი, გაჩენილი საბოლოოდ განწირულია და უნდა აღსრულდეს, მოკვდეს: „სოფელი ასრე მქნელია“.

3. რომანის მთავარი გმირი ტარიელი „ვეფხისტყაოსანია“. ვეფხი, ვეფხის ტყავი, მისთვის სატრფოს, ნესტან-დარეჯანის სახე-ხატებაა, მისი ჩაუქრობელი სიყვარულის განივთებული სიმბოლოა. ამ სიყვარულის ისტორია პოემის დედაარსია.

„ვეფხისტყაოსანი“ უაღრესად რთული კომპოზიციის (შენაკადებიანი) ლიტერატურული ქმნილებაა, რომლის შინაარსი მოქმედ პირთა და მათი მამოძრავებელი ძალების მთელი რომანის მხატვრული და იდეური ჩანაფიქრის განხორციელების მიხედვით დროისა და ადგილის დიდ მონაკვეთზეა გაშლილი.

ორი თაობისა და რამდენიმე ქვეყნის (სახელმწიფოს) ადამიანთა ხასიათების, მორალური და მატერიალური ინტერესების, ვნებათა და მისწრაფებათა საოცარი კოლიზია, საერთოდ თხზულების განსაცვიფრებელი ფაბულა: უყოყმანო ძმადნაფიცობა, სიტყვის სიმტკიცე, ამაღელვებელი მორალური და პოლიტიკური კონფლიქტები, ბოროტებასთან ბრძოლაში სიკეთის გამარჯვების სხივჩაუქრობელი წადილი, სინათლის, სილამაზის, მშვენიერების, ჰუმანურობისა და ადამიანურობის გამარჯვებისათვის მებრძოლ ძალთა უებარი გმირობა - აქ სიტყვის ჯადოქრის მიერ ზნეობის გამკეთილშობილებელია ვაჟკაცობისა და მეგობრობის განმამტკიცებელი და საბოლოოდ ადამიანის ყველაზე სანუკვარ სიღრმისეულ გრძნობათა ამამალლებელი სპეტაკი სიყვარულის ურყევ ციტადელზეა აზიდული და ამზევებულ-გასხივოსნებული. თავგადასავალთა ბრძოლების, გმირობის, ძმადნაფიცობის, ურიერთგაგებისა და თანაგრძნობის, სიყვარულისა და სიძულვილის ფრიად რთულ და გრადაციებიან სიტუაციაში. პერსონაჟთა ხასიათების, აბოზოქრებულ ვნებათა ღელვის, სულიერი განცდების საოცრად დეტალური და ფრიად თავისებური ანალიზით შოთა რუსთაველმა ნამდვილად შექმნა ფსიქოლოგიური რომანი, რამდენიმე საუკუნით უფრო ადრე, ვიდრე ის ჩამოყალიბდებოდა ევროპულ ლიტერატურაში.

„ვეფხისტყაოსანს“, როგორც ქართველი ხალხის ეროვნულ დროშას, ქვეყნის ისტორიული ვითარების შესაბამისად სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვანაირად აფასებდა, სხვადასხვა მიზნებისთვის იყენებდა.

უდავოა, რომ „ვეფხისტყაოსანში“, მეტნაკლები ზომით, ასახულია იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ყოფიერება. ეს შეიძლება ითქვას, როგორც თხზულების სიუჟეტურ-კომპოზიციური ხასიათის და საერთოდ იდეური მიმართულების, ისე თვით მომქმედ პირთა აღწერილი მორალური, ოჯახური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსის, საერთოდ ფილოსოფიური მსოფმხედველობისა და მთელი ყოფიერების კრიტიკული განხილვის საფუძველზე.

დამოუკიდებლად იმისა, თუ რა მიზნითა და მიზეზებით იყო იგი გამოწვეული თვით რუსთაველის მიერ რომანის ფაბულის გაუცხოურების, „სპარსულ ამბად“ გამოცხადების მეთოდი, მანამდეცა და მას მერმეც ლიტერატურაში ნაცადი ხერხია, ხოლო დეტალიზაცია იმისა, თუ „ვეფხისტყაოსანის“ რომელი გმირი, სახელდობრ, რომელი ქართველური ტომის ტიპური წარმომადგენელია და სხვ. სინამდვილეში არ შეიძლება შეიცავდეს რამდენადმე ღირებულ მხატვრულ-ემოციურ თუ სოციალურ-პოლიტიკურ იდეას, მაგრამ ამ გმირთა მდგომარეობა, საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სამხედრო, დინასტიურ-ოჯახური თავგადასავალი აშკარად მოგვაგონებს იმდროინდელი საქართველოს ისტორიულად არსებულ გამოჩენილ სახელმწიფოებრივ მოღვაწეთა ბიოგრაფია, მათი ცხოვრებისა და საქმიანობის თვით დეტალებსაც კი.

ასე რომ, მთელი ამ ამბების გადატანა ისეთ შორეულ, ნამდვილად არსებულ თუ მოგონილ ეროვნულად, რელიგიურად და თვით რასობრივად განსხვავებულ ქვეყნებში, როგორცაა არაბეთი, ინდოეთი, ხატაეთი, გულანშარო, ქაჯეთი, მულაზანზარი და შესაბამისად თვით რომანის მოქმედ გმირთა ზნე-ჩვეულებებისა და ადათ-წესების გაუცხოურების ცდა, ამ ჩანაფიქრის დიდი წარმატებით განხორციელების მიუხედავად, ვერ ფარავენ ცნობილ ისტორიულ სიტუაციებს, რომელთა გამჭვირვალობა უდავოდ გათვალისწინებულიც იყო გენიალური შემოქმედის მიერ, რათა კიდევ უფრო ძლიერი ყოფილიყო თხზულების მხატვრულ-ემოციური და საერთოდ იდეური გავლენა.

მაგალითად, უდავოა, რომ ქალის კულტი, თინათინის გამეფება, ქალისა და ვაჟის ზნეობრივი და გონებრივი, უფლებრივი და სულიერი თანასწორობის იდეა, სამხედრო-პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ და დისტანციურ საკითხებზე და ბოლოს თვით სიყვარულისა და ცხოვრების აზრის პრობლემებზე ნესტან-დარეჯანის ბრძნული მსჯელობა შთაგონებულია იმდროინდელი საქართველოს ვითარებით, სადაც მეფის ტახტზე ქალი - თამარი იჯდა, რომლის დროსაც ფეოდალურმა საქართველომ კულტურულ-ეკონომიკური განვითარების თავისებურ მწერვალს მიაღწია. როგორც ცნობილია, ქალისა და, კერძოდ თამარ მეფის დიდებისათვის იმ დროს საქართველოში წერდნენ აგრეთვე ისეთი გამოჩენილი საერო და საეკლესიო მოღვაწეებიც, როგორც იყვნენ, მაგალითად, ჩახრუხაძე, ნ. გულაბერისძე და სხვ.

4. რუსთაველს გააზრებული აქვს ადამიანთა ყოფიერებისა და სულიერ სამყაროში ხასიათების უსასრულო სხვადასხვაობა და ამდენივე მათი დამაკავშირებელი და გამთიშავი თვალუწვდენელი და ენით მოუთხრობელი აურაცხე-

ლი მიზეზები და მოვლენები, რომელთა ერთობლიობა, დაუსრულებელი ვარიაციებისა და გადაციების აზრთა აღმაფრენისათვის: - ამ ასპექტით მას თითქოს გააზრებული აქვს, რომ მაგალითად, ადამიანსა და მიმუნს შორის ბევრად უფრო ნაკლებია მსგავსება და განსხვავება, ვინემ სოლონსა და სოფოკლეს, ალექსანდრე მაკედონელსა და არისტოტელეს შორის.

„კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ რუსთაველმა სხვადასხვა ერისა და რასის ადამიანებისაგან შექმნა თავისი საოცარი გმირების მთელი გალერეა და ალავსო ისინი ერთიანი და ანტაგონისტური, ჰარმონიული და დაპირისპირებული, ჰეროიკული და ვერაგული, პირდაპირი და მუხანათური ზრახვებით და მისწრაფებებით, რაც თვალშეუდგამი ფერებით ასახა თავის უკიდევანო ფანტაზიის ვეებერთელა ქსოვილზე, სადაც სიკეთისა და ბოროტების, სინათლისა და სიბნელის ძალთა გიგანტური ჭიდილი საბოლოოდ უმნიკლო სიყვარულისა და მეგობრობის, სიკეთისა და ადამიანობის გამარჯვებით თავდება.

სწორედ ამ გზით დაფარა და დაძლია შოთა რუსთაველმა მხატვრული სიტყვის მრავალი ადრინდელი და მერმინდელი გენია. „ვეფხისტყაოსანი“ სიყვარულის, მეგობრობის და სიკეთის არა ეპიზოდური გამარჯვების, არამედ უსასრულო ზეიმის პოემაა. ტარიელი და ნესტან-დარეჯანი, გაიარეს რა უალრესად ხიფათიანი, ტრაგიკული, გმირული უმძიმესი განსაცდელი და ტანჯვით, მოგჯერ უიმედობითა და სასონარკვეთილებით აღსავსე გზა, - ისეთ გამარჯვებას აღწევენ, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი ჩრდილოვანი მომენტებისაგან და ასე სხივმოსილნი ადიან ისინი უბნელო სინათლის მაღალ კვარცხლბეკზე, სადაც მათი ცხოვრების ისტორიის თხრობა სწყდება უზადო სიყვარულზე აშენებული ოჯახის შექმნით. მაგრამ ამით, არსებითად მათი ცხოვრების ისტორია არ თავდება. რადგან ოჯახი ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების მარადიული აღწარმოების, განახლებისა და განვითარების რეალური საფუძველია.

სწორედ ამით აღმოაჩინა რუსთაველმა მარად ცოცხალი და მიმზიდველი იდეა, რაც უებარი და უჭკნობი, ყოველგვარ ნივთიერ მასალაზე უფრო გამძლე მხატვრული სიტყვის გაუხუნებელი ფერებით დახატა და ეს სიტყვა ქართულად ითქვა იმ დროს, იმ ეპოქაში, როდესაც მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე გაშლილ ქალ-ვაჟის უმნიკლო სიყვარულისა და ადამინთა უზადო მეგობრობის იდეას ესოდენ დიდ განხმულობასა და სიმალღემდე არ მიუღწევია.

როგორც არაბულ-სპარსულ სამიჯნურო რომანებს, ასევე დასავლეთ-ევროპული რაინდული ასპექტის პროვანსულ-კურტუაზულ და ტრუბადურულ-მინგიზგერულ პოეზიას, მიუხედავად სიყვარულისა და მიჯნურობის და ფეოდალურ-იერარქიულ სიტუაციათა მსგავსებისა, რიგი უმნიშვნელოვანესი ზღვარი ჰყოფს იმავე ეპოქაში სწორუპოვარი ქართული გენიის მიერ შექმნილი თხზულების სადერმარკაციო იდეებთან.

იქ რაინდული სიყვარული თავის გასაქანს ჰპოულობს ცოლქმრული სიყვარულის ნაპრალებში, კუტრიზანულ-სატრფიალო რომანებში რაინდის გულის

დამა (მიჯნური) ქმრიანი ქალბატონია. აღმოსავლური პოეზიისათვის თავისუფალი სიყვარული ცოლების გამოცვლისა, მეუღლეობრივ ღალატსა და საერთოდ უსაზღვანო სქესობრივ ურთიერთობაშია, სიყვარულიათვის განცდილი მძიმე დღეები ხშირად ტრაგიკული ფინალით თავდება და მოჭარბებული მისტიციზმის ვითარებაში სანატრელი ოცნების ასრულება ზოგჯერ მხოლოდ საიქიოშია მოსალოდნელი, ანდა კიდევ სიყვარული იწვევს გმირის სულიერ და ფიზიკურ დაცემასა და განადგურებას.

ცხადია, ვერც ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის, მეგობრობისა და გმირობის მოტივები, რაც მეტნაკლები ზომით მოიპოვება იმ ეპოქის როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური რომანტიკული პოეზიისა და საერთოდ მწერლობის ძეგლებში, ვერ შეცვლიან ზომოხსენებულ დებულებას, რამდენადაც მათში ამ იდეების მართო სპორადული ასახვა და ცალკეული ელემენტებია წარმოდგენილი, მაშინ როდესაც რუსთაველმა ისინი განვითარებისა და სისრულის უმაღლეს წერტილამდე აიყვანა და თანაც თავისი შესაძლებელი არსებობის ყველაზე კეთილშობილურ, მშვენიერ და ჰარმონიულ ფორმაში ჩამოაყალიბა.

5. გენიალური შოთა რუსთაველი თავიდან ფეხებამდე თავისი ეპოქის შვილი იყო. ეძებენ ათეისტურ იდეებს, სხვადასხვა რელიგიური დოგმებისა და მწვალებლობის (ერეტიკოსობის) ასახულებას. ფიქრობენ, რომ რუსთაველი თითქოს ანტიქრისტიანულ მოძღვრებას ანვითარებდეს. ათასჯერ მართალია ვ. ნოზაძე, რომელმაც გააცამტვერა ვითომდა რადიკალურად, მაგრამ არსებითად მარტივად მოაზროვნე ასეთ მკლევართა ყოველგვარი მოსაზრებანი.

სულ სხვაა, რომ შოთა რუსთაველის გიგანტური ცნობიერება, მისი სიბრძნე და მსოფლგაგება ვერ ეტეოდა ოფიციალური ქრისტიანული რელიგიის ჩარჩოში; კიდევ მეტიც, რომ იგი არ ეგუებოდა ეკლესიური კლერიკალიზმისა და დოგმატიზმის, შებლუდულობისა და მარტვილობის, ხორციელი ცხოვრების უარყოფისა და სოფლისაგან განდგომილების ასკეტურ ცხოვრებას.

დოგმატური ეკლესიური სარწმუნოება ხორციელ სიამოვნებასა და სიტკბოებას, საერთოდ ამქვეყნიურ ცხოვრებასა და მოღვაწეობას არარაობად მიიჩნევდა. „სიბრძნე ბალავარსაში“ იოდასაფი აცხადებს: „...არა რაი არს კაცი, გარნამატლი და წუთხი, მტვერი და ნაცარი მსწრაფლ განქარვებადი და ამისთვის არა ვზრუნავ ხორცისათვის... ხოლო სული არს, რომელი იგრძნობს ტკივილთ... გინა შუებათა ყოველთა“. ამიტომაც ღირსეული არიან მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც „ჰმსახურებენ ღმერთსა და სოფლისა ყოველივე დაუტევებს... რამეთუ გამოსცდეს სოფელი ესე და პოვეს ყოველ ურგებლად და წარავლად“.

ოფიციალური ქრისტიანული დოგმების თანახმად წუთისოფელი, ე. ი. ამქვეყნიური სიამოვნება და ნეტარება ამაოებაა, წარწყმედის დაუსრულებელი პროცესია. ეფრემ ასურელი აცხადებდა: „სადა ფანდურებაი და მთვრალობაი არნ, მუნ სიბნელე და წარწყმედა დედათა და მამათაი და დღესასწაული ეშმაკთაი“. ნეტარი ავგუსტინე ქადაგებდა, რომ მარადიული და უხრწნელი საიქიო ცხოვრებისათვის ადამიანმა აუცილებლად უნდა უარყოს წუთიერი და ხრწნადი სააქაო ცხოვრებაო.

მაგრამ, თუ ამქვეყნიური ცხოვრება წარმავალი და ხრწნადია, სამაგიეროდ საიქიო, სახელდობრ სამოთხე, ტრანსცენდენტური სამყარო, ღვთის სასუფეველი წარმავალი ბედნიერებით აღსავსე მარადიული და უჭკნობი ახალგაზრდობისა და სიამოვნების ნათელ ქვეყანას წარმოადგენს.

შოთა რუსთაველის გმირთათვის, მაგალითად, როსტევეანისათვის სიბერე ჭირია, რასაც მოსდევს უფრო დიდი ჭირი - სიკვდილი, ე. ი. საიქიოში, ანუ ნათელ ქვეყანაში გადასვლა, მაგრამ „რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?“ იმედდაკარგულ ტარიელს სიკვდილის მოახლოება ენატრება, რადგან ჰგონია. რომ საიქიოში მინც შეეყრება თავის მიჭნურს. ავთანდილი ცდილობს მას გაუქარვოს კაეშანი და დაუბრუნოს გონიერება, და მხოლოდ ამ სანადელის ასრულების შემდეგ ავთანდილს „ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობისა რასმე მზრახმან“ ტარიელმა.

ამგვარად, საიქიოში ბედნიერების მაძიებლობა რუსთაველმა უგუნურებად გამოაცხადა, სინამდვილეშიც ქრისტიანი და საერთოდ მორწმუნე მუსლიმანი და სხვა რელიგიის მიმდევარი მეფეები, მთავრები, რაინდები და თვით ეკლესიის ზოგიერთი მსახური სრულებითაც არ ფიქრობდნენ ხელი აეღოთ ამქვეყნიურ, ხორციელ ნეტარებაზე.

თვით შოთა რუსთაველის ის გმირები, რომლებიც მაჰმადიანები (არაბები), იყვნენ და რომელთათვის ღვინის სმა სარწმუნოებით აკრძალული იყო. შემთხვევას არ კარგავენ დალიონ ღვინო და მოილხინონ. ხოლო თვით არაბეთში, თინათინისა და ავთანდილის ქორწილში ღვინო წყალივით მოდიოდა და „ბინდით ცისკრამდის სმა იყო“, კიდევ სხვა მრავალგვარ მოლხენასა, სიტკობებისა და სიხარულის დაუკლებლობის შესახებ რომ არ ვილაპარაკოთ.

ამგვარად, როგორც ეს საერთოდაც ცნობილია, ქრისტიანული (და არც სხვა რელიგიური) ეთიკა არც ერთ ქვეყანაში არ წარმოადგენდა არსებით დაბრკოლებას ამქვეყნიური ხორციელი და გონებრივი ბედნიერებით დატკობისათვის.

ცხადია, „ვეფხისტყაოსანში“ გმირებს, ფეოდალური იერარქიის უმაღლესი წრის არისტოკრატიას, ვერ შეზღუდავდა რელიგიური პირობითობანი და მათი ყოფაქცევის ანალიზის მიხედვით, ისევე როგორც თვით შოთა რუსთაველის, როგორც ავტორს, ამა თუ იმ გამონათქვამების მიხედვით თვისტად, პანთეისტად ან სხვა რომელიმე ანტიქრისტიანული მოძღვრების მიმდევრად გამოცხადება ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებულია.

მეორე მხრივ, ცხადია, რომ შოთა რუსთაველი თავის ისტორიოსოფიით, საერთოდ თავისი მსოფმხედველობით, ყველა შუასაუკუნეებრივ ფილოსოფიურ შეხედულებაზე მათლა დგას, რამდენადაც იგი არ იზღუდება არერთი დოგმით (მოძღვრებით) და თვით ცხოვრება, რომელსაც ის აღწერს ყოველგვარ ფილოსოფიურ სისტემაზე (დოგმაზე) ბევრად რთული და მრავალწახნაგოვანია.

ზოგიერთი მკვლევარი შოთა რუსთაველის მსოფმხედველობას, მის ფილოსოფიურ კრედოს ისე განიხილავს, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ სპეციალურ ფილოსოფიურ თხზულებას და მისი ცალკეული სტროფები მცნიერული ტრაქ-

ტატიის თეზისებს წარმოადგენდეს. სინამდვილეში ეს უდიდესი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, უწინარეს ყოვლისა, პოეტი იყო, მხატვრული სიტყვის ჯადოქარი, რომლის ვირტუოზულ ხელში თბილი, ცვილივით ლბილი და მოქნილი ქართული სიტყვა საოცარი უღერადობის რითმებად ყალიბდებოდა, რათა სმენა, გონება, გულისთქმა ყველაფერი დაეპყრო თავისი უებარი ემოციური ძალით.

შოთა რუსთაველი ორი დიდი დაპირისპირებული დასავლური და აღმოსავლური, ქრისტიანული და მუსულმანური ცივილიზაციის დადგინების ეპოქა და მათივე გიგანტურ შეჭახებათა ზღურბლზე ცხოვრობდა, მის ქვეყანაში, საქართველოს სამეფოში, ქრისტიანული მოსახლეობის გვერდით, დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ სხვადასხვა ჯურის მუსულმანური, ებრაული და ბოლოს თვით კერპთაყვანისმცემელი ხალხები.

საქართველოს მეფეები და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები ფართო რელიგიურ შემწყნარებლობას იჩენდნენ. ისინი და მათთან ერთად შოთა რუსთაველი ხელაუდნენ, რომ კაცი ოფიციალურად მუსულმანური რელიგიის მიმდევარი იყო, ხოლო გულზე კი, პერანგქვეშ ჯვარი ეკიდა; ებრაელი იყო და სახარებასა და ყურანს ავრცელებდა; ქრისტიანი იყო და მეჩეთს აშენებდა. დაბოლოს, თვით ეკლესიაში, როდესაც შიგ ღვთისმსახურება (წირვა) მიდიოდა, ქართველი და სპარსელი, ებრაელი და ბერძენი, ინდოელი და არაბი ურთიერთს ეჩურჩულებოდნენ, რათა სავაჭრო გარიგებები დაედვათ, ეყიდათ და გაეყიდათ.

იმავე ეკლესიებში სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის ხელოსანთა და ვაჭართა გამაერთიანებელი კორპორაციების წარმომადგენლები იკრიბებოდნენ, რათა წარმოებისა და გაცვლის სფეროებში თავიანთი ინტერესები მოეგვარებინათ და ამას ფეოდალური მონარქიის მეთაურები და თვით ეკლესიის მესვეურები არამცთუ ითმენდნენ, არამედ უმეტესწილად აქეზებდნენ კიდევაც, რამდენადაც წმ. გიორგის, თვით მაცხოვრისა და თვთისმშობლის ხატები ოქროვერცხლისაგან კეთდებოდა. ოქრო ფული იყო, ხოლო ფულის, საქონელთა საყოველთაო ეკვივალენტის მიღება-მოპოვების ყველაზე გათვლილ გზას უკვე კარგა ხანია, რაც გაცვლას წარმოადგენდა.

ასეთ ვითარებაში შოთა რუსთაველი, ყველაზე უფრო სავარაუდოა, რომ ერთიანი, ცენტრალისტური საქართველოს მონარქიისათვის ესოდენ საჭირო რელიგიური შემწყნარებლობის ალამდარი ყოფილიყო. ამას ისიც მონშობს, რომ ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი სხვადასხვა ქვეყნისა და რელიგიური მრწამსის ადამიანები უგულითადესი მეგობრები იყვნენ.

ნაცვლად მის ეპოქაში გაბატონებული რელიგიური პესიმიზმისა და ასკეტური იდეებისა, შოთა რუსთაველი მთლიანად ოპტიმიზმის, ამქვეყნიური სიტკბოების, სიკეთისა და მშვენიერების, ადამიანის ფიზიკური და გონებრივი სიდიადის, ხორციელი სიყვარულისა და სიხარულის მესიტყვება. მაგრამ, მთავარი ისაა, რომ ქრისტიანობა ხელაუღებით როდი უარყოფდა მიწიერი ცხოვრებას, ქრისტიანული და სხვა რელიგიების ასკეტებში მხოლოდ ოფიციალური მიმდინარეობა იყო, რომლის გვერდით არსებობდა კიდევ სხვადასხვანაირი აზრი და შეხედულება, იდეები და მისწრაფებანი.

ამქვეყნიური, მიწიერი ცხოვრება რომ ხელაღებით უარეყო, მაშინ ქრისტიანობა, ქრისტიანული ცივილიზაცია ვერ შექმნიდა ისეთ დიდებულ და მომხიბლავ ძეგლებს, როგორცაა აია სოფიას ტაძარი, მილანის კათედრალი, პარიზის ღვთისმშობლის ეკლესია, ვესტ-მონსტერის სააბატო, კენტერბერიის, სოლსბერის, რეიმსის, ვორმსის, კიოლნის დასხვ. კათედრალები, მცხეთის ჯვარისა და სვეტიცხოვლის, ბაგრატის ტაძრები, ზვარტნაცის და ახპატის ეკლესიები და სხვადასხვა სახის ჰუმანიზმის იდეებით გაუღენთილი არქიტექტურის, ფერწერის, სკულპტურული ხელოვნების, პოეზიისა და სხვ. შედეგები.

აკად. შ. ნუკუბიძის მიერ უკვე საბოლოოდ დადგენილია, რომ შოთა რუსთაველის თეოლოგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა შეესატყვისება მე-5 საუკუნის სახელოვანი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, დიდი ღვთისმეტყველის ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) ქრისტოლოგიურ მოძღვრებას, ამ გავებით „ყოველსა არსთა პირსა საქმისასა დასაბამად და აღსასრულად კეთილი აქუს“, ხოლო „კეთილის მიერ არიან ყოველნი შემოკრებანი და მეგობრობანი და ზიარებანი“.

სიკეთე ყოველი არსის უნივერსალური საწყისია. თვით ღმერთი სიკეთეა. სიკეთე ღმერთშია და ამიტომაც უკვე რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ღმერთი კარგსა მოავლინებს დ ბოროტსა არ დაბადებს“, საბოლოოდ ღმერთი არ გასწირავს კაცს სოფლისგან განაწირსა, თვით მიჯნურობის წესებიც ღმერთისგანაა დადგენილი. მაგრამ ადამიანი, როგორც მებრძოლი და შემომქმედი არსება, პასიურად როდი შესცქერის ღვთის განგებას, ბედისწერას. ფრიად საინტერესოა შესაბამისი სტრიქონის ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რეაქცია: „ბელი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცა გხვდების“.

ღმერთი ეხმარება სიკეთის მომქმედ ადამიანს. გონივრული შრომა, ცოდნა, შემოქმედება, შეუპოვარი ბრძოლა, სიმტკიცე, ჭირსა შიგან გამაგრება, სიყვარულის დამკვიდრების, სიტკბოების, სიკეთის, ლხინისა და გაარჯვების მოპოვების აუცილებელი საწინდარია „მამა ლხინსა ვინ მოიძკის პირველ ჭირთა უმუშაკო?“.

სწორედ ასეთ გონიერ, ბრძენ, შემოქმედ, მებრძოლ, მშრომელ ადამიანთა ამქვეყნიური ცხოვრების, სიყვარულის, მეგობრობის, კეთილშობილების, მშვენიერებისა და ყოველგვარი სიკეთის სწორუპოვარი ჰიმნია ადრინდელი რენესანსის ჰუმანისტური იდეებით გაუღენთილი „ვეფხისტყაოსანი“. თუ პლატონიზმის ქრისტიანობისა და ნეოპლატონიზმის მოძღვრებით ეს სოფელი საძულველი, უარსაყოფელი, ამქვეყნიური ხორციელი ცხოვრება უაზრო და ამაოა, რუსთაველის შეხედულებით კი „ვისთვის ჰკვდები ვერ მიჰხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ“.

მაგრამ, ზოგჯერ, ჩვენი რუსთაველოლოგები ერთმანეთში ურევენ ადამიანის, პოემის გმირთა მსოფლმხედველობისა და განწყობილების მომენტებს და პესიმისტურ მოტივებს ეძებენ რუსთაველის ქმნილებაშიც. თავისი შეგნებითა და მრწამსით უაღრესად ოპტიმისტური შეხედულების ადამიანი პირადი ცხოვრე-

ბის მძიმე განსაცდელის უამს შეიძლება უიმედობამ შეიპყროს და მისტიციზმშიც კი გადაადგოს, მაგრამ ეს დროებითია და სულიერი ტრავმის დაძლევის შემდეგ ის, ცხადია, უბრუნდება თავისთავს, რომელსაც საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულების პროცესში არასდროს არ დალატობს. ვისაც ეს ჭეშმარიტება ვერ გაუგია, მას უფლება არა აქვს მსჯელობდეს, როგორც ადამიანის გრძნობებსა და სულიერი განცდების, ასევე მისი საზოგადოებრივი ინტერესებისა და მიზანსწრაფვის შესახებ.

ავთანდილის გოდება სოფლის უკუღმართობაზე, ქვეყნის დაუდგრომლობისა, სიმწირისა და სხვათა შესახებ მხოლოდ დროებითი, განწყობითი მოვლენაა. იგი სოფელს გმობს არა საერთოდ, არა ტრანსცენდენტური ქვეყნის უპირატესობისათვის, არა მიწიერი ცხოვრების უარყოფის გამო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ სატროფოს ხანგრძლივი მოშორებით დასევდიანებულს გულისთქმის კაემანი იპყრობს და უსიყვარულოდ, უთინათინოდ სოფელიც არ უყვარს, ამიტომ „ვიდრე ვნახავდე, (თინათინს - პ. გ.) სოფელი, მინდი სალხინო აღარად“.

შოთა რუსთაველი თავის პოემის დასასრულს, მართალია, წერს „დასრულდა მათი ამბავი“, ეს ცხოვრება ღამის სიზმარით მოკლეაო და სხვა, მაგრამ „სიმუხთლე უამისა“, სიცოცხლის წამიერება მარტოოდენ პერსონალური, ინდივიდუალური ცხოვრების სიმოკლისათვის წარმოთქმული სამღერავია და ოდნავადაც არ გულისხმობს საზოგადოებრივ და საერთოდ მომავალი ცხოვრების ინტერესებისათვის ზრუნვასა და ბრძოლის ამაოებას.

ამგვარად, ყველგან, სადაც კი „ვეფხისტყაოსანში“ პესიმისტური მოტივი გაისმის, ის უნდა განვიხილოთარა როგორც მსოფლგაგების, არამედ როგორც დროებითი, პირადი დეპრესიული განწყობილების გამოვლინება და სხვა არაფერი. ამ ასპექტით ყოველივეს უნდა გვახსოვდეს თვით შოთა რუსთაველის სიტყვები „მოგჯერ შემყვიან სევდათა, ვთქვი სანუთროსა გმობანი“.

6. სასტიკი რელიგიური ომების ეპოქაში, როდესაც საქართველო გარემომოტყმული იყო უცხოტომური და მოპირდაპირე რელიგიური აგრესიული სახელმწიფოებით, როდესაც სამშობლოს თვითმყოფური კულტურისა და ცივილიზაციის ცვა-ფარვისა და განვითარების, ფეოდალური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ ცენტრალისტური სახელმწიფოებრივი მმართველობის განმტკიცების პრობლემა მთელი ქართველური ხალხების სისხლხორცეულ ამოცანას წარმოადგენდა, ოფიციალური და ამდენადვე ეროვნული რელიგიის წინააღმდეგ გამოსვლა არსებითად არ შეიძლებოდა ანტიქართული მოვლენა არ გამხდარიყო, მით უფრო, რომ ქრისტიანობა საერთოდ იდეოლოგიის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა ფა მუსლიმანური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ქრისტიანობა და ქართველობა იდენტურობას მოასწავებდა.

ასეთ ვითარებაში შოთა რუსთაველი, რომელიც არა მხოლოდ უდიდესი პოეტი, არამედ, ამასთანავე, გამოჩენილი სახელმწიფოებრივი მოღვაწე იყო, ყოველად წარმოუდგენელია რაიმე ანტიქრისტიანული და მამასადამე, ანტისა-

ხელმწიფოებრივი, ე. ი. ანტიქართველური მოძრაობის მესიტყვის როლში გამოსულიყო. სულ სხვაა, რომ მისთვის, როგორც თავისი ეპოქის ჰუმანისტისათვის, თვით ჯვაროსნული ომების ვითარებაშიც, უცხოა კონფესიურ-რელიგიური შებლუდულობა, ეროვნული შუღლი. ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ ფილოსოფიურად გააზრებული რუსთაველის ჰუმანიზმი ვირტუოზულ მხატვრულ სიტყვაში ასახული ეპოქის მატერიალიზმია.

ეროვნული, რასობრივი მტრობა თვით სახელმწიფოთა შორის ომების ვითარებაშიც ჰუმანიზმის კაცთმოყვარული გრძნობით იფარება: დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებული ინდოეთის მოხარკე („სახარაჯ“) ხატაეთის მეფე რამაში უარს ამბობს ფარსადანის ვასალობაზე. ნესტანისაგან წაქეზებულმა ტარიელმა, როგორც ინდოეთის ჯარის სარდალმა ხატაეთისაკენ გაილაშქრა. იგი უწინარეს ცდილობს კონფლიქტის უომრად მოგვარებას და ხატაეთის მეფეს მორჩილებისაკენ მოუწოდებს, თავისთან იხმობს. რამაშმა ეს იუკადრისა: „რავარა თუ მანდა გეხმე, ვინ ვჰპატრონობ ბევრსა ერსა?. ამის მეტსა ნუმცა ვნახავ კვლავა წიგნსა შენ-მიერსა“.

ომი გარდუვალი გახდა. მიუხედავად უწესო და ურიდო შებმისა და ბრძოლის მუხანათური ხერხებისა, ხატაელები დამარცხდნენ. გამარჯვებულმა ტარიელმა დატყვევებული რამაშის ჯარი არ დახოცა, არც ქვეყანა დაარბია, ვერაგობისათვის შური არ იძია. ბოლოს ინდოეთში ტყვე რამაში შეინყაღეს და ძველფურ პირობებში თავისი ქვეყანა დაუბრუნეს.

ამ ასპექტით ფრიად მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მომენტი, სახელდობრ - ნესტანის რჩევა, როდესაც აუცილებელი გახდა ხვარაზმ-შაჰის ძის მოკვლა, - ტარიელს უკანასკნელი უნდა მოეკლა „მისთა სპასთა აუწყვეტლად“. სპა, ხალხი უდანაშაულო იყო, უდანაშაულო იყო თვით სასიძოც. რამდენადაც მან არ იცოდა ნესტანისა და ტარიელის ამბავი. მაგრამ იგი აქ უფრო გამოდის როგორც ბრმა იარაღი, რომელიც სიკეთის ინტერესებისათვის უნდა მოისპოს.

მაგრამ, ზოგად ასპექტშიაც სხვადასხვა ერთა შვილების ძმადნათფიცობა, სიმართლისა და მშვენიერების, უმანკო სიყვარულის გამარჯვებისათვის გაერთიანებული ბრძოლა უკვე თავისთავად ინტერნაციონალური ხასიათის მოვლენაა.

შოთა რუსთაველი ერთა მეგობრობის მესიტყვეა. სიყვარულისა და მეგობრობის სიღრმისეული განცდების ავთანდილის სიმღერას თანაუგრძნობენ მსოფლიოს ხალხები.

„მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოველნი სულიერნი:
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“.

ტარიელი ისეთი რაინდია, რომელსაც მისი სამშობლოსა და სახელმწიფოს ინტერესები ამოძრავებდა. მისთვის წინაპლანზეა არა ნაალაფევისა და საერთოდ სიმდიდრის მოხვეჭა, არამედ გმირისა და რაინდის სახელი; რუსთაველის გმირთა დევიზია - „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“. ეს სახელი კი ვაჟკაცობით, პირდაპირობით, სიუხვით, ხელგამლილობით, კაც-

თმოყვარეობით, ჭეშმარიტი და უყოყმანო მეგობრობითა და მოყვრობით მოიპოვება, ხოლო „მოყვარე მტერი ყოველსა მტრისაგან უფრო მტერია“.

ცნობილია, რომ რენესანსის პერიოდში, რაც უწინარეს იტალიის ქალაქებში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩანასახებთან ერთად მე-13-14 სს. იწყება, მონათესავე ტომთა გაერთიანებისა და სხვ. პატრიოტულ მოტივებთან ერთად ჰუმანისტები ჰარმონიული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების უტოპიურ იდეებსაც ქადაგებდნენ.

ამიტომ, გასაკვირი არაფერია იმაში, რომ შოთა რუსთაველის ჰუმანიზმი ზოგჯერ ჰარმონიული საზოგადოების უტოპიურ იდეებს მოგვაგონებს. მას მერმე, რაც მისმა გმირებმა საწაღელს მიღწიეს, მეფეებმა თავიანთი სახელმწიფოები კიდევ უფრო გაათართოვეს, სასურველი წესრიგი და გამგებლობა განამტკიცეს, სიმდიდრით სავსე მათს საბრძანებელში ისეთი სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობანი მყარდება, სადაც თითქოს გამოირიყვლია სიღარიბე, ბოროტმოქმედება, ადამიანის რაიმეგვარი ჩაგვრა, ყვლეფა და იძულება.

ტარიელმა, ავთანდილმა, ფრიდონმა თავიანთ სახელმწიფოებში:

„ყოველთა სწორად წყალობასა ვითა თივსა მოათოვდეს,
ობოლ-ქერიენი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავის მქმნელი დაამინნეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად ძოვდეს“

მაგრამ, ეს რა გასაკვირია პოეტისაგან, როდესაც თვით თამარ მეფის ეპოქის ისტორიკოსიც კი, აღწერს რა იმდროინდელი საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურ ყოფიერებას აცხადებს.

„შიექმნა მშვიდობაო, სიხარული და ერთობაო, რომელი არაოდეს სადავის უხილაეს... და ერთად ძოვდეს ლომი და ხარი და იხარებდეს ვეფხი თიკანთა და მგელი ცხოვართა თანა...“

7. შოთა რუსთაველის საზოგადოება პატრონყმურ, ფეოდალურ, წოდებრივ ურთიერთობათა სისტემას წარმოადგენს. სახელმწიფოს სათავეში მეფე, რომელიც უზენაესი კანონმდებელი, აღმასრულებელი სასამართლო და ხელისუფლების მეთაურია, ის ქვეყნის, მთელი მიწისა და მოსახლეობის, ერთპიროვნული პატრონია, ფეოდალური მონარქიის მეთაური ღვთისსწორი არსებაა. მას, მეფეს როგორც უზენაეს პატრონს ემსახურება, ჰმონებს და ემორჩილება, საჭიროებისას მისთვის თავს სდებს სახელმწიფოს ყოველი ქვეშევრდომი და ეს ყველასათვის გასაგები მოვალეობაა, რადგან „ვიწცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“.

ამასთანავე, მეფე თავის მხრივ, ჰხამს იყოს ხალხის მოყვარული, ბრძენი, გონიერი, სამართლიანი, ღვთისნიერი, უხვი, „მშობლიური, ტკბილი, მონყალე, ცა-წყალობისა მთოველი!“

ახლა, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ასეთი მეფის სახით ჰყავს დახასიათებული იმდროინდელ ქართველ ფეოდალურ ისტორიკოსებს, საეკ-

ლესიო მწერლობას და თვით პოეზიასაც საქართველოს მეფეები დავით აღმაშენებელი, გიორგი III, თამარი.

საზოგადოებრივი იერარქიის მთელი საფეხურები პატრონისა და ყმის ურთიერთობათა სახით წარმოგვიდგება. მეფის პირველი ყმებია დიდებულები, რომელთა შორეული თუ ახლობელი წინაპრები ზოგჯერ თვით იყვნენ მეფეები ამ უკვე მსხვილ ფეოდალურ მონარქიაში გაერთიანებული ქვეყნებისა. მეფის ასეთი ყმებია, მაგალითად, ტარიელი და ავთანდილი. მათ, გარდა დიდი სახელმწიფოებრივ თანამდებობებისა (ამირბარობისა, სპარსალარისა), ჰყავთ მრავალი ყმა, შეიარაღებული რაზმები და ამასთანავე, დიდძალი ადგილ-მამული და ციხე-ქალაქები უჭირავთ, სადაც აქვთ „საჯდომი და ტახტი მისი“.

მაგრამ, როგორც გინდ ძლიერი არ იყოს ასეთი დიდებული, იგი ცენტრალისტური მონარქიის სათავეში მდგარი მეფის მსახურია და მხოლოდ ამდენადაა შეწყალებული - ყმათა და მამულთა მფლობელი, სახელის მჭერელი. სწორედ ამიტომაც, რომ ავთანდილი აცხადებს „ხამს მეფეთა ერთგულება, ყოფა გემართებს ყმასა ყმურად“.

მეფის ასეთ ყმას, როგორცაა ავთანდილი, თავის მხრივ, ჰყავს ყმები. ამ ყმებს კიდევ ყმები და ა. შ. ამგვარად, პატრონისა და ყმის, სენიორისა (სიუზერენისა) და ვასალის ურთიერთობათა იერარქია შეადგენს რუსთაველის ეპოქის საქართველოს პატრონ-ყმური საზოგადოების წყობილებას.

ფეოდალური საქართველოს ისტორიკოსები აიდიანებდნენ არსებულ ურთიერთობათა სისტემას. ამ საზოგადოების ჰარმონიულობისთვისაა ნათქვამი: „სჯობიან ყოველთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი“.

მაგრამ, რუსთაველი ნამდვილად კარგად ხედავდა და აღნიშნავდა კიდევაც სასურველობის საწინააღმდეგო ფეოდალურ ურთიერთობათა ღრმა შინაგან წოდებრივ ნაპრალებს.

ქალაქ მულაზანზარის პატრონი ნურდან-ფრიდონი ტარიელს მოუთხრობს:

„მამის ძმა და მამა-ჩემი პაპა-ჩემმან გაყვნა ოდეს,
ზღვასა შიგან კუნძულია, ჩემად წილად მას იტოდეს;
თვით ბიძასა ჩემსა მიჰხვდა, ვისთა შვილთა წა დამკოდეს;
მათკე დარჩა სანადირო - არ მივსცემდი, მომერჩოდეს“

და აი, ამ სადავო კუნძულზე ნადირობის დროს ბიძამეილები თავს დაესხნენ და „თანამყონი ყველაკანი“ დაუხოცეს, ხოლო თვითინ დაჭრილმა ფრიდონმა, მხოლოდ საოცარი გმირობისა და საოცარი მეოხებით დააღწია თავი სამარცხვინო ტყვეობას, მერმე, როდესაც ჭრილობანი მოუშუშდა, „მოჯობდა, ომი შეეძლო, ხმარება ცხენ-აბჯარისა“, ტარიელის დახმარებით ფრიდონი თავისი ჯარით შეესია მის თანამოგვარე ფეოდალების ქვეყანას და სასტიკად დაამარცხა ისინი „თვით - ორივე ბიძა-ძენი მისნი ხრმლითა ჩამოყარნა, ხელნი წმინდად დაეკვეთნეს, იგი ასრე ასაპყარნა“, გაძარცვა მათი საჭურჭლენი და ტყვეებიც თან წამოასხა.

ადგილმამულისა და ყმების ფლობისათვის თანამოგვარეთა და საერთოდ ფეოდალთა შორის გამუდმებული ომებისა, ინტრიგებისა და ურთიერთ ხოცვა-ჟლეტის ერთ-ერთი ეპიზოდი ასე აღწერა შოთა რუსთაველმა, რომელიც ამასთანავე კარგად ხედავდა, რომ წვრილი საფეოდალოებს ცენტრალისტურ მონარქიაში გაერთიანება ერთადერთი და თანაც პროგრესული გზა იყო პარტიკულარიზმის ჩახშობისათვის და მაშასადამე, ქვეყნის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ეს იმავე დროს რენესანსის ეპოქის მონინავე პოლიტიკურ მსოფლხედველობას წარმოადგენდა.

პატრონისა და ყმის სოციალური ურთიერთობანი ნივთიერ და პირად, სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში აისახება, ერთგული და კარგი ყმა, როგორც მონა ემორჩილება და არსულებს პატრონის წადილისა და სამსახურს, თუმცა იგი როგორც მონა მას არ ეკუთვნის.

შერმადინი ავთანდილის ახლობელი ყმაა, რომელსაც შორს მიმავალი პატრონი ანდობს კარმიდამოს, მამულისა და ყმების გამგებლობას და რომელსაც ავთანდილის ყველა ყმა, მათ შორის დიდებულებიც ემორჩილებოდნენ, როგორც პატრონს.

8. ფეოდალურ მსოფლიოში გაცვლა, საქონლის („სავაჭროთა“) ყიდვა-გაყიდვა და საკრედიტო ოპერაციები, ე. წ. მესამე წოდების ვაჭართა სოციალურ ფუნქციას შედგენდა. მაგრამ არის მეორე, ბევრად მნიშვნელოვანი, თუმცა თანამედროვეთაგან შეუცნობელი ფაქტორი. ეს ისაა, რომ ცენტრალისტური ფეოდალური მონარქიების განმტკიცება და განვითარება, რაც კაცობრიობის ისტორიული განვითარების თვალსაზრისით პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, შეუძლებელი იყო ვაჭრობის განვითარების გარეშე.

რუსთაველი კარგად სჭვრეტს ვაჭართა წოდების ფუნქციისა და მნიშვნელობის აუცილებელ საჭიროებას ფეოდალურ საზოგადოებაში. მისი ვაჭრები ვაჭრულ ვითკას სავსებით ნორმალურ მოვლენად სთვლიან და არც კი მიაჩნით საჭიროდ მისი მიჩუმათება, საჭიროებამ მოიტანა და თვით ავთანდილი, უმაღლესი არისტოკრატის წარმომადგენელი, სახელოვანი ჭაბუკი (რაინდი) ვაჭრულ ტანისამოსში ეწყობა. საერთოდ კი ვაჭართა წოდება, როგორც სხვადასხვა წოდებანი, ცხადია, ჩაცმულობითაც განსხვავდებოდნენ.

ფეოდალურ ეპოქაში, საზღვაო-სავაჭრო ქალაქები მოძრავი ქონების კონცენტრაციის მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდა, სადაც საზოგადოებრივ ცხოვრებას განაგებდა ვაჭართა კორპორაციები (გილდიები), რომელთაც თავიანთი უხუცესები ჰყავდათ.

დიდვაჭარნი მეფეებისა და დიდგვაროვან ფეოდალთა წრეში მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვეულებრივად არიან „ცქაფი, უწრფელი, მსწრომელი“. ამ გავლენის საფუძველი ისაა, რომ ომებისა და სხვ. გამო ფეოდალთა ხაზინა განიცდის ნაღდი ფულის სისტემატურ ნაკლებობას და რომ მათ ფუფუნებით ცხოვრებისათვის სჭირდებათ ძვირფასი უცხოური საქონელი და სხვა.

ვაჭრების წოდების საზოგადოებრივი ყოფიერება და მორალური სულ განსხვავებულია. მათი ქონებრივი და ოჯახური ცხოვრება ისევე არამყარია როგორც მოძრავი ქონება, საქონელთა მიმოქცევა და ფასები. ცოლქმრის ღალატი ჩვეულებრივი მოვლენაა, რამდენადაც ცოლიც შეიძლება ისევე ნაყიდი იყოს, როგორც ტანისამოსი და სხვა ძვირფასი სამკაული.

აქ ძღვნობა, ჩუქება და ბოძებაც საბოლოო ანგარიშით, გაცვლამდე, ყიდვა-გაყიდვამდე დაიყვანება, რადგან ყველაფერი - თანამდებობა, მარგალიტი, ოქრო, უმანკოება, ოჯახური სინწინდე - საქონელია და მიმოქცევაშია ჩართული. ფულის ფუნქციას არა მხოლოდ მონეტა, არამედ მეტ-ნაკლები ზომით ასრულებს მრავალგვარი ძვირფასი ნივთები: კეთილშობილი ლითონის ნაკეთობანი, პატიოსანი თვლები, შალი, აბრეშუმი და ტექსტილური ნაწარმოებნი და სხვა, რომელთა შორის ყველაზე დიდ მონონებაშია, რა თქმა უნდა, ოქრო. ის საყოველთაო ეკვივალენტის როლში გამოდის, და ამიტომ ყოველის შემძლეა: „ნახე, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა“.

რენესანსის ეპოქაში უკვე თავს იჩენს ე. წ. პირვანდელი დაგროვების სხვადასხვა მომენტები, გამდიდრების უსაზღვრო წყურვილი, დაგროვების დაუოკებელი ალტკინება, კერძოდ მოძრავი ქონების ყველაზე უფრო მობილური ფორმის, ფულის კონცენტრაციის გაუმადლარი წადილი:

„ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა,
დღედ სიკვდილამდის სიხარბე შეაქმნევს კბილთა ღრჭენასა;
შესდის და გასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა,
კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუმლის აღმაფრენასა“.

ამ წრეში უგულო ცოლქმრული სიყვარული ასახულია „მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი“ ფატმან-ხათუნის ყოფაქცევებაში, მაგრამ ფატმანი მაინც არაა ავზნიანი და მავნებელი ტიპი. მან კეთილშობილური დახმარება აღმოუჩინა გაჭირვებაში ჩავარდნილ ნესტან-დარეჯანს, ხოლო ავთანდილთან გატარებული ღამე უკანასკნელისათვის ისეთივე მოვლენაა, როგორც გამოჯანმრთელების მიზნით ავადმყოფი ეპისკოპოსის მიერ დიდმარხვაში ხორცის ჭამა. ყოველ შემთხვევაში „მას ღამეს ფატმან იამა ავთანდილთანა წოლითა“, თორემ თვით ავთანდილს „ჰკლავს თინათინის გონება, ძრწის იღუმლითა ძრწოლითა...“

დიდი სავაჭრო ქვეყნები და ქალაქები ჩვეულებრივ მსოფლიოს მაგისტრალურ გზებზეა ზღვების ნაპირას, დიდ მდინარეებზე, კუნძულებზე.

ვაჭართა წოდებაც იერარქიული შედგენილობისაა. სათავეში არიან დიდვაჭრნი, რომლებიც საქონელს ბითუმად, მსხვილ პარტიებად ყიდიან და ყიდულობენ, ისინი ეწევიან საქარავნო და საზღვაო ვაჭრობას, რაც სხვადასხვა ქვეყანას შორის ეკონომიკური და კულტურული, აგრეთვე, ხშირად დიპლომატიური კავშირის სახით ხორციელდება, წვრილ ვაჭრები უპირატესად სურსათ-სანოვაგით და ადგილობრივი საქონლით ვაჭრობენ.

ვაჭრების ცენტრია ქარვასლა და ბაზარი. სავაჭრო სამეფოში დიდვაჭართა გავლენა იმდენად დიდია, რომ ისინი ზოგჯერ სახელმწიფოებრივ, დინასტიურ საქმეებში ერევიან. გულანშაროს მეფე მელიქ-სურხაკთან ვაჭართა უხუცესი უსენი ახლომეგობრულ ურთიერთობაში; იგი მეფესთან ქეიფობს, თვრება. შოთა რუსთაველის როგორც პატრონ-ყმურ, აგრეთვე ვაჭრულ საზოგადოებაში ქალები დიდ როლს ასრულებენ, - თვით ბრძენი მეფეებისა და ვაჭართუხუცესის ფუნქციების ჩათვლით.

ვაჭართა წოდება, ვაჭართა ქვეყანა, მოვაჭრე ქალაქი, თავის ჩარჩულ-ვაჭრულ მანკიერებათა მიუხედავად, საჭირო და სასარგებლო ფუნქციებს ასრულებს. მაგრამ, ამ პროგრესულ მოვლენათა შემფერხებელია მეკობრეობა, მეკობრეთა ხელში დარჩენილი ციხე-სიმაგრეები, ქალაქები და სამხედრო ძალა, კარგად შეიარაღებული მეკობრეები, რომელთა სათავეში ხშირად ძლიერი სენიორები იდგნენ, ზღვასა თუ ხმელეთზე ძარცვავენენ ვაჭართა ქარავენებს და ამით ზიანს აყენებენ მეფის ხაზინასაც.

ზოგჯერ დიდ საზღვაო თუ სახმელეთო მაგისტრალზე ე.წ. მეკობრული სამეფოებიც იყვნენ, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ მოვაჭრე ქალაქებსა და ვაჭართა ქარავენებს. ქაჯეთის მეფის მონა აცხადებს: „დღისით, მზისით ვმეკობრეობდით, ღამეთაც ვიყვნით თევით, დია ვლენეთ ქარავანი, ლარი ჩვენკე გარდმოვედით“. ამიტომ, რასაკვირველია, ფატმანის, საერთოდ ვაჭართა წოდებისა და თვით ფეოდალური მონარქიის ინტერესთა თვალსაზრისით, ქაჯები „ყოველთა კაცთა მაუნენი“ არიან. ამიტომ მათი განადგურება ბოროტების მოსპობისა და სიკეთის გამარჯვების მომასწავებელია.

9. „ვეფხისტყაოსანში“, გასაგები მიზეზებისა გამო, დეტალურად არაა ასახული ფეოდალური საზოგადოების უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასების - ხელოსანთა და გლეხთა ყოფიერება. ი. პეტრინი წერს, რომ „დასაბამი ყოველი თან მოაქვს დასაბამიერთა, ვითარცა ხუროი ნახუროებთა და ბუნებაი ნახუნებებთა“, ე.ი როგორც ყოველგვარი დასაწყისის მქონე მოვლენა გულისმობს მისი გაჩენის მომენტს, სწორედ ასევე სახლი (ნახუროები) გულისმობს თავის ამშენებელს (ხუროს). ამ საწყილებიდან თუ განვიხილავთ, „ვეფხისტყაოსანში“ არც თუ ისე მცირე ცნობები მოიპოვება მატერიალური წარმოების საკითხებზე, რასაც ჩვენ სხვა დროს სპეციალურად შევხებით.

„ვეფხისტყაოსანში“ თაობათა ბრძოლა ასახული ქალ-ვაჟის თანასწორუფლებიანი თავისუფალი სიყვარულის ასპექტით. რუსთაველის საზოგადოებაში საერთოდ და განსაკუთრებით სენიორთა წრეში, ქორწინება წოდებრივი, ქონებრივი და პოლიტიკური ანგარიშიანობის საქმე იყო, როდესაც საკითხს, როგორც წესი, მშობლები სწყვეტდნენ, ისე რომ ქალ-ვაჟს ხშირად მსჯელობის პროცესშიაც კი არ გარეგდნენ ხოლმე.

რუსთაველმა კი ქალ-ვაჟის თავისუფალი სიყვარული ყოველგვარი სხვა სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორზე მაღლა დააყენა. სამეფო ტახტის პრეტენდენტს ტარიელსა და მაფის ასულს ნესტანს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ მშობლებიც არც კი იმჩნევენ, რომ ამჩნევენ ამ სიყვარულს. ფარსადანს გადანყ-

ვეტილი აქვს მისი ასული მიათხოვოს ხვარაზმშაჰის, ძლიერ მეზობელი მბრძანებლის ვაჟს, და ეს უკანასკნელი ჩაისიძოს. ეს მეფის თვალსაზრისით, მომგებიანი დინასტიური და პოლიტიკური გარიგებაა, თუმცა ამ გარიგებით უნდა გაითელოს ნესტანისა და ტარიელის უმანკო სიყვარული. კონფლიქტი აუცილებელია. მშობლების მიერ გადაწყვეტილ ტრადიციულ ქორწინებას წინააღმდეგენ რენესანსის პერიოდის ჰუმანისტურ იდეებზე აღზრდილი ახალგაზრდები, მათ ნამდვილი შეთქმულება მოაწყვეს.

მაგრამ, თანასწორთა თავისუფალი სიყვარულის იდეა უძლეურია სახელმწიფოებრივ ძალთა და მოსაზრებათა წინაშე. ცხადია, წინაპლანზე საზოგადოებრივად აღიარებული მოტივი უნდა გამოვიდეს. ნესტანი და ტარიელი თათბირობდნენ. ტარიელი, იმ მიზნით რომ ნესტანი შეინარჩუნოს, უკანასკნელისავე რჩევით, თავის კანონიერ დინასტიურ პრეტენზიას აცხადებს თვით ინდოეთზე.

კატასტროფა გარდაუვალია.. მშობლებმა შვილი განირა, ნესტანი გადაკარგეს და მის საძებნად გაჭრილი ტარიელი, რომელსაც სამეფო ტახტი ახლა უკვე აღარ ახსოვს, გადაიკარგა...

თაობათა შორის კონფლიქტი და მას მოყოლილი ტრაგიკული შედეგები უძლეურია ჩაახშოს მშობლიური გრძნობა. ნესტანი ქაჯეთის ციხიდან ტარიელს სწერს: მე მაინც ვეღარ დამიხსნი და ჩემთვის რომ დაილუპო, იმას სჯობია წახვიდე და გაჭირვებაში ჩავარდნილ ჩემს მშობლებს მიეშველო.

საქმე ისაა, რომ ფარსადანის შემდეგ ინდოეთის მეფე თუ არა დარეჯანი, მემკვიდრეობით უნდა ყოფილიყო ტარიელი, რომელსაც ახლა ფარსადანის უსულგულო და უკანონო გადაწყვეტილებით, სატროფოც ეკარგებოდა და სამეფო ტახტიც. ასეთ სიტუაციაში ტარიელი გადაჭრით აცხადებს, რომ ინდოეთი მისია და არც არავის დაანებებს: „ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა აღმოვფხვრიდე, სხვას მეშველა გარეგანსა, მომკალ ვისცა ვინატრიდეკვ.“

აქ აღსანიშნავია ის მომენტიც, რომ ინდოეთის ტახტისთვის მებრძოლ ტარიელს ფიქრადაც არა აქვს ამისთვის უცხოურ ძალთა მოშველიება, ის მხოლოდ თავის კანონიერ უფლებას და შინაგან ეროვნულ ძალებს ეყრდნობა.

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

ლაფერ-კეინზიანურ სინთეზზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელები

იური ანანიაშვილი

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის პროფესორი
iuri_ananiashvili@yahoo.com
iuri.ananiashvili@tsu.ge*

სტატიაში ნაჩვენებია, რომ გარკვეული დაშვებების პირობებში შრომის ბაზრის კლასიკური მოდელიდან მიიღება ლაფერის სანარმოო მრუდი. შემოთავაზებულია ამ მრუდის ორიგინალური ინტერპრეტაცია. განხილულია ლაფერ-კეინზიანურ სინთეზზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური წონასწორობის სამი მოდელი. ერთ მათგანში (LKS მოდელში) ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ამსხნელ ცვლადებად ჩართულია ფასების დონე და საშუალო საგადასახადო განაკვეთი. ასეთი მიდგომა ერთი ზოგადი მოდელის ფარგლებში ორი კერძო ვარიანტის – LKST-სა და LKSP-ის გაანალიზების საშუალებას იძლევა. LKST მოდელში ენდოგენური ცვლადებია მთლიანი გამოშვება და საშუალო საგადასახადო განაკვეთი, LKSP-ში კი – მთლიანი გამოშვება და ფასების დონე.

საკვანძო სიტყვები: ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია; ერთობლივი მიწოდების ფუნქცია; ლაფერ-კეინზიანური სინთეზი; საშუალო საგადასახადო განაკვეთი; ფასების დონე; LKS მოდელი.

ეკონომიკური კანონზომიერებების გამოსავლენად და ეკონომიკაში გასატარებელი ღონისძიებების შესამუშავებლად თანამედროვე ეტაპზე მრავალი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი გამოიყენება. მათში, როგორც წესი, ასახვას პოულობს სხვადასხვა ასპექტი, იმის მიხედვით, თუ რა მიზნითა და რა დონის ობიექტების შესასწავლადაა ისინი შექმნილი. ქვემოთ გაანალიზებულ ეკონომიკური წონასწორობის მოდელებში, ფასების დონესთან

ერთად, განსაკუთრებული ყურადღება საგადასახადო ტვირთსა და იმ როლს ექცევა, რომელსაც ის მაკროეკონომიკური წონასწორობის ფორმირების პროცესში ასრულებს.

მაკროეკონომიკური წონასწორობის ცნება უშუალოდ ერთობლივ მოთხოვნას და ერთობლივ მიწოდებას უკავშირდება. ეს ცნებები ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევას ორი სხვადასხვა მხრიდან განიხილავს. კერძოდ, ერთობლივი მოთხოვნა გამოსახავს დანახარჯების ერთობლიობას, რომელიც გარკვეულ პერიოდში, მაგალითად, წლის განმავლობაში, გასწიეს შინამეურნეობებმა, ფირმებმა, სახელმწიფომ და სხვა ქვეყნების ეკონომიკურმა სუბიექტებმა ქვეყნის შიგნით წარმოებული საბოლოო პროდუქტისა და მომსახურების შესაძენად. ერთობლივი მიწოდება კი ახასიათებს მწარმოებელთა ქცევას და მოცემულ პერიოდში მათ მიერ ქვეყნის შიგნით წარმოებული საბოლოო პროდუქტებისა და მომსახურების ერთობლიობას. როცა დაგეგმილი ერთობლივი დანახარჯები ემთხვევა ერთობლივი მიწოდების სიდიდეს, ადგილი აქვს მაკროეკონომიკურ წონასწორობას. წონასწორობის ამ ორი მდგენელის ფორმირების პროცესში მრავალი დეტერმინანტი მონაწილეობს. ისინი პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: კერძო დეტერმინანტები, რომლებიც განსაზღვრავენ მხოლოდ ერთობლივი მოთხოვნის ან მხოლოდ ერთობლივი მიწოდების სიდიდეს და საერთო (ზოგადი) დეტერმინანტები, რომლებზეც დამოკიდებულია წონასწორობის, როგორც ერთი, ასევე მეორე მდგენელი. ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების საერთო დეტერმინანტებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ფასების დონე და საშუალო საგადასახადო განაკვეთი (ამოღებული მთლიანი გადასახადების წილი მთლიან შიგა პროდუქტში). მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელში ტრადიციულად განსაკუთრებული ყურადღება ფასების დონეს ექცევა [1], რის გამოც ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება, სხვა თანაბარ პირობებში, ფასების დონეზე დამოკიდებულ ფუნქციებად განიხილება. მაგრამ, წონასწორობის ფორმირების პროცესში, არანაკლებ როლს საშუალო საგადასახადო განაკვეთი ასრულებს. წარმოდგენილ სტატიაში ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება ლაფერ-კეინზიანური სინთეზის შემთხვევაში აღნიშნული ორი დეტერმინანტის ჩართვა წონასწორობის მოდელში.

შრომის ბაზარი და ერთობლივი მიწოდება

ვიდრე უშუალოდ ლაფერ-კეინზიანური სინთეზის მოდელების დახასიათებაზე გადავალთ, განვიხილოთ, როგორ შეიძლება მივიღოთ ლაფერის

სანარმოო მრუდი, რომელსაც შემდგომში დავეყრდნობით. ვინაიდან ეს მრუდი ერთობლივ მიწოდებას გამოსახავს, მიზანშეწონილია დავაკავშიროთ ის შრომის ბაზართან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ უკანასკნელზე არსებული მდგომარეობა არსებითად განსაზღვრავს ერთობლივი მიწოდების სიდიდეს. ეკონომიკურ თეორიაში შრომის ბაზრის რამდენიმე მოდელი განიხილება [2]. მათგან, შეიძლება ითქვას, ყველაზე გავრცელებულია მოდელი, რომლის მიხედვითაც შრომაზე მოთხოვნა და შრომის მიწოდება რეალურ ხელფასზე დამოკიდებული ფუნქციებია. ნახ. 1ა-ზე შრომის ბაზრის სწორედ ასეთი მოდელია წარმოდგენილი გადასახადებთან დაკავშირებული ნიუანსების გათვალისწინებით. ეს ნიუანსები ასახულია გრაფიკის ვერტიკალურ ღერძზე აღებულ რეალური ხელფასის მაჩვენებელში, w -ში, რომელსაც მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში შემდეგი სახით განვსაზღვრავთ:

$$w = (1 - \theta t)W/P, \quad (1)$$


სადაც W არის ნომინალური ხელფასის განაკვეთი; θ – დადებითი პარამეტრი, რომელსაც საშუალო საგადასახადო განაკვეთი t საშუალო სახელფასო გადასახადებთან შესაბამისობაში მოჰყავს¹. კერძო შემთხვევაში შეიძლება დავუშვათ, რომ $\theta = 1$ -ს. სწორედ ასეთ დაშვებას დავეყრდნობით შემდეგში. გარდა ამისა, $\tilde{w} = W/P$ შეფარდებას ვუნოდებთ რეალურ ხელფასს, როგორც ეს სტანდარტულად მიღებულია ეკონომიკურ ლიტერატურაში, ხოლო (1)-ით განსაზღვრულ w -ს – დაზუსტებულ რეალურ ხელფასს. მაშასადამე, (1) გვიჩვენებს, რომ დაზუსტებული რეალური ხელფასის ფორმირებისას, ნომინალურ ხელფასსა და ფასების დონესთან ერთად, დაბეგვრის ნორმატივიც უნდა გავითვალისწინოთ.

ნახ. 1ა-ზე, გავრცელებული აღნიშვნების თანახმად, L^D არის w -ზე დამოკიდებული შრომაზე მოთხოვნის, L^S კი – შრომის მიწოდების მრუდი. მათი გადაკვეთის წერტილს – შრომის ბაზრის წონასწორობის მდგომარეობას – შეესაბამება სრული დასაქმება L_0 და დაზუსტებული რეალური ხელფასი $w_0 = [(1 - t)W/P]_0$. სრული დასაქმების პირობებში მიღებულ გამოშვების

¹ შეგახსენებთ, რომ t მთლიანი ამოღებული გადასახადების მთლიან შიგა პროდუქტთან შეფარდებით განისაზღვრება და ის შეიძლება არ ემთხვეოდეს ხელფასის დაბეგვრის საშუალო განაკვეთს.

მოცულობას Y_{pot} -ით აღვნიშნავთ და შემდეგში გამოშვების პოტენციურ დონეს ვუწოდებთ.

ფიქსირებული L^D და L^S მრუდების პირობებში, რეალური ხელფასის ნებისმიერი სხვა, w_0 -სგან განსხვავებული, მნიშვნელობისთვის შრომაზე მოთხოვნა და შრომის მიწოდება ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება. კერძოდ, w_0 -ზე მაღალი ხელფასის შემთხვევაში შრომის მიწოდება გადაამეტებს მოთხოვნას, ხოლო w_0 -ზე დაბალი ხელფასის შემთხვევაში, პირიქით – მოთხოვნა გადაამეტებს შრომის მიწოდებას. სხვანაირად, ეს ნიშნავს, რომ w_0 -ზე მაღალი ხელფასის შემთხვევაში ეკონომიკაში რესურსები ჭარბად არსებობს, მაგრამ ფირმებს მათი გამოყენება არ სურთ და არ შეუძლიათ შრომის სიძვირის გამო. საპირისპირო მდგომარეობაა w_0 -ზე დაბალი ხელფასის დროს: შრომის სიღატაკის გამო სამუშაოს მსურველთა ნაკლებობაა და ფირმები, სურვილის მიუხედავად, ვერ ახერხებენ მათთვის საჭირო რაოდენობის სამუშაო ძალის დაქირავებას. ორივე შემთხვევაში, ფირმებისა და შინამეურნეობების ქცევის საფუძველია რაციონალიზმი, რომლის თანახმადაც ფირმები, როგორც დაქირავებულები, ესწრაფვიან მოგების მაქსიმიზაციას, შინამეურნეობები კი შრომის მიწოდებისას ცდილობენ მაქსიმალური სარგებლის მიღებას.



ნახ. 1. შრომის ბაზრის მოდელი და სამუშაო ძალის დასაქმების მრუდი

თეორიულ დონეზე სრულიად მისაღებია დავუშვათ, რომ w -ს მნიშვნელობათა არეს წარმოადგენს $[0, w_U)$, სადაც w_U არის დაზუსტებული რეალური ხელფასის რაიმე ზედა ზღვრული მნიშვნელობა. ასეთად შეიძლება

ჩავთვალოთ w -ს ის უკიდურესი მნიშვნელობა, რომლისთვისაც ფირმები სამუშაო ძალის დაქირავებაზე საერთოდ უარს იტყვიან და შეწყვეტენ ფუნქციონირებას. ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ დაზუსტებული რეალური ხელფასის w_U -დან w_0 -მდე შემცირება ხელს შეუწყობს დასაქმების 0 -დან L_0 -მდე ზრდას. შესაბამისად, ამ პროცესში გამოშვების მოცულობა 0 -დან Y_{pot} -მდე გაიზრდება. დასაქმების დონისა და მისი შესაბამისი გამოშვების მოცულობის ანალოგიურ ზრდას მივიღებთ ასევე იმ შემთხვევაში, თუ დაზუსტებული რეალური ხელფასი 0 -დან w_0 -მდე გაიზრდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოცემული და ფიქსირებული L^D და L^S მრუდების პირობებში, დაზუსტებული რეალური ხელფასის 0 -დან w_U -მდე ცვლილებას დასაქმებულთა რაოდენობის ნახ.1ბ-ზე წარმოდგენილი დინამიკა შეესაბამება. როგორც ვხედავთ, $[0, w_0)$ შუალედში w -ს ზრდა დასაქმების ზრდას განაპირობებს; $w = w_0$ მნიშვნელობაზე დასაქმებულთა რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს, ხოლო დარჩენილ (w_0, w_U) შუალედში w -ს ზრდას დასაქმებულთა რაოდენობის ნულამდე შემცირება მოსდევს. ნახ. 1ბ-ზე მოყვანილ მრუდს შეიძლება ვუნოდოთ დასაქმების მრუდი. აღსანიშნავია, რომ ამ მრუდზე L -ის ზრდადობის $[0, w_0)$ შუალედი შეესაბამება დაბალი რეალური ხელფასების გამო გაჩენილ შრომაზე ჭარბი მოთხოვნის (შრომის არასაკმარისი მიწოდების) სიტუაციას, ხოლო L -ის კლებადობის $[w_0, w_U]$ შუალედი – მაღალი რეალური ხელფასებით წარმოქმნილ შრომის ჭარბი მიწოდების (შრომის არასაკმარისი მოთხოვნის) სიტუაციას.

ნახ.1ბ-ზე გამოსახული დასაქმების მრუდის ტრაექტორია შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა სტრუქტურის მქონე დაზუსტებული რეალური ხელფასის დინამიკის შედეგად. შესაძლებელია სამი ვარიანტი:


- w -ს სტრუქტურაში მოცემული და დაფიქსირებულია რეალური ხელფასის, \tilde{w} -ს, მნიშვნელობა; w -ს ცვლილებას განსაზღვრავს საშუალო საგადასახადო განაკვეთის – t -ს, ცვლილება.
- w -ს სტრუქტურაში მოცემული და დაფიქსირებულია საშუალო საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა, იცვლება მხოლოდ რეალური ხელფასი \tilde{w} .
- w -ს სტრუქტურაში ერთდროულად იცვლება როგორც t , ასევე \tilde{w} .

ჩამოთვლილთაგან, სამივე ვარიანტი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ შემდგომი ანალიზისთვის ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანს პირველი ორი წარმოადგენს, ამიტომ დანვრილებით განვიხილოთ ისინი.

ფიქსირებული W/P -სა და ცვალებადი t -ს შემთხვევა. დავებრუნდეთ (1) გამოსახულებას და დავუშვათ, რომ მასში შემავალი \tilde{w} (ან რაც იგივეა W/P) მოცემული და მუდმივი სიდიდეა. სიმარტივისთვის დავუშვათ, რომ $\tilde{w} = w_U$. მაშინ (1) შემდეგ სახეს მიიღებს:

$$w = (1-t)w_U. \quad (2)$$

როგორც ვხედავთ, ფიქსირებული რეალური ხელფასის შემთხვევაში t -სა და w -ს ცვლილების მიმართულებები განსხვავებულია: t -ს ზრდას შეესაბამება w -ს კლება და პირიქით, t -ს კლება განაპირობებს w -ს ზრდას. ეს ნიშნავს, რომ სხვა თანაბარ პირობებში დასაქმებულთა რაოდენობაზე t -ს ცვლილების გავლენა w -ს ცვლილების გავლენის საპირისპირო იქნება და w_0L საკოორდინატო სიბრტყიდან t_0L საკოორდინატო სიბრტყეზე გადასვლისას L -ის ზრდადობის შუალედი გადაიქცევა კლებადობის შუალედად, კლებადობის შუალედი – ზრდადობის შუალედად. ეს ილუსტრირებულია ნახ. 2ა-ზე, რომელზეც ასახულია დამოკიდებულება საგადასახადო განაკვეთსა და დასაქმებულთა რაოდენობას შორის.



ნახ.2. დასაქმებულთა რაოდენობისა და გამოშვების მოცულობის დამოკიდებულება საშუალო საგადასახადო განაკვეთზე

ნახ. 2ა გვიჩვენებს, რომ t -ს ზრდის კვალობაზე დასაქმებულთა რაოდენობა ჯერ იზრდება, მაქსიმუმს – L_0 -ს აღწევს t^* -ზე და შემდეგ კლებულობს. ნახ.1ბ-ზე განხილული სიტუაციისგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში L -

ის ზრდადობის შუალედში შრომაზე მოთხოვნა აღემატება შრომის მიწოდებას, კლებადობის შუალედში კი პირიქით, შრომის მიწოდება აღემატება მოთხოვნას. t -სა და L -ის ნახ. 2ა-ზე მოცემული დამოკიდებულების საფუძველია აპრიორული დაშვება იმის შესახებ, რომ ნულოვანი დაბეგვრის პირობებში, ფირმებს არ შეუძლიათ სამუშაო ძალის დაქირავება ძალიან მაღალი რეალური ხელფასის გამო. $[0, t^*)$ შუალედში საგადასახადო განაკვეთის თანდათანობითი ზრდა ამცირებს სამუშაო ძალის რეალურ ფასს და ხელს უწყობს დასაქმების ზრდას. საგადასახადო განაკვეთის t^* მნიშვნელობისას, რომელიც (2)-ის შემთხვევაში $t^* = 1 - w_0/w_U$ სახით განისაზღვრება, შრომის ბაზარზე მყარდება წონასწორობა – ფირმები ქირაობენ ზუსტად იმდენს, რამდენსაც სურს მუშაობა t^* -ით დაზუსტებული რეალური ხელფასის პირობებში. t -ს შემდგომი ზრდა სიტუაციას სანინალმდეგო მიმართულებით ცვლის: სამუშაო ძალის რეალური ფასის კლებასთან ერთად სულ უფრო ნაკლები და ნაკლები რაოდენობის სამუშაოს მსურველი რჩება ბაზარზე და $t = 1$ -ისთვის, რაც w -ს განულებას გულისხმობს, მათი რაოდენობა ნულს უტოლდება.

შრომის ბაზრის ფუნქციონირების აქ განხილული კანონზომიერება, ასევე ის ფაქტი, რომ სანარმოო ფუნქციის საფუძველზე დასაქმებულთა ყოველი კონკრეტული რაოდენობისათვის შეიძლება განვსაზღვროთ მთლიანი გამოშვების მოცულობა, რომელიც სხვა თანაბარ პირობებში დადებითადაა დამოკიდებული გამოყენებული შრომის რაოდენობაზე, საშუალებას იძლევა ავადგოთ ნახ. 2ბ-ზე მოყვანილი მრუდი. თავისი არსით ეს ლაფერის სანარმოო მრუდია. მისი აღმავალი ნაწილი საგადასახადო განაკვეთზე გამოშვების მოცულობის დამოკიდებულებას ასახავს სიტუაციისთვის, როდესაც მაღალი რეალური ხელფასის გამო, შრომის ბაზარზე მიწოდება აღემატება მოთხოვნას და სამუშაო ძალის რეალური ფასის მარეგულირებლის როლში გვევლინება საშუალო საგადასახადო განაკვეთი. გარკვეულ ნიშნულამდე ამ უკანასკნელის ზრდა ამცირებს სამუშაო ძალის ფასს და პარალელურად ხელს უწყობს დასაქმებისა და გამოშვების მოცულობის ზრდას. სრულიად საპირისპიროა ლაფერის სანარმოო მრუდის დაღმავალი ნაწილით მოდელირებული სიტუაცია. ის შეესაბამება დეფიციტის მდგომარეობაში მყოფ შრომის ბაზარს. კერძოდ, მრუდის დაღმავალი ნაწილი გვიჩვენებს, რომ $(t^*, 1]$ შუალედში საგადასახადო განაკვეთის ნებისმიერი ზრდა ამწვავებს შრომის დეფიციტს, რადგანაც ამცირებს დეფიციტის გამომწვევ ისედაც დაბალ რეალურ ხელფასს და, დასაქმებასთან ერთად, ამცირებს მთლიანი გამოშვების მოცულობას.


ცვალებადი W/P -სა და ფიქსირებული t -ს შემთხვევა. შრომის ბაზრისთვის ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით მოკლევადიანი პერიოდისთვის არის დამახასიათებელი. საქმე ისაა, რომ რეალური ხელფასის W/P ფორმულაში შემავალი W მოკლევადიან პერიოდში გარკვეული სიხისტით გამოიწვევა, ამიტომ რეალური ხელფასის ცვლილებას ძირითადად ფასების დონის ცვლილება განაპირობებს. შემდეგში ჩვენ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ და განვიხილავთ სიტუაციას, როდესაც მოცემული და ფიქსირებული t -სთვის w -ს დინამიკას 0-დან w_U -მდე განსაზღვრავს P -ს ცვლილება.

დავუბრუნდეთ (1) ფორმულას $w = (1-t)W/P$, რომელშიც $\theta = 1$ -ს და გავანალიზოთ ის შემდეგი დაშვებების გათვალისწინებით: $t = const \neq 0$, $W = const \neq 0$. ვინაიდან w და P ურთიერთსაჩინააღმდეგო მიმართულებით ცვალებადი სიდიდეებია, ადვილად შევნიშნავთ, რომ მოცემული t -სა და W -სთვის ნახ. 1ბ-ზე მოყვანილი დასაქმების მრუდის ტრანექტორიის მისაღებად P თანდათანობით უნდა შემცირდეს P_2 -დან P_1 -მდე, სადაც $P_1 = W/w_U$, ხოლო P_2 იმდენად დიდი რიცხვია, რომ შეუარღება W/P_2 ნულთან მიახლოებული სიდიდეა; უფრო ზუსტად, $P_2 = +\infty$. ასეთნაირად განსაზღვრული P_2 შეესაბამება სიტუაციას, როცა შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მხრიდან მიწოდება ნულს უტოლდება, P_1 კი – სიტუაციას, როცა რეალური ხელფასი იმდენად მაღალია, რომ ფირმების მხრიდან შრომაზე მოთხოვნა ნულის ტოლია. ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო ფასების დონის შემცირება P_2 -დან P_1 -მდე განაპირობებს დასაქმების ზრდას (P_2, P^*) შუალედში და კლებას – (P^*, P_1) შუალედში, სადაც P^* შრომის ბაზრის წონასწორობის მდგომარეობის შესაბამისი ფასების დონეა. ეს უკანასკნელი, განხილული მოცემულობების პირობებში, მაქსიმალურ, ანუ სრულ დასაქმებას უზრუნველყოფს და შემდეგი სახით განისაზღვრება:

$$P^* = (1-t)W/w_0 . \quad (3)$$

ფასების დონესა და დაზუსტებულ რეალურ ხელფასს შორის აქ აღწერილი დამოკიდებულება საშუალებას გვაძლევს ნახ.1ბ-ზე მოცემული დასაქმების მრუდი w_oL საკოორდინატო სიბრტყიდან P_oL სიბრტყეზე გადავსახოთ (იხ. ნახ. 3ა). ასეთი გადასახვით მიღებული მრუდი გვიჩვენებს, რომ დასაქმებულთა რაოდენობაზე ფასების დონე დაახლოებით ისეთივე ფორმით შე-

მოქმედებს, როგორც საგადასახადო განაკვეთი. შრომის ჭარბი მიწოდების შემთხვევაში ორივეს, როგორც t -ს, ასევე P -ს, ზრდა დასაქმებაზე დადებითად აისახება, შრომის ჭარბი მოთხოვნის შემთხვევაში კი – უარყოფითად. L -ისა და P -ს ურთიერთკავშირის ეს ფორმა შესაბამის გამოვლენას პოულობს მთლიანი გამოშვების მრუდში, რომელიც ნახ. 3-ზეა წარმოდგენილი. თავისი არსით ეს ერთობლივი მიწოდების ტრადიციული მრუდის ვარიანტია, თუმცა, მისგან ორი მნიშვნელოვანი ელემენტით განსხვავდება. პირველი, მრუდს გააჩნია მაქსიმუმის წერტილი; მეორე, მრუდის თანახმად, გარკვეულ შუალედში ფასების ღონის ზრდა ერთობლივი მიწოდების შემცირებას იწვევს (შეგახსენებთ, ეს ის შუალედია, რომელიც შრომის ბაზრის დეფიციტურ მდგომარეობას შეესაბამება). ერთობლივი მიწოდების ტრადიციული მრუდებს არცერთი აქ აღნიშნული თვისება არ გააჩნია.



ნახ. 3. დასაქმებულთა რაოდენობისა და მთლიანი გამოშვების მოცულობის დამოკიდებულება ფასების ღონეზე

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ნახ. 3-ზე მოყვანილ მრუდებს უკავშირდება. როგორც ვხედავთ, ორივე მათგანის მაქსიმუმის მნიშვნელობას ფასების ერთი და იმავე ღონე – P^* , შეესაბამება. უნდა ითქვას, რომ P^* -ს ეს მნიშვნელობა ერთადერთი არ არის. სხვა თანაბარ პირობებში, ის დამოკიდებულია არსებულ (ჩვენს შემთხვევაში დაფიქსირებულ) საშუალო საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობასა და ნომინალური ხელფასის სიდიდეზე. ნებისმიერი მათგანის ცვლილებას მოსდევს P^* -ის ცვლილება. კერძოდ, ზემოთ მოყვანილი (3) ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ სხვა თანაბარ პირობებში t -ს გაზრდილ მნიშვნელობას შემცირებული P^* შეესაბამება და პირიქით, შემცირებულს – გაზრდილი მნიშვნელობა. ასეთი ცვლილებების დროს L_0 -ისა Y_{pot} -ის მნიშვნელობები უცვლელი რჩე-

ბა, მაგრამ მათი განმსაზღვრელი მრუდების აღმავალი ნაწილები მარჯვნივ გადმოადგილდება.

მოკლე რეზიუმე, რომელიც ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან გამომდინარეობს, შემდეგია: შრომის ბაზრის კლასიკურ მოდელებზე დაყრდნობით შეიძლება დავასაბუთოთ ერთობლივი მიწოდების მრუდის ორი ვარიანტის არსებობა. ერთ მათგანში გამოშვების მოცულობა დამოკიდებულია საშუალო საგადასახადო განაკვეთზე, მეორეში – ფასების დონეზე. ორივე მრუდს გააჩნია ზრდადობისა და კლებადობის შუალედები. ამ შედეგს ეყრდნობა ქვემოთ განხილული წონასწორობის მოდელები.

ლაფერ-კეინზიანური სინთეზის ზოგადი მოდელი (LKS მოდელი)

მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელში ლაფერ-კეინზიანური სინთეზი გულისხმობს ერთობლივი მოთხოვნის გამოსახვას კეინზიანური მოდელის საშუალებით, ერთობლივი მიწოდების მოდელის აგებისათვის კი არტურ ლაფერის კონცეფციის განზოგადებული ვარიანტის გამოყენებას, რომლის მიხედვითაც საშუალო საგადასახადო განაკვეთი ერთობლივი გამოშვების მოცულობაზე დაახლოებით ისეთივე ფორმით ზემოქმედებს, როგორც ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სიდიდეზე. ასეთი მოდელის ვარიანტი შემოთავაზებულია [3,4]-ში, სადაც ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ფუნქციებში არგუმენტად და, შესაბამისად, ენდოგენურ ცვლადად, საშუალო საგადასახადო განაკვეთი განიხილება. მოდელის შემოთავაზებულ ვარიანტში ფასების დონე, სხვა მრავალ მახასიათებელთან ერთად, ეგზოგენურ ცვლადს წარმოადგენს. მოდელს შემდეგი სახე აქვს:

$$Y^S = Y_{pot} t^\delta (\ln t^{e^\delta}), \quad (4)$$

$$Y^D = \frac{A(P)}{1 - (1-t)b - tg + \xi}, \quad (5)$$

$$Y^S = Y^D = Y \quad (6)$$

მოყვანილ სისტემაში (4) ერთობლივი მიწოდების ფუნქციაა. მის კონსტრუქციას საფუძვლად უდევს ორი დაშვება: ერთის მიხედვით, ერთობლივი მიწოდების სიდიდე განისაზღვრება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური რესურსებითა და ტექნოლოგიით, რაც თავის ასახვას პოულობს პოტენციური

გამოშვების მოცულობაში – Y_{pot} -ში. ამ უკანასკნელში იგულისხმება არსებული ტექნოლოგიის პირობებში ეკონომიკური რესურსების სრული გამოყენებისას მისაღები გამოშვების მოცულობა. მეორე დაშვება გულისხმობს, რომ რესურსების ფაქტობრივი გამოყენების დონე და ერთობლივი მიწოდების სიდიდე დამოკიდებულია არსებულ ინსტიტუციონალურ გარემოზე, რომლის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია დაბეგვრის სისტემა შესაბამისი საშუალო საგადასახადო t განაკვეთით, რომელიც, განმარტებიდან გამომდინარე, აკმაყოფილებს პირობას: $0 \leq t \leq 1$. ამასთან, ამ შუალედში არსებობს საშუალო საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა t^* , რომელიც არსებული ეკონომიკური რესურსების სრულად გამოყენებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას განაპირობებს. სხვანაირად, t^* მნიშვნელობაზე ერთობლივი მიწოდება თავის მაქსიმუმს აღწევს და ფაქტობრივი გამოშვება პოტენციურს ემთხვევა. t^* -ს მარჯვნივ მდებარე $[0, t^*]$ შუალედში გადასახადების ზრდით წარმოქმნილი დადებითი ეფექტების (გარემოს შექმნის ეფექტისა და შემოსავლის ეფექტის) ჯამი აღემატება უარყოფითი ეფექტების (ჩანაცვლების ეფექტისა და ფინანსური ეფექტების) ჯამს [5], ამიტომ მოცემულ შუალედში საგადასახადო განაკვეთის ზრდა აუმჯობესებს ინსტიტუციონალურ გარემოს, ასტიმულირებს ეკონომიკურ აქტიურობას და ხელს უწყობს წარმოებაში რესურსების სულ უფრო მეტ ჩართულობას და გამოყენებას. სრულიად საპირისპირო სიტუაცას შეესაბამება t^* -ს მარჯვნივ მდებარე $(t^*, 1]$ შუალედი, სადაც t -ს ზრდას თან ახლავს ეკონომიკური აქტიურობის ვარდნა, დასაქმების დონისა და ერთობლივი მიწოდების შემცირება. ამ ყველაფერს სრულად პასუხობს (1) ფუნქცია, რომელშიც Y^S საშუალო საგადასახადო განაკვეთზე დამოკიდებული ერთობლივი მიწოდების აღმნიშვნელი სიდიდეა, δ - შესაფასებელი დადებითი პარამეტრია, ხოლო e ნატურალური ლოგარითმის ფუნქცია.

(4)-(6) სისტემის მეორე განტოლება ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციაა. ის ერთობლივი მოთხოვნის სტანდარტული კეინზიანური მოდელის მოდიფიცირებული ვარიანტია და მიიღება $IS - LM$ მოდელის შესაბამისი გარდაქმნით [3,4]. (5)-ში შემავალ ცვლადებსა და პარამეტრებს შემდეგი შინაარსი შეესაბამება: Y^D არის საგადასახადო განაკვეთზე დამოკიდებული ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია; $A(P)$ – კომბინირებული სიდიდეა, $A(P) = A_0 + \varphi M/P$, და ავტონომიური დანახარჯების, A_0 -ის², გარდა შეი-

² მოცემულ მოდელის ამ მაჩვენებლის შემადგენლობაში შემდეგი ელემენტები შედის: შინამეურნეობების ავტონომიური მოხმარება; ავტონომიური სახელმწიფო შესყიდვები ანუ შესყიდვები, რომელთა სიდიდე დამოკიდებული არ არის საგადასახადო შემოსავლებზე და ეგზოგენურად განისაზღვრება; ავტონომიური ინვესტიციები, ანუ ინვესტიციები, რომელიც დამოკიდებული არ არის არც საპროცენტო განაკვეთზე და არც გამოშვების მოცულობაზე; წმინდა ექსპორტი.

ცავს $\varphi M/P$ ელემენტს, რომელიც ფულის რეალური ნაშთით (M/P) განისაზღვრება. ჩანანერი $A(P)$ იმაზე მიუთითებს, რომ A მახასიათებლის ერთ-ერთ განმსაზღვრელს, რამდენიმე ეგზოგენურ სიდიდესთან ერთად, ფასების დონე, P , წარმოადგენს. ამასთან, იგულისხმება, რომ $A(P)$ P -ს მიმართ კლებადია; b – შინამეურნეობების მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება, $0 \leq b \leq 1$; g – სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრული მიდრეკილება, $0 \leq g \leq 1$; ξ , φ – გარკვეული შინაარსის მქონე დადებითი პარამეტრები, რომლებიც ინვესტიციებისა და ფულის ბაზრის განტოლებებში შემავალი შესაფასებელი კოეფიციენტების საფუძველზე გაიანგარიშება.

(6) წონასწორობის განტოლებაა და Y აღნიშნავს წონასწორული გამომშვების მოცულობას.

მოყვანილი მოდელის უბრალო ვიზუალური ანალიზიც კი ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე მიგვანიშნებს: როგორც ერთობლივი მოთხოვნის, ასევე ერთობლივი მიწოდების ფუნქციაში მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად ცხადი სახით წარმოდგენილია საშუალო საგადასახადო განაკვეთი t , მაშინ როცა ფასების დონეს, P -ს, ცხადი სახით მხოლოდ ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია შეიცავს. შეიძლება ითქვას, რომ ეს (4)-(6) მოდელის გარკვეული ნაკლია, რადგან ფასების დონე, როგორც ერთობლივი მოთხოვნის, ასევე ერთობლივი მიწოდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტია. აღნიშნულის გამო, საჭიროა მოდელის ფორმალური მხარის შემდგომი სრულყოფა ერთობლივი მიწოდების ფუნქციაში ფასების დონის ჩართვის გზით. თუ ამას გავაკეთებთ, მაშინ საშუალება მოგვეცემა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში წონასწორული მთლიანი გამომშვების მოცულობა დავაკავშიროთ, როგორც საშუალო საგადასახადო განაკვეთთან, ასევე ფასების დონესთან.

(4)-(6) მოდელისთვის წონასწორობის დარღვევისა და აღდგენის ვარიანტების [3,4]-ში მოცემულმა ანალიზმა, აგრეთვე წარმოდგენილ სტატიაში შრომის ბაზრის ანალიზით მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა, რომ ერთობლივი მიწოდების ფუნქციაში ფასების დონის გასათვალისწინებლად მიზანშეწონილია (4) ფუნქციაში ფიქსირებული δ პარამეტრი ჩავანაცვლოთ $\delta(P)$ მნიშვნელობით:

$$Y^S = Y_{pot} t^{\delta(P)} (\ln t^{e^{\delta(P)}}), \quad (7)$$

სადაც $\delta(P)$ ფასების დონეზე დამოკიდებული დადებითად განსაზღვრული რაიმე კლებადი ფუნქციაა: $\delta(P) > 0$ და $d\delta(P)/dP < 0$. $\delta(P)$ -ს კონკრეტული სახის შეფასება ცალკე ეკონომეტრიკული პრობლემაა და მასზე აქ არ შევჩერდებით.

დავუშვათ, რომ მოცემულია აღნიშნული თვისებების მქონე $\delta(P)$ ფუნქცია. მაშინ (5)-(7) სისტემას შეიძლება ვუწოდოთ ლაფერ-კეინზიანურ სინთეზზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური წონასწორობის ზოგადი მოდელი ან, შემოკლებით, **LKS** მოდელი. კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად შეიძლება განვიხილოთ **LKS** მოდელის ორი ვარიანტი: **LKST** და **LKSP**. მოკლედ დავახსიათოთ თითოეული მათგანი.

ლაფერ-კეინზიანური სინთეზის მოდელი ენდოგენური საგადასახადო განაკვეთით (**LKST** მოდელი)

(5)-(7) სისტემის ვარიანტს, რომელშიც ენდოგენური ცვლადებია გამოშვების მოცულობა Y და საშუალო საგადასახადო განაკვეთი t , ხოლო დანარჩენი მახასიათებლები, მათ შორის ფასების დონე, ეგზოგენური სიდიდეებია, ვუწოდოთ **LKST** მოდელი. ეს ნიშნავს, რომ **LKST** მოდელის ანალიზი უნდა განხორციელდეს მთლიანი გამოშვებისა და საშუალო საგადასახადო განაკვეთის შესაბამისი საკოორდინატო ლერძებით შექმნილ სიბრტყეზე. ამ სიბრტყეზე (5)-ით განსაზღვრული ერთობლივი მოთხოვნის მრუდი შეიძლება იყოს როგორც აღმავალი, ასევე დაღმავალი და ეს დამოკიდებულია b და g პარამეტრების თანათარღობაზე. როდესაც შინამეურნეობების მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება b აღემატება სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას, g -ს, მაშინ Y^D კლებადია t -ს მიმართ; პირიქით, Y^D ზრდადია, როდესაც $b < g$; დაბოლოს, $b = g$ შემთხვევაში Y^D -ს შესაბამისი წირი ჰორიზონტალურია [3,4]. რაც შეეხება (7)-ით განსაზღვრულ ერთობლივი მიწოდების მრუდს, ის ხასიათდება ლაფერის საწარმოო მრუდის ყველა თვისებით [6]: ზრდადია $[0, t^*)$ შუალედში, კლებადია $(t^*, 1]$ შუალედში და:


$$\lim_{t \rightarrow 0} Y^S(t) = 0, \quad \max_t Y^S(t) = Y^S(t^*) = Y_{pot}, \quad Y^S(1) = 0.$$

მოცემულ გამოსახულებებში ჩანანერი $Y^S(t)$ ნიშნავს, რომ Y^S არის t -ზე დამოკიდებული ფუნქცია, რომელიც ორ უკიდურეს $(t = 0$ და $t = 1)$ მნიშვნელობაზე ნულს უტოლდება, ხოლო t^* -ზე კი მაქსიმუმს აღწევს. ამასთან, შეიძლება ვაჩვენოთ, რომ **LKST** მოდელისთვის

$$t^* = \exp(-1/\delta(P)). \tag{8}$$

(8)-ით განსაზღვრულ t^* -ის მნიშვნელობას, რომლისთვისაც ერთობლივი მიწოდება პოტენციურ დონეზე იმყოფება, პირობითად შეიძლება ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთი ვუწოდოთ. LKST მოდელის მიხედვით, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის მთავარი განმსაზღვრელია ფასების მოცემული დონე.

ნახ 4-ზე წარმოდგენილია (5)-(7) მოდელის გრაფიკული ილუსტრაცია შემთხვევისთვის, როცა ერთობლივი მოთხოვნის მოცემული მნიშვნელობისთვის არსებობს წონასწორობის ორი წერტილი – E და F .³ როგორც ნახ. 4ა გვიჩვენებს, ერთობლივი მოთხოვნის დაღმავალი მრუდის პირობებში ($b > g$ სიტუაცია) წონასწორობის ამ ორ წერტილს შორის უპირატესია E , რადგანაც მისი შესაბამისი გამოშვების მოცულობა $Y_E(t)$ მნიშვნელოვნად აღემატება F -ის შესაბამის გამოშვების მოცულობას, თანაც $Y_E(t)$ დაბალი საგადასახადო განაკვეთის შედეგად მიიღება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ეკონომიკაში რეალური ხელფასი მაღალია და შრომის ბაზარზე შრომის მიწოდება აღემატება შრომაზე მოთხოვნას.



ნახ. 4. მაკროეკონომიკური წონასწორობა LKST მოდელის მიხედვით

³ ნაკლებად შესაძლებელია, თუმცა დასაშვებია ისეთი სიტუაციების არსებობა, როცა მოცემული ეგზოგენური მახასიათებლებისთვის (5)-(7) სისტემას საერთოდ არ აქვს ამონახსნი ან მხოლოდ ერთი ამონახსნი აქვს. პირველ შემთხვევაში Y^D და Y^S მრუდები ერთმანეთს არ კვეთენ, რადგან ერთობლივი მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ მისი დაკმაყოფილება გამოშვების პოტენციურ დონეზეც კი შეუძლებელია. მეორე შემთხვევაში Y^D და Y^S მრუდები ერთმანეთს მხოლოდ ერთ წერტილში ეხებიან, თანაც შეხების წერტილის შესაბამისი t $b > g$ სიტუაციაში აუცილებლად აღმოჩნდება $(t^*, 1]$ შუალედში, ხოლო $b < g$ სიტუაციაში $- [0, t^*)$ შუალედში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ წონასწორული გამოშვების მაღალი მნიშვნელობა ყოველთვის არ გულისხმობს დაბალ წონასწორულ საგადასახადო განაკვეთს და შრომის ჭარბ მიწოდებას. მაღალ წონასწორულ გამოშვებას შეიძლება შეესაბამებოდეს ასევე მაღალი საგადასახადო განაკვეთი და შრომის დეფიციტური მიწოდება. ამის თვალსაჩინო ილუსტრირებას ნახ. 4ბ იძლევა, სადაც (5)-(7) მოდელი ერთობლივი მოთხოვნის აღმავალი მრუდისთვის ($b < g$ სიტუაცია) არის გამოსახული: აქ წონასწორობის E წერტილის შესაბამისი t_E უფრო მაღალია, ვიდრე ნახ. 4ა-ზე მოცემული E წერტილის შესაბამისი t_E , მიუხედავად იმისა, რომ წონასწორული გამოშვების მოცულობები ორივე წერტილში ერთნაირია. საქმე ისაა, რომ $b < g$ შემთხვევაში გაზრდილი გადასახადები მთავრობას საშუალებას აძლევს შესყიდვების არხით ეკონომიკურ წრებრუნვაში იმაზე მეტი სახსრები ჩაუშვას, ვიდრე ამას ეკონომიკა ღებულობს შინამეურნეობების მხრიდან მოხმარებაზე დანახარჯების სახით. შედეგად, $b < g$ სიტუაციაში საგადასახადო განაკვეთის ზრდა განაპირობებს ერთობლივი დანახარჯებისა და ერთობლივი მოთხოვნის ზრდას, ხოლო ეს ყველაფერი, შესაბამისი ერთობლივი მიწოდების არსებობისას, წონასწორობას მნიშვნელოვნად მაღალი საგადასახადო განაკვეთისთვის აყალიბებს. ვინაიდან მთავრობა უფრო მხარჯველია, ვიდრე შინამეურნეობები, ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედების ეს გზა საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედების მიზნით გადასახადების პერმანენტულ ზრდას თან ახლავს ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის წილის ზრდა და საბაზრო სტრუქტურის შევიწროება, რაც ნამდვილად სასურველი არ არის. სხვანაირად, ნახ. 4ბ-ზე გამოსახული სიტუაცია უფრო გამონაკლისად უნდა ჩავთვალოთ, ვიდრე წესად.

LKST მოდელის თვისებები და მათზე დაფუძნებული დასკვნები დანვრილებით არის განხილული [3,4]-ში. მათზე აქ არ შევჩერდებით.

ლაფერ-კეინზიანური სინთეზის მოდელი ენდოგენური ფასების დონით (LKSP მოდელი)

(5)-(7) სისტემის ამ ვარიანტში, მთლიანი გამოშვების მოცულობასთან ერთად, ენდოგენური ცვლადია ფასების დონე. დანარჩენი მახასიათებლები, მათ შორის, საშუალო საგადასახადო განაკვეთი, ეგზოგენური სიდიდეებია. მიუხედავად იმისა, რომ ცვლადების ანალოგიური სტრუქტურა ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ტრადიციულ მოდელსაც გააჩნია, ამ უკანასკნელისაგან LKSP თვისებებით რამდენადმე განსხვავდება, რასაც

ძირითადად ერთობლივი მიწოდების (7) ფუნქციისა და მისი შესაბამისი მრუდის ფორმა განაპირობებს. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ LKSP მოდელში შემავალ (7) დამოკიდებულებას გავაანალიზებთ როგორც P -ს ფუნქციას. კერძოდ, ამ ფუნქციის თვისებების დასადგენად განვიხილოთ Y^S -ის კერძო წარმოებული P -ს მიმართ. წინასწარ, ლოგარითმის თვისების საფუძველზე, (7) შემდეგი სახით გადავწეროთ:

$$Y^S = Y_{pot} e(-\ln t) [t^{\delta(P)} \delta(t)]. \quad (9)$$

ნამრავლისა და რთული ფუნქციის განარმოების წესის გამოყენებით მივიღებთ:

$$\begin{aligned} \frac{\partial Y^S}{\partial P} &= Y_{pot} e(-\ln t) \frac{d}{dP} [t^{\delta(P)} \delta(t)] = \\ &= Y_{pot} e(-\ln t) t^{\delta(P)} \frac{d\delta(t)}{dP} [\delta(t) \ln t + 1]. \end{aligned}$$

ეს უკანასკნელი, Y^S -ის საწყისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, შემდეგ სახეს მიიღებს:

$$\frac{\partial Y^S}{\partial P} = Y^S \frac{d\delta(P)/dP}{\delta(P)} [\delta(t) \ln t + 1]. \quad (10)$$

(10) ტოლობის მართკუთხა ფრჩხილებს გარეთ მდგარი გამოსახულება უარყოფითია, რადგან, განმარტების თანახმად, $Y^S > 0$, $\delta(P) > 0$ და $d\delta(P)/dP < 0$. ამის გათვალისწინებით ადვილად დავადგენთ, რომ ლაფერის კონცეფციის მართებულობის პირობებში, ერთობლივი მიწოდების ფუნქცია: ზრდადია, როდესაც

$$\delta(t) \ln t + 1 < 0, \quad (11)$$

კლებადია, როცა

$$\delta(t) \ln t + 1 > 0 \quad (12)$$

და მაქსიმალურ მნიშვნელობას ღებულობს, როცა

$$\delta(t) \ln t + 1 = 0. \quad (13)$$

(13)-დან მიღებული P -ს მნიშვნელობა აღვნიშნოთ P^* -ით და პირობითად ვუწოდოთ ფასების ოპტიმალური ღონე. შეიძლება ვაჩვენოთ, რომ Y^S -ის მაქსიმუმის მნიშვნელობა (ანუ ფასების ოპტიმალური P^* ღონის შესაბამისი Y^S -ის მნიშვნელობა) ემთხვევა Y_{pot} -ს. მართლაც, გამოვსახოთ (13)-დან $\delta(P^*)$:

$$\delta(P) = -1/\ln t$$

და მიღებული მნიშვნელობა ჩავსვათ (7)-ში $\delta(P)$ -ს ნაცვლად:

$$Y^S = Y_{pot} e(-\ln t)t^{-1/\ln t} (-1/\ln t) = Y_{pot} e t^{-1/\ln t}.$$


ლოგარიტმის თვისების თანახმად $t^{-1/\ln t} = e^{-1}$, ამიტომ საბოლოოდ მივიღებთ:

$$\max_P Y^S(P) = Y^S(P^*) = Y_{pot}.$$

მაგალითისთვის თუ განვიხილოთ $\delta(P)$ ფუნქციის მარტივ ვარიანტს, $\delta(P) = a/P$, სადაც a რაიმე დადებითი რიცხვია, მივიღებთ:

$$P^* = -a \ln t.$$

ამ სიტუაციაში Y^S -ის ზრდადობის შუალედია $0 < P < -a \ln t$, კლებადობის შუალედს კი შეესაბამება: $-a \ln t < P < \infty$. ნახ.5-ზე წარმოდგენილია პირობითი მონაცემებით აგებული (7)-ის შესაბამისი მრუდები საგადასახადო განაკვეთის სამი ვარიანტისთვის: $t_1 = 0,3$, $t_2 = 0,4$, $t_3 = 0,5$. მრუდების აგებისას დავეუბნოთ, რომ $\delta(P) = 1,4/P$ და $Y_{pot} = 100$. ამ პირობებში P^* -ის მნიშვნელობამ t_1 -სათვის შეადგინა 1,685, t_2 -სათვის – 1,283, ხოლო t_3 -სათვის – 0,971. მაშასადამე, LKSP მოდელის მიხედვით, რაც უფრო მაღალია საგადასახადო განაკვეთი სხვა თანაბარ პირობებში, მით მცირეა ერთობლივი მიწოდების ზრდადობის შუალედი. მაგალითად, 0,3-ის ტოლი საგადასახადო განაკვეთის შემთხვევაში, ასეთი შუალედი (0, 1,685), მაშინ როცა $t = 0,5$ -სათვის ეს შუალედი თითქმის ორჯერ მცირდება და შეადგენს (0, 0,971)-ს.



ნახ. 5. ერთობლივი მიწოდების მრუდები LKSP მოდელში

Y^S -ის ზრდადობის შუალედის არსებობა თავისთავად ნორმალური მოვლენაა და სრულ შესაბამისობაშია ფასების დონის მიმართ განსაზღვრულ ერთობლივი მიწოდების ტრადიციულ მოდელთან. ამ ანალიზში რამდენადმე უცნაურად ის გარემოება გამოიყურება, რომ გარკვეული მნიშვნელობის შემდეგ ფასების დონის ზრდა უარყოფითად აისახება Y^S -ის სიდიდეზე. LKSP მოდელის ფარგლებში ერთობლივი მიწოდების ამ თავისებურების დასაბუთებას საფუძვლად უდევს ლოგიკა, რომელიც შრომის ბაზრის ფუნქციონირების ზემოთ განხილული კანონზომიერებიდან გამომდინარეობს და ნომინალური ხელფასის სიხისტეს გულისხმობს. როდესაც შრომის ბაზრი წონასწორობაშია (ანუ ადგილი აქვს სრულ დასაქმებას), მაშინ Y^S პოტენციური გამოშვების ტოლია. სხვა შემთხვევაში, LKSP მოდელის თანახმად, ფაქტობრივი მიწოდება ჩამოუვარდება პოტენციურს და შრომის ბაზარზე არსებობს ან მაღალი რეალური ხელფასით გამოწვეული არასრული დასაქმება, ან კიდევ დაბალი რეალური ხელფასით განპირობებული ჭარბი მოთხოვნა (შრომის დეფიციტი). პირველ შემთხვევაში, ნომინალური ხელფასის სიხისტის გამო, ფასების დონის ზრდა ამცირებს რეალურ ხელფასს და ხელს უწყობს დასაქმებისა და ერთობლივი მიწოდების ზრდას (ზემოთ განხილულ პირობით მაგალითში ამ პროცესს შეესაბამება სწორედ P -ს ცვლილება $0 < P < -a \ln t$ შუალედში). მეორე შემთხვევაში, ფასების დონის ზრდა და, შესაბამისად, რეალური ხელფასის შემცირება კიდევ უფრო ამწვავებს შრომის დეფიციტის პრობლემას, რაც, თავის მხრივ, დასაქმებისა და ერთობლივი მიწოდების შემცირებაში აისახება.

ლიტერატურა:

1. Сакс, Дж. и Ф. Б. Ларрен. Макроэкономика. Глобальный подход. Москва, Дело.1996.
2. Тарасевич Л., Гальперин В., Гребенников П., Леусский А. Макроэкономика. СПб.: СПбГУЭФ, 1999.
3. ანანიაშვილი ი., პაპავა ვ. გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი. თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2009.
4. Ananiashvili I., Papava V. Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrium. New York, Nova Science Publishers, 2014.
5. Аткинсон Э. Б., Стиглиц Дж. Э. *Лекции по экономической теории государственного сектора*. М.: Аспект Пресс, 1995. Сс. 48-49.
6. Балцкий Е. В. Оценка влияния фискальных инструментов на экономический рост. *Проблемы прогнозирования*, 2004, №4.

The Models of Macroeconomic Equilibrium Based on the Laffer-Keynesian Synthesis

Iuri Ananiashvili

*Professor, Doctor of Economic Sciences,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

The article shows that in the conditions of certain assumptions the Laffer production curve is obtained from the classical model of the labor market. There is suggested the original interpretation of this curve, discussed three models of macro-economic equilibrium based on the Laffer-Keynesian synthesis. One of them (the LKS model) involves the price level and the average tax rate as the variables explaining the aggregate demand and aggregate supply. This approach within one general model enables to analyze two particular, LKST and LKSP versions. In the LKST model the endogenous variables are the total output and the average tax rate, and in the LKSP model – the total output and the price level. There are investigated the properties of both models and shown that the LKSP model by its properties is somewhat different from the traditional model of the aggregate demand and the aggregate supply of macroeconomic equilibrium, despite the fact that the structure of the variables of these models are similar.

Keywords : aggregate demand function; aggregate supply function; Laffer-Keynesian Synthesis, average tax rate; price level; LKS model, macroeconomic equilibrium

JEL Codes: B22, E10, E12

კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი: გამოწვევები საქართველოსთვის

გიორგი თეთრაული

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
E-mail: giorgi.tetrauli@gmail.com*

2007-2008 წლების ფინანსურმა კრიზისმა გამოავლინა უამრავი მნიშვნელოვანი პრობლემა, დააყენა ქვეყნების მთავრობების წინაშე ბევრი საკითხი, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია. უწინარესად ეს ეხება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ფინანსური სისტემის პროციკლურ ხასიათს, რომელიც გახდა აღნიშნული კრიზისის მთავარი გამომწვევი ფაქტორი.

ფინანსური კრიზისები, როგორც წესი, ასოცირდება კრედიტის მოცულობის სწრაფ ზრდასთან [1, გვ. 7]. თუმცა, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, თუ რომელი ინდიკატორი შეიძლება იქნეს გამოყენებული კრედიტის ამ ზრდის შესაფასებლად. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის (Basel Committee on Banking Supervision-BCBS) კვლევების თანახმად, მთლიანი კრედიტის GDP-თან თანაფარდობის გადახრა მისი გრძელვადიანი ტრენდისგან, ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო წინმსწრებ ინდიკატორად, რომელიც აფასებს მოსალოდნელი კრიზისის ალბათობას [1, გვ. 57-60].

ამ უახლესი მიღწევების საფუძველზე და წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, თანამედროვე მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში აქცენტი კეთდება კონტრციკლურობაზე, ანუ ეკონომიკური აქტივობის რყევების შერბილებაზე. შესაბამისად, სტატიაში აღწერილი კვლევის მიზანია საქართველოს ეკონომიკისთვის კონტრციკლური მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინტრუმენტის-კაპიტალის ბუფერის გაანგარიშება.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური კრიზისი; კონტრციკლური მაკროეკონომიკური პოლიტიკა; კაპიტალის ბუფერი.

ფინანსური სისტემის პროციკლურობა და მისი როლი ეკონომიკური კრიზისის განვითარებაში

ფინანსური სისტემის პროციკლურობის თვისება იმით გამოიხატება, რომ ის მჭიდრო კავშირშია რეალურ სექტორთან და აძლიერებს ბიზნეს-ციკლის არმავლობის ფაზას, რაც ხშირად ხდება ფინანსური არასტაბილურობის და კრიზისების გამომწვევი მიზეზი [4, გვ. 2-3], [3, გვ. 7-11]. ასეთი ურთიერთკავშირი ნათლად ჩანს ფინანსური შოკების პერიოდში. დისბალანსის დროს ფინანსური სისტემა ვერ ახდენს დანაკარგების ათვისებას, რაც იწვევს ფასიანი ქაღალდების და აქტივების მინოდების მკვეთრ ზრდას და საბოლოო ანგარიშით, საკრედიტო კრიზისს [5, გვ. 321-324]. თუმცა, ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, საკრედიტო კრიზისის საფუძვლები უნდა ვეძებოთ მოცემული ეკონომიკური ციკლის აღმავლობის ფაზაში. ამ დროს აქტივები და ფასიანი ქაღალდები ხასიათდება დაბალი რისკით, რაც იწვევს მათზე მოთხოვნის და აქტივების ფასების სტაბილურ ზრდას, რის შედეგადაც ხდება ფინანსური ბუშტის წარმოქმნა [6, გვ. 2-4]. ამას ემატება ის, რომ აღმავლობის ფაზაში, როგორც წესი, არ ხდება კაპიტალის მარაგების დაგროვება, რაც იწვევს კრიზისის პერიოდში თანხების უკმარისობას.

ფინანსური სისტემის პროციკლურობა შეიძლება ორი ძირითადი მიზეზით აიხსნას [4, გვ. 1-2]: პირველი შეეხება რისკის მენეჯმენტის შეზღუდულობას, რადგანაც თვით ამ მენეჯმენტის ძირითადი პრინციპებია პროციკლური ხასიათის. მეორე მიზეზია ფინანსური რესურსების მფლობელებისა და მათი მომხმარებლების სტიმულების დისბალანსი.

ფინანსური სისტემის ამ ნაკლოვანების საპასუხოდ შემუშავებულ უნდა იქნეს კონკრეტული კონტრაციკლური ღონისძიებები. განასხვავებენ კონტრაციკლური პოლიტიკის 3 ძირითად მიზანს [4, გვ. 2-5], [2, გვ. 30]: პირველია ბიზნესციკლის ფაზების შერბილება, რაც მიიღწევა ბანკებში კაპიტალის სავალდებულო ნორმის შემოღებით. მსჯელობაა ბანკების რისკებით შეწონილი კაპიტალის (risk-weighted assets-RWA-მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება ბანკებისთვის სავალდებულო სარეზერვო ნორმის დაწესებისას) დამატებითი რეზერვის შექმნაზე. მეორე მიზანი მოიცავს ფინანსური ციკლის ფაზების შერბილებას, რაც ასევე მიიღწევა კაპიტალის მოთხოვნით. მესამე მიზანი შეესაბამება ფინანსური სისტემის დაცვას სისტემური დისბალანსისა და კრიზისისგან.

მიზნებიდან რომელიმეს არჩევა დამოკიდებულია გამოყენებული ინსტრუმენტის ხასიათზე, აგრეთვე, გასათვალისწინებელია კაპიტალის ნორმის მოთხოვნის გამოყენების შედეგები ეკონომიკური სუბიექტების ქცევაზე, კავშირები კაპიტალის სავალდებულო სარეზერვო ნორმას, კრედიტების ხელმისაწვდომობასა და ეკონომიკურ აქტივობას შორის.

კონტრაციკლური კაპიტალის ბუფერის საკვანძო მახასიათებლები

კონტრაციკლური ბუფერის ძირითადი არსია ბიზნესციკლის აღმავლობის ფაზის პერიოდში შექმნას საკმარისი ოდენობის ფინანსური კაპიტალის მარა-

გები, რომელიც დადმავლობისა და რეცესიის ფაზების დროს იქნება გამოყენებული საკრედიტო მიწოდების გასაზრდელად, და შესაბამისად, ეკონომიკის წასახალისებლად. აქედან გამომდინარე, მისი მოცულობის რეგულირებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტები ოთხ ძირითად კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს [8, გვ. 4-7]:

- ✓ ინსტრუმენტმა უნდა დააფიქსიროს კონკრეტული დრო, როდესაც უნდა დაიწყოს კაპიტალის მარაგის დაგროვება. სხვანაირად, მისი დახმარებით შესაძლებელი უნდა იყოს ეკონომიკური ციკლის ფაზის იდენტიფიცირება;

- ✓ ამ ინსტრუმენტის გამოყენებით, ბუმის პერიოდში დაგროვებული კონტრციკლური ბუფერი, საკმარისი უნდა იყოს რეცესიის ფაზაში დანაკარგების ასანაზღაურებლად;

- ✓ ინსტრუმენტის გამოყენება უნდა შეიძლებოდეს განურჩევლად ყველა მოქმედი საფინანსო ინსტიტუტის მიმართ, კერძო პირებისა და შუამავლების ჩათვლით. ამავე დროს ის მდგრადი უნდა იყოს სხვადასხვა სახეობის ალტერნატიული გზების მიმართ, ანუ არ უნდა შეიძლებოდეს ამ ინსტრუმენტისთვის გვერდის ავლა;

- ✓ ინსტრუმენტი რესურსების თვალსაზრისით ეფექტიანი, მკაფიო და საზოგადოებისთვის გამჭვირვალე უნდა იყოს.

პირველი კრიტერიუმი გულისხმობს ანალიზის ჩატარებას ციკლების გამოსავლენად, ასევე კონკრეტულად უნდა განისაზღვროს რა ჩაითვლება დადებით პერიოდად და რა – უარყოფითად.

ზოგიერთ ლიტერატურაში [9, გვ. 18] უარყოფით პერიოდად ითვლება დრო, როდესაც ბანკები განიცდიან მაღალ დანაკარგებს და არის კრედიტების მიწოდების შეზღუდულობა. ეს, თავის მხრივ, ემთხვევა დროში GDP-ის შემცირების პერიოდს. შესაბამისად, ამის მიხედვით შეიძლება გამოიყოს ორი ნიშანი, რომლითაც განვსაზღვრავთ ამ უარყოფით პერიოდს: ბანკების მთლიანი დანაკარგების ოდენობა და ბანკების მიერ გაცემული კრედიტების შეზღუდვის დონე. უარყოფითი პერიოდის დადებითი შეცვლა ანალოგიურად შეიძლება განისაზღვროს, თუმცა, ამ დროს, ფინანსური ციკლის ასიმეტრიულობის გამო, დროში თანხვედრა არ შეინიშნება.

ბანკების დანაკარგებისა და კრედიტის შეზღუდვის კარგი საზომების მოძებნა პრობლემატურია. ბანკების მთლიანი ზარალის მონაცემები, აღრიცხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, აცდენილია დროში რეალურ მონაცემებს. რაც შეეხება საკრედიტო შეზღუდვას, მისი მონაცემები მოიპოვება, როგორც წესი, სპეციალურ კვლევებში, რაც არაა ხელმისაწვდომი საერთაშორისო დონეზე.

სისტემური რისკის ევროპული საბჭოს (European Systemic Risk Board-ESRB) კვლევების თანახმად, მთლიანი კრედიტის GDP-თან თანაფარდობის ტრენდისგან გადახრა არის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი საბანკო სექტორის სისტემური რისკის პროგნოზირებისთვის [7, გვ. 16-19]. ანალიზი ჩატარდა მრავალ ეკონომიკურ ცვლაზე და მხედველობაში მიღებულ იქნა არა მხოლოდ ის, თუ რამდენად ახდენს მოცემული ცვლადი კრიზისის პროგნოზირებას,

არამედ ასევე მისი ხელმისაწვდომობა ცალკეული ქვეყნის დონეზე. კვლევის ძირითადი შედეგების თანახმად, ქვეყნების უმეტესობაში კრედიტის GDP-თან თანაფარდობის ტრენდისგან გადახრა აღმოჩნდა საუკეთესო დამოუკიდებელი ინდიკატორი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია საბანკო კრიზისის პროგნოზირება. ქვეყნების უმეტესობაში ეს მაჩვენებელი იწყებს ზრდას და მაღალ მნიშვნელობას აღწევს კრიზისამდე უკვე 3-4 წლით ადრე.

აღნიშნული ინდიკატორისეკრედიტის GDP-თან ფარდობისეგამოსათვლელად სხვადასხვა მიდგომა შეიძლება იქნეს გამოყენებული. ზოგადად, კრედიტის ფართო გასაზღვრებას უპირატესობა ენიჭება საბანკო კრედიტთან შედარებით, რადგანაც ის ასახავს მთლიანად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებს [7, გვ. 26]. საერთაშორისო დონეზე BCBS-ის მიერ მიღებული კრედიტის განსაზღვრება მოიცავს კერძო არასაფინანსო სექტორის მთლიან კრედიტს (არასაფინანსო კორპორაციები, შინამეურნეობები და მათი მომსახურე არაკომერციული კერძო ორგანიზაციები) და ფასიან ქაღალდებს გამოშვებულს არასაფინანსო კორპორაციების მიერ, სადაც კრედიტორი მოიცავს როგორც რეზიდენტებს, ასევე არარეზიდენტებსაც. ზოგიერთ შემთხვევაში, კრედიტის განსხვავებული განსაზღვრება მკვეთრად საპირისპირო შედეგებს იძლევა. მაგალითად, აშშ-ში მხოლოდ საბანკო კრედიტის შეცვლილი ინდიკატორი საერთოდ არ იძლეოდა კრიზისის პროგნოზს, ხოლო კრედიტის მთლიანი მოცულობისგან შემდგარი ცვლადი კრიზისის მოახლოებას საკმაოდ ადრე პროგნოზირებდა. მთლიანი კრედიტის მაჩვენებლის გამოყენება ასევე უფრო ეფექტიანია მაკროპრუდენციული პოლიტიკის ღონისძიებების შეფასების დროს.

კიდევ ერთი საკითხია კრედიტის GDP-თან ფარდობის გრძელვადიანი ტრენდის გამოთვლა. ამ მიზნისთვის ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების რეკომენდაცია ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრის გამოყენებაა. მაკროპრუდენციული პოლიტიკის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებისას ხელმისაწვდომია მხოლოდ წარსული პერიოდის მონაცემები, შესაბამისად, ტრენდი შეიძლება შეფასებული იქნეს მხოლოდ მასზე დაყრდნობით. ეს პროცედურა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ცალმხრივი HP-ფილტრი. BCBS-ის რეკომენდაციით, კონტრაციული ბუფერის გამოთვლისას მისი მოცულობა გაზრდილ უნდა იქნეს, როდესაც კრედიტის GDP-თან ფარდობა გადააჭარბებს თავის გრძელვადიან ტრენდს 2%-ით, ხოლო თუ ეს სხვაობა 10%-ს აჭარბებს, მაშინ კაპიტალის ბუფერი მაქსიმალური უნდა იყოს (იხ. ცხრილი 1) [8, გვ. 10].

კონკრეტული ბუფერის ამოქმედებისთვის რეკომენდაცია ითვალისწინებს კრედიტის მოცულობის GDP-თან ფარდობის ჩამორჩენის ყოველკვარტალურ გაზომვას და ამოქვეყნებას. ეს ჩამორჩენა განისაზღვრება როგორც [8, გვ. 8-10]:

$$GAP_t = Ratio_t - Trend_t \quad (1)$$

სადაც t -არის ყოველი კვარტლის დასასრული;

$$Ratio_t = \left(\frac{Credit_t}{GDP_t + GDP_{t-1} + GDP_{t-2} + GDP_{t-3}} \right) \times 100\% \quad (2)$$

სადაც GDP_t -არის მშპ დროის t -პერიოდში;

$Credit_t$ -არის t -პერიოდის ბოლოსთვის კერძო არასაფინანსო სექტორს მიმართ არსებული საშინაო ვალის ნაშთი (მოიცავს როგორც საბანკო, ისე არა-საბანკო საფინანსო ორგანიზაციების კრედიტის მოცულობას);

$Trend_t$ -არის $Ratio_t$ -ის გრძელვადიანი ტრენდი, რომელიც გამოითვლება ჰოლდრიკ-პრესკოტის ფილტრის 400 ათასის ტოლი მოსწორების პარამეტრის გამოყენებით. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია კაპიტალური ბუფერის განაკვეთის მნიშვნელობები კრედიტის GDP-თან თანაფარდობის ტრენდისგან გადახრის მაჩვენებლიდან გამომდინარე.

კაპიტალური ბუფერის მნიშვნელობები კრედიტის GDP-თან ფარდობის გადახრის გათვალისწინებით [8, გვ. 10]

ცხრილი 1

GAP_t -ის მნიშვნელობა (პროცენტული პუნქტი)	კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის მნიშვნელობა
$GAP_t \leq L$	0
$L \leq GAP_t \leq H$	$0,3125 \times GAP_t - 0,625$
$H \leq GAP_t$	2,5%

სადაც L და H მნიშვნელობები, შესაბამისად, კრედიტის GDP-თან ფარდობისგან გადახრის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი, $L=2\%$, ხოლო $H=10\%$.

კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის გამოთვლა საქართველოს ეკონომიკისთვის

მოცემული კვლევის ფარგლებში კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის დონე გამოვთვალეთ საქართველოს მაგალითზე. ამისათვის გამოვიყენეთ ზემოთ მოყვანილი საერთაშორისო მეთოდოლოგია და რეკომენდაციები. ამ ეტაპზე არ არსებობს საქართველოსთვის Basel III-ის მოთხოვნების შესრულების პირდაპირი ვალდებულება, თუმცა, ამ მიმართულებით კვლევის აქტუალურო-

ბა შემდეგით აისნება: ევროკავშირის წევრობისკენ სწრაფვა გარკვეულ მოთხოვნებს და ვალდებულებებს უწესებს საქართველოს, კერძოდ, უნდა მოხდეს კანონმდებლობის, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის კოორდინირება ევროპის ძირითად მიზნებთან. ამასთან, საქართველო როგორც მცირე და ღია ეკონომიკის ქვეყანა, განსაკუთრებით მგრძობიარეა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებსადმი. მსხვილ ქვეყნებში განვითარებული კრიზისი ვნებს მცირე ღია ეკონომიკებს, იმის მიუხედავად, რომ მათ არ აქვთ არაფერი საერთო კრიზისის საწყის მიზეზებთან. ამიტომ, კონტრციკლური კაპიტალური ბუფერის ფორმირების გზით, შესაძლებელი იქნება ნეგატიური შედეგები შერბილება ან თავიდან აცილება.

კაპიტალის ბუფერის განაკეთი გამოვთვალეთ შემდეგი ეტაპების მიხედვით:

1. კრედიტის მთლიანი მოცულობის დინამიკური მწკრივის შედგენა;
2. კრედიტის მოცულობის ნომინალურ GDP-თან თანაფარდობის გამოთვლა;
3. თანაფარდობის გრძელვადიანი ტრენდის გამოთვლა;
4. კრედიტის GDP-თან ფარდობის თავისი გრძელვადიანი ტრენდისგან გადახრის გაანგარიშება;
5. მიღებული გადახრის საფუძველზე კაპიტალური ბუფერის განაკვეთის შესახებ გადანყვეტილებების მიღება.

კერძო არასაფინანსო სექტორისთვის გაცემული კრედიტის მოცულობა, მლნ ლარი

ცხრილი 2

თარიღი	არასაფინანსო ნანსო (სამეწარმეო) სექტორი (1)	შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული კერძო ორგანიზაციები (2)	შინამეურნეობები (3)	კერძო არასაფინანსო სექტორისთვის მთლიანი კრედიტი (1+2+3)
01/04/03	377.07	0.00	231.41	608.48
01/07/03	419.89	0.21	242.40	662.50
01/10/03	441.52	0.40	259.16	701.08
01/01/04	463.58	0.29	255.78	719.66
01/07/15	7148.21	5.39	6818.40	13972.00
01/10/15	7723.08	8.36	7137.92	14869.36
01/01/16	6873.58	0.62	7939.53	14813.73
01/04/16	6641.56	0.56	8011.10	14653.22

[წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306&lng=geo>]

კრედიტის მთლიანი მოცულობის მისაღებად, საერთაშორისო რეკომენდაციების თანახმად, გამოყენებულ იქნა კერძო არასაფინანსო სექტორისთვის კრედიტის მოცულობა. ის მიიღება შემდეგი კომპონენტების შეჯამებით: არასა-

ფინანსო (სამეწარმეო) სექტორი, შინამეურნეობები და მათი მომსახურე არაკომერციული კერძო ორგანიზაციები (საზოგადოებრივი ორგანიზაციები). ეს მონაცემები მოიპოვება ზუსტად ასეთი სახით საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკურ მონაცემთა ბაზაში და წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილ 2-ში.

GDP-ის მონაცემები აღებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზიდან. იმის გამო, რომ ეს მონაცემები კვარტალური პერიოდულობისაა, საჭირო გახდა კრედიტის მონაცემების იმავე პერიოდულობის აღება. იმის გათვალისწინებით, რომ კრედიტის მონაცემები ნაშთს (stock) წარმოადგენს, ყოველი კვარტლის ბოლოს აღებული მონაცემი ავტომატურად ასახავს ამ კვარტლის ჯამურ მონაცემს. ამის საფუძველზე მოხდა კრედიტის GDP-თან ფარდობის მაჩვენებლის გაანგარიშება.

კრედიტის GDP-თან ფარდობის გადახრა გრძელვადიანი ტრენდისგან

ცხრილი 3

წელი და კვარტალი	კერძო არასაფინანსო სექტორის კრედიტი, მლნ ლარი (1)	GDP, მლნ ლარი (2)	კრედიტის ფარდობა GDP-თან ¹ , % (3) = (1)/(2)	HP TREND, % (4)	კრედიტის GDP-თან ფარდობის გადახრა ² , % (5) = (3)-(4)
2003Q1	608.5	1806.582			
2003Q2	662.5	2109.419			
2003Q3	701.1	2247.358			
2003Q4	719.7	2400.735	8.4%	9.4%	-1.0%
2004Q1	675.1	2021.476	7.7%	10.1%	-2.4%
2004Q2	701.2	2431.029	7.7%	10.8%	-3.1%
...
2015Q2	13972.0	7774.671	46.0%	9.4%	3.2%
2015Q3	14869.4	8239.056	47.9%	10.1%	4.3%
2015Q4	14813.7	8785.32	46.7%	10.8%	2.4%

[წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306&lng=geo>, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo, გამოთვლების შედეგები]

¹ ფარდობა გამოთვლილია (2) ფორმულის თანახმად.


² გადახრა გამოთვლილია (1) ფორმულის თანახმად.

ფარდობის გრძელვადიანი ტრენდის გამოსათვლელად გამოყენებულ იქნა პროგრამა Eviews, კერძოდ კი-ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრის ინსტრუმენტი. ქვემოთ მოცემული ცხრილი 3 ასახავს კვლევაში გამოყენებულ მონაცემებს კრედიტის და GDP-ის მოცულობის, შესაბამისი ფარდობის, გრძელვადიანი ტრენდის და მისგან გადახრის შესახებ. გამოთვლები ჩატარებულია ზემოთ მოყვანილი ფორმულების გამოყენებით.

გარდა ამისა, ქვემოთ მოყვანილია გამოთვლების შედეგების გრაფიკული გამოსახულება (გრაფიკი 1 და 2). ცხრილში მოყვანილ ცვლადებთან ერთად, ანალიტიკური მიზნით გამოთვლილ იქნა კრედიტის წლიური ზრდა ამ სექტორის განვითარების დინამიკის საჩვენებლად.

საქართველოში კერძო არასაფინანსო სექტორის კრედიტის ზრდა და მისი ფარდობა GDP-თან

გრაფიკი 1



[წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306&lng=geo>]


როგორც გრაფიკიდან ჩანს, კრედიტის ზრდა (მარცხენა ორდინატთა ღერძი) მაღალი ტემპებით ხასიათდებოდა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე პერიოდში, რაც თან ახლდა ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს. ეს მეტყველებს იმ წლებში საფინანსო სექტორის მკვეთრ განვითარებაზე, რომელსაც თან ახლდა ეკონომიკის დაკრედიტების მაღალი დონე. 2008-2009 წლების ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა ამ გრაფიკიდან კარგად ჩანს. თავდაპირველად მკვეთრი კლება უკვე 2007 წელს დაფიქსირდა, რაც იმის აიხსნება, რომ საბანკო სექტორი საფინანსო სისტემის ნაწილია, და ამ მსოფლიო კრიზისის ამოსავალი მიზეზი სწორედ საფინანსო სექტორში იყო. 2009-10 წლებში შეიმჩნევა კრედი-

ტის ზრდის უარყოფითი მაჩვენებლებიც. 2010 წლის მეორე ნახევრიდან შეიმჩნევა კრედიტის მოცულობის წლიური ზრდის ტემპების ამაღლება, რომელიც მეტნაკლებად სტაბილურია ბოლო წლების მანძილზე წლიურად საშუალოდ 20%. შედარებით დაბალი ზრდის ტემპები, ერთი მხრივ, ეკონომიკის აღდგენის პერიოდს შეესაბამება, მეორე მხრივ კი, იმით შეიძლება აიხსნას, რომ ეკონომიკური ზრდის პარალელურად კრედიტებზე მოთხოვნა ასეთი სწრაფი ტემპებით ყოველთვის ვერ განვითარდება, რადგანაც ბაზარზე კრედიტებზე მოთხოვნა უსაზღვრო არ არის. გრაფიკზე არსებული მეორე მრუდი ასახავს კრედიტის მოცულობის GDP-თან ფარდობის დინამიკას. ის ზრდადია მთელი დასაკვირვებელი პერიოდის განმავლობაში, გარდა ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდისა, როდესაც მაჩვენებელი სტაბილურ დონეზეა.

გრაფიკი 2 თავის მხრივ გვიჩვენებს კრედიტის GDP-თან ფარდობის მაჩვენებელს, მის გრძელვადიან ტრენდს და მისგან გადახრის დინამიკას. კრედიტის GDP-თან ფარდობა და მისი გრძელვადიანი ტრენდი ითვლება მარცხენა ორდინატთა ღერძზე, ხოლო გადახრა-მარჯვენაზე.

საქართველოში კრედიტის ფარდობის სექტორის კრედიტის GDP-თან ფარდობის გადახრა¹

გრაფიკი 2



როგორც გრაფიკიდან ჩანს, კრედიტის GDP-თან ფარდობამ თავის ტრენდს გადააჭარბა 2006 წელს და 2010 წლამდე მასზე მაღლა იყო. კონტრციკლური

¹ გრაფიკი აგებულია გამოთვლების შედეგების გამოყენებით.

ბუფერის შექმნის რეკომენდაციის თანახმად, ამ პერიოდში ბანკებს უნდა შეექმნათ კაპიტალის დამატებითი მარაგი, რომელიც გამოყენებული იქნებოდა კრიზისის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად. თუმცა, იმ პერიოდში ასეთი ინსტრუმენტის არარსებობამ გამოიწვია საგრძნობი ეკონომიკური დანაკარგები. შემდეგ, 2014 წლის ბოლომდე, გადახრა უარყოფითი იყო, ანუ კრედიტის GDP-თან ფარდობა თავის ტრენდზე დაბლა იყო.

2014 წლის ბოლოდან ფარდობამ ზრდა დაიწყო და 2015 წლის ბოლოს (GDP-ის მაქსიმალურად ახალი ხელმისაწვდომი მონაცემი) მდგომარეობით ის 2,41%-ს შეადგენდა.

ზემოთ, ცხრილ №1-ში მოყვანილი ფორმულის თანახმად, გამოთვლილი კონტრაციკლური კაპიტალის ბუფერი საქართველოსთვის იქნება:

$$CB = 0,3125 \times GAP_{t-0,625} = 0.13\% ,$$

სადაც CB არის კონტრაციკლური კაპიტალის ბუფერის განაკვეთი.

მიღებული შედეგი ნიშნავს, რომ კრედიტის GDP-თან არსებული ფარდობის პირობებში, საქართველოს საბანკო სისტემამ უნდა დააგროვოს დამატებითი 0,13%-ის ტოლი კაპიტალის მარაგი, რათა არსებობდეს დამატებითი რეზერვები რეცესიის ფაზაში კრედიტის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით.

* * *

ამდენად, ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს საქართველოს საფინანსო სექტორში რეფორმების ჩატარების აუცილებლობას. გამოთვლების შედეგად მიღებული კაპიტალის ბუფერის განაკვეთის მნიშვნელობა (0,13%) ნიშნავს, რომ მიმდინარე ეტაპზე ეკონომიკაში არსებული პროცესები, კერძოდ კი, კრედიტის მოცულობის ზრდა მოითხოვს საქართველოს საბანკო სექტორისგან, მოახდინოს დამატებითი კაპიტალის მარაგის ფორმირება, შესაძლო საბანკო სისტემური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით.

ლიტერატურა:

1. Bank for International Settlements, *A global regulatory framework for more resilient banks and banking systems*, Switzerland, December, 2010.
2. International Monetary Fund, *Pursuing Equitable and Balanced Growth*, Annual Report 2011.
3. Jorda, Schularick, Taylor, *When Credit Bites Back: Leverage, Business Cycles, and Crises*, Federal Reserve Bank of San Francisco, 2012.
4. Borio, Furfine, Lowe, *Procyclicality of the financial system and financial stability: issues and policy options*, Bank of International Settlements, 2001.

5. Ivashina, Scharfstein, *Bank lending during the financial crisis of 2008*, Journal of Financial Economics 97 (2010).
6. Reinhart, Rogoff, *The Aftermath of Financial Crisis*, NBER working paper series, 2009.
7. Alessi, Detken, *Identifying Excessive Credit Growth and Leverage*, European Central Bank, working paper series N1723/2014.
8. Recommendation of the European Systemic Risk Board of June 18, 2014 on guidance for setting countercyclical buffer rates, Official Journal of the European Union, C 293/1.
9. Kashyap, Stein, *Cyclical implications of the Basel II capital standards*, 2004.

Countercyclical Capital Buffer: Challenges for Georgia

Giorgi Tetrauli

Doctoral student,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

E-mail: giorgi.tetrauli@gmail.com

The 2007-2008 Financial Crisis revealed many serious problems and issues for governments that need to be necessarily solved nowadays. That is pro-cyclical nature if financial systems of modern market economies, which was the main causing factor of the crisis.

Financial crises are commonly associated with excessive credit growth. However, there is no consensus about the indicator to be chosen to describe this credit growth in the economy. According to the studies of the Basel Committee on Banking Supervision, the deviation of total credit-to-GDP ratio from its long-term trend tends to be the best indicator for this purpose.

Based on the latest discoveries and past experience, modern macroeconomic policy is oriented to counter-cyclicity, which means smoothening of fluctuations of the economic activity. The main goal of the study described in this paper is to calculate one of the instruments of countercyclical macroeconomic policy for the economy of Georgia.

Key words: financial crisis; countercyclical macroeconomic policy; capital buffer.

JEL Codes: E44, E61, G21

ლარი/დოლარი გაცვლითი კურსის პროგნოზები ფაქტორული ბაიეზიანური ვექტორული ავტორეგრესიის (FBVAR) მოდელით¹

ლაშა ქავთარაძე

*სახელმწიფო ეკონომიკის დოქტორი
მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო
პოლიტიკის განყოფილების უფროსი
საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი
ელფოსტა: l.kavtaradze@ymail.com*

წინამდებარე სტატიაში ყურადღებაა გამახვილებთ ფაქტორული ბაიეზიანური ვექტორული ავტორეგრესიის (BFVAR) მოდელით ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის პროგნოზირებაზე, რომელიც ერთ-ერთ წარმატებულ მეთოდად არის მიჩნეული გაცვლითი კურსების პროგნოზირებაში. ამასთან, მოდელში გამოყენებულია ისეთი ახალი ცვლადი, როგორცაა „კორტრაქტ-ინტენსიური ფულის მასის წილი“, რომელიც ჯერ არავის არ გამოუყენებია გაცვლითი კურსის პროგნოზირებისთვის. გამომდინარე აქედან, აღნიშნული მოდელი თავისი მაკროეკონომიკური ცვლადებით წარმოადგენს მთლიანად სიახლეს მაკრო მოდელირება-პროგნოზირებაში.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, გაცვლითი კურსი; ფაქტორული მოდელი; ბაიეზიანური ვექტორული ავტორეგრესია; კონტრაქტ-ინტენსიური ფული.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში გაცვლითი კურსის პროგნოზი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოპტიმალური ბიზნესგარემოს, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. გაცვლით კურსთან მიმართებით, რომელიც ცნობილია როგორც არაპროგნოზირებადი და ცვალებადი, ლიტერატურა მრავალ სხვადასხვა მეთოდს/მოდელს განიხილავს. დასაბუთებულია, რომ მაკროეკონომიკური მოდელების უმრავლეს-

1 სტატიაში არსებული ხედვები და შეფასებები მთლიანად ეკუთვნის ავტორს და არ წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხედვებს და შეფასებებს.

სობა ვერ აჩვენებს უფრო უკეთესი გაცვლითი კურსის პროგნოზებს, ვიდრე „შემთხვევითი ხეტიალის“ (random walk) მოდელს შეუძლია [1;2]. ზოგიერთმა ავტორმა [3] გაცვლითი კურსის პროგნოზებში მაკროეკონომიკური მოდელების წარმატებლობა მიანერა ბევრი მაკროეკონომიკური ცვლადების გამოყენების შედეგად შეფასების დიდ ცდომილებას. მათ ყურადღება გაამახვილეს ფუნდამენტურ ცვლადებში (ფულის მიწოდება, გამოშვება, რისკ-პრემიასა და ბაზარზე პანიკის პირდაპირი დაკვირვების ნაკლებობა) განსაზღვრის პრობლემებზე და ახსნეს, რომ ეს შეიძლება გამონვეული იყოს ეკონომიკურ თეორიაზე დაფუძნებულ ცვლადებსა და გაცვლით კურსს შორის კავშირის არ არსებობის გამო [4]. რაც შეეხება მოდელებს, რომლებიც გაცვლითი კურსს კარგად პროგნოზირებენ, მეტად მგრძობიარეებია საპროგნოზო ჰორიზონტისა და მწკრივის პერიოდი შერჩევის მიმართ [5; 6].

ლიტერატურაში, გაცვლითი კურსის პროგნოზირების კუთხით, ხშირად გვხვდება ისეთი მოდელები, როგორცაა ღია და დახურული საპროცენტო პარიტეტის (UIRP/CIRP), მონეტარული, მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის (PPP) და მონეტარული ცდომილების კორექციის მოდელები, თუმცა, მნიშვნელოვანი ნაშრომების უმეტესობა მათ სუსტ როლს ავლენს გაცვლითი კურსის პროგნოზირებაში. შედარებით უკეთ პროგნოზებს იძლევა ტეილორისა და პორტფელის ბალანსის მოდელები [7; 8; 9; 10; 11]. მიუხედავად დიდი სირთულეებისა, თანამედროვე ეკონომეტრიკული აპარატი გაცვლითი კურსის მაღალი სიზუსტით პროგნოზირების საშუალებას იძლევა. გაცვლითი კურსის წარმატებით პროგნოზირებაში ფართოდ აპრობირებულია ფაქტორული და დროში ცვალებადი პარამეტრული მოდელების გამოყენება როგორც ინდივიდუალურად, ასევე კომბინირებულად სხვა მოდელებთან [12; 13], ასე მაგალითად: ბაიეზიანური ფაქტორული მოდელი, ბაიეზიანური დროში ცვალებადი პარამეტრული (BTVP) მოდელი, ბაიეზიანური ფაქტორული ვექტორული ავტორეგრესული (BFVAR) მოდელი, ბაიეზიანური ვექტორული ავტორეგრესული დროში ცვალებადი პარამეტრული (BVAR-TVP) მოდელი, ფაქტორული დროში ცვალებადი პარამეტრული (FTVP) მოდელი და ა.შ.

გაცვლითი კურსის პროგნოზირების წარმატებულ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ენგელი და სხვა, რომლებმაც ნათლად წარმოაჩინეს გაუმჯობესებული გაცვლითი კურსის პროგნოზები (8-12 კვარტალის პერიოდზე) იმ შემთხვევაში, როცა 17 ქვეყნის გაცვლითი კურსებიდან ამოიღეს დაუკვირვებადი ფაქტორები და მათი კომბინირება მოახდინეს ტეილორის, მონეტარული და მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მოდელებთან [4]. ჯუნიორმა, ფელიჩიომ, ვუ და ვანგმა ასევე წარმატებით გამოიყენეს ფაქტორული მოდელები, კომბინირებული სხვადასხვა მოდელთან, საშუალო და გრძელვადიანი გაცვლითი კურსის პროგნოზირებისთვის [14; 15].

თეორიული მოდელი

იმისათვის, რომ ავაგოთ BFVAR მოდელი, საჭიროა პირველ რიგში ფაქტორული მოდელით გამოვყოთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც კარგად ახსნის გაცვლითი კურსების რყევებს, ანუ, სხვაგვარად, მოდელი ვარაუდობს, რომ ლოკალიზაციაში აღებული გაცვლითი კურსები მართულია რაიმე n საერთო ფაქტორებით. დავეუბნოთ, i გაცვლითი კურსი, ex_{it} , მიჰყვება შემდეგ პროცესს:

$$ex_{it} = a + \sum_{i=1}^n \delta_i f_{it} + \mu_{it} \quad (1)$$

სადაც, ex_{it} არის ii ქვეყნის გაცვლითი კურსი t დროში, δ_i არის ii გაცვლითი კურსის ფაქტორული ზეგავლენის სიდიდეები (factor loadings) და მერყეობს -1-დან 1-მდე; ნავაურობია, რომ $f_{it} \sim I(1)$ (პირველი რიგის ინტეგრირებული პროცესი) და წარმოადგენს დაუკვირვებელ ფაქტორს, ხოლო $\mu_{it} \sim i.i.d. (0, \sigma_\mu^2)$ არის იდიოსინკრატიული შოკი, რომელიც ნავარაუდებია, რომ არ არის კორელაციაში $\delta_i f_{it}$ -თან. მოდელში, კოინტეგრაცია ფაქტორებს შორის ნიშნავს სტაციონალურ პროცესს, $(\delta_i f_{it} - ex_{it}) \sim I(0)$. ემპირიულ შეფასებაში ნავარაუდებია, რომ $F_{it} = \delta_i f_{it}$ მიჰყვება შემთხვევითი ხეტიალის პროცესს, ანუ $F_{it} = F_{it-1} + \varepsilon_{it}$, სადაც $\varepsilon_{it} \sim i.i.d. (0, \sigma_\varepsilon^2)$ და $E(\varepsilon_{it} \mu_{is}) = 0$ ყველა i და s - თვის.

ლარი/დოლარი გაცვლითი კურსის პროგნოზი სამი საფეხურისაგან/ეტაპისაგან შედგება. პირველ ეტაპზე სხვადასხვა გაცვლითი კურსებიდან ფაქტორული მოდელით გამოვყოფთ იმ ძირითად დაუკვირვებელ ფაქტორებს, რომლებიც ხსნის გაცვლითი კურსების ვარიაციებს. მეორე ეტაპზე, ბაიეზიანური ვექტორული ავტორეგრესიის გამოყენებით (BVAR), ვაკეთებთ პირველ ეტაპზე მოდელიდან ამოღებულ ფაქტორების პროგნოზებს. ხოლო, მესამე ეტაპზე ვახდენთ ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის პროგნოზირებას ბაიეზიანური ვექტორული ავტორეგრესიის (BVAR) მოდელით, სადაც ფაქტორებთან ერთად ვიყენებთ ფუნდამენტურ მაკროეკონომიკურ ცვლადებს, რომლის სწორად შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს პროგნოზირებაში.

ვექტორული ავტორეგრესიას, რომელსაც ბაიეზიანური მეთოდით შევაფასებთ, აქვს შემდეგი სახე:

$$Y_t = A_1 Y_{t-1} + \dots + A_p Y_{t-p} + B_1 X_t + \dots + B_k X_{t-k} + C \times D_t + \zeta_t \quad (2)$$

სადაც, Y არის ენდოგენური ცვლადების ($n \times 1$) ვექტორი, X მოიცავს ეგზოგენურ ცვლადების ვექტორს (ფაქტორული მოდელიდან ამოღებულ ფაქტორებს), D არის დეტერმინისტიკული კომპონენტების ვექტორი (მასში შედის დამო-

უკიდებელი და სეზონური ფიქტიური ცვლადები), ხოლო ζ არის დაუკვირვებადი ინოვაციების ვექტორი; A, B და C კი აღნიშნავს კოეფიციენტების მატრიცებს, რომლებიც უნდა შეფასდეს.

ზემოთ მოცემული მოდელის (2) შესაფასებლად ვიყენებთ ბაიეზიანური ვექტორული ავტორეგრესიის (BVAR) მეთოდს [16], რომელმაც, როგორც პრაქტიკულმა ინსტრუმენტმა, 20 წელზე მეტია ფართო გამოყენება ჰპოვა ზუსტ მაკროეკონომიკურ პროგნოზებაში, ვიდრე სხვა სტანდარტულ მაკრო მოდელებს ან დროითი მწკრივების მეთოდებს ძალუძს. ბაიეზიანური მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ იგი საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს აპრიორი შეზღუდვები (prior restrictions) მოდელის პარამეტრებზე, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს განფენილობის (dimensionality) პრობლემა, რომელიც ზოგადად ვექტორული ავტორეგრესიის (VAR) მოდელს ახასიათებს. მეტი სიცხადისათვის, ბაიეზიანურ ანალიზში დომინირებს ორი ძირითადი ელემენტი - მოსალოდნელობის ფუნქცია (likelihood function) და აპრიორი განაწილება (prior distribution), სადაც პირველი მონაცემებიდან (data) ასახავს პარამეტრებზე ინფორმაციას, ხოლო მეორე რაოდენობრივად განსაზღვრას იმას, რაც ცნობილია მონაცემების შესწავლამდე. ეს ორი ელემენტი გაერთიანებულია აპოსტერიორ განაწილებაში (posterior distribution), რაც წარმოადგენს პარამეტრებზე სრულ ცოდნას მონაცემებზე დაკვირვების შემდეგ.

ბაიეზიანურ ანალიზში ბაიეზიანური დასკვნები, რომელიც ეფუძნება აპოსტერიორ განაწილებას, გამოისახება შემდეგნაირად:

$$\pi(\theta|y) = \frac{f(y|\theta)\pi(\theta)}{\int f(y|\theta)\pi(\theta)d\theta}$$

სადაც, $\pi(\theta|y)$ არის აპოსტერიორი განაწილება, $\pi(\theta)$ - აპრიორი განაწილება, θ - უცნობი პარამეტრების ვექტორი, $f(y|\theta)$ - მოსალოდნელობის ფუნქცია, $y = \{y_1, \dots, y_n\}$ - მონაცემები, $\int f(y|\theta)\pi(\theta)d\theta$ - მანორმალიზებული მუდმივა.

რაც შეეხება პროგნოზირებას, ბაიეზიანურ პროგნოზირებაში ფუნდამენტური მიზანია საპროგნოზო (აპოსტერიორი) განაწილება, ანუ მომავალი განაწილება $\rho(\hat{f}_{iT+1:T+h}|\hat{F}_{iT})$, სადაც, $\hat{f}_{iT+1:T+h} = (\hat{f}'_{iT+1}, \dots, \hat{f}'_{iT+h})'$, დამოკიდებულია მიმდინარე დაკვირვებად მონაცემებზე $\hat{F}_{iT} = \{f_{iT}\}_{i=1}^T$. თავის მხრივ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საპროგნოზო (აპოსტერიორი) განაწილება თავს უყრის ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას სამომავლო უცნობ შემთხვევებზე. საბოლოოდ, ბაიეზიანური გადაწყვეტა არის იმ ქმედების (პროგნოზის) შერჩევა, ვთქვათ α -ს, რომელიც მოახდენს მოსალოდნელი დანაკარგების მინიმიზებას შესაძლო ინფორმაციაზე დაყრდნობით, ანუ:

$$E[\mathcal{L}(\alpha, \hat{f}_{iT+1:T+h}|\hat{F}_{iT})] = \int \mathcal{L}(\alpha, \hat{f}_{iT+1:T+h})\rho(\hat{f}_{iT+1:T+h}|\hat{F}_{iT})d\hat{f}_{iT+1:T+h}$$

ისევე, როგორც სხვა უმრავლეს BVAR მოდელებში, მაღალი სიზუსტით შეფასებისა და პროგნოზირებისას აპრიორი განაწილების სპეციფიკაციისთვის ვიყენებთ საყოველთაოდ ცნობილ მინესოტას აპრიორს (Minnesota prior), რომელიც ლიტერატურაში დეტალურად არის განხილული [17].


სტატისტიკური მონაცემები

ემპირიული ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა ყოველთვიური მონაცემები 1999:1-2016:6, რომელიც აღებულია საქართველოს სტატისტიკის სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მონაცემთა ბაზებიდან. კვლევაში გამოყენებულ იქნა 54 ქვეყნის (ალბანეთი, არგენტინა, სომხეთი, ავსტრალია, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ბრაზილია, ბულგარეთი, კანადა, ჩილე, ჩინეთი, კოლუმბია, ხორვატია, ჩეხეთი, დანია, ეგვიპტე, ევროკავშირი, საქართველო, უნგრეთი, ისლანდია, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, ისრაელი, იაპონია, იორდანია, ყაზახეთი, კორეა, ქუვეითი, ყირგიზეთი, მაკედონია, მალაიზია, მექსიკა, მოლდოვა, მონღოლეთი, მონტენეგრო, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პარაგვაი, ფილიპინები, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სინგაპური, სამხრეთ აფრიკა, შრილანკა, შვედეთი, შვეიცარია, ტაჯიკეთი, ტაილანდი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, ურუგვაი) ვალუტათა გაცვლითი კურსები დოლართან მიმართებით, საქართველოს სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი), საქართველოს ნომინალური მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ) და საქართველოს კონტრაქტ-ინტენსიური ფულის მასა (contract-intensive money). ანალიზისთვის ყოველთვიური მშპ-ის მწკრივი მიღებულ იქნა კვარტალური მონაცემების გარდაქმნით დღგ-ის ბრუნვის ყოველთვიურ წონებზე დაყრდნობით. რაც შეეხება კონტრაქტ-ინტენსიური ფულის მასას, ის განსაზღვრულია როგორც სხვაობა ფართო ფულის მასასა ($M2$ ან $M3$) და ბანკებს გარეთ არსებულ ფულის მასას ($M0$) შორის. დიაგრამა 1-ზე ნაჩვენებია აღნიშნული სხვაობების ფარდობა $M2$ და $M3$ ფულის მასასთან.²

ფართო ფულის მასაში, რომელიც შედგება ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის მასისა და დეპოზიტებისაგან, პირველი წარმოადგენს თვით-უზრუნველყოფილ ფულის მასას (self-enforcing money) (ამ შემთხვევაში კონტრაქტები არ იღებენ), მეორე კი - საკონტრაქტო ტრანსაქციებს. კონტრაქტ-ინტენსიური ფულის მასის წილის მაღალი მაჩვენებელი, ერთი მხრივ, აჩვენებს კაპიტალის, სადაზღვევო ბაზრების და ფინანსური მომსახურების მაღალ წილს მშპ-ის ფორმირებაში, მეორე მხრივ, მისი მაღალი წილი მეტყველებს ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობებზე გაზარდონ ინვესტირების დონე, კაპიტალის მარაგები და პროდუქტიულობა. ამიტომ, ეკონომიკური კონტექსტიდან გამომდინარე, აღნიშნული მაჩვენებლის გამოყენებას გაცვლითი კურსის პროგნოზირებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

2 თუ მხოლოდ ბანკებს გარეთ არსებული ფულის მასის ფარდობას ავიღებთ ფართო ფულის მასასთან ($M2/M3$), მისი დინამიკა დაახლოებით გვიჩვენებს არაფორმალური ეკონომიკის ტენდენციას..

დიაგრამა 1. კონტრაქტ-ინტენსიური ფულის მასის წილი (1999:1-2016:6)



ლარი/დოლარი გაცვლითი კურსის პროგნოზირების მოდელში გამოყენებული ყველა სტატისტიკური მონაცემი შესწორებულია სეზონურად. სტატისტიკის უზრუნველყოფის მიზნით მონაცემები აღებულია პირველ განსხვავებაზე. გამომდინარე იქედან, რომ ფაქტორული მოდელიდან ამოღებული მნიშვნელოვანი დაუკვირვებადი ფაქტორები სტანდარტიზირებული ფორმით, ამიტომ, საბოლოო საპროგნოზო მოდელში მონაცემთა თავსებადობის კუთხით ფუნდამენტური მაკროეკონომიკური მონაცემებიც სტანდარტიზირებული ფორმითაა აღებული.


დაუკვირვებადი ფაქტორების შეფასება

ფაქტორული მოდელის გამოყენებით, პრინციპული ფაქტორის მეთოდის კაიზერ-გუტმანის (Kaiser-Guttman) კრიტერიუმთან კომბინაციით, შევარჩიეთ 3 ძირითადი ფაქტორი, რაც ერთობლივად 94%-ით ხსნის მოდელში გამოყენებული გაცვლითი კურსების ვარიაციას. დიაგრამა 2-ზე ნაჩვენებია სტანდარტიზირებული ფაქტორები, რომელიც მიღებულია 54 გაცვლითი კურსების შესწავლით, 210 ყოველთვიური მწკრივიდან (1999:1-2016:6).

მიუხედავად იმისა, რომ მოდელით მიღებული ფაქტორების ეკონომიკური ინტერპრეტაცია ხშირად შეუძლებელია, ჩვენი შესაძლო ინტერპრეტირებით, ორი ფაქტორი შესაბამისად წარმოადგენს, ფულზე მოთხოვნის შოკს და ინვესტორების რისკისადმი არაკეთილგანწყობას, ხოლო მესამე ფაქტორი ამ ეტაპზე სტატიაში ინტერპრეტირების გარეშეა წარმოდგენილი.

ფაქტორ 1-ს აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენის სიდიდეები (factor loadings)³ თითქმის ყველა ვალუტის მიმართ. განსაკუთრებით მაღალი ზეგავლენის საშუალო სიდიდეები ვლინდება განვითარებული ქვეყნების ვალუტების შემთხვევაში. ფაქტორი 1-ის დადებითი ტრენდი დოლარის მიმართ ყველა სხვა ვალუტების სიძლიერეზე მიუთითებს. დიაგრამა 2-ზე კარგად ჩანს, რომ ფაქტორი 1 თანდათანობით იზრდება 2002 წლამდე, შემდეგ კი დადებითობით ხასიათდება გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პერიოდამდე. აღნიშნული ფაქტორი ასევე ავლენს შემცირების ტენდენციას კრიზისის შემდგომი პერიოდის დასაწყისიდან 2014 წლის სექტემბრამდე. ფაქტორი 1-ის დადებითი ტრენდი მიუთითებს დოლარის გაუფასურებას სხვა ვალუტების მიმართ, ხოლო აღმავალი-პირიქით. გამომდინარე აქედან, ფაქტორი 1, რომელიც 47% ვარიაციას

დიაგრამა 2. შეფასებული ფაქტორები და ლარი/დოლარის გაცვლითი კურსი



სხნის გაცვლითი კურსების მონაცემებში (94%-დან) შეიძლება წარმოადგენდეს ფულზე მოთხოვნის (პოზიტიურ/ნეგატიურ) შოკს ზემოთ მოყვანილ ქვეყნებში. აღნიშნული შოკის მოხდენა არ არის დამოკიდებული იმაზე, ქვეყანას ფიქსირებული თუ მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი გააჩნია. ასევე, მისი მოხდენა არ ნიშნავს, რომ ფულის მიწოდება შოკის პროპორციულად იცვლება.

3 შეფასებული ზეგავლენის სიდიდეები (ფაქტორ ლოადინგს) ხელმისაწვდომია მოთხოვნის საფუძველზე.

რაც შეეხება ფაქტორ 2-ს, მისი ინტერპრეტირება ცოტათი ძნელია. თუმცა, მაკროეკონომიკური პროგნოზირების ლიტერატურაში [14] არსებობს მისი შესაძლო ინტერპრეტირების ფაქტები. ფაქტორი 2-ის შემთხვევაში მკვეთრად შესამჩნევია კლებადი ტრენდის „გარდატეხა“ (დიაგრამა 2) გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დასაწყისში (2008 წლის აგვისტოდან), რომელიც შემდგომ მთელი დაკვირვებადი პერიოდის ბოლომდე სწრაფად აღმავალი ტრენდით ხასიათდება. გამომდინარე იქედან, რომ მკაცრი გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ინვესტორები ეკონომიკაში, მაღალი გაურკვეველი რისკების გამო, მეტად ფრთხილნი გახდნენ საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებაზე (არც იმაზე რისკავდნენ, მაგალითად, მთლიანი აქტივებიდან თუ რომელიმე აქტივის გამოყენება მაღალ მოგებას მოუტანდა)⁴, ფაქტორი 2, რომელიც 35%-ით ხსნის გაცვლითი კურსის მონაცემებში მთლიან ვარიაციას, შეიძლება ინვესტორების რისკისადმი არაკეთილგანწყობის მატარებელი იყოს.

ფაქტორი 3, რომელიც გარკვეულწილად წინა ორი ფაქტორის ნაწილობრივ თვისებებს ავლენს, მიმდინარე სტატიაში მის ინტერპრეტირებას არ მოვახდენთ. აღნიშნული ფაქტორს ვიყენებთ იმ მიზნის გამო, რომ ის დოლარის მიმართ 54 გაცვლითი კურსების მთლიან ვარიაციას 12%-ით ხსნის.

ზემოთ განხილული ორი ფაქტორის ჩვენეული ინტერპრეტირების განსამტკიცებლად დავაკვირდეთ მათსავე კორელაციებს საერთო შოკების ისეთ შემცვლელ მაჩვენებლებთან (common shocks' proxies), როგორცაა: აშშ-ის საქონლის ფასების ინდექსი (US commodity price index), ოქროს ფასების ინდექსი (gold price index), აშშ-ის მაღალი სარგებლიანობის სპრედის ინდექსი (the Merrill Lynch US high yield spread index), TED სპრედის ინდექსი (TED spread index)⁵ და ჩიკაგოს ოპციონების სავაჭრო ბირჟის ცვლილების ინდექსი (the Chicago Board Options exchange market volatility index).

4 იხილეთ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში, “Global Financial Stability Report Durable Financial Stability“, 2011.

5 TED სპრედი არის სხვაობა 3 თვიან LIBOR-ის განაკვეთსა და აშშ-ის მთავრობის მოკლევადიან ვალზე საპროცენტო განაკვეთს (T-bill interest rate) შორის.

კორელაცია დაუკვირვებლად ფაქტორებსა და საერთო შოკების შემცველ ცვლადებს შორის (common shocks' proxies)

ცხრილი 1

	ფაქტორი 1	ფაქტორი 2	ფაქტორი 3	აშშ-ის საქონლის ფასების ინდექსი	ოქროს ფასების ინდექსი	აშშ-ის მაღალი სარგებლიანობის სპრედის ინდექსი	TED სპრედის ინდექსი	ჩიკაგოს ოპციონების სავაჭრო ბირჟის ცვლადობის ინდექსი
ფაქტორი 1	1.00							
ფაქტორი 2	0.00	1.00						
ფაქტორი 3	0.00	0.00	1.00					
აშშ-ს საქონლის ფასების ინდექსი	-0.90**	0.37**	-0.23**	1.00				
ოქროს ფასების ინდექსი	-0.86**	0.32**	-0.36**	0.95**	1.00			
აშშ-ს მაღალი სარგებლიანობის სპრედის ინდექსი	0.18*	0.29**	-0.27**	-0.34**	-0.26	1.00		
TED სპრედის ინდექსი	-0.01	0.22**	-0.05	-0.10	-0.17**	0.28**	1.00	
ჩიკაგოს ოპციონების სავაჭრო ბირჟის ცვლადობის ინდექსი	0.22**	0.43**	-0.22**	-0.22**	-0.13*	0.80**	0.52**	1.00

შენიშვნა: ** და * აღნიშნავს, შესაბამისად, 5% და 10%-იან მნიშვნელოვნების დონეებს.


კორელაციის ცხრილიდან ვლინდება, რომ ფაქტორი 1-ს აქვს მაღალი კორელაცია აშშ-ის საქონლის ფასების ინდექსთან, ხოლო ფაქტორი 2 ავლენს მაღალ კორელაციას ჩიკაგოს ოპციონების სავაჭრო ბირჟის ცვლილებების ინდექსთან, რაც ზემოთ ჩვენს მიერ გაკეთებულ ინტერპრეტაციებს ამყარებს. ფაქტორი 2-ის კორელაცია, ასევე, მაღალი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია აშშ-ის საქონლის ფასებისა და ოქროს ფასების ინდექსებთან, თუმცა, დაბალია, ვიდრე ფაქტორი 1-ის შემთხვევაში. ფაქტორი 2, რომელიც მივიჩნევთ ინვესტორების რისკისადმი არაკეთილგანწყობის ფაქტორად, საყურადღებოდ ავლენს მაღალ კორელაციას აშშ-ის მაღალი სარგებლიანობის სპრედის და TED სპრედის ინდექსებთან, ვიდრე ფაქტორი 1-ის შემთხვევაში.

საპროგნოზო შედეგები

იმ შემთხვევაში, როცა გაცვლითი კურსის მწკრივის გარე (out-of-sample) პროგნოზს ვაკეთებთ (მაგალითად, 2016:7-დან), გვჭირდება დაუკვირვებადი სამივე ფაქტორის პროგნოზი, რადგან ისინი გაცვლითი კურსის პროგნოზირების მოდელში ეგზოგენურ ფაქტორებს წარმოადგენს.

დაუკვირვებადი ფაქტორებისთვის აგებული BVAR მოდელის⁶ საპროგნოზო შედეგები (პერიოდი: 2016:7-2018:12) ნაჩვენებია დიაგრამა 3-ზე.

დიაგრამა 3. დაუკვირვებადი ფაქტორების მწკრივის გარე პროგნოზი



ფაქტორი 1-ის პროგნოზი მცირედი რყევებით ხასიათდება, მაგრამ მთლიანობაში 2016:7 – 2018:12 პერიოდისთვის ოდნავ შემცირების ტენდენცია აქვს, რაც დოლარის სხვა ვალუტებთან მცირედით შესუსტებაზე მიუთითებს. რაც შეეხება ფაქტორი 2-ს, მას საშუალოვადიან პერიოდში რყევადი და მზარდი ტენდენცია ექნება, რაც ნიშნავს ინვესტორების რისკებისადმი არაკეთილგანწყობების შერბილებას გარკვეული მცირე პერიოდით, თუმცა საბოლოოდ ის მაინც ნელ-ნელა ზრდას ავლენს (რისკიანი საინვესტიციო პროცესების გაფართოების დაყოვნებაზე მიუთითებს).

6 დაუკვირვებადი ფაქტორების BVAR მოდელი აკმაყოფილებს დიაგნოსტიკის ტესტებს. მოდელისთვის შერჩეული ლაგის სიგრძე შეადგენს 9-ს. ტესტების შედეგების მიწოდება ხელმისაწვდომია მოთხოვნის საფუძველზე.

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის საუკეთესო პროგნოზისთვის, პირველ რიგში, საჭიროა შევარჩიოთ პროგნოზირების მოდელი, შევასების და (out-of-sample) პროგნოზირების პერიოდის გათვალისწინებით, 1-დან 24 თვის პროგნოზირების ჰორიზონტზე. ამასთან, უნდა შევამოწმოთ თითოეული ქეისის შემთხვევაში FBVAR მოდელის პროგნოზირების სიძლიერე - თუ რამდენად ძალუძს შემთხვევითი რყევების მოდელზე უკეთესი შედეგები მოგვცეს. ამისათვის ვიყენებთ მედიანური Theil's U სტატისტიკისა [18] და ფესვი საშუალო კვადრატული შეცდომიდან (RMSE) კოეფიციენტებს. პირველის შემთხვევაში, როდესაც $0 \leq U < 1$ ნიშნავს, რომ პროგნოზირების მეთოდი უზრუნველყოფს კარგ პროგნოზებს ($U = 0$ - სრულყოფილ პროგნოზს ნიშნავს), ვიდრე შემთხვევითი რყევების მოდელს შეუძლიათ (ნაივი მოდელები). როცა $U = 1$ -ს, მაშინ პროგნოზირების მოდელი ზუსტად იგივე პროგნოზებს აკეთებს რასაც “-‘-” მოდელები, ხოლო თუ $U > 1$ -ზე, მაშინ შერჩეული პროგნოზირების მოდელი უვარგისია. იმისთვის, რომ შევამოწმოთ, არის თუ არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, შერჩეული მოდელის უპირატესობა შემთხვევითი რყევების მოდელზე, ვიყენებთ დაიბოლდ-მარიანოს (1995) სტატისტიკას [19]. რაც შეეხება RMSE კოეფიციენტს, ის აჩვენებს პროგნოზირებაში შეცდომის სიდიდეს. რაც უფრო ნაკლებია მისი კოეფიციენტი, მით უფრო მისაღებია პროგნოზი.

ცხრილი 2-ში მოყვანილი შედეგებით BVAR მოდელი ყველა ვარიანტში აჩვენებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან უპირატესობას ლარი/დოლარი გაცვლითი კურსის პროგნოზირებაში, ვიდრე შემთხვევითი რყევების მოდელს (random walk models) ძალუძს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მეხუთე ვარიანტში, სადაც მწკრივის გარე პროგნოზი მხოლოდ 12 თვეზეა გაკეთებული, შედეგები აჩვენებს, რომ მედიანური Theil's U ნულთან ძალიან ახლოსაა, ასევე ძალიან მცირეა RMSE კოეფიციენტები⁷. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ მიუხედავად FBVAR მოდელის უპირატესობისა (ცხრილში ნაჩვენებ ყველა ვარიანტში) შემთხვევითი ხეტიალის მოდელებზე, საუკეთესო პროგნოზები 1 წლამდე საპროგნოზო ჰორიზონტზე არის შესაძლებელი. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, FBVAR მოდელი არის ერთ-ერთი საუკეთესო მოდელი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ზუსტი ლარი/დოლარის კურსის პროგნოზი მოკლევადიანი პერიოდისთვის.

7 პირველ 4 ვარიანტში, სადაც 24 თვის ჩათვლით პროგნოზირების ჰორიზონტი მოცემული, RMSE იზრდება 12 თვის შემდეგ, რაც ერთგვარი გამოწვევაა FBVAR მოდელი კიდევ უფრო დაიხვეწოს. ეს შესაძლოა მიღწეულ იქნეს BVAR-ის ნაცვლად თუ ავაგებთ გამმიჯნავი (ტპრესპოლდ) ბაიბიანური ვექტორული ავტორეგრესიის მოდელს (TBVAR) და მოვახდენთ ფაქტორულ მოდელთან კომბინირებას, ან თუ ამ ყველაფერს დროში ცვალებადი პარამეტრული (TVP) მოდელირების ჩარჩოში მოვაქცევთ.

Theil's U & RMSE და დაიბოლდ-მარიანოს (DM) ტესტი სხვადასხვა პროგნოზირების ჰორიზონტზე და შეფასების პერიოდზე

ცხრილი 2

	ვარიანტი 1	ვარიანტი 2	ვარიანტი 3	ვარიანტი 4	ვარიანტი 5	
შეფასების პერიოდი	1999:8 - 2016:6	1999:8 - 2015:6	2005:12 - 2016:6	2005:12 - 2015:6	2005:12 - 2015:6	
პროგნოზირების პერიოდი	2014:7 - 2016:6	2014:7 - 2016:6	2014:7 - 2016:6	2014:7 - 2016:6	2015:7 - 2016:6	
<i>მედიანური Theil's U</i>						
პროგნოზირების ჰორიზონტი	1 თვე	0.132***	0.118***	0.049**	0.033***	0.042***
	3 თვე	0.417**	0.373***	0.312***	0.286***	0.036***
	6 თვე	0.458**	0.421**	0.358***	0.319***	0.070***
	9 თვე	0.447**	0.438**	0.335**	0.395***	0.049***
	12 თვე	0.444**	0.399**	0.379**	0.409**	0.092***
	15 თვე	0.311**	0.291***	0.280***	0.322***	NA
	18 თვე	0.302**	0.422**	0.247**	0.377**	NA
	21 თვე	0.335**	0.574*	0.273**	0.542*	NA
	24 თვე	0.252**	0.388**	0.210**	0.412*	NA
	<i>ფსევი საშუალო კვადრატული შეცდომიდან (RMSE)</i>					
	1 თვე	0.015	0.013	0.005	0.004	0.016
	3 თვე	0.043	0.040	0.033	0.030	0.035
	6 თვე	0.049	0.043	0.043	0.037	0.038
	9 თვე	0.049	0.061	0.041	0.056	0.041
	12 თვე	0.102	0.123	0.086	0.111	0.079
	15 თვე	0.137	0.168	0.117	0.154	NA
	18 თვე	0.155	0.196	0.130	0.184	NA
21 თვე	0.156	0.208	0.130	0.202	NA	
24 თვე	0.146	0.196	0.123	0.194	NA	

შენიშვნა: ცხრილში ვარსკვლავი (*) აღნიშნავს დაიბოლდ-მარიანოს (1995) ტესტის სტატისტიკას. ***, ** და * წარმოადგენს p-ღონეებს შესაბამისად, 1%, 5% და 10%-ის შემთხვევებში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი 3 წარმოადგენს ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მოკლევადიანი პერიოდის პროგნოზებს მის ფაქტობრივ მაჩვენებლებთან ერთად⁸. ცხრილში საყურადღებოა 2016 წლის აპრილი-ივნისის პერიოდი, როცა ლარის გაცვლითი კურსი სწრაფად გამყარდა. FBVAR მოდელის მიხედვით, რომელიც ფუნდამენტურ ფაქტორებთან ერთად (მშპ, ინფლაცია, კონ-

8 FBVAR მოდელის შედეგები ხელმისაწვდომია მოთხოვნის საფუძველზე.

ტრაქტ-ინტენსიური ფულის წილი) მხედველობაში იღებს 54 ქვეყნის გაცვლითი კურსებიდან შეფასებულ დაუკვირებელ 3 ფაქტორს (პირველი ორი ფაქტორი არის ფულზე მოთხოვნის შოკისა და ინვესტორების რისკისადმი არაკეთილგანწყობის ელემენტების მატარებელია), აღნიშნულ პერიოდში ლარის კურსის მცირე გამყარებას პროგნოზირებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლარის კურსის მკვეთრი გამყარება აპრილ-ივნისში ფუნდამენტურ საფუძველს მოკლებულია. გამყარების მიზეზები შეიძლება ვეძებოთ რაიმე ერთჯერად დიდ ოპერაციებში/ქმედებებში.

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის (პერიოდის საშუალო) პროგნოზი (out-of-sample forecast)⁹

ცხრილი 3

	ფაქტობრივი	პროგნოზი	აბსოლუტური გადახრა	ფაქტობრივიდან აბსოლუტური გადახრა %-ში
ივლისი_2015	2.2564	2.2747	0.0183	0.81
აგვისტო_2015	2.3199	2.3141	0.0058	0.25
სექტემბერი_2015	2.3985	2.3387	0.0598	2.49
ოქტომბერი_2015	2.3928	2.3496	0.0432	1.80
ნოემბერი_2015	2.4017	2.3567	0.0450	1.87
დეკემბერი_2015	2.3992	2.3773	0.0219	0.91
იანვარი_2016	2.4360	2.4075	0.0285	1.17
თებერვალი_2016	2.4829	2.4037	0.0792	3.19
მარტი_2016	2.3894	2.3844	0.0050	0.21
აპრილი_2016	2.2652	2.3669	0.1017	4.49
მაისი_2016	2.1860	2.3704	0.1844	8.44
ივნისი_2016	2.1877	2.3618	0.1741	7.96
ივლისი_2016	2.3367	2.3466	0.0098	0.42
აგვისტო_2016		2.3273		
სექტემბერი_2016		2.3164		

9 სპეციალურად არ არის წარმოდგენილი ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის პროგნოზები შემდგომი 1 წლის პერიოდისთვის, რათა სტატია არ გახდეს საზოგადოებისთვის რაიმე მოლოდინის შექმნის საფუძველი.

დასკვნა

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის პროგნოზირების მიზნით გამოყენებული ბაიზიანური ფაქტორული ვექტორული ავტორეგრესიის (FBVAR) მოდელი იძლევა საკმაოდ მაღალი სიზუსტის მოკლევადიანი პერიოდის (1 წლის) პროგნოზებს. პროგნოზირების აღნიშნული მოდელი ნებისმიერ შემთხვევაში იძლევა „შემთხვევითი ხეტიალის“ მოდელეებზე უკეთ შედეგებს, თუმცა, მაღალი სიზუსტის პროგნოზირებისთვის მნიშვნელოვანია შერჩევითი მწკრივის სიგრძის მხედველობაში მიღება.

FBVAR მოდელით ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მწკრივის გარე პროგნოზებში (2015:7 – 2016:7 პერიოდში) ყველაზე მაღალი 7%-იანი ცდომილება დაფიქსირდა 2016 წლის აპრილი-ივნისის პერიოდში, როცა ლარი სწრაფად გამყარდა აშშ დოლარის მიმართ. გაცვლითი კურსის დანარჩენი 9 თვის პროგნოზებში ცდომილება მხოლოდ 1.4%-ს შეადგენს.

მოდელში გამოყენებული მნიშვნელოვანი ფუნდამენტური ფაქტორები (მშპ, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, კონტრაქტ-ინტენსიური ფულის მასის წილი), ასევე 54 ქვეყნის გაცვლითი კურსებიდან მიღებული 3 ფაქტორი (რომელთაგან ორი წარმოადგენს ფულზე მოთხოვნის შოკისა და ინვესტიორების რისკისადმი არაკეთილგანწყობის მატარებელ ფაქტორებს), იძლევა იმ შედეგს, რომ ლარის კურსს 2016 წლის აპრილ-ივნისში უნდა ჰქონოდა გამყარების მცირე ტენდენცია.

დაბოლოს, პროგნოზირების კიდე უფრო დახვეწის კუთხით, ერთ-ერთ გამონწვევას წარმოადგენს გაცვლითი კურსის იმ ზღუბლის (threshold) პოვნა, რომლის იქეთ ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის დინამიკა იცვლება.

ლიტერატურა:

1. Meese R. and Rogoff R., 1983a, Empirical Exchange Rate Models of the Seventies: Do They Fit Out of Sample?, *Journal of International Economics*.
2. Meese R. and Rogoff R. 1983b, The Out-of-Sample Failure of Empirical Exchange Rate Models: Sampling Error or Misspecification?, in Frenkel J, (ed.) *Exchange Rates and International Macroeconomics*. Chicago: NBER and University of Chicago Press.
3. Engel Ch., Mark N. and West K., 2008, Exchange Rate Models Are Not As Bad As You Think, 381-443 in *NBER Macroeconomic Annual, 2007*, D. Acemogly, Rogoff K and Woodford M, Chicago: University of Chicago Press.
4. Engel Ch., Mark N. and West K., 2012, Factor Model Forecasts of Exchange Rates, Working Paper Series, University of Notre Dame.
5. Mark N., 1995, Exchange Rates and Fundamentals: Evidence of Long-Horizon Predictability, *American Economic Review*.
6. Faust J., Rogers J.H. and Wright J.H., 2003, Exchange Rate Forecasting: The Errors We've Really Made, *Journal of International Economics*.

7. Mark N. and Sul D., 2001, Nominal Exchange Rates and Monetary Fundamentals: Evidence from a Small Post-Bretton Woods Panel, *Journal of International Economics*.
8. Rapach D.E. and Wohar M.E., 2004, Testing the Money Model of Exchange Rate Determination: A Closer Look at Panels, *Journal of International Money and Finance*.
9. Molodtsova T. and Papell D., 2008, Out-of-Sample Exchange Rate Predictability with Taylor Rule Fundamentals, mimeo, University of Houston.
10. Wang J., Wu J. and Engel Ch. 2008, Can Long Horizon Data Beat Random Walk Under Engel-West Explanation?, 2008 Meeting Papers from Society for Economic Dynamics.
11. Rossi B., 2013, Exchange Rate Predictability, Working Papers 690, Barcelona Graduate School of Economics.
12. Greenaway-McGrevy R., Mark N., Sul D. and Wu J-L., 2012, Exchange Rates as Exchange Rate Common Factors, Working Paper Series.
13. Chen C.C., 2011, The Advantages of Dynamic Factor Models as Techniques for Forecasting: Evidence from Taiwanese Macroeconomic Data, *International Journal Economic and Finance*.
14. Junior J.L.R. and Felicio W.R.O., 2013, The Usefulness of Factor Models in Forecasting the Exchange Rate: Results from the Brazilian Case, *Inspere Working Paper*.
15. Wu J.J. and Wang J., 2012, The Taylor Rule and Forecast Intervals for Exchange Rates, *Journal of Money, Credit and Banking*.
16. Karlsson S., 2012, Forecasting with Bayesian Vector Autoregressions, *Orebro University School of Business*.
17. Doan Th., Litterman R. and Sims Ch., 1984, Forecasting and Conditional Projection Using Realistic Prior Distributions, *Econometric Reviews*.
18. MacKay D.B. and Bliemel F., 1973, Theil's Forecast Accuracy Coefficient: A Clarification, *Journal of Marketing Research*.
19. Diebold F.X. and Mariano R., 1995, Comparing Predictability Accuracy, *Journal of Business and Economic Statistics*.

GEL/USD Exchange Rate Forecasts Using Factor Bayesian Vector Autoregression (FBVAR) Model

Lasha Kavtaradze

*Doctor of Public Economics, Head of Macroeconomic Analysis and
Tax Policy Unit at the Parliamentary Budget Office of Georgia
E-mail: l.kavtaradze@ymail.com*

The article shows that Factor Bayesian Vector Autoregression (FBVAR) model performs accurate forecasts of GEL/USD exchange rate over a short horizon. Three factors extracted from 54 countries' exchange rates, which explain 94% of the variability in the data, help to improve exchange rate forecasts. Factor 1 and Factor 2, which explaining 47% and 35% of the variability in the data, representing money demand shocks and investor's risk aversion, separately. Over one year period, the average error in GEL/USD exchange rate forecasts is no more than 1.4% (excluding April-June, 2016 sharp appreciation of the Georgian Lari).

Keywords: Georgia, exchange rate; factor model; Bayesian Vector Autoregression; contract-intensive money.

Jel Codes: C38, E17, F31, F37

The Analysis of the Structural Changes and Access to the Finance of the Small and Medium-Sized Enterprises in the European Union

Karmowska Grażyna

West Pomeranian University of Technology, Szczecin, Poland

Mirosława Marciniak

Academy of European Integration in Szczecin, Poland

Small and medium-sized enterprises are often referred to as the backbone of European economy, providing a potential source for jobs and economic growth. They may be viewed as important players in the wellbeing of local and regional communities, with considerable potential for employment creation. The paper examines development of SMEs across the EU member states, illustrated by rankings by selected indexes, analyzing the SME sector in the EU countries against the backdrop of general economic situation. Enterprise statistics were examined according to number of enterprises, employment size and value added generated by this sector. Studies have shown that the country's economic situation affects the access of SME companies to various sources of financing, especially debt financing. The dynamics of structural change of the SME sector shows that the increase in the number of enterprises is not always accompanied by improved productivity and increased employment. Apart from economic development, certain legal and administrative regulations fostering the growth of the SME sector must be put in place.

Keywords: Development of SMEs, comparative analysis, source financing

JEL Codes: L11, L20, L25

Introduction

Small and medium-sized enterprises (SMEs) are often referred to as the backbone of European economy, providing a potential source for jobs and economic growth. SMEs are defined by the European Commission as having less than 250 persons employed. They should also have an annual turnover of up to EUR 50 million or a balance sheet

total of no more than EUR 43 million (Commission Recommendation of 6 May 2003). These definitions are important when assessing which enterprises may benefit from the EU funding programs aimed at promoting SMEs, as well as in relation to certain policies such as SME-specific competition rules.

Annual structural business statistics with a breakdown by size-class are the main source of data for analysis of SMEs. A limited set of the standard SBS variables (number of enterprises, persons employed, value added, etc.) is available mostly down to the 3-digit (group) level of the activity classification (NACE), based on criteria that relate to the number of persons employed in each enterprise. The number of size-classes available varies according to the activity under consideration¹.

One of the main challenges authors face in their examination of countries of the EU is to come up with a precise definition of the research subject and with accurate selection of regional development factors that can be used in further analysis as variables – those features have to capture selected aspects of SME’s development. They also have to meet formal, statistical and subject matter selection criteria. The research material consisted of data and reports from Eurostat. The research problem this paper attempts to address is: Is it true that the better the country’s economic conditions are, the higher is the SME financing? Does it also translate into easier access to sources of business development funding, enhanced economic efficiency and improved labor market?

Trends in the National Economy of Countries

One of the basic criteria for the evaluation of a country’s economic development is gross domestic product (GDP). GDP *per capita* is used, *inter alia*, to compare development between Member States and to assess the convergence process.

Basic characteristics of the statistical GDP *per capita* are presented in table 1.

Table 1. GDP per capita in years 2008 & 2012 (in \$).

Years	Maximum	Minimum	Interval	Average
2008	84 734	14 566	70 168	33 482
2012	89 577	15 672	73 905	33 831
Difference	4 844	1 106	3 738	349

Source: own compilation.

Increase in the value of average, maximum and minimum economic growth of EU countries can be noted and the increase in spreads in 2012 of about 3.7 thousand \$ testifies to the divergence between the EU countries. To capture the variation in the economic development between countries, rankings based on countries’ GDP *per capita* indicators

1 <http://ec.europa.eu/eurostat/web/structural-business-statistics/structural-business-statistics/sme>

for the years 2008 and 2012 were compared and their growth rate was calculated (table 2).

Table 2. Comparison of GDP per capita indexes for 2008 and 2012 and growth rate.

Country	Ranking in 2008	Ranking in 2012	Growth rate of GDP per capita
Luxembourg	1	1	5,7%
Netherlands	2	2	-1,1%
Ireland	3	3	3,5%
Sweden	4	5	4,2%
Austria	5	4	8,8%
Denmark	6	7	5,0%
Finland	7	9	0,0%
Germany	8	6	12,5%
Belgium	9	8	8,2%
United Kingdom	10	11	-2,1%
Italy	11	12	1,1%
France	12	10	5,6%
Spain	13	13	-4,2%
Cyprus	14	14	-6,6%
Greece	15	20	-17,1%
Slovenia	16	15	-3,8%
Czech Republic	17	16	4,7%
Portugal	18	18	0,2%
Malta	19	17	11,1%
Slovakia	20	19	8,1%
Estonia	21	21	8,2%
Hungary	22	24	8,9%
Lithuania	23	22	15,5%
Croatia	24	25	3,2%
Latvia	25	26	11,8%
Poland	26	23	25,4%
Romania	27	27	15,5%
Bulgaria	28	28	7,6%

Source: own compilation


In both rankings Luxembourg came first, whereas the lowest GDP per capita - more than five times lower – was recorded for Bulgaria and Romania. In 2012, as compared to 2008, only 6 countries showed a decline in GDP per capita. The largest decline was recorded in Greece (17%), and by a few percentage in the Netherlands, United Kingdom, Spain, Cyprus and Slovenia. The highest GDP per capita growth was observed in Poland (ca. 25%), Romania and Lithuania (ca. 15%), as well as in Germany, ca. 12%. The question

is whether these changes in entrepreneurship development in the countries surveyed were accompanied by increased funding for SMEs?

The Structural and Performance Changes of Small and Medium-Sized Enterprises


Overall, SMEs accounted for 66.5% of all European jobs in 2012 and for over €3.4 trillion value added at current prices against a total value added produced by private, nonfinancial sectors of approximately €5.9 trillion. Quantitative changes in the SME sector are graphically presented in fig.1 and fig.2. based on typology of enterprises according to the number of enterprises, the number of employed persons.

Fig.1. The number of enterprises in SME for years 2008-2012 (in thousands).



Source: own compilation.

Fig. 2. Number of persons employed in SME for years 2008-2012 (in thousands).




Source: own compilation.

Changes that occurred in the entire SME sector can be defined as minor. The number of micro enterprises increased by 0.3 p.p., while small companies by 0.25 p.p. and medium-sized by 0.05 p.p. In turn, analysis of the changes in employment showed that during the study period the number of persons employed in the SME sector decreased by 1.5 million persons (1.3% of the total employees). The largest drop in employment (about 885.5 thou. persons) was recorded in the group of micro companies and the smallest drop (about 75.5 thou. persons) in small-sized companies.


A detailed analysis of individual countries revealed significant changes (fig.3 and fig.4). Indicators of the dynamics of change (growth rates) have been calculated for the years 2008-2012, including the number of enterprises and persons employed.

Fig.3. Structural changes in SME in 2008-2012 by EU countries.



Source: own compilation.

Fig.4. Structural changes of Value Added of SME in 2008-2012 by EU countries.



Source: own compilation.

Analysis of changes within individual countries reveals that in 50% of them (14 countries) there has been an increase in the number of enterprises, and only in 25% an 80

increase in employment and Value Added growth. The largest business growth was experienced by Germany, with over 17% increase in the number of enterprises and employment. Such countries as France, Malta and Belgium also show a satisfactory growth rate. In case of the Netherlands, an over 40% increase in the number of enterprises was accompanied by a slight decline in employment (-1.7%). The worst situation prevailed in the countries hardest hit by the crisis (Spain, Greece, Ireland and Portugal). Relatively high decline in employment (over 10%) has been reported also in Romania and in the Baltic States (Denmark, Estonia, Latvia and Lithuania). The largest increase in VA has been seen in Slovakia (66%), with only a minor increase in the number of companies (ca. 0.1%) and employment (about 0.07%).

To this end, statistically derived indicators and classification criteria have been adopted to estimate the level of changes in individual countries. Table 3. lists the criteria and classification symbols, and Table 4. presents the results of the examination of the classification of the countries surveyed.

Table 3. Classification ranges for dynamic indexes and their symbols.

Symbols	Interpretation	Number of enterprises	Number of persons employed	Value Added
	High growth	≥ 16,27%	≥4,77%	≥4,78%
	Average growth	<2,58%; 16,27%)	<-5,44%; 4,77%)	< -0,58%;4,78%)
	Moderate decrease	< -11,10%; 2,58%)	< -15,65%; -5,44%)	< -5,95%; -0,58%)
	Large decrease	< -11,10%	< -15,65%	< -5,95%

Source: own compilation.

On the basis of the above-given data it was found that only in case of 6 countries, an increase in the number of enterprises and employed persons was accompanied by increased Value Added (VA). Among the surveyed countries the highest business growth, along with increased economic efficiency, was observed in Malta. The worst situation in terms of VA dynamics prevailed in Croatia, Ireland and Spain. Employment growth does not always favor an increase in VA. Both phenomena show a parallel trend only in 7 countries. Despite the drop in the number of enterprises and persons employed, a high increase in VA recorded

Finland and Slovakia.

Table 4. The results of comparative analysis of the dynamics of changes in the SMEs

Growth rates of the number of enterprises	Symbols	Growth rates of the Value Added			
		X	Belgium, Germany	Netherlands	X
	Malta	Austria, Luxembourg, Sweden	Bulgaria, Czech Republic, Estonia, France, Latvia, Slovenia	X	
	Finland, Slovakia	Denmark, Hungary, Lithuania, United Kingdom	Cyprus, Italy, Poland	Croatia, Spain	
	X	Greece	Portugal, Romania	Ireland	
Growth rates of the number of persons employed		Malta	Germany	France	X
	X		Austria, Belgium, Luxembourg, Sweden, United Kingdom	Czech Republic, Netherlands, Poland	X
		Finland, Slovakia	Denmark, Hungary, Lithuania	Bulgaria, Estonia, Cyprus, Italy, Slovenia, Romania	Croatia
	X		Greece	Latvia, Portugal	Ireland, Spain

Source: own compilation.

Analysis of SME Access to Finance

Small and medium-sized enterprises represent over 99% of businesses in the EU, therefore it is crucial to support their growth and innovation. However, one of the most important issues facing SMEs is their difficulty in accessing finance. The European Commission works to improve the financing environment for small businesses in Europe. The EU financing programs are generally not provided as direct funding. Aid is channeled through local, regional or national authorities, or through financial intermediaries such as banks and venture capital organizations that provide funding through financial instruments².

The European Commission developed the SME *Access to Finance (SMAF) index* to monitor developments in SMEs' access to financial resources and to analyse differences between EU countries. The index is calculated using a baseline of EU 2007=100, and so it allows a comparison between countries and across time. The index is a weighted mean of two sub-indices: access to debt finance index (85% of the weighting) and access to equity finance index (15% of the weighting). *Debt finance sub-index* include the following

² http://ec.europa.eu/growth/tools-databases/crowdfunding-guide/index_en.htm

indexes: % of firms using bank loans, interest rates on loans up to 250 thousand €, interest rates for overdrafts, % of firms using bank overdraft, credit line or credit cards overdraft, rate of firms using leasing, hire purchase or factoring, rate of companies not applying for bank loan because of possible rejection, rate of firms “applied but did not get everything requested”, rejected loan applications and unacceptable loan offers, willingness of banks to provide a loan (rate of respondents who indicated a deterioration).

Whereas the *Equity finance sub-index* includes: total venture capital investment in thousands of € (% of GDP), number of venture capital beneficiary SMEs (scaled by GDP), total volumes invested by business angels in thousands of € (% of GDP), number of deals where business angels invested (% of GDP), % of firms feeling confident to talk about financing with equity investors/ venture capital firms³.

Table 5. The countries rankings by the SMAF indexes and difference of sub-indexes between 2012-2008

Country	Ranking in 2008	Ranking in 2012	Differences of sub-indexes between 2012 and 2008	
			Debt finance	Equite finance
Sweden	1	7	-1,47	-24,78
Germany	2	1	15,85	-8,25
France	3	3	13,69	-1,64
Austria	4	2	12,84	10,10
Finland	5	4	16,29	-15,86
Luxembourg	6	14	4,98	-29,08
Slovakia	7	15	1,04	-5,47
Cyprus	8	25	-12,60	1,73
United Kingdom	9	18	5,43	-18,71
Denmark	10	17	1,40	13,46
Belgium	11	12	7,29	-5,95
Malta	12	11	7,37	1,32
Netherlands	13	5	18,18	-3,30
Slovenia	14	8	11,29	7,12
Italy	15	21	-6,39	2,69
Czech Republic	16	13	14,61	-17,41
Poland	17	20	9,04	-11,46
Croatia	18	6	19,78	8,90
Ireland	19	16	9,06	23,34
Portugal	20	27	-6,26	-20,42
Estonia	21	19	7,52	13,87
Greece	22	28	-16,26	-5,43
Lithuania	23	10	19,06	25,03
Bulgaria	24	26	4,29	9,63
Romania	25	24	9,90	0,28
Latvia	26	9	29,41	11,42
Spain	27	22	16,55	-14,86
Hungary	28	23	17,78	14,51

3 http://ec.europa.eu/growth/tools-databases/smaf/index_en.htm

Source: own compilation.

The index is calculated using data from European Central Bank for debt; from European Venture Capital Association and European Business Angel Network for equity and from the EC and ECB's Survey on the Access to Finance of SMEs (SAFE) for both sub-indices. High values in the overall Index and its sub-indices indicate better performance of access to finance indicators relative to the EU level in 2007. The rankings according to the SMAF indexes contained in the Table 5. show differentiation of access to financial resources between UE countries in 2008 and 2012. However, differences in the value of the sub-indices indicate the causes of changes in ranking positions for each country.

In the ranking of SMAF recorded a decrease funding 12 countries, which however is not always due to the deterioration of debt financing and equity financing. The largest decrease in Cyprus with 17 items resulted mainly from drastic deterioration of debt financing and insignificant improvement of capital finance. A similar situation, though on a much smaller scale, was observed in Italy. In the United Kingdom as well as in Luxembourg, Slovakia, Belgium and Poland, the situation was just the opposite. Debt financing improved and significantly weakened enterprise capital funding. The least favorable financing conditions occurred in Greece, Portugal and Sweden, with diminished debt and equity financing.

Access to **debt finance** sub-index is comprised of indicators based on the take-up of different sources of debt finance, SME perceptions of loan finance and actual interest rates. The EU28 debt sub-index value has increased by 8 points since 2008. Across member states, 23 countries have seen their relative performance on this sub-index improve since 2008. Latvia represents the strongest performing country, whereas Greece, Cyprus, Italy, Portugal and Sweden have the least favorable environment for debt finance.

Access to **equity finance** sub-index is calculated with data from the European Venture Capital Association and the European Business Angel Network reflecting investment volumes and numbers of beneficiaries. Here Lithuania, Ireland, Estonia, Denmark, Hungary and Finland are the strongest performing countries, whereas Luxembourg, Portugal and Sweden have the least favorable equity finance environments. The EU28 sub-index value has decreased by 1 point since 2008. 13 countries have improved their relative performance in the equity finance sub-index between 2008 and 2012.

Trends and Directions of Changes in the EU Economy

The structure of sections in VA generation showed only a minor change (within the limits of one percent) in the study period. With respect to the structure of VA sections, its leaders come from C-Manufacturing and G-Wholesale and retail trade, which in the years 2008 and 2012 were ca. 20% of the share. Third position, with ca. 13%, was taken by M-Professional, scientific and technical activities. A similar situation occurs in the structure of employment. Three sections employ more than 50% of the total SME employees, including section G employing approximately 26% of the total employed in the SME, section C. 20% and section M. 10%. The smallest part - sections (B), (D) and (E). Three

sections (B, C and F) showed a significant drop in employment (up to around 10% in (B) and (C), (a) in section (F) up to 14%). The changes affected the reduction of the VA earned sections (Table 6).

Table 6. Structure of Value-added sections and Number of persons employed.


Section	Number of persons employed		Value Added	
	Year 2008	Year 2012	Year 2008	Year 2012
B	0,25%	0,23%	0,94%	0,89%
C	21,75%	20,11%	21,40%	20,54%
D	0,27%	0,29%	1,35%	1,60%
E	0,77%	0,87%	1,12%	1,35%
F	14,20%	12,39%	14,05%	11,27%
G	25,66%	26,32%	21,93%	22,39%
H	6,13%	6,15%	6,26%	6,25%
I	8,80%	9,56%	4,17%	4,55%
J	3,56%	3,81%	5,09%	5,65%
L	2,43%	2,58%	5,27%	5,93%
M	9,83%	10,49%	12,35%	12,94%
N	6,37%	7,19%	6,09%	6,63%

Source: own compilation

Employment structure may indicate industry specialization in the region. On both international and national scale, the largest employment is in sections G (Wholesale and retail trade; repair of motor vehicles and motorcycle) in 16 EU countries and in section C (Manufacturing), which dominates employment in 12 countries. Only three sections have noted a decline in VA in 2012 compared to 2008. The biggest adverse changes have occurred during the period in section F-Construction (approx. 2% decline in VA). The second section, with a large decrease in VA was in sector C. In section H (Transportation and storage) changes are almost unnoticeable, while in the other sections there has been an increase in VA which is evidence of their development (Fig. 7). Analysis of changes in VA according to section and broken down by size classes of enterprises showed that section F (Construction) experienced the largest decrease. In turn, the largest increase for micro-companies occurred in section L (Real estate activities), for small-sized companies in section J (Information and communication, ICT), and medium-sized in section N

(Administrative and support services).

Fig.7. Changes in the value of the VA by section (in mln euro).



Source: own compilation.

Analysis of changes in VA according to section and broken down by size classes of enterprises showed that section F (Construction) experienced the largest decrease. In turn, the largest increase for micro-companies occurred in section L (Real estate activities), for small-sized companies in section J (Information and communication, ICT), and medium-sized in section N (Administrative and support services). Table 8 shows the direction and dynamics of these changes for all analyzed countries (except Greece).

As evident from the Table above, the United Kingdom and Austria are the country's most stable economically. In turn, Slovenia showed relatively the most dynamic development in almost all economic sectors (with the exception of section (C)). The biggest decline in economic performance was observed in Hungary and Romania.

The highest dynamics of growth was reported in section H (104.4%, Slovenia), and the biggest decline in section B (-84%, the Netherlands). By analyzing the dynamics of changes in VA in the various sections, it was found that the most growing business was power engineering (section D) with increase in growth reported in 21 countries. Municipal economy (section E) and the ICT sector (section J) ranked second with an increase in 19 countries. The least developing sections were construction (section F, drop in 20 countries) and industrial processing (section C, decline in 17 countries).


The study's aim was to determine whether improved access to financing sources has a direct impact on the economic efficiency of enterprises SME. To this end, increases in VA were set against individual sub-indices of the SMAF index. It turned out that there is a direct ratio between improved access to various sources of funding and overall increase in

VA. By far industrial structure of an economy is of the greatest importance. A marked increase in the VA was reported in countries where industrial processing (for Slovenia, Germany it is about 33% of the total) and modern technologies (sections J and M, for a total of more than 20%) were dominant. In other cases, no obvious correspondence was found, but additional research would be needed to establish that firmly. The results obtained are presented graphically in Fig.8.

Table 8. The dynamics of changes in VA for UE28 by section (%)	XCountry	B	C	D	E	F	G	H	I	J	L	M	N
Austria		9,9	5,6	9,0	10,1	-1,8	11,3	4,1	8,3	11,7	18,9	8,8	9,6
Belgium		-0,2	-5,7	16,7	2,8	11,6	17,2	3,6	7,0	6,6	89,3	32,0	27,0
Bulgaria		91,5	11,8	70,1	7,7	-47,8	-6,0	10,9	10,5	11,9	-23,4	1,6	32,1
Croatia		44,3	-24,9	21,4	-34,1	-54,0	-33,1	-28,2	0,1	-7,5	37,6	-17,1	-21,1
Cyprus		-26,0	-18,2	47,8	56,7	-54,9	-6,9	3,9	3,5	5,3	-31,4	21,2	3,5
Czech Republic		-21,1	-0,6	0,3	-1,5	-22,2	-2,8	-8,5	-5,5	-5,0	15,7	-9,0	-8,5
Denmark		-19,3	-4,3	9,0	73,2	-23,6	-0,4	-10,8	-1,0	1,8	57,2	5,4	34,3
Estonia		26,1	9,2	78,9	7,1	-3,6	1,2	24,0	17,3	9,3	37,8	5,6	27,9
Finland		28,4	-23,5	6,7	29,3	6,3	2,3	-1,9	10,5	8,1	19,6	12,3	18,5
France		0,2	-4,7	-1,0	22,3	-0,2	4,9	2,5	18,9	4,1	24,0	11,4	5,6
Germany		-6,4	9,5	-5,5	18,1	21,0	25,8	1,7	35,0	7,3	-0,6	11,5	13,8
Hungary		-3,9	-21,6		28,8	-34,9	-40,5	-26,4	-20,2	-46,4	15,3	-49,1	-19,3
Ireland		-17,5	-6,0	-8,9	-4,8	-30,4	-22,1	2,4	-15,3	4,1	-9,2	-0,8	2,5
Italy		-18,2	7,4	19,2	-7,3	-49,2	-7,5	-0,4	-16,1	28,0	4,7	-19,6	-12,4
Latvia		11,8	-7,7	56,4	40,3	-30,0	9,6	10,3	5,0	-4,2	19,7	-8,2	13,9
Lithuania		34,6	-1,2	22,3	-8,7	-36,0	-12,2	5,0	-20,0	-2,6	-9,4	-23,3	-15,9
Luxembourg		-5,3	14,9	8,3	11,2	-56,8	-0,3	20,6	-1,3	10,0	-0,3	-7,1	-14,3
Malta		4,7	-55,9	9,0	29,2	3,8	64,6	-0,9	14,7	14,9	12,0	0,2	-15,4
Netherlands		-84,0	-2,4	-77,1	-74,4	13,9	4,7	16,1	15,2	13,0	-10,6	36,8	31,0
Poland		17,5	2,1	34,4	9,1	-15,8	6,6	-0,4	13,3	4,4	12,4	0,5	-2,0
Portugal		11,8	-1,7	26,0	16,4	-11,9	-12,2	7,2	3,9	1,5	15,7	8,4	12,1
Romania		-17,8	-15,4	21,1	13,3	-45,0	-21,0	-9,4	-25,5	-10,3	-41,6	-12,8	-11,4
Slovakia		-14,1	-14,7	6,3	-0,4	-36,7	-27,9	-1,4	-24,4	-2,0	-36,8	-13,0	19,0
Slovenia		0,9	36,7	-4,8	10,0	54,3	61,9	104,4	80,8	22,2	93,5	79,3	58,5
Spain		-18,4	-9,0	14,2	-4,1	-39,5	-19,4	3,8	-7,6	2,9	-36,9	-8,2	4,4
Sweden		-27,4	-25,3	37,8	19,2	-57,1	-16,5	-3,8	-5,9	-7,8	-5,5	-13,1	-11,1
United Kingdom		59,9	4,9	15,1	34,8	22,0	22,1	7,8	32,8	21,1	19,1	25,2	26,9

Source: own compilation.

Fig.8. Growth rates of VA and changes of sub-indexes of the SMAF index.



Source: own preparation.

Conclusions

Country’s economic situation has some impact on the access of SME companies to various sources of financing, especially in case of debt financing. Hence the biggest business development has been reported in such countries as: Luxembourg, Netherlands, Germany, France, Austria. However, such situation does not necessarily mean that access to financial sources for the development of the SME sector is easy.

The dynamics of structural change in the SME sector shows that increase in the number of enterprises is not always accompanied by improved productivity and increased employment (Estonia, Latvia, Netherlands).

It can be safely concluded that a country’s higher economic development (measured by selected diagnostic variables) does not translate into higher SME financing (captured by the SMAF index). Apart from economic development, certain legal and administrative

regulations fostering the growth of the SME sector must be put in place.

Reference:

1. A recovery on the horizon. Annual Report on European SMEs 2012/2013 (2013).
2. Key figures on European business with a special feature on SMEs (2011), Eurostat European Commission Luxembourg: Publications Office of the European Union.
3. Saisana M. (2012) Monitoring SMEs' performance in Europe Indicators fit for purpose, JRC Scientific and Policy Reports. Report EUR 25577 EN Statistical Office of the European Communities.
4. <http://ec.europa.eu/eurostat/web/structural-business-statistics/structural-business-statistics/sme>
5. http://ec.europa.eu/growth/tools-databases/crowdfunding-guide/index_en.htm
6. http://ec.europa.eu/growth/tools-databases/smaf/index_en.htm

ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სტრუქტურული ცვლილებებისა და ფინანსური ხელშესაწყობის ანალიზი

ბრაჟინა კარმოვსკა

მიროსლავა მარჩინიაკი

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს (SMEs) ხშირად მოიხსენიებენ როგორც ევროპული ეკონომიკის ხერხემალს, რაც წარმოადგენს სამუშაო ადგილების და ეკონომიკური ზრდის პოტენციურ წყაროს. მცირე და საშუალო ზომის საწარმოები განისაზღვრება ევროკომისიის მიერ, რომლის მიხედვით მათში დასაქმებული უნდა იყოს 250-მდე ადამიანი. მათ აგრეთვე უნდა ჰქონდეთ წლიური ბრუნვა 50 მლნ ევრომდე ან მთლიანი ბალანსი არაუმეტეს 43 მლნ ევრო (ევროკომისიის 2003 წლის 6 მაისის რეკომენდაცია). ეს განმარტებები მნიშვნელოვანია, როდესაც ხდება შეფასება, თუ რომელ საწარმოს შეუძლია ისარგებლოს ევროკავშირის დაფინანსების პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ხელშეწყობას, აგრეთვე საწარმოთა კონკრეტული საკონკურსო წესების შემოღების პოლიტიკის შემუშავებას.

წლიური სტრუქტურული ბიზნესსტატისტიკა ზომათა კლასის მიხედვით წარმოადგენს ძირითად წყაროს მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის ანალიზისათვის. სტანდარტული სტრუქტურული ბიზნესსტატისტიკის ცვლადების მცირე ჯგუფი (საწარმოთა რაოდენობა, დასაქმებულ პირთა რაოდენობა, დამატებული ღირებულება, და ა.შ.) ხელშესაწყობია უმეტესად საქმიანობის კლასიფიკაცი-

ის 3-ციფრიან (ჯგუფი) დონემდე და იგი ემყარება იმ კრიტერიუმებს, რომელიც დაკავშირებულია თითოეულ საწარმოში დასაქმებულ პირთა რაოდენობასთან. ხელმისაწვდომი ზომათა კლასების რაოდენობა ცვალებადობს საქმიანობის სახეობის მიხედვით.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ავტორთა გამოკვლევაში ევროკავშირის ქვეყნების შესახებ არის კვლევითი ობიექტის განსაზღვრა და რეგიონული განვითარების ფაქტორების ზუსტი შერჩევა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ცვლადები შემდგომი ანალიზისათვის. კვლევითი მასალა მოიცავს Eurostat-ის მონაცემებს და ანგარიშებს. ნაშრომში განხილულია კვლევითი პრობლემა: შეესაბამება თუ არა სინამდვილეს, რომ რაც უფრო უკეთესია ქვეყნის ეკონომიკური პირობები, მით უფრო მაღალია მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსება? ნიშნავს თუ არა ეს აგრეთვე ბიზნისის განვითარებისთვის დაფინანსების წყაროსთან უფრო ადვილ ხელმისაწვდომობას, გაზრდილ ეკონომიკურ ეფექტიანობას და გაუმჯობესებულ შრომის ბაზარს?

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფასებისათვის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი არის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ). მშპ მოსახლეობის ერთ სულზე გამოიყენება აგრეთვე ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების შესადარებლად და კონვენციის პროცესის შესაფასებლად. 2008-2012 წლებში ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა ნაჩვენებია მშპ-ის მაჩვენებლებით. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა ლუქსემბურგს, რომელიც 5-ჯერ აღემატება ბულგარეთის და რუმინეთის ანალოგიურ მაჩვენებლებს, რაც ყველაზე დაბალი იყო ევროკავშირის ქვეყნებში. 2012 წელს, 2008 წელთან შედარებით, მშპ მოსახლეობის ერთ სულზე შემცირდა მხოლოდ 6 ქვეყანაში. ყველაზე დიდი შემცირება აღინიშნა საბერძნეთში (17%), მცირე შემცირება აღინიშნა ნიდერლანდებში, გაერთიანებულ სამეფოში, ესპანეთში, კვიპროსსა და სლოვენიაში. მშპ-ის ყველაზე დიდი ზრდა აღინიშნა პოლონეთში (25%), რუმინეთსა და ლიტვაში (15%), გერმანიაში (12%).

ცვლილებები, რომლებიც მოხდა მთლიანად მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში, შეიძლება განისაზღვროს როგორც უმნიშვნელო. მიკრო საწარმოების რაოდენობა გაიზარდა 0.3%-ით, მცირე ზომის კომპანიები – 0.25%-ით და საშუალო ზომის საწარმოები – 0.05%-ით. ცვლილებების ანალიზმა დასაქმებაში აჩვენა, რომ საკვლევი პერიოდის განმავლობაში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 1.5 მლნ ადამიანით (1.3% მთლიანი დასაქმებული რაოდენობის). დასაქმებაში ყველაზე უდიდესი შემცირება (885.5 ათასი ადამიანი) აღინიშნა მიკრო საწარმოების ჯგუფში და ყველაზე ნაკლები (75.5 ათასი ადამიანი) შემცირება მოხდა მცირე ზომის საწარმოებში. ცალკეული ქვეყნების დეტალურმა ანალიზმა აჩვენა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მაჩვენებლების დინამიკა გაანგარიშებულია 2008-2012 წლებისთვის და იგი მოიცავს საწარმოების და მათში დასაქმებულთა რაოდენობას.

ცალკეულ ქვეყნებში ცვლილებათა ანალიზმა აჩვენა, რომ ქვეყნების 50%-ს (14 ქვეყანა) ჰქონდა საწარმოთა რაოდენობის ზრდა, და მხოლოდ 25%-ს ჰქონდა ზრდა დასაქმებაში და დამატებითი ღირებულების ზრდა. ბიზნესის უდიდესი ზრდა აღინიშნა გერმანიაში, საწარმოების რაოდენობის და დასაქმების ზრდამ შეადგინა 17%-ზე მეტი საფრანგეთში, მალტასა და ბელგიაში. ნიდერლანდების შემთხვევაში, საწარმოთა რაოდენობის 40%-ზე მეტ ზრდას თან ახლდა დასაქმების შემცირება (-1.7%). ყველაზე ცუდი მდგომარეობა ჰქონდათ იმ ქვეყნებს, რომლებიც მოიცვა კრიზისმა (ესპანეთი, საბერძნეთი, ირლანდია და პორტუგალია). დასაქმების შემცირების შედარებით დიდი მაჩვენებელი (10%-ზე მეტი) აღინიშნა რუმინეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში (დანია, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა). უდიდესი ზრდა დამატებული ღირებულების იყო სლოვაკეთში (66%), სადაც საწარმოების რაოდენობა გაიზარდა უმნიშვნელოდ (0.1%) და დასაქმება (დაახლოებით 0.07%).

გემოთ მოცემული მონაცემების საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ მხოლოდ 6 ქვეყანაში საწარმოების რაოდენობის და დასაქმებული პირების ზრდას თან ახლდა დამატებული ღირებულების ზრდა. გამოკვლევულ ქვეყნებს შორის ბიზნესის უდიდესი ზრდა, გაზრდილ ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად, აღინიშნა მალტაში. ყველაზე ცუდი სიტუაცია, დამატებული ღირებულების თვალსაზრისით, იყო ხორვატიაში, ირლანდიასა და ესპანეთში. დასაქმების ზრდა ყოველთვის ხელს არ უწყობს დამატებული ღირებულების ზრდას. საწარმოების და დასაქმებულ პირთა რაოდენობის შემცირების მიუხედავად, დამატებული ღირებულების უდიდესი ზრდა აღინიშნა ფინეთსა და სლოვაკეთში.

ევროკავშირში მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე მოდის ბიზნესის 99%, მაშასადამე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი ზრდისა და ინოვაციების მხარდაჭერას. თუმცა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და რთული საკითხი, რომლის წინაშე დგანან მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, არის მათი მისწვდომობა ფინანსებისადმი. ევროპული კომისია მუშაობს ევროპაში მცირე ბიზნესისათვის ფინანსური გარემოს გასაუმჯობესებლად. ევროკავშირის ფინანსური პროგრამები უმთავრესად არ უზრუნველყოფს პირდაპირ დაფინანსებას. დახმარებები ხორციელდება ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული ხელისუფლებების მეშვეობით ან საფინანსო შუამავლების საშუალებით, როგორცაა ბანკები და ვენჩურული კაპიტალის ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაფინანსებას ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით.

შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ქვეყნის მაღალი ეკონომიკური განვითარება არ ნიშნავს მცირე და საშუალო საწარმოების უფრო მაღალ დაფინანსებას. ეკონომიკური განვითარების გარდა, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სექტორის განვითარებას ხელს უწყობს გარკვეული სახის იურიდიული და ადმინისტრაციული რეგულაციები.

მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა
MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

**მოთხოვნა ქართულ ღვინოზე და მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის
კონკურენტული უპირატესობის ფაქტორების შეფასება**

ეთერ ხარაიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის პროფესორი
eter.kharaishvili@tsu.ge*

მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის კონკურენტული უპირატესობების საფუძველზე სტატიაში შეფასებულია ქართულ ღვინოზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია. სექტორის განვითარებასა და ქართული ღვინის მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორები გაანალიზებულია ქართველ და უცხოელ მკვლევართა მოსაზრებების მიხედვით, ასევე, ღვინის კვლევითი ინსტიტუტებისა და ასოციაციების კვლევებზე დაყრდნობით. გაკეთებულია დასკვნა, რომ მევენახეობა-მეღვინეობას საქართველოში გააჩნია კონკურენტული უპირატესობა.

ქართულ ღვინოზე ზრდადი მოთხოვნა გამოვლენილია მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ტენდენციებისა და მიმართულებების შესაბამისად ორი თვალსაზრისით: 1. მოთხოვნის ზრდა დაბალფასიან ღვინოებზე; 2. მოთხოვნის ზრდა მაღალხარისხიან, ძვირადღირებულ ღვინოებზე.

შესწავლილია ღვინის მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორები: ღვინის სამომხმარებლო ბაზარი, მოთხოვნა ქართულ ღვინოზე, ყურძენზე, ღვინის ტურიზმზე, ასევე, გაყიდვების არხები და სხვა. შეფასებულია ღვინის ინდუსტრიის კონკურენტული უპირატესობის ხუთი ფაქტორი: ადგილობრივი ბაზრის პოზიცია, ღვინის ბაზრის ზრდის პოტენციალი, მასშტაბის ეკონომია (დანახარჯი/სარგებლის ანალიზი), ღვინის ტურიზმის ინდუსტრიის ცვლილებებისადმი ადაპტაცია, უცხოური ინვესტორების მოზიდვის პოტენციალი.

ღვინის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა გაანალიზებულია ტრადიციული და ახალი ღვინის მწარმოებელი ქვეყნების მიხედვით. ღვინის მოთხოვნაზე მოქმედი ხუთი კონკურენტული ფაქტორის მიხედვით გაკეთებულია დასკვნები ღვინის ტრადიციულ და პერსპექტიულ ბაზ-

რებზე საქართველოს პოზიციების შესახებ და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: მოთხოვნა ქართულ ღვინოზე; ღვინის ბაზარი; მევენახეობა-მეღვინეობა; კონკურენტული უპირატესობა; კონკურენტული უპირატესობის ფაქტორები.

საქართველოს სოფლის მოსახლეობა თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად დღესაც აქტიურად ეძებს შემოსავლისა და დასაქმების ახალ გზებს. მათთვის უმჯობესია საქმიანობის ისეთი სფეროს მოძებნა, რომელიც ტრადიციულია, შეესაბამება მათ კულტურულ-ფსიქოლოგიურ გარემოს, ხასიათდება შედარებით ნაკლები დანახარჯებით და მოგების მაღალი მარჟით. საქართველოსთვის ასეთი დარგია მევენახეობა-მეღვინეობა, რომლის დივერსიფიკაციის პროცესით შესაძლებელია ადგილობრივი ეკონომიკის დაბალანსებული განვითარება, ბიზნესის კეთების შესაძლებლობების, სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების შექმნით შესაბამისი მულტიპლიკატორის ეფექტის გამოწვევა.

ქართულ ღვინოსა და ღვინის პროდუქტებზე მოთხოვნა ზრდადია როგორც შიგა, ასევე, საერთაშორისო ბაზრებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შევათვასოთ ამ პროდუქტებზე მოთხოვნის პოტენციური და გამოვავლინოთ ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის კონკურენტულ უპირატესობებს.

კვლევის მიზანია მევენახეობა-მეღვინეობის კონკურენტული უპირატესობის ფაქტორების გამოვლენით ქართულ ღვინოზე მოთხოვნის ზრდის პოტენციულის შეფასება და დარგის განვითარების რეკომენდაციების შემუშავება.

საქართველოსთვის მევენახეობა-მეღვინეობა არა მარტო ტრადიციული, არამედ სტრატეგიული მნიშვნელობისაც არის. მასში ჩართულია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი. შესაბამისად, სექტორის კონკურენტულ უპირატესობებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენით შესაძლებელია ქართულ ღვინოზე მოთხოვნის ზრდის სტიმულირება, რაც, თავის მხრივ, დადებით როლს შეასრულებს ეკონომიკურ ზრდაში და უზრუნველყოფს ყველაზე მონყვლადი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებასა და ღვინის მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორების შეფასებათა ანალიზი

მევენახეობა-მეღვინეობის სხვადასხვა პრობლემაზე გამოკვლევები ჩატარებულია ქართველი და უცხოელი უცხოელი მკვლევარების მიერ.

ქართველ მეცნიერთა მიერ შესწავლილია მევენახეობის გავრცელების არეალის, ვაზის ჯიშების, ვენახის ფართობების საკუთრებისა და ფლობის თავისე-

ბურებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ არსებული პრობლემები [1, გვ. 359]. ასევე, განალიზებულია ყურძნის გადამუშავების, ღვინის დაყენების, ქვევრის ღვინისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები [2; 3]. გამოკვლეულია ღვინის ბაზრის მახასიათებლები, შეფასებულია ქართული ღვინის მიწოდებაზე მოქმედი ფაქტორები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ადგილობრივი ბაზრის გაფართოებისა და ქართული ღვინის ექსპორტის პრობლემებზე [4; 5; 6].

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით კახეთის რეგიონში. ამ რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობისა და ღვინის ბაზრის განვითარების პრობლემებზე, ღვინის საწარმოებზე ბაზრისა და საექსპორტო პოტენციალზე ჩატარებული გამოკვლევებით შეფასებულია ამ დარგის როლი საქართველოს ეკონომიკაში, შემუშავებულია სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა სრულყოფის მიმართულებები [7].

ქართული ღვინის ბაზრის შეფასება ვრცლად არის განხილული ასოციაცია ქართული ღვინის მიერ ჩატარებულ კვლევაში „საექსპორტო ბაზრების განვითარების სამოქმედო გეგმა“, სადაც პრიორიტეტული ბაზრების მოთხოვნის ანალიზი გაკეთებულია საექსპორტო ბაზრების შერჩევის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. შემოთავაზებულია წინააღმდეგობების გადაჭრისა და საექსპორტო ბაზრების განვითარების სამოქმედო გეგმა [8].

მნიშვნელოვანია უცხოელ მეცნიერთა შეფასებები საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პრობლემებზე. ქართული ღვინის კომპანიებში ჩატარებული კვლევით გამოვლენილია ბაზრები, რომელთაც კერძო სექტორი პრიორიტეტულად თვლის და მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ სექტორში ინვესტიციების განხორციელებას. ეს პრიორიტეტული ბაზრებია: ამერიკის შეერთებული შტატები; ჩინეთი; დიდი ბრიტანეთი; გერმანია; პოლონეთი; უკრაინა [8]. პ. მაკგოვერნის მიერ ჩატარებული კვლევით კი გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს გავლენა კაცობრიობის ცივილიზაციაზე ძალზე მნიშვნელოვანი და მასშტაბურია. ამ ქვეყანას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „მეღვინეობის აკვანი“ [9].

კონკურენტულ უპირატესობებსა და აშშ-ის ღვინის ბაზარზე საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის პოზიციების მოპოვება/გაფართოების შესახებ მ. კოხრეიძის კვლევით დადასტურებულია, რომ აშშ-ის მოსახლეობის დაინტერესება დიდია ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური ქართული ღვინით. მთავარ კონკურენტულ უპირატესობად მიჩნეულია ფასები და მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე გათვლილი პროდუქტის დიფერენცირება [10].

ქართულ ღვინოზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია შეფასებულია კვლევაში - „ქართული ღვინის ბაზარი საერთაშორისო ვაჭრობაში“ [11], სადაც ძირითადი აქცენტები გაკეთებულია ქართული ღვინის წარმოების ტრადიციულ და თანამედროვე ევროპულ მეთოდებზე. ამასთან, ტრადიციული მეთოდი მკვლევარის მიერ შეფასებულია როგორც ხელოვნების ნიმუში. საქართველოს ბუნებრივი ხელსაყრელი გარემოს საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ქვეყანაში შე-

საძლებელია მაღალხარისხიანი ყურძნის მოყვანა, შესაბამისად მაღალხარისხიანი ღვინის წარმოება და ექსპორტის ზრდა.

საქართველოში ღვინის წარმოების პოტენციალი და ექსპორტის დივერსიფიკაცია განხილულია კ. ანდერსონის კვლევებშიც [12]. ავტორის მიერ დასაბუთებულია ქართული ღვინის შეფარდებითი და კონკურენტული უპირატესობები. შეფარდებით უპირატესობებში განხილულია: ტრადიციები, ტექნოლოგიები, კლიმატური, ტოპოგრაფიული და გეოლოგიური პირობები. მონაცემთა ანალიზზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნა, რომ ქართულ ღვინოს ფასის მიხედვით ექნება კონკურენტული უპირატესობა საერთაშორისო ბაზარზე.

მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყნებში ადგილისა და ტერიტორიის იდეა ასოცირებულია ღვინოსთან, ასევე, დაკავშირებულია კულტურული და რეგიონული იდენტობის ცნებებთან. ეს დარგი სოფლის მეურნეობის ყველაზე ძვირი ინდუსტრიაა და მისი განვითარება მოქმედებს კულტურული ლანდშაფტების განვითარებასა და რეგიონის ტრადიციებზე [13, გვ. 3-4].

ქართულ ღვინოზე მოთხოვნის ანალიზი ფოკუს-ჯგუფებზე დაკვირვებით, ასევე, გაყიდვები, შესწავლილია ავტორთა ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევით, სადაც მთავარი აქცენტები გაკეთებულია მომხმარებლის ქცევაზე, კერძოდ ახსნილია ქართულ ღვინოზე გერმანელი მომხმარებლის ქცევის მახასიათებლები [14]. მაღალხარისხიან ქართულ ღვინოში მომხმარებელი მზად არის გადაიხადოს მაღალი ფასი, თუმცა, მოსახლეობის ნაწილის მხრიდან მოთხოვნა არსებობს დაბალფასიან ღვინოზედაც. ზოგადად, გერმანელ მომხმარებელზე გავლენას ახდენს პროდუქტის ინდივიდუალური მახასიათებლები და ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ტრადიციულ-კულტურული მახასიათებლები დეფიციტი ხდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულ ღვინოზე დაბალი ფასი გერმანელი მომხმარებლისთვის ასოცირდება დაბალხარისხიან პროდუქტთან, რაც ხშირად იწვევს თვით ბრენდის დამახინჯებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მკვლევარების რეკომენდაციით ამ ბაზარზე ქართულმა ღვინომ ადგილი ძირითადად მაღალხარისხიანი ღვინით უნდა დაიმკვიდროს.

ღვინის წარმოების შესაძლებლობები გამოკვლეულია გლობალიზაციის პროცესების შესაბამისად და ახსნილია ღვინის მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორები. ამ მხრივ არსებულ გამოწვევებზე მკვლევარების მიერ გაანალიზებულია ღვინის უმსხვილესი ბაზრები [15]. კვლევით დადასტურებულია, რომ ღვინის წარმოება ზრდადია იმ ქვეყნებში, სადაც ამ პროდუქტის წარმოების ტრადიციები არსებობს. განსაკუთრებული აქცენტი კვლავ საფასო კონკურენტულ უპირატესობაზეა გამახვილებული. ღვინოზე მოთხოვნის ახალი შესაძლებლობების ანალიზის გზით გაკეთებულია დასკვნა, რომ ზოგადად ალკოჰოლურ ბაზარზე ღვინის წილი კლებადია, თუმცა, იზრდება მოთხოვნა არატრადიციულად დამზადებულ ევროპულ ღვინოებზე. ღვინის ბაზარი მუდმივად არის დამოკიდებული მომხმარებლის გემოვნებისა და უპირატესობების ცვლილებებზე. ამ თავისებუ-

რების გათვალისწინებით საჭიროა შემუშავდეს ღვინის წარმოებაში ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგიები.

დღეს განსაკუთრებით აქტუალური ხდება ღვინის გლობალური ბაზრის მიმოხილვა. ამ თვალსაზრისით ჩატარებულია კვლევები ღვინის წარმოების, მასზე მოთხოვნისა და ვაჭრობის შესახებ [16; 17; 18]. ღვინის ბაზრის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ის კვლევებიც, სადაც გლობალური ემპირიული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაანალიზებულია ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ვაჭრის ჯიშობრივი შემადგენლობა და ღვინის ინდუსტრიის განვითარების ციკლები, დასაბუთებულია ამ ინდუსტრიის მოსალოდნელი ზრდის შესაძლებლობები [19; 20; 21].

გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ აქტუალური გახდა გაცვლითი კურსების ცვლილების გავლენის შესწავლა ბაზრებსა და საერთაშორისო ვაჭრობაზე. გაცვლითი კურსების ცვლილებამ ღვინის ბაზარზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა 2007-2011 წლებში. გაცვლითი კურსების ცვლილებით გამოწვეული მწარმოებელთა კონკურენტუნარიანობა გამოკვლეულია მოდელის საშუალებით და გაკეთებულია დასკვნა, რომ ზოგიერთი მწარმოებლის კონკურენტუნარიანობა გაიზარდა გაცვლითი კურსების ცვლილებით, თუმცა, უმეტესი მათგანისა, შემცირდა. მოდელის შედეგების ანალიზით ნაჩვენებია, რომ გაცვლითი კურსების ცვლილება გავლენას ახდენს კონკურენტუნარიანობაზე და მწარმოებლებს ამ პროცესებით შეუძლიათ სარგებლის მიღება გაცვლითი კურსების ჰეჯირების გზით [22].

მევენახეობა-მეღვინეობის კონკურენტული უპირატესობები, ასევე, გამოკვლეულია საფასო ფაქტორებისა და საფასო ელასტიკურობის გავლენით [23; 24; 25; 26; 27; 28; 29]. ღვინის ინდუსტრიის განვითარებაზე მცირე ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია გადასახადებზე, შესწავლილია მისი გავლენა მოთხოვნასა და ვაჭრობის დივერსიფიკაციაზე, მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

ღვინოზე მოთხოვნას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორცაა სამომხმარებლო ბაზარი, ღვინის ტურიზმზე მოთხოვნის ზრდა, გაყიდვების არხები და სხვა. აღნიშნული ფაქტორებით ღვინის სამომხმარებლო ბაზარი და მისი განვითარების პერსპექტივები შეფასებულია შვიდ ქვეყანაში: ჩინეთი, იაპონია, რუსეთი, აშშ, დანია, გერმანია და დიდი ბრიტანეთი (30, გვ. 22-24). ამ ქვეყნებში შემდეგი ზოგადი ტენდენციებია გამოკვეთილი: მომხმარებლებს აქვთ საკმარისი ინფორმაცია ღვინოსა და ღვინის ტურიზმზე; იზრდება ღვინის მოხმარება ახალგაზრდა თაობაში; ფართო მასებისთვის ღვინის პროდუქტი ხელმისაწვდომია; ცხოვრების სტილის განვითარება (უკეთესი ცოდნა, ღვინის დაგემოვნება საჭმელთან ერთად და სხვა) პოზიტიურ გავლენას ახდენს ღვინის მოხმარების ზრდაზე; ბაზარზე შეღწევალობა მარტივია გეოგრაფიული თვალსაზრისით; იზრდება მოსახლეობის ერთ სულზე ღვინის მოხმარება; იზრდება დაბალხარისხიანიდან მაღალ ხარისხიან ღვინოზე მოთხოვნა.

ღვინის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა მეცნიერთა მიერ შესწავლილია ტრადიციული (იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია) და ახალი (აშშ,

ავსტრალია, ჩილე, არგენტინა, სამხრეთ აფრიკა) ღვინის მწარმოებელი ქვეყნების მიხედვით [31; 32].

ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციის შესაძლებლობების გამოსავლენად აუცილებელია სექტორის სტრატეგიული განვითარების მიმართულებების განსაზღვრა. აღნიშნული პრობლემის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია მ. პორტერის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია [33; 34; 35; 36]. საერთაშორისო ბაზრებზე პროდუქტის, მათ შორის ღვინის პროდუქტის შეღწევის სტრატეგიას მცენიერები მ. პორტერის კონკურენციის ხუთი ფაქტორის მიხედვით აფასებენ, კერძოდ, ღვინის ბაზარზე გაანალიზებას მოითხოვს: კონკურენციის დონე, მყიდველებისა და, მომწოდებლების ძალაუფლება, ბაზრის ახალი მონაწილეები და შემცვლელი პროდუქტები. სწორედ ეს ძალები განსაზღვრავს ღვინის ინდუსტრიას და აყალიბებს კონკურენციის თავისებურებებს.

ღვინის ეკონომიკის პრობლემებზე კვლევა მნიშვნელოვანი გახდა როგორც მკვლევარების, ასევე, კვლევითი ინსტიტუტებისა და ასოციაციებისთვის. ღვინის ბაზრის ტრენდებისა და მსოფლიო ღვინის ახალი რუკების შედგენის პრობლემები გამოკვლეულია მ. ვესეტის ნაშრომებში [37]. ღვინის ბაზრის შესახებ აქტუალურ პრობლემებს სწავლობს ღვინის ეკონომისტთა ამერიკის ასოციაცია [38]. სპეციალიზებულ სამეცნიერო ჟურნალებში ღვინის ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხზე მრავალი სამეცნიერო სტატიაა გამოქვეყნებული [39; 40].

ჩატარებული კვლევებით გამოვლენილია სხვადასხვა ქვეყანაში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიმართულებები და პერსპექტივები, მისი როლი ეკონომიკურ ზრდაში, თუმცა, კონკურენტული გარემო ახალი გამოწვევებისა და მოთხოვნების წინაშე აყენებს ამ ინდუსტრიას. ქართული ღვინის კონკურენტული უპირატესობის ფაქტორების გამოვლენა შესაძლებელს გახდის ახალ და ტრადიციულ ბაზრებზე პოზიციების მოპოვებასა და გაფართოებას. ამასთან, მევენახეობა-მეღვინეობის ინდუსტრიის განვითარება არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების ერთადერთი საშუალება ვერ იქნება, მაგრამ, მას გადამწყვეტი როლის შესარულება შეუძლია სოფლად მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და სოფლის თვითმყოფადობის შენარჩუნებაში, ქვეყნის რეგიონულ განვითარებაში, ასევე, საქართველოს უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაში.

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიმართულებები და ზრდადი მოთხოვნის ტენდენცია ქართულ ღვინოზე

საქართველოში მევენახეობის პროდუქცია ოთხი ძირითადი მიმართულებით გამოიყენება:

- სხვადასხვა ტიპის ღვინის, კონიაკისა და შამპანურის წარმოება;
- სუფრის ყურძნის წარმოება;
- საქიმშივე ყურძნის წარმოება;
- საკონსერვო ნედლეულის - ყურძნის წვენის, ბადავის, კომპოტის, მურაბის, მარინადისა და სხვა უალკოჰოლო პროდუქტების წარმოება.

დასახელებული მიმართულებებიდან ღვინის წარმოება უმთავრესია. ამასთან, ღვინო არის ყველაზე ექსპორტირებადი პროდუქტი აგროსასურსათო პროდუქტებიდან.

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ღვინოზე მოთხოვნის ზრდა. ღვინოზე მოთხოვნის ზრდა ორი მიმართულებით უნდა განვიხილოთ: 1. მოთხოვნის ზრდა დაბალფასიან ღვინოებზე; 2. მოთხოვნის ზრდა მაღალხარისხიან, ძვირადღირებულ ღვინოებზე. კვლევებით დადასტურებულია, რომ ქვეყნების უმეტესობაში მომხმარებლები ძირითადად უპირატესობას თავიანთ ქვეყანაში წარმოებულ მაღალხარისხიან ღვინოს ანიჭებენ, თუმცა, ღვინის ტურიზმში ჩართული მომხმარებლები გასასინჯად საშუალო ან დაბალხარისხიან ღვინოებსაც იყენებენ.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის, ასევე, ღვინის ტურიზმის განვითარებისათვის, აუცილებელია გაყიდვების არხების გაფართოება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. მომხმარებლები, მათ შორის ღვინის ტურისტები, ხშირად სარგებლობენ ინტერნეტ-ყიდვებითაც. ამ ჯგუფის მომხმარებელი საკმაოდ მრავალრიცხოვანია, თუმცა, ღვინის გაყიდვის ეს სახეობა საქართველოში ნაკლებად არის განვითარებული და აუცილებელია გაყიდვების ამ არხის გაფართოება.

ქართული ღვინის ექსპორტ-იმპორტის დინამიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ექსპორტის მოცულობა, ასევე, საერთაშორისო ბაზრებზე ღვინის გაყიდვებით მიღებული შემოსავლები ზრდადია. 2015 წელს ყურძნის ნატურალური ღვინის ექსპორტის მოცულობა 2011 წელთან შედარებით 10,2 მლნ ტონით არის გაზრდილი, ხოლო გაყიდვებით მიღებული შემოსავლები 41,7 მლნ დოლარით. ექსპორტის მოცულობა 14,3-ჯერ აჭარბებს იმპორტს [41, გვ. 26].

ქართულ ღვინოზე მოთხოვნა განსაკუთრებით ზრდადია ჩინეთში. ღვინის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის მონაცემებით, ექსპორტის მოცულობამ ამ ქვეყანაში 2,7 მლნ ბოთლს მიაღწია, რაც 122%-ით მეტი იყო წინა წელთან შედარებით [42]. ჩინეთში ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის დინამიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ 2005 წელთან შედარებით 2015 წელს გაყიდვების რაოდენობა 26,3 მლნ ბოთლით (98,6%-ით) არის გაზრდილი. ამავე წელს ჩინეთში ექსპორტირებულია, ასევე, 30 200 ბოთლი ბრენდი (0,5 ლ) და 6 052 ბოთლი ჭაჭა (0,5 ლ). ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში ჩინეთმა ამ წელს მეოთხე ადგილი დაიმკვიდრა რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ, ხოლო 2016 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით, ექსპორტის ზრდამ 154% შეადგინა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა.


2016 წლის 9 თვის მიხედვით, საქართველოდან მსოფლიოს 50 ქვეყანაში ექსპორტირებულია 32 421 418 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 35%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. ექსპორტის ზრდა აღინიშნება როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ასევე, ჩინეთისა და სხვა ტრადიციულ ბაზრებზე: ჩინე-

თი - 154%, უკრაინა - 61%, დიდი ბრიტანეთი - 60%, ბელარუსი - 51%, პოლონეთი - 47%, ესტონეთი - 43%, ყირგიზეთი - 39%, რუსეთი - 36%, გერმანია - 18%, იაპონია - 20% , აშშ - 5%, ლატვია 1% და სხვა. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი, ჩინეთი, უკრაინა, ყაზახეთი და პოლონეთი [43]. მაშასადამე, საერთაშორისო ბაზრებზე ქართულ ღვინოზე გამოკვეთილია მოთხოვნისა და შემოსავლების ზრდის ტენდენცია.

ღვინოზე მოთხოვნა, თავის მხრივ, ყურძენზე მოთხოვნას განაპირობებს. 2014 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ვენახები გაშენებულია 7,009,726 ჰა-ზე (17 960 000 აკრი).¹ ვენახის ფართობი მსოფლიოში ქვეყნების მიხედვით დინამიკაში ცვალებადია. 2014 წლის მონაცემებით, ვენახების ფართობის უმეტესობა ოთხ ქვეყანაზე მოდის: ესპანეთი - 13%; ჩინეთი - 11%; საფრანგეთი - 10.4%; იტალია - 9.5%. ვენახების ფართობი, 2011 წელთან შედარებით, შემცირებულია ესპანეთში - 1.7%-ით, იტალიაში - 3.8%-ით, საფრანგეთში - 0.8%-ით, ხოლო ჩინეთში გაზრდილია 33,9%-ით. ვენახების ფართობის ზრდის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა ყაზახეთი - 40%, პერუ - 38.8%, თურქმენეთი - 23,5%, საქართველოში ვენახების ფართობი ამავე პერიოდში 25.2%-ით არის გაზრდილი [44].

მსოფლიოში ყურძნის წარმოება ზრდადია (იხ. დიაგრამა 1). 2014 წელს 2000 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 8.5%-ით არის გაზრდილი. საშუალოდ, დასახელებულ პერიოდში ყურძნის ყოველწლიური მოსავალი მსოფლიოში 66,7 მლნ ტონა იყო [45].

დიაგრამა 1. ყურძნის წარმოების დინამიკა მსოფლიოში
მლნ ტონა



1 (1000 აკრი=404 ჰა)

მიუხედავად იმისა, რომ ყურძნის წარმოების მსოფლიო მაჩვენებელი სტაბილურია, კონტინენტების მიხედვით მნიშვნელოვანი ცვლილებებია, კერძოდ, 2014 წელს ყურძნის მოსავალი 2000 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირებულია ევროკავშირის ქვეყნებში - 62.5%-დან 39%-მდე. ეს მაჩვენებელი გაზრდილია აზიის კონტინენტზე - 19.4%-დან 31.2%-მდე. აზიის კონტინენტზე ვენახის ფართობები ძირითადად ჩინეთისა და ინდოეთის ხარჯზეა გაზრდილი. ყურძნის მწარმოებელი ქვეყნების ათეული ასეთია: ჩინეთი, იტალია, აშშ, ესპანეთი, საფრანგეთი, თურქეთი, ჩილე, არგენტინა, ინდოეთი და ირანი [44]. 2014 წლამდე ყურძნის მწარმოებელ ათ ქვეყანას შორის იყო ავსტრალია, რომელიც ბოლო პერიოდში შეცვალა ინდოეთმა (იხ. ცხრილი 1).

ღვინის წარმოება ქვეყნების მიხედვით (ათასი ლიტრი)

ცხრილი 1

ქვეყნები	2011	2012	2013	2014	წილი მსოფლიო წარმოებაში 2014 წელი (%)	ცვლილება 2014/2011 (%)
სულ მსოფლიოში	26,543,800	27,629,000	27,885,400	28,230,400	100%	6.4%
საფრანგეთი	4,432,200	5,075,700	4,107,500	4,670,100	16.54%	5.4%
იტალია	4,673,000	4,270,500	5,402,900	4,473,900	15.85%	(4.3%)
ესპანეთი	3,535,300	3,370,900	3,123,300	3,820,400	13.53%	8.1%
აშშ	2,692,400	2,981,100	3,114,600	3,021,400	10.70%	12.2%
არგენტინა	1,547,000	1,177,800	1,498,400	1,519,700	5.38%	(1.8%)
ჩინეთი	1,156,900	1,381,600	1,170,000	1,117,800	3.96%	(3.4%)
ჩილე	966,500	1,254,000	1,282,000	1,050,000	3.72%	8.6%
რუსეთი	635,000	640,000	680,000	720,000	2.55%	13.4%
უკრაინა	225,000	215,000	208,000	200,000	0.71%	(11.1%)
თურქეთი	14,000	14,000	14,000	14,000	0.05%	0.0%
საქართველო	90,000	95,000	105,000	98,000	0.35%	8.9%

ღვინის მწარმოებელ ქვეყნებს შორის ლიდერის პოზიციას საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი ინარჩუნებენ. 2014 წელს მსოფლიოში წარმოებული ღვინის რაოდენობის (28 230 400 ათასი ლიტრი) შესაბამისად 16.54%, 16.54% 13.53%

ამ ქვეყნებზე მოდის. საგულისხმოა, რომ განხილულ რეიტინგში საქართველო წარმოდებული 98 000 ათასი ლიტრი ღვინითა და 0,35%-იანი წილით მსოფლიო ბაზარზე 26-ე ადგილზეა.


მსოფლიოში არსებული ვენახების ფართობების 0,8% საქართველოზე მოდის. 2004 წლის აღწერის მონაცემებით, ვენახის საერთო ფართობმა საქართველოში 48,0 ათასი ჰა შეადგინა. 1960 წელს ეს მაჩვენებელი 77,9 ათასი ჰა იყო, 1970 წელს - 66,8 ათასი, ხოლო 1984 წელს - 87,9 ათასი ჰა.

ოფიციალური წყაროებით აღნიშნული მონაცემის განახლება არ მომხდარა. თუმცა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული საორიენტაციო მონაცემების თანახმად, იმერეთის რეგიონში ვენახების ფართობები დაახლოებით 20 000 ჰაა. კახეთში 33 582 ჰა, ხოლო რაჭის რეგიონში კი - 570 ჰა, დანარჩენ რეგიონებში 1848 ჰა. საქართველოში ვენახების ფართობების საორიენტაციო მაჩვენებელმა 2014 წელს 56 ათას ჰა-ს მიაღწია [46].

საქართველოში ვენახების ფართობების უმეტესი ნაწილი ქვეყნის აღმოსავლეთზე მოდის, კერძოდ კახეთში ვენახის მთლიანი ფართობის 68%-ია, დასავლეთში წამყვანია იმერეთი, სადაც შესაბამისი მაჩვენებელი 18%-ია, 9% მოდის ქართლზე, დანარჩენი 5% კი სხვა რეგიონებზეა გადანაწილებული [6].


2014 წლის მონაცემებით, ყურძნის ხვედრითი წილი საქართველოს მთლიან მშპ-ში შეადგენს დაახლოებით 1.4%-ს. ყურძნის წარმოების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2007 წელს აღინიშნა - 227 ათასი ტონა. მომდევნო პერიოდში ადგილი ჰქონდა კლებად ტენდენციას, 2011 წლიდან დაიწყო ზრდის ტენდენცია და 2014 წლისათვის 224.9 ათასი ტონა შეადგინა (იხ. დიაგრამა 2) [47].

დიაგრამა 2. ყურძნის წარმოება საქართველოში (ათასი ტონა)



2014 წელს საქართველოში მოხმარებულ იქნა 154 ათასი ტონა ყურძენი, 8% ყურძნის სახით, დანარჩენი 92% კი ღვინის სახით (იხ. დიაგრამა 3). ბოლო პერიოდში მოხმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2006 წელს დაფიქსირდა და 165 ათასი ტონა შეადგინა, ხოლო ყველაზე მაღალი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი იყო 2014 წელს [47].

დიაგრამა 3. ყურძნის მოხმარება საქართველოში (ათასი ტონა)



ყურძნის მოთხოვნის ფორმირებაზე გავლენას წარმოების მასშტაბები, მსხვილი და ნაწილობრივ საშუალო ზომის ღვინის ქარხნები საკუთარი ვენახის ფართობებს ფლობენ და მცირე ფერმებისაგან ყურძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში ყიდულობენ, თუ ნედლეულზე გაჩნდება დეფიციტი. ექსპერტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ ხშირად მსხვილ და საშუალო ქარხნებს წინა წლის ღვინოები არ აქვთ გაყიდული. იმ შემთხვევაში, თუ გაუყიდავი დარჩა წინა წლის საშუალოდ 30-40% ღვინო, მაშინ მოთხოვნა ყურძენზე დაბალია. მევენეხეებიც და მეღვინეებიც თანხმდებიან, რომ უმთავრესი გამოწვევა არის ღვინის საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიკაცია. თუმცა, ამ პროცესში თითქმის არ არიან ჩართულნი საშუალო და მცირე ზომის მწარმოებლები.

ამრიგად, საქართველოში წარმოებული და მოხმარებული ყურძნის მაჩვენებლების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ყურძენზე მოთხოვნას ძირითადად ღვინოზე მოთხოვნა განაპირობებს. შესაბამისად, მევენახეობის საწარმოო მიმართულებებიდან პრიორიტეტი კვლავ სხვადასხვა ტიპის ღვინოს, კონიაკისა და შამპანურის წარმოებას უნდა დაეთმოს, აღნიშნულის მიხედვით უნდა განისაზღვროს ყურძნის ჯიშობრივი შემადგენლობაც.

ღვინის ინდუსტრიის კონკურენტული უპირატესობის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი

ღვინის ინდუსტრიაში მკვლევარები ამ სექტორის კონკურენტულ უპირატესობას ხუთი ძირითადი ფაქტორით აფასებენ: არსებული ადგილობრივი ბაზრის პოზიცია, ადგილობრივი ღვინის ბაზრის ზრდის პოტენციალი, მასშტაბის ეკონომია (დანახარჯი/სარგებლის ანალიზი), ღვინის ტურიზმის ინდუსტრიის ცვლილებებისადმი ადაპტაცია, უცხოური ინვესტორების მოზიდვის პოტენციალი.


პირველი ფაქტორი - ადგილობრივი ღვინის ბაზრის პოზიცია, განსაზღვრავს ძლიერი ადგილობრივი ბაზრის არსებობას და გულისხმობს 2 ან მეტი მლრდ ლიტრი/წელი ღვინის გაყიდვას და ამ პროდუქტზე მომხმარებლების ადვილად ხელმისაწვდომობას ადგილობრივ ბაზარზე. ამ ფაქტორით ტრადიციული ღვინის მწარმოებელ ქვეყნებს (იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია) ძლიერი ადგილობრივი ბაზარი გააჩნიათ, ხოლო ახალი მწარმოებელი ქვეყნებიდან (აშშ, ავსტრალია, ჩილე, არგენტინა, სამხრეთი აფრიკა) ამ პოზიციით ლიდერობს აშშ. საქართველოში წელიწადში საშუალოდ 98 მლნ ლიტრი ღვინო იწარმოება [44], შესაბამისად, ქვეყანას ამ ფაქტორის მიხედვით სუსტი პოზიცია აქვს.

მეორე ფაქტორია ადგილობრივი ღვინის ბაზრის ზრდის პოტენციალი. იმისათვის, რომ ეს ფაქტორი ძლიერად ჩაითვალოს, საჭიროა ქვეყანამ ორი მთავარი პირობა დააკმაყოფილოს: 1. უნდა არსებობდეს მოსახლეობის განსაზღვრული რაოდენობა; 2. ზრდადი უნდა იყოს მოსახლეობის ერთ სულზე ღვინის მოხმარება. ქვეყნები, რომლებიც ხასიათდებიან მოსახლეობის ერთ სულ ღვინის მოხმარების შემცირებით, ამ კატეგორიაში „სუსტი“ პოზიციას იკავებენ.

ღვინის მოხმარების მონაცემების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ეს მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია (იხ. დიაგრამა 4). დიაგრამიდან ჩანს, რომ 2014 წელს მსოფლიოში მოხმარებული ღვინის ყველაზე მეტი წილი - 13% აშშ-ზე მოდის, მეორე ადგილზეა საფრანგეთი 11,62%-ით, საქართველოზე მოდის ღვინის მსოფლიო მოხმარების 0,3% და მე-40 ადგილს იკავებს. რაც შეეხება ღვინის მოხმარებას მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, 2009-2014 წლებში მსოფლიოში ეს მაჩვენებელი 3,5 ლიტრი იყო. ღვინის ყველაზე აქტიური მომხმარებელი მოსახლეობა ცხოვრობს საფრანგეთში, სლოვენიაში, ხორვატიაში, მაკედონიაში, პორტუგალიაში და აშ. საანალიზო პერიოდში აღნიშნულ ქვეყნებში ღვინის მოხმარების მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით საშუალოდ 43 ლიტრი იყო. საქართველოში 3.8 მლნ კაცი ცხოვრობს [47], ხოლო ღვინის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში საშუალოდ 16,5 ლიტრს შეადგენს [44]. მოსახლეობის დაბალი რიცხოვნობითა და მოსახლეობის ერთ სულზე ღვინის მოხმარების შედარებით სტაბილური ტენდენციით, საქართველო მეორე ფაქტორის მიხედვითაც „სუსტი“ კატეგორიაში განიხილება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ღვინის მოხმარების მაჩვენებლები მოსახლეობის ერთ სულზე ზრდადი ტენდენციით ხასიათდება იმ ქვეყნებში, სადაც საქართველო ძირითადად ღვინის ექსპორტიორია.

დიაგრამა 4. ღვინის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე (2014 წელი, ლიტრი)



მესამე ფაქტორია მასშტაბის ეკონომია (დანახარჯი/სარგებლის ანალიზი). ქვეყნებში, სადაც ღვინის დიდი მწარმოებელი ფირმებია, აქვთ მასშტაბის უპირატესობა, რადგან მათ აქვთ შესაძლებლობა გააუმჯობესონ ღვინის წინ წაწევა და მიწოდება თავიანთი ღვინო მომხმარებლებს. ქვეყნებს, შებლუდული მიწის რესურსებით, მაღალფასიანი მიწითა და სამუშაო ძალით აქვთ მაღალი დანახარჯები. ტრადიციულ ღვინის მწარმოებელ ქვეყნებს ამ კატეგორიაში აქვთ განვითარების სუსტი შესაძლებლობა, ახალ ქვეყნებს კი ახასიათებთ დანახარჯებთან შედარებით სარგებლის ზრდა. საქართველოში უმეტესად მცირე მასშტაბის ღვინის მწარმოებლებია და შესაბამისად მათთვის დამახასიათებელია მასშტაბის არაეკონომიურობა. თუმცა, მიწისა და სამუშაო ძალის იაფობა დანახარჯი/სარგებლის შეფასებაში სარგებლის უპირატესობას იძლევა, რაც საბოლოოდ, მესამე ფაქტორის მიხედვით საშუალო მაჩვენებელს გვაძლევს.

მეოთხე ფაქტორი, ანუ ინდუსტრიის ცვლილებებისადმი ადაპტაცია, გულისხმობს მწარმოებლების მზადყოფნასა და უნარს გამოიყენონ დანახარჯების დაზოგვითი წარმოების მეთოდები ან ახალი მარკეტინგული საშუალებები. ის, ასევე, მოიცავს, მწარმოებლების თავისუფლებას რეგულაციებისა და ერთგულებას ღვინის დამზადების დიდი ხნის ტრადიციისადმი. ამ ფაქტორით ღვინის ახალ მწარმოებელ ქვეყნებს ძლიერი პოზიციები აქვთ, ხოლო საქართველო ტრადიციულ ღვინის მწარმოებლებს შორის ინაწილებს პოზიციებს.

მეხუთე ფაქტორი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პოლიტიკურად სტაბილურ გარემოზე, ასევე, ბუნებრივ კონკურენტულ უპირატესობებზე. ამ ფაქტორით ლიდრობენ ახალი ღვინის მწარმოებელი ქვეყნები, ხოლო ტრადიციული მწარმოებლები საშუალო პოზიციებს იკავებენ. საქართველოში ბიზნესი

მეტ-ნაკლებად სტაბილურ გარემოში ფუნქციონირებს, ხოლო ბუნებრივი კონკურენტული უპირატესობები ქვეყანას აქვს. კვლევით დადგენილია, რომ საქართველოს აგროსასურსათო სექტორში შედარებით კონკურენტუნარიანია ღვინო და ღვინის პროდუქტები [4; 5]. 2015 წლის მონაცემებით, ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსის (RXA) გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ ეს მაჩვენებელი 23.46-ის ტოლია, იმპორტის შედარებითი შელწევადობის ინდექსი (RMP) 0.15, ხოლო ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RTA) 23.32-ია [6]. მეხუთე ფაქტორის შეფასების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მევენახეობა-მეღვინეობის დარგს საქართველოში კონკურენტული უპირატესობა გააჩნია.

ამრიგად, კონკურენტული უპირატესობის ფაქტორების მიხედვით საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს. შიგა და საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნა ქართულ ღვინოზე ზრდადი. თუმცა, მოცემულ ეტაპზე ადგილობრივ ბაზარზე ღვინის გაყიდვებისა და ამ პროდუქტზე მომხმარებლების ხელმისაწვდომობის, ასევე, მოსახლეობის ერთ სულ ღვინის მოხმარების ტენდენციის მიხედვით, საქართველოს პოზიციები ჯერ კიდევ სუსტია. ღვინოზე ზრდადი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემაფერხებელი ფაქტორებია მცირე მასშტაბიანი ღვინის მწარმოებელთა მაღალი ხვედრითი წონა, შესაბამისად, მასშტაბის არაეკონომიურობა, ღვინის ინდუსტრიის ცვლილებისადმი სუსტი ადაპტაცია, ქართული ღვინის ცნობადობის დაბალი დონე, მცირე დანახარჯები კვლევებზე და სხვა.

მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ყურძნის ენდემური ჯიშების მრავალფეროვნება, ნედლეულის მაღალი ხარისხი, ღვინის წარმოების ისტორია და ტრადიციები, ქართული ღვინის ცნობადობა, კონკურენტული ფასები განაპირობებს ქართულ ღვინოზე მოთხოვნის ზრდის სტიმულირებას და ზრდადი მოთხოვნის შესაბამისი მიწოდების უზრუნველყოფას. კონკურენტული უპირატესობების განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინება გამოიწვევს ტრადიციულ (რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ბელარუსი) და პერსპექტიულ (აშშ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი) ღვინის ბაზრებზე ქართული ღვინის პოზიციების გამტკიცება-გაფართოებას, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკურ ზრდაში და უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

ლიტერატურა:

1. ფრუიძე ლ., მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, თბილისი, 1974.
2. ჯანხოთელი გ., მეღვინეობა ციფრებით და ფორმულებით, თბილისი, 2002.
3. ბარისაშვილი გ., ღვინის დაყენება ქვევრში, თბილისი, 2010.
4. ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის შეფასების პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011.
5. ხარაიშვილი ე. ღვინის ბაზრის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და

- ფირმების ქცევის სტრატეგია, ჟურნალი „ეკონომიკა“, №6, 2009.
6. Kharaiashvili E., Chavleishvili M., Natsvaladze M., Trends and Prospects for the Development of Georgian Wine Market, World Academy of Science, Engineering and Technology - ICEMBIT 2014 : International Journal of Social, Menejment, Economics and Business Engineering Vol:8 No:10, 2014.
 7. ლაზარიაშვილი თ., მევენახეობა-მელვინეობის განვითარების პრობლემები კახეთის მხარეში, თბილისი, 2007.
 8. საექსპორტო ბაზრების განვითარების სამოქმედო გეგმა, ღვინის სექტორი, თბილისი, 2011. http://www.gwa.ge/upload/file/Sector_Export_Market_Development_Action_Plan.pdf
 9. მაკგოვერნი პ., პენსილვანიის მუზეუმის უნივერსიტეტი, ღვინის ისტორიის ფონდი <http://agrokavkaz.ge/dargebi/megvineoba/patrik-makgoverni-saqarthvelo-meghvineobis-da-mevenakheobis-qveghana.html>
 10. Kokhreidze T., Wine Public Relations: Promoting Georgian Wine in the U.S. Market, <http://collected.jcu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1043&context=mastersessays>, 2016.
 11. Luszczynska A. Georgian Wine Market with particular Emphasis on Foreign Trade 2015. <http://www.agricultforest.ac.me/data/20150318-28%20Ouszczynoska.pdf>
 12. Anderson K., Is Georgia the next 'new' wine-exporting country? 2013 <http://vinecon.ucdavis.edu/publications/cwe1301.pdf>
 13. Harm J. de Blij's 1983 Wine: A Geographic Appreciation. Colleen C. Christi G. L. Lavy 2014 <http://ppg.sagepub.com/content/early/2014/07/08/0309133314540691.full.pdf>
 14. Griessbach L. Ghvanidze S. Lakotta J., Benefits convincing wine consumers - Developing a unique selling proposition for Georgian wines based on focus group analysis, 2015. <http://academyofwinebusiness.com/wp-content/uploads/2016/03/15.ue-selling-proposition-for-Georgian-wines-based-on-focus-group-analysis-.pdf>
 15. Anderson K., Nelgen S., Wine's Globalization: New Opportunities, New Challenges Kym Anderson and Signe Nelgen (Wine Economics Research Centre), 2011. https://www.adelaide.edu.au/wine-econ/papers/0111_AAW_E_Bolzano_Anderson_0611.pdf
 16. Anderson, K., S. Nelgen (2011), Global Wine Markets, 1961 to 2009: A Statistical Compendium, Adelaide: University of Adelaide Press. Freely available e-book at www.adelaide.edu.au/press/titles/global-wine
 17. Anderson, K., Norman D., Global Wine Production, Consumption and Trade, 1961 to 2001: A Statistical Compendium, Adelaide: Centre for International Economic Studies, 2003.
 18. Anderson, K., Norman D., Wittwer G. , Globalization of the World's Wine Markets, The World Economy 26(5): 659-87, May, 2003.
 19. Anderson K., Which Winegrape Varieties are Grown Where? A Global Empirical Picture (with the assistance of N.R. Aryal), Adelaide: University of Adelaide Press, 2013. www.adelaide.edu.au/press/titles/winegrapes
 20. Anderson K., Growth and Cycles in Australia's Wine Industry: A Statistical Compendium, 1843 to 2013 (with the assistance of N.R. Aryal), Adelaide: University of Adelaide Press, 2015. www.adelaide.edu.au/press/titles/austwine
 21. Anderson K., Wittwer G., 2013, Modeling Global Wine Markets to 2018: Exchange Rates,

- Taste Changes, and China's Import Growth", *Journal of Wine Economics* 8(2): 131-58.
22. Anderson K., Wittwer G., Modelling the impact of exchange rate movements on the world's wine markets, 2012.
https://www.adelaide.edu.au/wineecon/papers/0312_Wine_and_Exchange_Rates_1112.pdf
 23. Marra M., Do wine buyers at auction benefit from higher commissions? Welfare estimates from a natural experiment, May 3, 2016.
<http://www.wine-economics.org/aawe/wp-content/uploads/2016/05/Marleen-Marra-Do-wine-buyers-at-auction-benefit-from-higher-commissions-Welfare-estimates-from-a-natural-experiment-Full-Text.pdf>
 24. Mariani A., E. Pomarici, and V. Boatto), „The International Wine Trade: Recent Trends and Critical Issues“, *Wine Economics and Policy*, 2012.
 25. Fuller, K. B., Alston J. M., „The Demand for California Wine Grapes“, *Journal of Wine Economics*, 2012.
 26. De La Cruz, J., R. B. Koopman, Z. Wang, and S. Wei. Estimating Foreign Value-added in Mexico's Manufacturing Exports. Working Paper No. 2011-04A of Office of Economics, U.S. International Trade Commission, 2011.
 27. Feenstra R., *Advanced International Trade*. Princeton: Princeton University Press, 2004.
 28. Ju J., Krishna K., „Evaluating Trade Reform with Many Consumers“, *Canadian Journal of Economics*, 2000.
 29. Panagariya A., „Input tariffs, duty drawbacks, and tariff reforms“, *Journal of International Economics*, 1992.
 30. Cogea S.R.L., Study on the competitiveness of European wines, Final Report, 2014.
 31. Collins S., „Foreign Ownership is a Key to Making New Zealand Wines a Global Brand,“ *New Zealand Herald*, 24 July, 2004.
 32. Castaldi R. M., Cholette S., Hussain M., A Country-Level Analysis of Competitive Advantage in the Wine Industry. 3rd International Wine Business Research Conference, Montpellier, 2006.
 33. პორტერი მ., ხუთი კონკურენტული ძალა, რომელიც სტრატეგიის ფორმირებას განაპირობებს, მთარგმნელი დ. ახალაძე, თბილისი, 2008.
 34. Porter, M., *Competitive Strategy: Techniques for Analyzing Industries and Competitors*. New York: Free Press, 1998.
 35. Porter, M. *On Competition*, Updated and Expanded Ed. Boston: Harvard Business School Publishing, 2008.
 36. Портер М., *Конкуренция*. Санкт-Петербург-Москва-Киев. 2002.
 37. Veseth M., *Wine Wars: The Curse of the Blue Nun, the Miracle of Two Buck Chuck, and the Revenge of the Terroirists*, 2012.
 38. www.wineeconomist.com
 39. <http://www.wine-economics.org/journal/>
 40. <http://napavalleywineacademy.com/wset/>
 41. საქართველოს საგარეო ვაჭრობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2015, გვ. 26.
 42. ღვინის ეროვნული სააგენტო <http://bpi.ge/index.php/chinetshi-qartul-ghvinoze-mot->

- khovna-izrdeba-sharshan-eqsportma-27-mln-botls-miaghwia/
43. <http://georgianwine.gov.ge/upload/file/1475827703-Exp9.pdf>
44. www.wineinstitute.org
45. World's grape production 200-2012; BKWine Magazine <http://www.bkwine.com>
46. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები, www.moa.gov.ge
47. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, www.geostat.ge

Demand for Georgian Wine and the Evaluation of Competitive Advantage Factors of Viticulture and Winemaking Sector

Eter Kharaiashvili

*Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
eter.kharaiashvili@tsu.ge*

Based on the competitive advantage of viticulture and winemaking sector, the paper evaluates the tendencies of increasing demand for Georgian wine. The paper analyzes affecting factors of sector's development and Georgian wine demand, taking into account the opinions of Georgian and foreign researchers, wine research institutions and associations. It is concluded that viticulture and winemaking sector has competitive advantages in Georgia.

Increasing demand for Georgian wine is considered in two different ways: 1. Increasing demand for low-priced wines; 2. Increasing demand for high quality, high-priced wines.

There are studied competitive factors affecting wine demand: wine consumer market, prices, demand for Georgian wine, grapes, wine tourism, also, sale channels and etc. There are evaluated five factors of competitive advantage of wine industry: the position of domestic market, increasing potential of wine market, economies of scale (cost/benefit analyzes), wine tourism industries' adaptation with changes, potential of attracting foreign investors.

Competitiveness of wine industry is analyzed according to the traditional and new wine producer countries. Based on five competitive factors affecting Georgian wine, there are made conclusions about Georgia's position between traditional producers of wine and, also, there are made some appropriate recommendations.

Keywords: Demand for Georgian wine, wine market; viticulture and winemaking; competitive advantages; factors of competitive advantage.

JEL Codes: M10, M11, Q10, Q11

ელექტროენერჯის ტარიფები საქართველოში – რეალობა და პრობლემები

ნოდარ ტანაშა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჭუსტან ბოკუჩავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ელექტროენერჯის ტარიფები საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელზედაც დიდად არის დამოკიდებული, როგორც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, ასევე, მთლიანად ქვეყნის დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ დღეისათვის საქართველოში მოქმედი დენის მაღალი ტარიფები, ნაკლებად უწყობს ხელს ამ მიზნების შესრულებას. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს ელექტროენერჯის ბაზარზე არსებული დღევანდელი არასახარბიელო სიტუაციის განმაპირობებელი მიზეზები, კერძოდ, სადისტრიბუციო კომპანიების მონოპოლიური მდგომარეობა და შემოთავაზებულია კონკრეტული ღონისძიებები ელექტროენერჯის კონკურენტული ბაზრის ფორმირებისა, და შესაბამისად, ოპტიმალური სატარიფო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: სადისტრიბუციო თანხა; ელექტროენერჯის ხარჯები; სამომხმარებლო ზღვრული ტარიფები; მონოპოლიური ელექტროენერჯეტიკული ბაზარი; კონცენტრაციის კოეფიციენტი; ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი; დეკონცენტრაცია.

სამეურნეო საქმიანობის ნებისმიერი საწარმოო პროცესი უწყვეტად დაკავშირებულია ელექტროენერჯის სულ უფრო და უფრო მზარდი ოდენობით გამოყენებასთან, იგი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების მთავარ წყაროს [2, გვ.7]. ყოველივე ზემოთაღნიშნული მეტად აქტუა-

ლურს ხდის ელექტროენერჯის ტარიფების საკითხს. საქართველოში ელექტროენერჯის მაღალ ტარიფებს ძირითადად განაპირობებს სადისტრიბუციო კომპანიების კომპანიების მონოპოლიური მდგომარეობა, კონკრეტულად, კი მათი წილობრივი კომპონენტის დიდი წილი მთლიან ტარიფში, და ეს მაშინ, როცა საქართველოს კანონში ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის შესახებ (მუხლი 1, პუნქტი მე-2) დაფიქსირებულია: „კანონმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებისა და ტარიფების სისტემის ჩამოყალიბება და მათ საფუძველზე შექმნას სატარიფო რეგულირების სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაიცავს მომხმარებელს მონოპოლიური ტარიფებისგან“ [1, გვ.1].

ელექტროენერჯის ტარიფი საქართველოში შემოღებულია საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემევი) მიერ და მისივე მეთოდის მიხედვით, იგი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, რომელიც წარმოიშობა ელექტროენერჯის გამომუშავებიდან მის საბოლოო მომხმარებელზე მიწოდებამდე. აღნიშნულ „კომისიას ენიჭება საქართველოს ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიების გაცემის, ასევე ლიცენზიატების, იმპორტიორების, ექსპორტიორების, სისტემის კომერციული ოპერატორისა და მიმწოდებლების საქმიანობის რეგულირების უფლება“ [3გვ.50], ასევე, როგორც აღვნიშნეთ, ელექტროენერჯის ტარიფის დადგენა და რეგულირება.

დღეისათვის მოქმედებაშია შემდეგი სახეობის ტარიფები:

1. ელექტროენერჯის გენერირების ტარიფი:
 - ფიქსირებული ტარიფი;
 - მარგინალური ტარიფი ჰიდროელექტროსადგურებისთვის;
 - მარგინალური ტარიფი თერმოელექტროსადგურებისთვის.
2. ფიქსირებული ტარიფები თერმული ელექტროსადგურებისთვის;
3. ფიქსირებული ტარიფები ელექტროგადამცემებისთვის;
4. ფიქსირებული ტარიფები დისპეტჩერიზაციისთვის;
5. ფიქსირებული მარგინალური ტარიფი იმპორტისთვის;
6. ელექტროენერჯის დისტრიბუციის ტარიფები:
 - დისტრიბუციის გადასახადი სადისტრიბუციო კომპანიებისთვის;
 - მარგინალური ტარიფი ელექტროენერჯის ტრანზიტისთვის.
7. ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო)-მომსახურების საკომისიო.
8. საბოლოო მომხმარებლის ტარიფი:
 - განსაზღვრული ფიქსირებული ტარიფი მოსახლეობისთვის;
 - მარგინალური ტარიფი ვოლტაჟის მიხედვით სადისტრიბუციო კომპანიების სხვა მომხმარებლებისთვის.

რაც შეეხება ელექტროენერჯის წარმოების ტარიფს, ის ყველა მწარმოებლისთვის განსხვავებულია და არსებული ხელშეკრულების საფუძველზე იცვლება წლების მიხედვით.

ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ტარიფი შპს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისათვის“ შეადგენს 0,019 თეთრი/კვტს; ელექტროენერჯის საბოლოო მომხმარებელზე გაყიდვის ტარიფთან დაკავშირებით კი მოქმედებს სპეციალური ხელშეკრულება სახელმწიფოსა და სადისტრიბუციო კომპანიებს შორის, რომელიც გაფორმდა სს „ენერჯო-პრო ჯორჯიასთან“ 2017 წლამდე და სს „თელასთან“ 2023 წლამდე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ პერიოდებამდე ტარიფები არ უნდა გადასინჯულიყო, თუმცა, რეალურად ეს ხელშეკრულება დაირღვა, კერძოდ, თბილისის მასშტაბით, სადაც სს „თელასი“ ოპერირებს, ტარიფების გადახედვა არ უნდა მომხდარიყო 2023 წლამდე, პრაქტიკულად კი მიმდინარეობს ტარიფების დაუსაბუთებელი პერმანენტული ზრდა, რაც კიდევ უფრო ზრდის ოპერატორის მონოპოლიურ მოგებას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის გარდამავალი მოდელი გვექნება უკვე 2017 წლისთვის, როგორც ეს დაგეგმილია, ხელშეკრულების საფუძველზე, სამწუხაროდ უკვე მიღებულია სპეციალური სატარიფო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ტარიფის ზრდას მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის ზრდის კვალობაზე. მართალია, სატარიფო პოლიტიკა განსხვავებულია მოსახლეობისა და პირდაპირი მომხმარებლებისათვის, მაგრამ ორივე შემთხვევაში ტარიფი დამოკიდებულია მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე (იზრდება რაოდენობის ზრდასთან ერთად), რაც ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტალურ პრინციპებს. რაც შეეხება თვით სადისტრიბუციო კომპანიების სატარიფო პოლიტიკას, იგი სამი ნაწილისგან შედგება: 1. სადისტრიბუციო გადასახდელი, 2. გატარებისა და განაწილების კომპონენტი და 3. გენერაციის გადასახდელი.

ამრიგად, ჩვენ უკვე გავცვანით ელექტროენერჯის გენერაციის ხარჯებს. ახლა შევჩერდებით სადისტრიბუციო კომპანიების მიერ მონოდებული ტარიფის კიდევ ერთ კომპონენტზე, კერძოდ, გატარებისა და განაწილების ხარჯებზე, რომელიც ასევე საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის მიერ არის დადგენილი და სადაც ნათლად ჩანს სადისტრიბუციო კომპანიების საკმაოდ დიდი წილი ამ მომსახურებაში, რომელიც ხშირად ელექტროენერჯის გენერაციის ხარჯებსაც კი აჭარბებს. კერძოდ, ეს ტარიფები ასე დიფერენცირდება ძაბვების მიხედვით, 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით .

სადისტრიბუციო კომპანიების მოგების მარჟა, სამივე ამ შემადგენელის მიხედვით, საკმაოდ მაღალია, რაც საქართველოს ენერჯეტიკაში არსებული სიტუაციით არის განპირობებული. კერძოდ, ბაზარზე ფუნქციონირებს მხოლოდ სამი სადისტრიბუციო კომპანია, რომელთაც ბაზარი სრულად აქვთ ათვისებული და გადანაწილებული და ფაქტობრივადრად შეუძლებელია ამ ბაზარზე ახალი მოთამაშის შემოსვლა, რაც სამწუხაროდ, ხელს უშლის ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში კონკურენციის აუცილებელ გაძლიერებას. ყველაფერი ეს კი იწვევს იმას, რომ საქართველოს ელექტროენერჯეტიკული ბაზარი მეტად კონცენტრირებულია. (რაზგედაც უფრო დეტალურად ქვემოთ გვექნება მსჯელობა).

აქედან გამომდინარე, გადაუდებლად აუცილებელია სადისტრიბუციო კომპანიების არსებული სტრუქტურის ძირეული ცვლილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს ვერ დავაღწევთ ქვეყნის ეკერგეტიკულ ბაზარზე არსებულ შემდეგ ნეგატიურ პროცესებს:

1. მუდმივად იქნება შენარჩუნებული ტარიფში სადისტრიბუციო კომპანიების მოგების მაღალი მარჟა და სატარიფო პოლიტიკაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით, თითქმის შეუძლებელი იქნება;

2. ენერგოგენერატორების, გადაცემის ხაზებისა და დისპეტჩერიზაციის სისტემების სიმცირის გამო, საქართველო კვლავ ნაკლებად მიმზიდველი ქვეყნების რიგში დარჩება საერთაშორისო ინვესტორებისათვის. კონკურენტულ ბაზარზე გადასვლის აუცილებელი წინაპირობა სწორედ ის არის, რომ უნდა გაიზარდოს ენერგოგენერაცია, შეიქმნას საკმარისი სიმძლავრეები, ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად და სადისტრიბუციო ქსელის ყოველმხრივ განვითარებისათვის. ამ აქტივობების განხორციელების შემთხვევაში მივიღებთ სწორედ ქვეყანაში მეტ სადისტრიბუციო კომპანიას, რაც ტარიფების თანდათანობითი დანევის შესაძლებლობას მოგვცემს;

3. გაგრძელდება პროდუქციის თვითღირებულებაში ელექტროენერჯის ხარჯის მაჩვენებლის და, შესაბამისად, პროდუქციის სარეალიზაციო ფასის ზრდა, რამდენადაცბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა პირდაპირი მომხმარებლების რაოდენობა. მათ მასობრივად დადეს ხელშეკრულება სადისტრიბუციო კომპანიებთან და მათი მუდმივი მომხმარებლები გახდნენ გრძელვადიანი ხელშეკრულებების მეშვეობით,

ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია იმაში ცუდი, თუ მსხვილი ინდუსტრიული საწარმოები პირდაპირი მომხმარებლების ნაცვლად გახდებიან სადისტრიბუციო კომპანიების მომხმარებლები, სწორედ გაუმართავმა ელექტროენერგეტიკის სისტემამ გახადა სადისტრიბუციო კომპანიები მათთვის უფრო მომხიზველი პარტნიორები, კონკრეტულად კი შემდეგი ორი გარემოების გამო: 1. ტარიფის სტაბილურობის უზრუნველყოფა (ფასი არ არის დამოკიდებული სეზონურობაზე) და ყველა რისკი (მაგალითად, ელექტროენერჯის შეფერხებით მიწოდების შემთხვევაში), რამაც შეიძლება წარმოების პარალიზება გამოიწვიოს, პირდაპირი მომხმარებლის შემთხვევაში, გადატანილია სადისტრიბუციო კომპანიაზე, რაც განსაზღვრავს მომავალში მათ სატარიფო პოლიტიკას, შედარებით სტაბილურ ტარიფს და, შესაბამისად, უზრუნველყოფს ამ ნაწილში ბიზნესის სტაბილურობას; 2. თანხის დაბოგვა: ტარიფი, რომელსაც გვთავაზობს სადისტრიბუციო კომპანია (რომელიც მოიცავს ყველა ხარჯს), დიდადნაკლები უნდა იყოს იმ ტარიფზე, რასაც ისინი იხდიან ელექტროენერჯის ბითუმად შექენისას. და როცა სადისტრიბუციო კომპანიის ტარიფებიც მაღალია და სიტემატიურად იზრდება, ეს ყველაფერი მომხმარებელთა პრობლემაა.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ბოლოს მხოლოდ რამდენიმე კომპანია დარჩა, რომლებიც სადისტრიბუციო კომპანიების გვერდის ავლით ახორციელებენ ელექტროენერჯის შექენას მწარმოებლებიდან. ეს კომპანიებია:

- თბილისის მუნიციპალიტეტის - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“;
- თბილისის მუნიციპალიტეტი - შპს „სინათლის ქალაქი“;
- შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“;
- შპს „რუსთავის წყალი“;
- შპს „ჯორჯიან მანგანეზი“;
- შპს „ჯეოფერომეტალი“;
- შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“;
- სს „საქართველოს რკინიგზა“ (ნაწილობრივ).

ამასთან, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ შპს „ჯორჯიან მანგანეზს“, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“, შპს „რუსთავის წყლის“ და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციას“ გააჩნიათ ელექტროენერჯის გენერირების საკუთარი რესურსები, რაც მათ მოთხოვნას ელექტროენერჯიაში სრულად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს. თბილისის მუნიციპალურ კომპანიებს კი პირდაპირი კონტრაქტი აქვთ შპს „ენგურჰესთან“, საიდანაც ხდება უმეტესწილად მათი ენერჯით მომარაგება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სადისტრიბუციო კომპანიების მაღალი ტარიფები უარყოფითად აისახება ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაზე, რის გამოც ხშირად ის კონკურენციას ვერ უწევს იმპორტირებულ ანალოგებს. ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა კი, როგორც საშინაო, ასევე საგარეო ბაზარზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა და აქედან გამომდინარე, წარმოადგენს ქვეყნის ელექტროენერჯეტიკის დარგის განვითარების ძირითად პრიორიტეტს.

პარადოქსია, მაგრამ საქართველო, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ის გამონაკლისი ქვეყანაა, სადაც საწარმოები ელექტროენერჯის შექმნას სადისტრიბუციო კომპანიებისგან ანიჭებენ უპირატესობას, მიუხედავად მათიმონოპოლიური მდგომარეობისა, რამდენადაც, ამ პირობებშიც კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის უფრო იათვი უჭდებათ, ვიდრე, მისი მიღება უშუალოდ ენერჯომწარმოებლებისგან.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც, შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, როდესაც ენერჯოგენერატორი სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ვერ ახერხებს ელექტროენერჯის მიწოდებას საწარმოსათვის, რა დროსაც, ისინი ასევე იძულებული არიან შეიძინონ ელექტროენერჯია სადისტრიბუციო კომპანიისგან იმაზე მაღალ ფასად, ვიდრე ამას კონტრაქტის შემთხვევაში მოახერხებდნენ.

შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი კონკურენტული სადისტრიბუციო ბაზრის ფორმირებაშია. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც ენერჯოგენერატორი, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, ვერ მოახერხებს ელექტროენერჯის მიწოდებას პირდაპირ მომხმარებელზე, ეს უკანასკნელი მიმარ-

თავს კლირინგულ სახლს, აკეთებს განაცხადს ელექტროენერჯის საჭიროებასთან დაკავშირებით და არსებული ტარიფით აუქციონის პირობებში ყიდულობს ელექტროენერჯიას ფასით, რაც სავარაუდოდ, არ იქნება სადისტრიბუციო კომპანიების მიერ შეთავაზებულტარიფზე მაღალი და, საბოლოო ანგარიშით, პროდუქციის თვითღირებულებაში შემცირდება ელექტროენერჯის კომპონენტი, რაც შესაბამისად, შეამცირებს პროდუქციის სარეალიზაციო ფასსაც.

კიდევ ერთი პოტენციური პრობლემა, რაც ვლინდება მონოპოლიური, მაღალკონცენტრირებული სადისტრიბუციო ქსელის პირობებში, არის სადისტრიბუციო კომპანიების სრული მონოპოლია ახალ მომხმარებლებზე, რასაც ხელი შეუწყო კანონმდებლობაში უკანასკნელ წლებში შეტანილმა ცვლილებებმა. საქმე ისაა, რომ არსებულ სადისტრიბუციო ქსელზე მიერთების სურვილის შემთხვევაში, ყველა ახალი მომხმარებელი იძულებულია კერძო ენერჯოკომპანიების გვერდის ავლით, ისარგებლოს სადისტრიბუციო კომპანიების მომსახურებით. ეს ვითარება საშუალო და მცირე ზომის ენერჯოკომპანიებს ახალ მომხმარებელზე წვდომას უკარგავს და, როგორც ადრე, ეს კომპანიები რჩებიან სს „თელასის“ კეთილ ნებაზე დამოკიდებული, რათა მიიღონ „ახალი მომხმარებლების“ მომსახურების უფლება.

ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ფუნქციონირების ძირითადი მიზანი ელექტროენერჯის წარმოება და მის ყიდვა-გაყიდვაა. 2013 წელს საქართველოში მთლიანად წარმოებული იყო 36213,4 ტერაჯოული ელექტროენერჯია (ცხრილი 1). აქედან, 6437,1 ტერაჯოული წარმოებულ იქნა თბოელექტროსადგურებში, ხოლო 29776,3 ტერაჯოული-ჰიდროელექტროსადგურებში.

საქართველოს ელექტროენერჯეტიკული ბალანსი (ტერაჯოული) [5]

ცხრილი 1

	2013 წ.
წარმოება - სულ	36213,4
მათ შორის:	
თბოელექტროსადგურები	6437,1
ჰიდროელექტროსადგურები	29776,3
თბური სადგურები	-

დღეისათვის, საქართველოს ელექტრობაზარზე ფუნქციონირებს ელექტროენერჯის 48 სუბიექტი, რომლებიც გამოიმუშავენ და ელექტრობაზარზე ყიდნიან ელექტროენერჯიას. ცხრილი 2 გვიჩვენებს, რომ 2003 წლის 31 აგვისტოდან 2004 წლის 1 სექტემბრამდე, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში, მათ გამოიმუშავეს და ელექტრობაზრის მეშვეობით გაყიდეს 6965967648 კვტსთ ელექტროენერჯია. ელექტროენერჯის ამ საერთო მოწოდებაში 43% ეკავა „ენგურჰესს“, 10% - „ვარციხეჰესს“, 9,6% - შპს „მტკვარი-ენერჯეტიკას“, 6% - სს „გუმათჰესს“, 5% - შპს „ვარდნილჰესების კასკადს“ და 4,1% - სს „რიონჰესს“. დანარჩენი 42 სუბიექტის მიერ გამოიმუშაებული ელექტროენერჯია მთლიანი გამოიმუშაების მხოლოდ 22,3%-ს შეადგენს, ანუ ერთ სუბიექტზე საშუალოდ მოდის გამოიმუშაების მხოლოდ 0,53%.

საქართველოს ელექტროობაზრის წევრი გენერაციის ობიექტების მიერ
გამომუშავებული ელექტროენერჯია
01.01.2015 - 01.01.2016 წლების პერიოდში¹

ცხრილი 2

№	ობიექტის დასახელება	სიმძლავრე მეგავატი	გამომუშავება კვტ.სთ	წილი (%)
1	შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“	600	668934503	9,6
2	სს „თბილსრესი“	950	0	-
3	სს „თბილელექტროცენტრალი“	18	0	-
4	შპს „ანჰესი“	16	50415187	0,7
5	შპს „ბუჟუაჰესი“	12,24	53679528	0,8
6	შპს „ხრამჰესი 2“	21	105278431	1,5
7	შპს Dasbashesi	1,26	6231100	0,1
8	„ენგურჰესი“	1300	3005368769	43,0
9	სს „ლაჯანურჰესი“	41,84	168178820	2,4
10	სს „გუმათჰესი“	66,8	204907496	6,0
11	შპს „უინვალჰესი“	130	44873954	2,9
12	სს „ჩალაჰესი“		4487000	0,1
13	შპს „ანგლო-მესხეთი“	2,08	0	-
14	შპს „მუნღეკ-ჯორჯია“		11316175	0,1
15	შპს „ორთაგლოჰესი“	18	90099160	1,3
16	სს „რიონჰესი“	48	287913674	4,1
17	შპს „რიცეულჰესი“	6056	23810167	0,3
18	შპს „საცხენჰესი“	14	37123044	0,5
19	შპს „სიონჰესი“	9,14	33251948	0,5
20	სს „შაორჰესი“	38,4	118447070	1,7
21	სს „ვარციხეჰესი“	184	728653200	10,5
22	შპს „ვარდნულჰესების“ კასკადი	340	341032148	5,0
23	სს „ხრამჰესი 1“	113,45	231734141	3,3
24	შპს „ზაჰესი“	36,8	192315598	2,7
25	სს „ძვერულჰესი“		131999288	2,0
26	სს „ჩხორჰესი“	5,35	2949753	0,04
27	შპს „სქერჰესი“	1,032	1615660	0,02
28	შპს „აბჰეს-ელექტრო“	2,008	2227447	0,03
29	შპს „კურზუჰესი“		0	-
30	შპს „აჭარჰესი“	1,028	0	-

1 ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ საქართველოს ელექტროობაზრის მონაცემების საფუძველზე

31	შპს „კინკვიპისი“		0	-
32	შპს „მაჭახელისი“	1,6	0	-
33	შპს „მისაქცილოპისი“	3	1417490	0,03
34	სს „მისაქცილოპისი“	13,6	26502024	0,4
35	შპს „ყაზბეგისი“	0,3	0	-
36	შპს „ხერთვისი“	0,304	826960	0,01
37	შპს „მეფენაპისი“	0,12	0	-
38	შპს „გატ-ლოდ (კეხვიპისი)“	0	0	-
39	შპს „სანალიაპისი“	0	0	-
40	შპს „სინათლე (იგოეთპისი)“	1,95	0	-
41	შპს „სურამელაპისი“	0	0	-
42	შპს „რუსთავისი“	0	0	-
43	შპს „ზვარეთიპისი“	0,304		
44	“ინნობაპისი“	11	1704000	0,02
45	“მაშვერაპისი“	9	503968	0,007
46	“მცირე ენერჯოკომპანია“	10,17	18169945	0,3
სულ			6965967648	100,0

საქართველოს ელექტრობაზარი აერთიანებს 6 გამანაწილებელ კომპანიას და 39 პირდაპირ მომხმარებელს. საანალიზოდ აღებულ პერიოდში (2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე) ელექტრობაზარმა გაყიდა 6348167537 კვტ/სთ ელექტროენერჯია. ბაზრის მეშვეობით გაყიდულ ელექტროენერჯიის საერთო რაოდენობაში განმანაწილებელ კომპანიებს 69,3% უკავიათ, პირდაპირ მომხმარებლებს კი - 30,7%.

საქართველოს ელექტრობაზარი მაღალკონცენტრირებულია. ამას მონშობს ჩვენ მიერ გამოთვლილი მაჩვენებლები, კერძოდ, კონცენტრაციის კოეფიციენტი (CR) და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI).

კონცენტრაციის კოეფიციენტი გამოვლილი იქნა 6 მსხვილი ენერჯოკომპანიისთვის (ენგურაპისი, ვარციხეპისი, მტკვარ-ენერჯეტიკი, გუმათპისი, ვარდნილ-ჰესების კასკადი და რიონპისი), რომელთაც დომინირებული მდგომარეობა უკავიათ ბაზარზე. ამ კოეფიციენტმა შეადგინა 77,7%.

$$R_6 = \sum_{i=1}^6 K_1 + K_2 + K_3 + K_4 + K_5 + K_6 = 3 + 0 + 9.6 + 6 + 5 + 4.1 = 7.7\%$$

ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) ახასიათებს საბაზრო ძალაუფლების განაწილებას ბაზრის სუბიექტებს შორის [4, გვ. 320-321]. ცნობილია, რომ თუ $HHI < 1000$ -ზე, მაშინ ბაზარი ნაკლებკონცენტრირებულია, თუ იგი მეტია 1000 -ზე, ხოლო ნაკლებია 1800 -ზე, მაშინ ზომიერად კონცენტრირებულია, ხოლო თუ $HHI > 1800$ -ზე, მაშინ ბაზარი მაღალკონცენტრირებულია და სუბიექტების შეერთება იკრძალება.

საქართველოს ელექტრობაზრის წვერი გენერაციის ობიექტების მიხედვით 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი ტოლია:

$$HHI = \sum_{i=1}^n K_1^2 + K_2^2 + K_3^2 + \dots K_n^2 = 9.6^2 + 0.7^2 + 0.8^2 + 1.5^2 + 0.1^2 + 3^2 + 2.4^2 + 0^2 + 2.9^2 + 0.1^2 + 0.1^2 + 1.3^2 + 4.1^2 + 0.3^2 + 0.5^2 + 0.5^2 + 1.7^2 + 0.5^2 + 5^2 + 3.3^2 + 2.7^2 + 2.0^2 + 0.0^2 + 0.0^2 + 0.0^2 + 0.0^2 + 0.0^2 + 0.4^2 + 0.0^2 + 0.0^2 + 0.007^2 + 0.3^2 = 2176.73 + 0.09 + 0.49 + 2.25 + 0.00 + 1849 + 5.76 + 8.41 + 9 + 0.00 + 0.00 + 1.00 + 6.76 + 0.09 + 0.09 + 0.25 + 2.89 + 110.25 + 9 + 0.81 + 7.29 + 4 + 0.001 + 0.0001 + 0.0009 + 0.009 + 0.6 + 0.001 + 0.0004 + 0.00004 + 0.09 = 2176.73$$

მაშასადამე, რადგან $2176.73 > 1800$ -ზე, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ელექტრობაზარი მაღალკონცენტრირებული, მონოპოლიზებულია და აუცილებელია ქმედითი ღონისძიებების განხორციელება მისი დეკონცენტრაციის მიზნით, რაც საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა გახდეს.

* * *

ამრიგად, სტატიაში ჩვენ განვიხილეთ საქართველოს ელექტროენერჯეტიკის დარგში ელექტროენერჯის წარმოების, განაწილების და მოხმარების მეტად აქტუალური საკითხი – სამომხმარებლო ტარიფები ელექტროენერჯიზე და მისი ოპტიმიზაციის შესაძლებლობები. ამ მიზნით გავანალიზეთ სადისტრიბუციო კომპანიების არსებული სტრუქტურა, მივუთითეთ ელექტროენერჯის ბაზრის კონცენტრაციის მაღალ დონეზე, რაც განაპირობებს დღეს მოქმედ მაღალ სამომხმარებლო ტარიფებს, მასში ამ კომპანიების დანახარჯების მაღალ წილიდან გამომდინარე, და შესაბამისად, დავასკვნით მათი სტრუქტურის აუცილებელი ცვლილების შესახებ, საბოლოო ანგარიშში კონკურენტული სადისტრიბუციო ბაზრის ფორმირების უზრუნველსაყოფად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვალუტის გაუფასურების მოტივით, 2015 წელს მოსახლეობას ელექტროენერჯია იმაზე მეტად გაუძვირდა, ვიდრე 2013 წლამდე იყო, (რეგიონებში ტარიფი გაიზარდა 3,95 თეთრით), თუმცა, შემდგომ, ვალუტის კურსის კლების მიუხედავად, ეს მაღალი ტარიფები არ შემცირებულა. რაც შეეხება „თელასის“ აბონენტებს, ყველაზე მძიმე დღეში მესამე კატეგორიის (301 კვ/სთ) მოხმარებლები აღმოჩნდნენ და მათვის ელექტროენერჯის საფასური, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 21.65 თეთრი გახდა. ამ კატეგორიას, კი ძირითადად, მცირე და საშუალო ბიზნესი მიეკუთვნება (რომ არაფერი ვთქვათ მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე), რომლებიც არსებულ რეალობაში ისედაც არახელსაყრელ ვითარებაში იმყოფება და კონკურენტუუნარო ხდება.

აღნიშნულთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ელექტროენერჯის ტარიფის მისი მოხმარების რაოდენობასთან მიზმის საკითხი. მოგვაჩნია,

რომ ელექტროენერჯის მოხმარების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ტარიფი კი არ უნდა იზრდებოდეს, არამედ საბაზრო ეკონომიკის კანონებიდან გამომდინარე, მცირდებოდეს, რათა გაიზარდოს ელექტროენერჯის რეალიზაცია და შესაბამისად გათვალისწინებული იქნეს, როგორც მწარმოებლის(მოგების მიღების თვალსაზრისით), ასევე მომხმარებლის ინტერესები. ასევე გადასახედია, ელექტროენერჯის საფასურის დარიცხვისა და ამოღების ამჟამად მოქმედი წესი, რამდენადაც არსებობს 101 და 301 კილოვატზე ზევით ელექტროენერჯის მოხმარების წინასწარგანზრახული სუბიექტური შეხედულებიდან გამომდინარე დაფიქსირების რისკი, მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ. ეს რისკი კი დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ელექტროენერჯის რაოდენობის მიხედვით დადგენილი ტარიფები არაგამჭოლია, მომხმარებელი ელექტროენერჯის საფასურს იხდის 30 კალენდარულ დღეში მოხმარებული ელექტროენერჯის სრულ რაოდენობაზე იმ ტარიფით, რომელიც დაწესებულია მოხმარებული ელექტროენერჯის შესაბამის რაოდენობაზე (საფეხურზე).

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, ურნალი „საკანონმდებლო მაცნე“, N1934, თბილისი, 1999.
2. ერისთავი ე., ჩომახიძე დ., ცინცაძე პ., - ენერჯეტიკის რეგულირების საფუძვლები, წიგნი 2, გამომც.ი.ს. „სანდრო ლოძაძე“, თბილისი, 2001, გვ. 397
3. ჩომახიძე დ.- საქართველოს ენერჯეტიკა, ეკონომიკა, რეგულირება, ტერმინოლოგია, სტატისტიკა; გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2014, გვ.187
4. Цены и ценообразование- под редакций В Е Есипова, Санкт-Петербург, изд. `Питер~ 2000, ст463.
5. ინტერნეტ რესურსები :http://www.energy.gov.ge/energy.php?id_pages=

Electricity Tariffs in Georgia - Existing Reality and Problems

Nodar Tsanava

Associate Professor, Georgian Technical University

Justan Bokuchava

Doctoral Student, Georgian Technical University

Electricity tariffs are some of the most important components of the Georgian consumer market, which largely determine living standards and ensure accelerated economic growth in the country as a whole.

Unfortunately it should be said, that high electricity tariffs existing today in Georgia, are not conducive to the achievement of these goals. The article analyzes the causes of the existing undesirable situation in the electricity market of Georgia; in particular, monopoly situation of the structures engaged in the distribution of electricity and proposed specific measures for the formation of a competitive electricity market and, accordingly, the development and implementation of the optimal tariff policy.

Keywords: Distribution money; electricity generation costs; consumer rates; monopolistic electricity market; concentration ratio; Herfindahl-Hirschman index, deconcentration.

JEL Codes: L10, L11, L12

საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში მოგების გადასახადიდან მისაღები შემოსავლების პროგნოზირების პრობლემა

აკაკი გაბელაია

*ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის
მოწვეული ასოცირებული პროფესორი
agabelaia@mail.ru*

ჩატარებულია საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავლების დინამიკის ანალიზი 2002-2015 წლებისათვის, გამოკვლეულია მისი დამოკიდებულება მშპ-ის მიმართ და აგებულია ამ მაჩვენებლის ლოგარითმული ტრენდული მოდელი, ავტორეგრესიული წევრით. ამ მოდელის ბაზაზე ნაპოვნია მაჩვენებლის პროგნოზული შეფასებები 2016-2018 წლებისათვის და შეფასებულია ე.წ. ესტონური მოდელის დანერგვის მოსალოდნელი გავლენა მის მოცულობებზე.

საკვანძო სიტყვები: შემოსავლების დინამიკის ანალიზი; საბაზო მოდელი; პროგნოზული შეფასებები.

საკითხის დასმა

როგორც ცნობილია, საბიუჯეტო შემოსავლების მაქსიმალურად რეალურად დაგეგმვა შეტად აქტუალური პრობლემაა. ასე მაგალითად, საქართველოში 1997-2003 წლებში, ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა სახელმწიფო ბიუჯეტის (კანონის!) ქრონიკულად ქსეული შეუსრულებლობა იყო. მართლაც, ამ წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის (შემოსავლების ნაწილში) საბოლოო (ე.ი. კორექტივების შეტანის შემდეგ მიღებული) გეგმის შესრულების მაჩვენებელი 70.5-დან 94.1 %-ის ფარგლებში მერყეობდა. რაც შეეხება 2004-2011 წლების პერიოდს, დამკვიდრდა ბიუჯეტის შემოსავლების გეგმებში კორექტივების პრაქტიკა უკვე მისი ზრდის მიმართულებით.

ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური იყო მიმდინარე წელს, როცა მოხერხდა იმ სამთავრობო ინიციატივის კანონად ქცევა, რომლის მიხედვითაც ბიზ-

ნესი მოგების გადასახადისგან თავისუფლდება და მხოლოდ დივიდენდები იბეგრება, ანუ (2017 წლის 1 იანვრიდან) დაინერგება ე.წ. ესტონური მოდელი.

ზოგადად კი, ცხადია, რომ ამ გადასახადიდან (ისევე, როგორც სხვა გადასახადებიდან) მისაღები საბიუჯეტო შემოსავლების რეალური დაგეგმვის პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზირების თანამედროვე მეთოდებისა და მოდელების შექმნასა და გამოყენებას.

შიქსი აღვნიშნოთ, რომ ჩვენს სინამდვილეში, ამ მიმართულებით გარკვეული წვლილი ამ სტრატეგიების ავტორს შეტანილი აქვს ჯერ კიდევ 2001-2002 წლებში. კერძოდ, ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული იყო საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზირების მეთოდიკა, რომლის ბაზაზე შემუშავდა საბიუჯეტო შემოსავლების "პირველადი პროგნოზული შეფასებების" მოდელი [1, გვ. 178-193; 2, გვ. 205-213]. კომპიუტერული პროგრამა ვიენს-4-ს ბაზაზე შემუშავდა საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საბაზო მოდელი 18 ენდოგენური და 3 ეგზოგენური ცვლადით (2005 წლის საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე), ასევე, საბიუჯეტო შემოსავლების <ახალი საბაზო მოდელი>, რომელიც შეიცავდა 9 ენდოგენურ და 1 ეგზოგენურ ცვლადს. ყოველივე ამის ბაზაზე კი მიღებული იყო საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზული შეფასებები 2006-2008 წლებისათვის [3, გვ. 47-55].

ავაგოთ ახლა, ზემოთ აღნიშნული მოდელების ბაზაზე, საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავლების საბაზო მოდელი და მის ბაზაზე ვიპოვოთ ამ მაჩვენებლის პროგნოზული შეფასებები 2016-2018 წლებისათვის. ამ ამოცანის გადაწყვეტას შევედგებით, ზემოთ უკვე ნახსენები კომპიუტერული პროგრამის შედარებით ახალი (ჩვენთვის ხელმისაწვდომი) ვიენს-6-ს ბაზაზე.

საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავლების დინამიკის ანალიზი და საბაზო მოდელი

უპირველეს ყოვლისა, შევნიშნოთ, რომ ნაერთი ბიუჯეტის თანამედროვე კლასიფიკაციაში მოგების გადასახადიდან შემოსავლების ნაცვლად, არის მუხლი - „გადასახადები შემოსავალზე, მოგებასა და კაპიტალის ნაზრდზე“ და დაფიქსირებული ამ მაჩვენებლის დინამიკის ანალიზით (იხ. ნახ. 1).


ამ მაჩვენებლის დინამიკა 2002-2015 წლებში ნაჩვენებია ნახ. 1-ზე.

როგორც ვხედავთ, ეს მაჩვენებელი ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპებით გამოირჩეოდა 2005-2008 წლებში. რასაც მოჰყვა მისი მნიშვნელოვანი დაცემა 2008 წელს, მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო, რასაც შემდგომ წლებში ისევ მოჰყვა ზრდის ტენდენცია, გარკვეული რყევებით.

რაც შეეხება ამ მაჩვენებლის დინამიკას მშპ-ის მიმართ, იგი ნაჩვენებია ნახ. 2-ზე.


საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლის „გადასახადები შემოსავალზე, მოგებასა და კაპიტალის ნაზრდზე“ დინამიკა 2002- 2015 წლებში

ნახ. 1.



საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლის „გადასახადები შემოსავალზე, მოგებასა და კაპიტალის ნაზრდზე“ დინამიკა მშპ-ს მიმართ 2002-2015 წლებში

ნახ. 2.



როგორც ვხედავთ, ამ მაჩვენებლის თვრდობას მშპ-ს მიმართ 2002-2007 წლებში ახასიათებდა ზრდის ტენდენცია. რაც შეეხება ბოლო წლებს, 2012 წლის კატასტროფული ვარდნის შემდეგ, 2013 წელს მან ისევ მიაღწია აღნიშნული მშპ-ის 3 %-ის დონეს, ხოლო 2015 წლის შეფასებებით, 3.2-%-ის დონეზე იყო.

შევეცადოთ ახლა ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლის „გადასახადები შემოსავალზე, მოგებასა და კაპიტალის ნაზრდზე“, პროგნოზული შეფასებების პოვნას 2016-2018 წლებისათვის. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, გავანალიზოთ ამ

მაჩვენებლის დამოკიდებულება მშპ-ის მოცულობაზე 2002-2015 წლების მონაცემებიდან გამომდინარე.

როგორც შესაბამისი გათვლები აჩვენებს, ამ სიდიდეებს შორის კორელაციის კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია, 0.4-ის რიგისაა, ამიტომ ვცადოთ მოცემული მაჩვენებლის ტრენდული მოდელის აგება.

შესაბამის ლოგარითმულ ტრენდულ მოდელს [4, გვ. 35-41], ავტორეგრესიული წევრით, აქვს სახე

$$\text{LOG(NMOG)} = -0.0012805080266 \cdot \text{NMOG}(-3) - 2.34119748017 + (1) \\ 3.45338877271 \cdot \text{LOG}(@\text{TREND}),$$

სადაც აღნიშნავს საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლის- „გადასახადები შემოსავალზე, მოგებასა და კაპიტალის ნაზრდზე“ მოცულობას, (-3) ამ მაჩვენებლის მოცულობას 3 წლის წინ, - მშპ-ს მოცულობას, -ნატურალურ ლოგარითმს, ხოლო @TREND კი-დროის ხელოვნურ ცვლადს.


ამ განტოლების პარამეტრთა სტატისტიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, იგი საკმაოდ მაღალი სიზუსტით გამოირჩევა:

მართლაც, მიღებული მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტი 0,97-ის ტოლია, კოეფიციენტთა ტ-სტატისტიკები საკმაოდ მაღალია, -სტატისტიკის მნიშვნელობა კი 186-ის ტოლია და მხოლოდ დარბინ-უოტსონის სტატისტიკაა ოდნავ დაბალი, 1.7-ის რიგის.

აღნიშნული მოდელის სიზუსტეზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მისი ცდომილების დიაგრამაც (იხ. ნახ. 3).

(1) მოდელის ცდომილების დიაგრამა

ნახ.3.




საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში მოგების გადასახადიდან მისაღები შემოსავლების პროგნოზული შეფასებები 2016-2018 წლებისათვის

რაც შეეხება (1) მოდელიდან მიღებულ, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლის - „გადასახადები შემოსავალზე, მოგებასა და კაპიტალის ნაზრდზე“ პროგნოზულ შეფასებებს 2016-2018 წლებისათვის, მან შეადგინა, შესაბამისად, 1261.42, 1439.6 და 1341.1 მლნ. ლარი. ამასთან, ამ მაჩვენებლის დინამიკა მოცემული პროგნოზული შეფასებების გათვალისწინებით, ნაჩვენებია ნახ. 4-ზე.

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლის- „გადასახადები შემოსავალზე, მოგებასა და კაპიტალის ნაზრდზე“, დინამიკა და პროგნოზული შეფასებები 2016-2018 წლებისათვის

ნახ. 4.



როგორც ვხედავთ, ამ პროგნოზული შეფასებებიდან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო ამ მაჩვენებლის გარკვეული კლება 2018 წლისათვის, ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ 2017 წლიდან, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, მოგების გადასახადზე უნდა დაინერგოს ე.წ. ესტონური მოდელი, აღნიშნული წლიდან მოსალოდნელია ამ მაჩვენებლის მოცულობის მნიშვნელოვანი (ესტონურში გამოცდილებიდან გამომდინარე, პირველ ორ წელიწადში დაახლოებით 50 %-ის ფარგლებში), კლება რასაც მომდევნო წლებში მისი მნიშვნელოვანი ზრდა უნდა მოჰყვეს.

ლიტერატურა:

1. გაბელაია ა. საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზირების მეთოდის შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში – “გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში” (ტომი VI), თბილისი, 2002.
2. გაბელაია ა. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები: გეგმები და შესრულება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში – გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“ (ტომი VIII), თბილისი, 2005.
3. გაბელაია ა. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საბაზო მოდელი და პროგნოზირების პრობლემა. თეუსუ-ს ჟურნალი “კომერსანტი”, №2, თბილისი, 2007.
4. V. Su. Economic Fluctuations and Forecasting. HarperCollins College. PubliShers. 1996.

Forecasting Problem of Receipts from Income Tax in the Consolidated Budget of Georgia

Akaki Gabelaia

*Doctor of Matemtical and Physical Sciences,
Associate Professor, Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

It is known, that the most real planning of the budgetary receipts problem is very actual. So, for example, for Georgia, in 1997-2003, chronic non-performance of the state budget was one of the main problems of the Georgian economy. As for 2004-2011, practice of updating of the budgetary plans towards their increase settled.

This problem gained special relevance in the current year, when it was succeeded to give a law shape a government initiative about release of business from a tax (except for dividends), i.e. about introductions of Estonian model.

In this work, the analysis of dynamics of receipts from income tax is carried out to the consolidated budget of Georgia for 2002-2015, investigated its dependence on GDP of the country and constructed indicators logarithmic trend model with the autoregressive member. Further, on the basis of this model, projections of this indicator for 2016-2018 are found and the assessment of probable influence of introduction of Estonian model on these receipts is given.

Keywords: Receipts from income tax; consolidated budget; basic models, forecast estimations.

JEL Codes: H20, H21, H71, H72

მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკები და მისი შემცირების ძირითადი მიმართულებები

ნინო ლავკიაშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი*

შანა ბალახაშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი*

საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობის აზრით, სხვა სამინისტროებთან შედარებით, უკეთესად მუშაობს შრომის, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო. ამ აზრს ჩვენც ვიზიარებთ. სამინისტრომ უკანასკნელ წლებში, მართლაც ბევრი რამ გააკეთა სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და მისი კლინიკური შედეგების გასაუმჯობესებლად, საყოველთაო დაზღვევის გასაფართოებლად. ეს შედეგები უკეთესია წინა წლებთან შედარებით, მაგრამ საზღვარგარეთის წამყვან ქვეყნებთან კვლავ დიდია ჩამორჩენა. სტატიაში სწორედ ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებებსა და და მათი აღმოფხვრის გზებზეა ყურადღება გამახვილებული.

საკვანძო სიტყვები: რისკი; ჯანმრთელობის დაცვა; ავადობა; სამედიცინო დაზღვევა; ვიზიტი; ბიუჯეტი.

მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები საქართველოში

DMCG და OPM-ის მიერ მომზადებულ კვლევაში – „ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგია საქართველოსთვის 2010-2015 წლებში“ – აღნიშნულია: “შემაშფოთებელია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლები საშუალო ევროპულ პარამეტრებთან შედარებით გაცილებით დაბალია. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში 2007 წელს იყო 75.1, ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა ყოველ 1000 ცოცხლადშობილზე – 14, დედათა

სიკვდილიანობა 15.6” [1, გვ. 8-9]. ეს მაჩვენებლები შედარებით გაუმჯობესდა შემდეგ წლებში, თუმცა, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, დიდი სხვაობაა. იქ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 78.5 წელია, ბავშვთა სიკვდილიანობა 7, დედათა სიკვდილიანობა 10.3 [2]. ევროპის ეს მაჩვენებლები საქართველოს 2010-2015 წლების ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგიაში სამიზნე მაჩვენებლებად არის ჩათვლილი. ამასთან, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 2007 წელს საქართველოში დაფიქსირებული მოსახლეობის კვლავწარმოების უარყოფითი ტენდენცია მთლიანად არ გამოსწორებულა და მთელი რიგი პოზიციის მიხედვით კვლავ გაგრძელდა შემდეგ წლებში, ან მეტად უმნიშვნელოდ გამოსწორდა (ცხრილი 1).

მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები
საქართველოში 2005-2013 წლებში [3, გვ. 26, 30, 34]

ცხრილი 1

#	მაჩვენებლები	2005	2007	2010	2013	ცვლილება 2005-2013 წლებში
1	შობადობა (მოსახლეობის ათას კაცზე)	10,7	11,2	14,1	12,9	+2,2
2	მოკვდაობა (მოსახლეობის ათას კაცზე)	9,9	9,4	10,7	10,8	+0,9
3	ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა (ასაკობრივი ჯგუფის ათას კაცზე)	19,7	13,3	11,2	11,1	-8,6
4	გარდაცვლილთა რიცხვი	40721	41178	46625	48563	+7842
5	მკვდრადშობადობა (ათას ცოცხლადდაბადებულზე)	15,6	12,7	7,6	7,9	-7,7
6	ბუნებრივი მატება (ათას კაცზე)	0,8	1,8	3,3	2,1	+1,3
7	სიცოცხლის ხანგრძლივობა	74	75,1	74,1	75,2	+1,2

საქართველოში, 2005-2013 წლებში დაავადებულთა რიცხვი 695200-დან 1795800-მდე, ე. ი. 158.3%-ით გაიზარდა. 2005 წელს გარდაიცვალა 40721 კაცი, ანუ 5.8%, ხოლო გამოჯანმრთელდა 94.2%. 2013 წელს დაავადებულთა საერთო რიცხვიდან გარდაიცვალა 48563 კაცი, ე. ი. 2.7%, ხოლო გამოჯანმრთელდა 97.3%. მაშასადამე, 2005-2013 წლებში მოსახლეობის გამოჯანმრთელების დონე გაიზარდა. 2005 წელს ყოველ 1000 დაავადებულთან გარდაიცვალა 59 კაცი, 2013 წელს – მხოლოდ 27. ცხადია, ეს ფაქტი საქარ-

თველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მუშაობის თანდათანობით გაუმჯობესებაზე მეტყველებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საშუალო ოჯახი შემოსავლის 34%-ს ჯანმრთელობის უზრუნველყოფაზე ხარჯავს [4, გვ. 21], ცხოვრების მძიმე პირობების გამო, ავადობის და, აქედან გამომდინარე, ექიმთან ვიზიტის შემთხვევები წლიდან -წლამდე იზრდება. ამ მაჩვენებელმა 2007 წელს 6961800, ხოლო 2010 წელს 7623100 შეადგინა [5, გვ. 82, 85]. განსაკუთრებით გაზრდილია პირველადი დიაგნოზით რეგისტრირებულ დაავადებათა რიცხვი. 2005 წელს საქართველოში ასეთი 695000 შემთხვევა იყო დაფიქსირებული, 2013 წელს კი – 1795800 შემთხვევა. ასეთივე ტენდენცია დაფიქსირდა 0-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვებში (იხ. ცხრილი 2). აქ ამ შემთხვევების რიცხვი 258300-დან 473100-მდე, ი. ი. 1.5-ჯერ არის გაზრდილი. დიდებში განსაკუთრებით გაზრდილია ძვალკუნთოვანი დაავადებები (347.6%-ით), საჭმლის მომწელებელი ორგანოების დაავადებები (247%-ით), შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები (258%-ით), ბავშვებში – საჭმლის მომწელებელი ორგანოების დაავადებები (277%-ით), ძვალკუნთოვანი (300%-ით), ნორმიდან გადახრილი სიმპტომები (475%-ით), ინფექციური და პარაზიტული დაავადებები (183.8%-ით). კვლავ ბევრია ტუბერკულოზით, სისხლის მიმოქცევის, სასუნთქი ორგანოების დაავადებები, იმატა ახალწარმოწამებმა და ა. შ.

საქართველოში მოზრდილთა და ბავშვთა ავადობა
2005-2013 წლებში [3, გვ. 82, 84, 85, 86]

ცხრილი 2

	სულ, პირველადი დიაგნოზით დაავადებულნი, კაცი	დიდები			სულ, პირველადი დიაგნოზით დაავადებულნი, კაცი	ბავშვები			
		მათ შორის				მათ შორის			
		ძვალკუნთოვანი დაავადებები	შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებანი	საჭმლის მომწელებელი ორგანოების დაავადებანი		საჭმლის მომწელებელი ორგანოების დაავადებანი	ძვალკუნთოვანი დაავადებები	ნორმიდან გადახრილი სიმპტომები	ინფექციური დაავადებები
2005	695200	132.00	31600	84900	258300	12600	1100	1200	31300
2013	1795800	58200	111200	292400	473100	35500	3300	5700	57200
დინამიკა, %	258,3	446,0	358,0	347,0	183,8	277,7	300,0	475,0	183,8

ავადობასთან პირდაპირ კავშირშია სიკვდილიანობა. 2013 წელს საქართველოში ავადმყოფობით გარდაიცვალა 48553 კაცი. შედგება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველ 1000 კაცზეც გაანგარიშებით, მოკვდაობის კოეფიციენტმა შეადგინა 10.8, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანში იგი 7.6-ია, თურქეთში – 5.9, აშშ-ში – 5.2, ისრაელში – 5,5 და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში -1.4 [6, გვ. 27]. მაშასადამე, 2013 წელს საქართველოში მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით, გარდაიცვალა თითქმის 11 კაცი, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში კი – 1.4. მართალია, არიან ქვეყნები, რომელთაც ჩვენზე მაღალი მოკვდაობის დონე აქვთ – სომალი – 16.6, რუსეთი – 16.2, სიერა-ლეონე – 22.1, ავღანეთი – 19.9, უკრაინა – 16.4 და ა. შ., მაგრამ ჩვენ ორიენტაცია სიცოცხლის მაღალი პოტენციალის მქონე ქვეყნებზე უნდა ავიღოთ. ჩვენი აზრით, ამ საკითხში საქართველოსთვის ახლო სამიზნე უნდა იყოს აშშ მოკვდაობის 5,2 კოეფიციენტით, ხოლო შორეული სამიზნე – არაბეთის გაერთიანებული ემირატები 1.4 მოკვდაობის კოეფიციენტით.

ჯანმრთელობის სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კადრები

2013 წლის მონაცემებით, საქართველოში არსებობდა 237 საავადმყოფო და 1990 ამბულატორია-პოლიკლინიკა, ანუ 2005 წელთან შედარებით, 5 საავადმყოფოთი ნაკლები და 867 პოლიკლინიკა-ამბულატორიით მეტი. ამავე წელს საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობა იყო 11600. 2005 წელთან შედარებით, საწოლების რიცხვი შემცირებულია 5500 ერთეულით. ამავე პერიოდში 3235 ათასით გაიზარდა ამბულატორია-პოლიკლინიკებში ექიმებთან ვიზიტების რიცხვი.

ჩვენი აზრით, საქართველოში უნდა გაიზარდოს საავადმყოფოების რაოდენობა და მათში საწოლების რაოდენობა. როცა საავადმყოფოების რაოდენობა და მათში არსებული საწოლების რაოდენობა მცირდება, ძნელია მსჯელობა ჯანდაცვის მომსახურების ხარისხსა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფაზე. ამასთან, რეგისტრირებული ავადმყოფები საქართველოში არსებულ დაავადებათა საერთო რაოდენობის მხოლოდ ნაწილია. მათი დიდი ნაწილი არ მიმართავს ექიმს იმ ქრონიკული სიღარიბის ფონზე, რომელშიც მოსახლეობის 70% იმყოფება.

საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობის შემცირება ალბათ, დაეფუძნა იმ გათვლებს, რომ ამ პერიოდში ქვეყანას ყველაზე მცირე რაოდენობით ეყოლება ავადმყოფი ხანშიშესულები, რადგან ისინი მეორე მსოფლიო ომის დროს დაიბადნენ, როდესაც შობადობის დონე დაბალი იყო. ამ მოსაზრებას ასაბუთებს სტატისტიკაც, რომელიც გვამცნობს, რომ 1940-1949 წლებში საქართველოში მართლაც დაბადებულა მხოლოდ 659021 ბავშვი, 1950-1959 წლებში – 903263 ბავშვი, 1960-1965 წლებში – 959815 ბავშვი და ა. შ. [7, გვ.

11]. 1940-1949 წლებში დაბადებულთა და ამაჟამად ცოცხლად დარჩენილთა ასაკი 61-70 წლის დიაპაზონში მერყეობს. თუმცა, ეს არგუმენტი მხოლოდ XXI საუკუნის საწყისი წლებისთვისაა გამართლებული, შემდეგ ათწლეულებში კი ხანშიშესულთა რიცხვი მნიშვნელოვნად მოიმატებს. ასეთ დროს, კერძო საავადმყოფოების მფლობელებს, პრივატიზებიდან 7 წლის შემდეგ, უფლება აქვთ შეიცვალონ პროფილი (თუ ამას ჩათვლიან მიზანშეწონილად) სახელმწიფოსთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. ეს პროცესი თუ დაიწყო, მაშინ საავადმყოფოების და საწოლების ის რაოდენობაც შემცირდება, რაც დღეს არსებობს. ამასთან, საქართველოში არსებული უკიდურესი სიღატაკის და არაჯანსაღი ცხოვრების წესის გამო, ავადმყოფობა, ჩვენდა სამწუხაროდ, <გაახალგაზრდავდა>. ავადდებიან და იხოცებიან არა მხოლოდ მოხუცები, არამედ ახალგაზრდებიც. ამდენად, თუ საქართველოს მთავრობა კურსს აიღებს სამედიცინო დაწესებულებების და მათი სიმძლავრის შემცირებისკენ, ეს არ იქნება გამართლებული.

საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 75.2 წელია (2013 წლის ინფორმაცია). მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) შეიმუშავა ახალი DALY-ს ინდექსი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობაზეა ორიენტირებული და აღმოჩნდა, რომ საქართველოში ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა მხოლოდ 66.3 წელია [7, გვ. 14]. მაშასადამე, გამოდის, რომ საქართველოში მცხოვრები ადამიანი თავისი სიცოცხლის განმავლობაში 8.9 წელი ($75.2 - 66.3 = 8.9$) ავადმყოფობს (ავადმყოფობა ყველა ქვეყანაშია, მაგრამ იაპონიაში ეს მაჩვენებელი 4.5 წელია, გერმანიაში – 4.9 წელი და ა. შ.). ეს ის წლებია, როცა ავადმყოფს უნდა გაეწიოს მაღალი ხარისხის უსაფრთხო სამედიცინო მომსახურება. ამ მიზნის მისაღწევად <ჯანდაცვის სისტემამ მისი მომსახურება უნდა უზრუნველყოს ეფექტიანად და ეფექტურად> [8, გვ. 11]. ცხადია, იგი ამას ვერ შეძლებს, თუ არ იქნება უზრუნველყოფილი სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და მედიკოსთა მაღალკვალიფიციური კადრებით.

სამედიცინო დაზღვევა საქართველოში და მისი სრულყოფის ღონისძიებები

სამედიცინო დაზღვევა ადამიანთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფას ემსახურება. მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომლის სოციალურ ამოცანებში ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა არ იყოს დათვიქსირებული. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა ისეთი საკითხია, რომელზეც გადაწყვეტილება ინდივიდის, ანდა მისი ოჯახის მიერ მიიღება. ამ საკითხის გადაწყვეტის თანამედროვე ფორმაა პირადი სამედიცინო დაზღვევის კონტრაქტის გაფორმება, რომლის შეზღუდვები მრავალია. ეს არის მოსახლეობის არათანაბარი ხელმისაწვდომობა სამედიცინო დაზღვევაზე, სოციალურად გაჭირვებულთა არასაკ-

მარისი დაცვა, რისკებისადმი მზღვეველი ორგანიზაციის სელექციური მიდგომა და სხვა.

ამუამად საქართველოში მოქმედებს სამედიცინო დაზღვევის სავალდებულო და ნებაყოფლობითი ფორმა. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა უფასოა მოსახლეობისთვის და ამ ფორმით მოსახლეობაში სამედიცინო მომსახურების ხარჯებს, განურჩევლად იმისა, მათ კერძო სამედიცინო დაწესებულება მოემსახურება თუ სახელმწიფო დაწესებულება, სახელმწიფო იხდის (ამაში არ შედის ბიუჯეტის ის ასიგნებები, რომელსაც სახელმწიფო ჯანდაცვის როგორც დარგის, განვითარებისთვის ყოველ წელს გამოყოფს).

სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევა საქართველოში საყოველთაოა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მთელ მოსახლეობას (დასაქმებულს და დაუსაქმებულს) მოიცავს. დაზღვევის ამ ფორმის დროს დაავადებულ დაზღვეულს შეუძლია აირჩიოს სამედიცინო ორგანიზაცია (სადაც მას უმკურნალებენ), ექიმი, თვით სადაზღვევო ორგანიზაცია, ტერიტორია, სადაც ის მიიღებს საჭირო სამედიცინო მომსახურებას და მოითხოვოს იმ ზარალის ანაზღაურებაც თუ ის გამოიწვია მისმა არასწორმა მკურნალობამ.

დაზღვევის ამ ფორმის გავრცელება საქართველოში პროგრესული ნაბიჯია, რადგან მოსახლეობის 40-50% უმუშევარია და ამ მიზეზით მათ არ შეუძლიათ კერძო სამედიცინო მომსახურების მიღება. მაგრამ მას აქვს თავისი უარყოფითი მხარე – იგი არ მოიცავს არა თუ ყველა დაავადების სახელმწიფოს ხარჯზე ანაზღაურებას, არამედ, ერთი და იმავე დაავადებას დაყოფილს ავადობის ხარისხების მიხედვით. მაშასადამე, თუ დაავადება დაბალი ხარისხისაა, იგი ექვემდებარება სახელმწიფო დაფინანსებას, ხოლო თუ საშუალო ან მაღალი ხარისხის ნაწილობრივ ან საერთოდ არა. ეს არის დაავადებულის მიმართ არასამართლიანი მიდგომა. დაავადებულის სამედიცინო მომსახურება არის სოციალური პრობლემა და ამ საკითხში სახელმწიფოს ყველასთვის, განურჩევლად ავადმყოფობის სიმძიმისა, ერთნაირი მიდგომა უნდა ჰქონდეს.

ჩვენთვის გასაცემაა, რომ სახელმწიფოს რესურსები შეზღუდულია და სწორედ ამიტომ მაღალრისკიან დაავადებებს სახელმწიფო ვერ აზღვევს. ვიმეორებთ, რომ საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის შემოტანამ დიდი სიკეთე მოუტანა საქართველოს მოსახლეობას. მან ქვეყნის მთელი მოსახლეობა მოიცვა – მთასა და ბარში მცხოვრები, მაგრამ ვერ შეცვალა მოქალაქის ფსიქოლოგია. სამედიცინო დაზღვევა მაშინ იქნება ეფექტიანი, როცა დაზღვეული მოქალაქე, თვითონ იქნება დანიტერესებული, რომ სადაზღვევო შემთხვევა (ე. ი. ავადმყოფობა) არ დადგეს, რომ მას არ დასჭირდეს ექიმთან მისვლა. ნებისმიერმა მოქალაქემ იცის, რომ ჯანმრთელობის შენარჩუნება ფასიანია, მაგრამ როცა ამ ფულის გადახდა მას საკუთარი ჯიბიდან უწევს, უფრო მეტად უფროთხილდება ჯანმრთელობას. ამ გავებით სავალდებულო დაზღვევას, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს, ეს ნაკლოვანება აქვს და სწორედ ამ თვალსაზრისით უპირატესობა ნებაყოფლობით (ანუ კერძო) დაზღვევის მხარეზეა. საქართველოს

მოსახლეობის 70% ღარიბი ან ლატაკია და მათ არ შეუძლიათ საკუთარი ბიუჯეტიდან დაიზღვიონ თავისი ჯანმრთელობა (ეს შეუძლია მხოლოდ საშუალო და მდიდარ ფენას). არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოდ სოციალურად დაუცველი მოსახლეობაა (პენსიონრები, ინვალიდები, უმუშევრები და სხვა). მათში შედის დასაქმებულთა ერთი ნაწილი, რომელთაც მეტად დაბალი ანაზღაურება აქვთ. ქვეყანაში, სადაც არ არსებობს დაკანონებული მინიმალური ხელფასი, დამსაქმებლები, განსაკუთრებით კერძო ფირმები, ხელფასების საკითხში თავიანთ სასარგებლოდ მეტად თვითნებობენ. ამას ემატება ისიც, რომ ისე გაუქმდა დაუბეგრავი შემოსავლის მინიმუმი (უნდა ამოქმედებულიყო 2016 წლის 1 იანვრიდან), რომ ამოქმედებაც ვერ მოასწრო. მაშასადამე, არა აქვს მნიშვნელობა მომუშავეს 100 ლარი აქვს ხელფასი თუ 50 ლარი, მან საშემოსავლო გადასახადი მაინც 20% უნდა გადაიხადოს, ისე როგორც ამას იხდის 500, 1000, და მეტი ხელფასის მქონე. ასეთ დროს მაღალანაზღაურებად ადამიანთა „ჯიბებზე“ ეს გადასახადი კატასტროფულად არ მოქმედებს, დაბალანაზღაურებად ადამიანთა „ჯიბის“ კი ანადგურებს. მოსახლეობის ამ ფენას დასაქმებულები ეწოდება, მაგრამ მათი შემოსავალი მიზერულია. ხშირად ის მინიმალური სასიცოცხლოდ აუცილებელი სასურსათო კალათის ღირებულების ტოლიც კი არ არის და როგორ შეძლებს ეს ვითომდა დასაქმებული ადამიანი თავისი „ჯიბიდან“ ჯანმრთელობის დაზღვევას.

მაშასადამე, ორ უკიდურესობასთან გვაქვს საქმე. ერთი მხრივ, სახელმწიფოს სახსრები შეზღუდულია და ყველა სახის ავადმყოფობასა და გართულებას (რისკის ხარისხი) ბიუჯეტიდან ვერ აფინანსებს, მეორე მხრივ, მოსახლეობის 70% ღარიბია და თვითონ, თავისი ჯიბიდან ვერ იხდის. ამიტომაც, რომ შინ თუ გარეთ, ტელევიზიაში, რადიოში, გაზეთში, ქუჩაში და სხვაგან, გვთხოვენ დავეხმაროთ ავადმყოფებს (უფრო ხშირად ბავშვებზე, მოზარდებზე და ახალგაზრდებზე მიგვანიშნებენ), რომელთა მკურნალობას დიდი თანხები სჭირდება (ადგილზე ან საზღვარგარეთ).

აღსანიშნავია, რომ ავადმყოფობათა სახეობები მომრავლდა – ახალ-ახალი გაჩნდა, ძველი კი – გართულებული ფორმებით წარმოჩინდა. თვით მედიცინის მუშაკები გაოცებული არიან ასეთი ვითარებით – ზოგი დაუბალანსებელ კვებას აბრალევენ, ზოგი გლობალურ დათბობას და ზოგი რას. ასეა თუ ისე, ჩვენი აზრით, უნდა მოიძებნოს რაღაც მაქსიმალურად შესაძლებელი რესურსი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ავადმყოფი, მიუხედავად მისი ავადმყოფობის ხარისხისა. საქართველოს მოქალაქეს არ უნდა ეშინოდეს იმის, რომ თუ იგი მძიმე ფორმის სენით დაავადდება, სახელმწიფო არ დაათინანსებს და ვერც თვითონ შეძლებს მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით საკითხს იმის შესახებ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალობაზე საქართველოში გაუქმდა რა სოციალური დაზღვევის გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ დამსაქმებლები და დასაქმებულები, რომლითაც იქმნებოდა სოციალური დაზღვე-

ვის ფონდი და რომელიც იხარჯებოდა ასაკით პენსიონრების პენსიებისთვის, მარჩენალდაკარგულ ოჯახების დასახმარებლად, უნარშემღუდულთა პენსიებისთვის და ა. შ., სახელმწიფომ ყველა ეს ხარჯი აიღო თავის თავზე, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, სახელმწიფო რესურსი ვერ წვდება ასეთ დიდ ხარჯს. ეს გამოიხატება პენსიების (160 ლარი თვეში, მაშინ, როდესაც რუსეთში იგი 400 დოლარის ეკვივალენტი) და სამედიცინო დაზღვევის სიმცირეში.

პროფესორ თ. ვერულავას დაკვირვებით, რომელიც მან ნეირო-ქირურგიაში ჩაატარა [9, გვ. 82], ამ სფეროში გადაუდებელი მკურნალობისთვის განსაზღვრული ლიმიტი 15000 ლარი, არ არის საკმარისი. პაციენტთა გარკვეულ ნაწილს უწევს მკურნალობის ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდა (ზოგ შემთხვევაში იგი 2000 დოლარს აღემატება). თ. ვერულავას აზრით, საჭიროა გაფართოვდეს სახელმწიფო პროგრამით დასაფინანსებელ სამედიცინო მომსახურების პაკეტი. ამასთან, იგი მოითხოვს, რომ გაიზარდოს დაფინანსების ლიმიტები.

ასეთი მიდგომა კარგია, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი შემღუდულია რესურსებით. ჩვენი აზრით, რადგან ეს პრობლემა სოციალური პრობლემაა, სამედიცინო დაზღვევის ხაზით უნდა შეიქმნას მედიკო-სოციალური დაზღვევის სისტემა და მთელი ეს ხარჯი მხოლოდ სახელმწიფოს კი არ უნდა დაეკისროს, არამედ, მასთან ერთად დამსაქმებლებს და დასაქმებულებს (ცხადია, ეს არ შეეხება ბავშვებს, მოხუცებს და უმუშევართა ფენას). მაშასადამე, მიზანშეწონილია, აღვადგინოთ ადრე არსებული სოციალური გადასახადი, რომელსაც არა მხოლოდ საპენსიო, არამედ, სამედიცინო დაზღვევის დანიშნულება ექნება და როგორც ადრე, ახლაც ის სავალდებულო წესით უნდა გადავახდევინოთ საწარმოებს და ორგანიზაციებს და მათში დასაქმებულებს. უკვე აღვნიშნეთ და კიდევ ვიმეორებთ: თუ დასაქმებულს ეცოდინება, რომ ის საკუთარი ხელფასიდან იხდის, უფრო მეტად გაუფრთხილდება თავის ჯანმრთელობას. მაშასადამე, მედიკო-სოციალური დაზღვევის ფონდი სამი წყაროდან – დამსაქმებლების, დასაქმებულების და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე შეიქმნება და ყველას განესაზღვრება თავისი პროცენტი. ეს შეიძლება გააკეთოს სახელმწიფომ ნორმატივების სახით და შეიძლება გააკეთონ თვითონ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ხელფასის წლიური ფონდის მიმართ პროცენტულად.

ჩვენი აზრით, დასაქმებულების და დამსაქმებლების ეს სავალდებულო გადასახადი, დასაქმებულებს ცალ-ცალკე უნდა დაუგროვდეთ მათ სპეციალურ ანგარიშზე, რათა თითოეულმა მათგანმა იცოდეს მისი სიდიდის შესახებ. ანუ განსხვავებით საბჭოური ე. წ. „სემეშკოს“ მოდელისა, ამ თანხამ „ერთ ქვაბშიო არ უნდა მოიყაროს თავი და ერთმანეთი არ უნდა გადაფაროს („სემეშკოსო მოდელი, მართალია, სოლიდური იყო, მაგრამ მას მოწინააღმდეგეები მაშინაც ჰყავდა და ახლაც ეყოლება). ის დასაქმებული, რომელიც ავად არ გამხდარა, სამართლიანად არ ჩათვლის, რომ მის მიერ ხელფასიდან გადახდილი მედიკო-სოციალური გადასახადით სხვა დასაქმებულის ავადმყოფობის მკურ-

ნალობა დაფინანსდება, რომელიც ასევე იხდიდა ასეთ გადასახადს, მაგრამ იგი მისი მკურნალობისათვის საკმარისი არ იყო). სწორედ ეს დაგროვილი მედიკო-სოციალური გადასახადი იქნება დასაქმებულის პენსიის და სამედიცინო დაზღვევის ხარჯების დაფარვის ძირითადი წყარო, ხოლო თუ იგი არასაკმარისი აღმოჩნდა, მაშინ მას დაემატება დამსაქმებლისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადახდილი დაზღვევის თანხები. დასაქმებულის ავად არგახდომის შემთხვევაში, დაგროვილი თანხა მისი საკუთრებაა და გამოიყენებს მთლიანად საპენსიოდ.

დასაქმებულის ხელფასიდან მედიკო-სოციალური გადასახადის გადახდის ასეთი „დაგროვებითი“ ფორმა იმიტომ მივიჩნით მისაღებად, რომ დასაქმებულ მოქალაქეს როდესაც ეცოდინება, რომ თუ ავად გახდა, თანხა პირველ რიგში, ჩამოიჭრება მისი ანაგრიშიდან (ეს ხომ იგივე მისი „ჭიბეაო“), იგი ყოველთვის შეეცდება პროფილაქტიკური პროცედურები ჩაიტაროს, რომ ავად არ გახდეს, სხვა შემთხვევაში კი, ანუ როცა „სემეპკოს“ მოდელი მუშაობს, ადამიანს ავადმყოფობა შეაწუხებს, მაგრამ მისი ხარჯის ანაზღაურება არაა, რადგან ის საერთო ჯიბიდან – ბიუჯეტიდან დაიფარება.

ამრიგად, ჩვენი შემოთავაზების არსი ასეთია: თითოეულ დასაქმებულს ხელფასიდან დაუკავდეს მედიკო-სოციალური გადასახადი, რაც მის სპეციალურ ანგარიშში ჩაირიცხება, მიზნობრივი დანიშნულებით ავადმყოფობის ხარჯების დაფარვა და პენსია, რომლის განმკარგავიც იქნება. ამ ანგარიშზე მას თანხები მუშაობის პერიოდში დაუგროვდება. სასურველია აღნიშნული გადასახადის განაკვეთი ხელფასის სიდიდის ადეკვატური იყოს. აშშ-ში თითოეული მოქალაქე ამ მიზნით 3154 დოლარს იხდის, საფრანგეთში – 4467 დოლარს [10, გვ. 101]. საქართველოში ამდენი თუ არა (ისიც ჯერ-ჯერობით), იგი ამის ნახევარი მაინც უნდა იყოს.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ერთი ადამიანის სამედიცინო მომსახურების ხარჯები აშშ-ში საშუალოდ წელიწადში – 2763, საფრანგეთში – 1100, დიდ ბრიტანეთში კი – 1039 დოლარია [11, გვ. 178], ხოლო საქართველოში – 171 დოლარი [12, გვ. 178]. ეს იმიტომ ხდება, რომ მოსახლეობის ძირითადი სამედიცინო მომსახურება სახელმწიფომ აიღო თავის თავზე, მას კი ამ მომსახურების მსოფლიო სტანდარტებამდე მისაყვანად, საბიუჯეტო რესურსები არ ჰყოფნის. ყველა მაღალგანვითარებული ქვეყნის დასაქმებული მოსახლეობა იხდის მედიკო-სოციალურ გადასახადს, რაც ჩვენც სავალდებულო წესით უნდა შემოვიღოთ.

ჩვენს წინადადებას, ალბათ, გამოუჩნდებიან ოპონენტები, რომლებიც იკამათებენ იმაზე, რომ დასაქმებული მოსახლეობა ხელფასიდან ბიუჯეტში 20%-ს ისედაც იხდის საშემოსავლო გადასახადს, რომელიც გამოიყენება მოსახლეობის სოციალური საჭიროებებისთვის. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ის 20%-იანი თანხა „გაუპიროვნებელია“. გადამხდელმა მართო ის იცის, რომ ბიუჯეტში ირიცხება, მაგრამ მერე ვისზე ან რაზე იხარჯება, ეს მისთვის უცნობია. ამიტომ

მათ უჩნდებათ პროტესტის გრძნობა. ახლებური წესით კი, გადამხდლებს ეს თანხა უგროვდებათ პირად ანგარიშზე რომელიმე ბანკში და იგი მათი კუთვნილებაა.

* * *

დასასრულ, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ არასაკმარისი სახელმწიფო ბიუჯეტური რესურსების გამო, სამედიცინო საყოველთაო დაზღვევის მთელი ხარჯების სახელმწიფოს მიერ თავის თავზე აღება არ მიგვაჩნია გამართლებულად. დასაქმებულები და დამსაქმებლები სავალდებულო წესით უნდა იხდიდნენ სოციალურ გადასახდს, რაც უნდა გროვდებოდეს დასაქმებულთა პირად ანგარიშებზე მათი მკურნალობისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში, მისი შევსება უნდა ხდებოდეს ბიუჯეტის სახსრებით. ეს მოსაზრება არ ეხება უმუშევრებს, ბავშვებს, მოხუცებს, ინვალიდებს და ზოგადად, სოციალურად დაუცველებს. მათი სამედიცინო საჭიროება კვლავ ბიუჯეტით უნდა დაფინანსდეს.

ლიტერატურა:

1. ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგია საქართველოსთვის 2010-2015 წლებისთვის, თბ., 2009.
2. Georgia Health System Performahce Assasment, 2008, full report, MOLHSA.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2014.
4. ტუხაშვილი ე., რატომ მოდის საქართველოში 1500 მოსახლეზე თითო აფთიაქი, გაზეთი „ეკონომიკური პალიტრა“, #41, 5-11 ნოემბერი, 2012, გვ. 21.
5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ანაგრიშგებიითი მასალები 2005-2013 წლების.
6. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2012, 26.XI–2.XII, გვ. 27.
7. ჯაყელი კ., ხაჭაპურიძე გ. ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებები მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, უ. „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ბიულეტენი“, 2002, #65.
8. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასება (მოკლე ანგარიში), თბ., 2009.
9. ვერულავა თ., გაბულდანი მ. გადაუდებელი დაავადებების ფინანსური ხელმისაწვდომობა საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2015, ტომი VIII, №1.
10. Джеймс А. Рейс. Преобразование системы Здравохранения США в контексте мирового процесса, М., 1995.
11. Деванг Н. Организация медицинского страхования в России, М., 1993.
12. ვერულავა თ. ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა, თბ., 2009.

Risks of Population Health and Major Directions of Its Reduction

Nino Lazviashvili

Professor, Georgian Technical University,

Zhana Balakhashvili

Doctoral student, Georgian Technical University.

The article analyzes Georgia's population reproduction indicators, health condition and there are raised issues of medical and social services for reducing health risks, the necessity of the further improvement of health insurance.

The article states that the level of morbidity and mortality increased in Georgia in 2005-2013. In this light, the current policy on the reduction of medical institutions capacity is considered incorrectly. Complete cancellation of the Soviet method of medical and social insurance and undertaking this burden wholly by the state is assessed incorrectly.

The conceptual approach of regulation of these problems is proposed by the authors of the article.

Keywords: Risk; health; morbidity; medical insurance; visit, budget.

JEL Codes: H51, I10, I12, I18

საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი საფუძვლების ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციები

სოფიკო თაღიაშვილი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
sophie.taghiashvili@yahoo.com*

სტატია ეხება თანამედროვე პერიოდში საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო მექანიზმების კოორდინაციის სრულყოფის გზების განსაზღვრას, მაკროეკონომიკური განვითარების მიმდინარე პროცესებზე სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის, საგადასახადო და საბიუჯეტო მექანიზმების გავლენის შესწავლას.

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკად ტრანსფორმაციის ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ერთი მხრივ, ეკონომიკური სისტემის უპირატესობათა მაქსიმალური გამოვლენა და საბაზრო ინსტიტუტებისა და მექანიზმების ფორმირება-ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ეკონომიკურად მიზანშეწონილი მასშტაბებით განხორციელება იმ მეთოდების გამოყენებით, რაც განვითარების მოცემულ ეტაპზე, ყველაზე მეტად მიესადაგება ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციისა და რეალური ზრდის მოთხოვნებს.

საკვანძო სიტყვები: ფისკალური პოლიტიკა; საგადასახადო პოლიტიკა; საგადასახადო კანონმდებლობა; საბიუჯეტო პოლიტიკა; პროგრამული ბიუჯეტი.

სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენი, თავისი ფუნქციებისა და ძალაუფლების ფარგლებში, ყოველთვის ახორციელებს მეტნაკლებად ეფექტიან ფისკალურ პოლიტიკას, ის უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ისეთი ამოცანების გადანწყვეტას, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს შემოსავლებისა და ხარჯების დაბალანსებასთან. საქმე გვაქვს ისეთ სიტუაციასთან, როცა ორი ურთიერთდაკავშირებული პროცესიდან ერთი, საგადასახადო შემოსავლები, რესურსულად განსაზღვრული და ნაკლებად ელასტიურია, ხოლო

მეორე, სახელმწიფო ხარჯები, დინამიურად ცვალებადია და მუდმივი გაზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამგვარი საკითხის გადასაწყვეტად ახორციელებს ხელისუფლება ფინანსური პოლიტიკის ისეთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, როგორცაა ფისკალური პოლიტიკა [1. გვ.83-86]. ის სახელმწიფოს აძლევს საშუალებას, ერთი მხრივ, საგადასახადო განაკვეთებითა და შეღავათებით და, მეორე მხრივ, ხარჯების რეგულირება-მანიპულირებით აქტიური ზემოქმედება მოახდინოს მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნის მოცულობასა და სტრუქტურაზე, სახელმწიფოსა და მენარმეთა საინვესტიციო პოტენციალზე, ეკონომიკის განვითარების ციკლურობაზე და, ზოგადად, სტაბილური ეკონომიკური გარემოს შექმნაზე, რადგანაც გატარებული ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის კეთილდღეობა.

სახელმწიფოში ფინანსური ურთიერთობების სრულყოფა და განვითარება მოითხოვს ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შემუშავებას. ხელისუფლებას შეუძლია მოახდინოს ზემოქმედება ფასებზე, სტიმულებსა და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, მოთხოვნა-მიწოდების ელასტიურობიდან გამომდინარე, გადასახადებს შესწევს უნარი სხვადასხვა დონით იმოქმედოს ცალკეულ ბაზრებსა და ეკონომიკის სექტორზე [2. გვ.99-101].

საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო შემოსავლების გადიდების ღონისძიებათა სრულყოფის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო ბაზას. საგადასახადო კანონმდებლობაში ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა მისი არასტაბილურობაა. 1997 წლის 13 ივნისს მიღებულ საგადასახადო კოდექსში 2004 წლის 22 დეკემბრამდე შესული არის 81 ცვლილება (7 წელიწადში). 2004 წლის 22 დეკემბერს მიღებულ კოდექსში 2010 წლის 17 ოქტომბრამდე - 67 ცვლილება (6 წელიწადში). ახალ კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან, დაახლოებით 60-მდე ცვლილებაა შეტანილი.

ერთი მხრივ, კოდექსი უნდა შეესაბამებოდეს რეალობას, მასში ადეკვატურად უნდა აისახოს დაბეგვრის პრინციპები და ხელისუფლების საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები, თუმცა, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია რომ ხშირი ცვლილებები იწვევს არასტაბილურობის განცდას გადასახადის გადამხდელებში და ამცირებს მათი საქმიანობის მოტივაციას [3].

საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწის პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საგადასახადო სისტემის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა სტაბილურობა და ელასტიურობა, ეფექტიანობა, მართვის სიმარტივე და გადასახადების ოპტიმიზაცია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია საგადასახადო განაკვეთების კორექტირებით შეიქმნას საგადასახადო ბაზის გაფართოების პირობები [4. გვ.312]. საგადასახადო განაკვეთების შემცირება ხელს უწყობს სამეურნეო აქტივობის ამაღლებას, ინვესტიციების მოზიდვასა და დასაქმების ზრდას. საგადასახადო განაკვეთების შეცვლით სახელმწიფო ქმნის დამატებით სტიმულებს ფინანსური რესურსების გადიდებისათვის. ქვეყნის საგადასახადო რეგულირების საკანონმდებლო ბაზამ ხელი უნდა შეუწყოს და შექმნას წარმოების მეც-

ნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში დაეცემა წარმოების გაფართოების შესაძლებლობები, შეიზღუდება საგადასახადო ბაზა და ამით შეიქმნება ბიუჯეტის დეფიციტის ხანგრძლივად შენარჩუნების პირობები. საგადასახადო სისტემაში საკანონმდებლო ბაზის მარეგულირებელი ინსტრუმენტების მოქნილი გამოყენება ხელსაყრელ პირობებს ქმნის სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გარეშე უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკური ზრდა. [5. გვ.276]

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით 2012 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა ცვლილებებმა გარკვეულწილად დახვეწა მოქმედი საგადასახადო კოდექსით დადგენილი დაბეგვრისა და ანგარიშგების მექანიზმები, აღმოფხვრა სხვა სფეროს ნორმატიულ აქტებთან ტერმინოლოგიური შეუსაბამობები, საგრძნობლად შეარბილა საგადასახადო სამართალდარღვევებისათვის განსაზღვრული მკაცრი ნორმები, გაუქმდა ცალკეული ჯარიმა/სანქცია და, რაც მთავარია, გასაგები გახდა საგადასახადო კოდექსში არსებული ორაზროვანი და ბუნდოვანი დებულებები.

ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, სწორედ, საგადასახადო პოლიტიკაა, რომელიც, თავის მხრივ, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობას ეფუძნება და რომელთა ლიბერალიზება უკვე განხორციელდა, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ შემდგომში არ უნდა მოხდეს მათი სრულყოფისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება. მოქმედი ფისკალური მექანიზმების ფარგლებში რაციონალური საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრის საკითხში მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა, მაგალითად, დაუბეგრავი მინიმალური ხელფასი, რომლის განხორციელების შედეგად ის პირები, რომლებსაც 2014 წლის განმავლობაში მინიმალური სახელფასო შემოსავალი ქონდათ მიღებული, 6 000 ლარი, გათავისუფლდნენ საშემოსავლო გადასახადისაგან და წლის ბოლოს დაუბრუნდათ თანხა 500 ლარის ოდენობით.

საქართველოს საგადასახადო სფეროში დადებითი ძვრები შეინიშნება 2011 წლის 1 იანვრის ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებიდან და ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება. ძველი საგადასახადო კოდექსით მოქმედი 21 საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი 5-მდე იქნა დაყვანილი. გაუქმდა სოციალური გადასახადი. დღგ-ს დასაბეგრი ბრუნვა 2006 წლიდან 18% გახდა. მოგების გადასახადი 2008 წლიდან განისაზღვრა დასაბეგრი მოგების 15%-ით. საგადასახადო განაკვეთების შემცირებას, შედეგად მოჰყვა საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა. ახალი საგადასახადო კოდექსის უპირატესობა, მის წინამორბედთან შედარებით, ბიზნესის რეგისტრაციისა და გადასახადის გადახდის პროცედურების გამარტივებაში მდგომარეობს. ბიზნესის რეგისტრაცია დაევალა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, შემცირდა რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების რაოდენობა. ამჟამად, კომპანიის დარეგისტრირება ორ დღეშია შესაძლებელი, ხოლო ინდემნარმის - ერთ დღეში. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყანაში კორუფციისა და კონტრაბანდის მასშტაბები, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ფისკალური პოლიტიკის გაუმჯობესებას.

საქართველოს ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას საბიუჯეტო პოლიტიკა წარმოადგენს. საქართველოს საბიუჯეტო პროცესში ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები, რაც გამოიხატა იმაში, რომ 2009 წელს მიღებული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით მოხდა ბიუჯეტის პროგრამულ დაგეგმვაზე გადასვლა. პროგრამული საბიუჯეტო დაგეგმვის მნიშვნელოვანი უპირატესობა ტრადიციულ ბიუჯეტთან შედარებით არის ის, რომ პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგზე. [6. გვ.98-108]. აღნიშნული ფორმატით წარმოდგენილ ბიუჯეტში თავიდანვე ნათელია მიზნ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტული მიმართულებით დაფინანსებულ ღონისძიებებსა და მიღებულ შედეგებს შორის, რაც სახელმწიფო ფინანსების სწორი გამოყენების საშუალებას იძლევა [7. გვ.84-87].

პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლასთან ერთად საქართველოს მთავრობამ 2012 წლის 1 იანვრიდან ამოქმედა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის დებულება, რომლითაც სახელმწიფო დანესებულებებს უფლება მიეცათ, ფინანსთა სამინისტროს თანხმობით, ბიუჯეტში ნებისმიერი სახის ცვლილება შეიტანონ. კერძოდ მხარჯავი დანესებულების პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით.

პროგრამული საბიუჯეტო დაგეგმვის დანერგვას საქართველოში აქვს პერსპექტივები და ის სახელმწიფო სახსრების სწორად წარმართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმად შეიძლება მოგვევლინოს. [8]. მისი დანერგვა დადებით ეფექტს ახდენს ქვეყნის საბიუჯეტო და ზოგადად, ფისკალურ პოლიტიკაზე და ეხმარება სახელმწიფოს პრიორიტეტული დარგების სწორ განსაზღვრაში.

ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავება და მათი ამოქმედების მექანიზმების განსაზღვრა, კერძოდ, საბიუჯეტო პოლიტიკის, როგორც ფისკალური პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილის გაუმჯობესება, პროგრამული საბიუჯეტო დაგეგმვის დანერგვის სფეროში არსებული პრობლემების აღმოფხვრა, ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სრულყოფა და ამ კუთხით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის უფლებამოსილების გაზრდა. [9. გვ.10-12]

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მართლაც გაუმჯობესდა ბიზნესგარემო, გამარტივდა საგადასახადო ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პროცედურები, დაიხვეწა საბიუჯეტო პოლიტიკა. 2010 - 2011 წლებში ჩვენს ქვეყანაში საკუთრების უფლების დაუცველობა წარმოადგენდა ეკონომიკური პოლიტიკის და მათ შორის ფისკალური პოლიტიკის შემადგენელ გარემოებას, უკვე დღეს ამ კუთხით სახელმწიფოს მიდგომები განსხვავებულია [10].

Doing Business მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის პროექტია, რომელიც ბიზნესგარემოს მსოფლიოს 189 ქვეყანაში იკვლევს. კრიტერიუმით - „ყველაზე ხელსაყრელი პირობებში ბიზნესის დასაწყებად“

Doing Business-ის რეიტინგში საქართველო 2016 წელს მსოფლიო ქვეყნების ტოპ ათეულშია. ასევე მოწინავე პოზიციებს ვიკავებთ შემდეგი კომპონენტების მიხედვით: ქონების რეგისტრაცია - მე-3 პოზიცია, კრედიტის აღება - მე-7 პოზიცია. [11].

მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მონაცემის მიხედვით, საქართველოს სარეიტინგო ქულა 2015 წელს, წინა წელთან შედარებით 0.4 პუნქტით გაუმჯობესდა და 73 ქულა შეადგინა. 2016 წელს საქართველო 178 ქვეყანას შორის 23-ე პოზიციაზეა 72,6 ქულით, ხოლო ევროპის რეგიონში მე-12 ადგილზეა 43 ქვეყანას შორის, საშუალო ქულა (72,6) 5,7 ქულით აღემატება ევროპის რეგიონის საშუალო ქულას (66,9) [12].

გატარებული რეფორმების მიუხედავად, საქართველოს ფისკალური პოლიტიკა შემდგომ განვითარებას და ოპტიმიზაციას საჭიროებს. ამასთან, მნიშვნელოვანია მხარჯავ დაწესებულებათა საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა. საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანობის მონიტორინგის დანერგვა შესაძლებლობას იძლევა ერთმანეთს შევადაროთ დანახარჯები და შედეგები, ჩამოვყალიბოთ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანი მეთოდები, თავისდროულად შევავასოთ დაგეგმილი შედეგების მაჩვენებლები და ამ მაჩვენებლების შესრულების ხარისხი.

ლიტერატურა:

1. ვერულიძე ვ. საგადასახადო კულტურის ფორმირების პრობლემები საქართველოში. შურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, 2013, №6, გვ. 83-86.
2. ტაბატაძე მ. რეგიონის სტრატეგიული განვითარების ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმები. შურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2015, გვ. 99-101.
3. **Косов М. Е., Краманенко Л. А.** Экономическое равновесие налоговой системы. М., ЮНИТИ-ДАНА, 2012.
4. **Хансен З.** Денежная теория и финансовая политика. Перевод с английского. М., Дело, ст. 312, 2006.
5. გამსახურდია თ. საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ.: გამომც. თსუ, 2003-276 გვ.
6. გოცინიძე ლ., ვანიშვილი მ. შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება: არსი თავისებურებანი, მექანიზმი. შურნ. „ეკონომიკა“, 2011, №7-8, გვ. 98-108.
7. ტაბატაძე მ. შურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. მმართველობის დეცენტრალიზაციის მექანიზმი ბიუჯეტთაშორის ურთიერთობათა სისტემაში, 2016, №3, გვ. 84-87.
8. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385 პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე (08.07.2011).
9. ქავთარაძე ნ. პროგრამული ბიუჯეტის არსი და მისი დანერგვის მნიშვნელობა საქართველოში. შურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2011, №2, გვ. 10-12.
10. **Diamond J., Zodrow G., Baker J.** Fundamental Tax reform: Issues, Choices and Implications, The MIT Press, 2008.

11. www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/Doing_Business_2016
12. www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/Heritage_2016

Modern Trends in Transformation of Legal Basis in the Budgetary System

Sophie Taghiashvili

*Doctoral student of Tbilisi State University
sophie.taghiashvili@yahoo.com*

The article refers to the significance of fiscal policy during the period of transition and also how to improve the coordination ways of the budget-tax and monetary-credit mechanisms. It discusses the government's fiscal policies and also how tax and budgetary mechanisms influence the development of the current macro-economic processes.

During the transformation period of the Georgia's economy to a market economy a particular significance is attached on the one hand to the maximum identification of the advantages of economic system and contribution to the formation and operation of market institutions and mechanisms, and on the other hand to the realization of the economy on appropriate scales of state regulation, using those methods which are most suitable for the requirements of country's economic stabilization and real growth at the given stage.

Keywords: Fiscal policy; tax policy; tax legislation; budgetary policy; program budget.

JEL Codes: E62, H71, H72

მარკეტინგი ✧ მენეჯმენტი ✧ ტურიზმი
MARCETING ✧ MENEGMENT ✧ TOURISM

მომსახურების ექსპორტის განვითარების პოტენციური საქართველოში

გიორგი ლალანიძე

*თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

წინამდებარე სტატიის თემა ავტორის კვლევის ობიექტია ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. სტატიაში განხილულია მომსახურების ექსპორტის ზრდის შესაძლებლობები საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: მომსახურების ექსპორტი; მომსახურების ექსპორტის დინამიკა; მომსახურების ექსპორტის ზრდის შესაძლებლობები.

საქონლით საგარეო ვაჭრობაში ქრონიკული დეფიციტი ყოველთვის წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობის გამოწვევას. ეს ქრონიკული დეფიციტი ვერ დაიძლია ვერც იმპორტჩანაცვლების ძალისხმევის და ვერც ექსპორტის წახალისების მექანიზმებით. ამ საკითხების კვლევაში, გარკვეულწილად, უყურადღებოდ დარჩა მომსახურების ექსპორტის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ყოველთვის მიიჩნეოდა როგორც თავისთავად არსებულ, ანუ თავისთავად განვითარებად პროცესად. ამ მიდგომას საფუძვლად ედო ორი ობიექტური წინაპირობა: პირველი, საქართველო წარმოადგენს ევროპასა და აზიას შორის ხიდს, ამდენად, სატრანსპორტო მომსახურება თავისთავად განვითარდება; მეორე, საქართველო წარმოადგენს ტურისტებისათვის მიმზიდველ ადგილს და ამდენად, ტურიზმის განვითარებაც ბუნებრივად მოხდება. წინამდებარე სტატიის მიზანია დეტალურად განვიხილოთ მომსახურების ექსპორტის მდგომარეობის დეტალური განხილვა - მისი თანადობა სასაქონლო ექსპორტთან და მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობები. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საკითხი იმის შესახებ თუ რამდენადაა შესაძლებელი მომსახურების ექსპორტის სტრატეგიების ფორმირება და რამდენად შეუწყობს ის ხელს სავაჭრო საერთო ბაზანსის და აქედან გამომდინარე, საგადაამხდელო ბაზანსის გაუმჯობესებას, მდგრადი სამუშაო ადგილების ფორმირებას და ზოგადად ეკონომიკურ ზრდას.

მომსახურების ექსპორტის სახეობები

მომსახურების ექსპორტი თავისი არსით, ძალიან მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც საკვები პროდუქციის მიწოდების მომსახურებას, რესტორნებისა და კაფეების მეშვეობით, ასევე, მაღალ ტექნოლოგიებს. მომსახურების გარკვეული სახეობები, კერძოდ პირადი მომსახურება, შეუძლებელია ექსპორტირებული იქნეს სხვა ქვეყანაში იქ მომსახურების ობიექტის გახსნის გარეშე. ამავდროულად, მაღალტექნოლოგიურ და ინოვაციურ სფეროში მომსახურების ექსპორტი საკმაოდ მარტივია. მომსახურება შეიძლება დავაჯგუფოთ დარგებად ან საქმიანობის სახეებად - გამომდინარე კვლევისა და ანალიზის საჭიროებებიდან, თუმცა, მათი აღრიცხვის მეთოდოლოგია სტანდარტიზებულია. ამ საკითხზე მსჯელობა გვექნება სტატიის შემდეგ ნაწილში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არავინ აღარ დავობს მომსახურების ექსპორტის მნიშვნელობაზე, როგორც მდგრადი სამუშაო ადგილების შექმნის, ასევე სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების მიმართულებით. მაგალითად, აშშ-ში მომსახურების სექტორი ქმნის ეროვნული შემოსავლის 70%-ს და სამუშაო ადგილების 75%-ს [1]. გასაკვირია არ უნდა იყოს, რომ აშშ-ის მომსახურების ექსპორტი ძალიან მაღალია, კერძოდ, 2015 წელს აშშ-მ განახორციელა 710 მლრდ დოლარზე უფრო მეტი მომსახურების ექსპორტი, ხოლო სალდო, სასაქონლო ექსპორტისაგან განსხვავებით, დადებითია და შეადგენდა 219.5 მლრდ დოლარს. მომსახურების ექსპორტს აქვს მყარი ზრდის ტენდენცია მსოფლიო ვაჭრობაში - დაახლოებით 5% წლიურად და 2015 წელს შეადგინა მსოფლიო საქონლისა და მომსახურების ექსპორტის 22.7% [2]. უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების ექსპორტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აშშ და ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მომსახურების ექსპორტის შემდგომ ზრდას.

საქართველოს რეალობაში მომსახურების ექსპორტი წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან რესურსს ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ მომსახურების ექსპორტში საქართველოს პოზიციები მაღალკონკურენტუნარიანია. ამ საკითხზე ჩვენი მოსაზრებები ჩამოყალიბებულია სტატიაში [3]. ობიექტურად საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობიდან და ბუნებრივი-კლიმატური მრავალფეროვნებიდან გამომდინარეობს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობები ტრანსპორტირებისა და ტურიზმის სექტორებში. უკვე დადასტურებულია ეს კონკურენტული უპირატესობა და უნდა ვეძებოთ სხვა სექტორებიდან მომსახურების ექსპორტის ზრდის პოტენციური შესაძლებლობები.

საქონლისა და მომსახურების ექსპორტი საქართველოდან ათას დოლაროვით [2]

ცხრილი 1

	2011	2012	2013	2014	2015
მომსახურება	2,018,920	2,561,980	2,983,840	3,043,300	3,154,650
საქონელი	2,186,701	2,376,154	2,909,460	2,860,669	2,203,626

მომსახურების საგარეო ვაჭრობის სალდო ათას დოლაროვით [2;4]

ცხრილი 2

	2011	2012	2013	2014	2015
ITC	753,710	1,114,580	1,422,010	1,317,880	1,469,300
BPM	747,465.1	1,100,853.0	1,405,471.7	1,288,380.3	1,440,976.1
BPM 6	753.71	1,114.57	1,422.02	1,308.46	1,454.77

მოყვანილი ცხრილების მარტივი ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოდან მომსახურების ექსპორტს აქვს მყარი, მზარდი ტენდენცია, მომსახურების ექსპორტი წარმოადგენს უცხოური ვალუტის შემოსვლის მდგრად წყაროს, ხოლო მისი სალდო წლების განმავლობაში დადებითია. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების ექსპორტი საქართველოდან აღემატება სასაქონლო ექსპორტს, რაც, ერთი მხრივ, ძალიან დადებითი მოვლენაა, ხოლო მეორე მხრივ, მიანიშნებს სასაქონლო ექსპორტის უაღრესად დაბალ მაჩვენებლებზე. ევროკავშირში მომსახურების ექსპორტი მთლიანი ექსპორტის 28-32%-ია. ამ მაჩვენებლით ლიდერობს დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ესპანეთი, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას აქვს უარყოფითი სალდო მომსახურებით საგარეო ვაჭრობაში. უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო დეტალი: საქონლით ექსპორტში მაღალი მაჩვენებლებისა და დადებითი სავაჭრო ბალანსის მქონე ქვეყნებს, აქვთ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი მომსახურების ექსპორტში (გერ, იაპონია, ირლანდია), და პირიქით, მაღალი საქონლის სავაჭრო დეფიციტის მქონე ქვეყნებს, დადებითი ბალანსი მომსახურებაში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი). აღნიშნული დებულება, მხოლოდ არსებული რეალობის ასახვა და კანონზომიერების დადგენა მეცნიერული კვლევის საგანს შეადგენს.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, მიზანშეწონილია განვიხილოთ საქართველოს მომსახურების ექსპორტის რომელი სფეროები განაპირობებენ ექსპორტის მდგრად ზრდას და დადებითი ბალანსის ფორმირებას. (იხ. ცხრილი 3)

ცხრილიდან ჩანს, რომ ექსპორტში წამყვანი პოზიციები უკავია ორ სექტორს - ტრანსპორტსა და ტურიზმს, ხოლო დადებითი სავაჭრო სალდო უზრუნველყოფილია მთლიანად ტურიზმის სექტორის ხარჯზე. ცხადია, სხვა სექტორებშიც გვაქვს დადებითი სალდო, თუმცა, ტურიზმი წარმოადგენს დადებითი სალდოს 109%-ს, ანუ სხვა სექტორების უარყოფითი სავაჭრო სალდო იფარება ტურიზმის დადებითი სავაჭრო სალდოთი და საბოლოოდ, მთლიანად გვაქვს დადებითი სავაჭრო სალდო.

საქართველოდან მომსახურების ექსპორტი და სალდო 2015 წელს
სექტორების მიხედვით ათას აშშ დოლარობით [2]

ცხრილი 3

	ექსპორტი	სალდო
მომსახურება	3,154.650	1,469.300
სატრანსპორტო	952,135	-2,134
სხვა პირების მფლობელობაში არსებული პროდუქციის შეკეთება	18,794	18,390
ტურიზმი	1,935,910	1,606,338
მშენებლობა	9,196	-1,016
შენახვისა და შეკეთების სამუშაოები	2,622	-4,594
ფინანსური მომსახურება	11,031	456
ინტელექტუალური საკუთრებით სარგებლობის ხარჯები	567	-6,419
სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება	45,004	5,130
სხვა საქმიანი მომსახურება	58,459	-47,786
პერსონალური, კულტურული და რეკრეაციული მომსახურება	14,196	2,901
სადაზღვევო და საპენსიო მომსახურება	18,060	-118,813
სამთავრობო საქონელი და მომსახურება (სხვაგან დაუსახელებელი)	88,673	16,842

მომსახურების ექსპორტის აღრიცხვის მეთოდოლოგიური
ასპექტები

მომსახურების საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ძირითად მეთოდოლოგიას წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი საგადამ-
ხდელი ბალანსის მე-5 და მე-6 სახელმძღვანელოები, რითაც სარგებლობს

საქართველოს ეროვნული ბანკი. მე-6 სახელმძღვანელო წარმოდგენილი იქნა 2009 წელს და მასზე ხდება თანდათანობით გადასვლა.

მე-5 სახელმძღვანელოში მომსახურება აღირიცხება შემდეგი სექტორების მიხედვით: ტრანსპორტი, ტურიზმი, კავშირგაბმულობის მომსახურება, სამშენებლო მომსახურება, სადაზღვევო მომსახურება, ფინანსური მომსახურება, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება, როიალტი და სალიცენზიო მომსახურება, სხვა საქმიანი მომსახურება, პირადი, კულტურული და გასართობი მომსახურება, სამთავრობო მომსახურება. ცხადია, თითოეული სექტორი იყოფა ქვესექტორებად და საქმიანობად, მაგალითად, ტრანსპორტი აღირიცხებოდა სხვადასხვა სახეობების მიხედვით, ხოლო ყოველ სახეობაში აღირიცხებოდა მგზავრები, ფრახტი და სხვა. ტურიზმში - საქმიანი და პირადი და ა.შ.

მე-6 სახელმძღვანელოში მოხდა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ ზოგიერთი საქმიანობა, რომელიც ადრე აღიცხებოდა საქონლით ვაჭრობაში, გადმოვიდა მომსახურებაში, ასევე მოხდა კომერციული და სამთავრობო მომსახურების გამიჯვნა და საბოლოო ანგარიშით მივიღეთ 12 სექტორი. უნდა აღინიშნოს, რომ მე-6 სახელმძღვანელოს ზოგიერთი სექტორი აღარ აღირიცხება ცალკე, როგორც ეს იყო მე-5-ში. ასე, მაგალითად, კავშირგაბმულობის მომსახურება ცალკე აღარ განიხილება.

მე-6 სახელმძღვანელოში მოცემულია შემდეგი ქვესექტორები: მანუფაქტურული მომსახურება, როცა მატერიალური საშუალებები ეკუთვნის სხვას; საქონლის რემონტი და სხვა ტექნიკური მომსახურება სხვაგან დაუსახელებელი; სატრანსპორტო მომსახურება; ტურიზმი; მშენებლობა; სადაზღვევო და საპენსიო მომსახურება; ფინანსური მომსახურება; ინტელექტუალური საკუთრებით სარგებლობის ხარჯები; სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება; სხვა საქმიანი მომსახურება; სამთავრობო მომსახურება და მომსახურება სხვაგან დაუსახელებელი.

აღრიცხვის მეთოდოლოგიური ასპექტების დეტალური ანალიზი აუცილებელია, რათა ზუსტად განისაზღვროს, ერთი მხრივ, ის მიმართულებები, სადაც არსებობს ექსპორტის ზრდის მაღალი პერსპექტივები, ხოლო მეორე მხრივ, ის მიმართულებები, სადაც მომსახურების ადგილობრივი მიმწოდებლების წახალისება გააუმჯობესებს სავაჭრო სალდოს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ტურიზმის სექტორის სალდო აღემატება ყველა სექტორის ერთობლივ სალდოს. ცალკე უნდა შეგვიჩვენოს ტრანსპორტის სექტორის საკითხზე ერთი მხრივ, ტრანსპორტის სექტორის მიერ განხორციელებული ექსპორტი ჩამორჩება მხოლოდ ტურიზმს, მეორე მხრივ კი მისი სალდო უარყოფითია. ზოგადად, სატრანსპორტო მომსახურების იმპორტის ზრდა უკავშირდება სავაჭრო ვაჭრობის მოცულობის ზრდას, როდესაც ექსპორტისა და იმპორტის განხორციელებისათვის ქართულ კომპანიებს სჭირდებათ უცხოური გადამზიდვების დაქირავება. მიზანშეწონილია დეტალურად იქნეს შესწავლილი ამ მიმართულებით რა ღონისძიებების გატარება გამოიწვევდა, ერთი მხრივ, ექსპორტის

ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფდა სატრანსპორტო მომსახურებაზე იმპორტჩანაცვლებას.

მომსახურების ექსპორტის სირთულეები

მომსახურების ექსპორტზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა განვიხილოთ მისი განხორციელების რთული და განსხვავებული ასპექტები. როგორც აღინიშნა, ბევრი მომსახურების ექსპორტი, რომელიც პერსონალური ხასიათისაა, ვერ განხორციელდება, რადგან მომხმარებელი და მომსახურების გამწვევ ერთ კონკრეტულ ადგილას უნდა იყვნენ. ზოგადად, მომსახურების არაჰომოგენურობისა და კონკრეტულ მოთხოვნებზე მაღალი დამოკიდებულების გამო, მისი მასობრივი წარმოება და ექსპორტირება გართულებულია. მომსახურებას, ხშირ შემთხვევაში, არ გააჩნია ფიზიკური ფორმა საქონლისაგან განსხვავებით, ამდენად რთულია მყიდველის დარწმუნება, რომ ამ მომსახურებას აქვს მაღალი ხარისხი. ზოგადად, მომსახურების შეთავაზების ფორმირება გაცილებით რთულია, ვიდრე საქონლის შეთავაზება. ამდენად, ძნელია მყიდველს წარუდგინოთ ნიმუში. ეს ართულებს მოლაპარაკებას და აუცილებელს ხდის, რომ გამყიდველმა შეთავაზება მაქსიმალურად ცხადი და აღქმისათვის გამარტივებული ფორმით მოახდინოს. მომსახურების არაფიზიკური ფორმა ართულებს მის დაფინანსებას საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ საერთაშორისო გამოცდილების მქონე საფინანსო ინსტიტუტებიც კი თავს არიდებენ მომსახურების ექსპორტიორი კომპანიების დაფინანსებას, ვინაიდან მიწოდებული მომსახურების ფასეულობის მონიტორინგი რთულია. ძალიან მნიშვნელოვანია მომსახურების ექსპორტისა და დროის ურთიერთკავშირის საკითხი. საქონლისაგან განსხვავებით, მომსახურების შენახვა და შემდეგ გამოყენება თითქმის შეუძლებელია, ამდენად, ის რელევანტურია მხოლოდ დროის გარკვეულ მომენტში. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, კონკურენტული შეთავაზების ფორმირება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ძალიან მაღალ დანახარჯებთან. მომსახურების გაყიდვა ყოველთვის უფრო პირადი გაყიდვაა, ვიდრე საქონლის გაყიდვა, ამდენად, მისი ხარჯები უფრო მაღალია. მომსახურების სტანდარტიზაცია, საქონლისაგან განსხვავებით, ძალიან რთულია, ამასთან ერთად, მომსახურება მორგებულია კონკრეტულ მყიდველის კონკრეტულ მოთხოვნებზე. ხშირად მომსახურება წარმოადგენს საქონლის ექსპორტის თანმდევ მოვლენას, ანუ მოთხოვნამ გარკვეულ საქონელზე გააჩინა მოთხოვნა გარკვეულ მომსახურებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული მომსახურების მიწოდებაში არ ფიგურირებს სატრანსპორტო საკითხები, ამდენად, ამ თვალსაზრისით, მისი მიწოდება მარტივია.

საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით მიზანშეწონილია განვიხილოთ მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული სხვადასხვა დარგი და შევაფასოთ მათი პოტენციალი.

მშენებლობის მომსახურების ექსპორტს ცალსახად აქვს მაღალი პოტენციური და ამდენად მიზანშეწონილია განისაზღვროს კონკრეტული სამშენებლო აქტივობები და მოხდეს მათზე მორგებული ექსპორტის წახალისების სქემების შემუშავება. ექსპორტის წახალისებამ ხელი უნდა შეუწყოს საზღვარგარეთ ამ მომსახურების მარკეტინგს, მოხსნას დაფინანსების სირთულეები.

საფინანსო და საბანკო მომსახურების ექსპორტი მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან და სწრაფად მზარდ სფეროდ. ამ სფეროს შემდგომ განვითარებას, გარკვეულწილად ზღუდავს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, თუმცა, უსაფრთხოების მყარი გარანტიების არსებობისას, ამ სექტორის განვითარება და შესაბამისად მისი ექსპორტი ეკონომიკური ზრდის სერიოზული სტიმული იქნება.

კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურების ექსპორტს, ასევე აქვს საკმაოდ კარგი პოტენციალი. აქ აუცილებლად უნდა განვიხილოთ ორი ასპექტი: ერთი უშუალოდ ქართული კომპანიების მიერ მომსახურების ექსპორტის განხორციელება რეგიონში, მეორე კი სხვა დარგის ლიდერი კომპანიებისათვის საკონტრაქტო სამუშაოების შესრულებაა. ორივე მიმართულება მნიშვნელოვანია და მათი ხელშეწყობისათვის აუცილებელია სპეციფიური მექანიზმების ფორმირება. ამ სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელსაც აქვს დაბალი მუდმივი დანახარჯები, მისი საწარმოების თავისუფალი ფართით უზრუნველყოფა არ წარმოადგენს განვითარების მნიშვნელოვან სტიმულს. საჭიროა წამყვან კომპანიებთან პირდაპირი მოლაპარაკება და მათზე მორგებული წამახალისებელი სქემების ფორმირება.

ცალსახად მაღალი პოტენციალი აქვს განათლების მომსახურების ექსპორტს. აქ მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს ის რეგიონები, საიდანაც მოხდება სტუდენტების მოზიდვა და შესაბამისი წამახალისებელი სქემები განხორციელდეს მათი სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით.

* * *

დასკვნის სახით, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების ექსპორტი უნდა გახდეს ეკონომიკური ზრდის უპირობო პრიორიტეტი და ეკონომიკური პოლიტიკა მაქსიმალურად უნდა მოერგოს ამ პრიორიტეტის განვითარების უზრუნველყოფას.

ლიტერატურა:

1. <http://www.bizmove.com/export/m7g.htm>
2. ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრი <http://www.intracen.org/itc/goals/Global-Goals-for-Sustainable-Development/>

3. გ. დაღანიძე, კონკურენტუნარიანობის და სტრატეგიის ურთიერთკავშირის საკითხები, ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”, N4, 2013.
4. საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge

Peculiarities of the Formation of Export Strategies and Assessment of Their Effectiveness

Giorgi Gaganidze

Professor, Ivane Javakishvili Tbilisi State University

E-mail:giorgi.gaganidze@tsu.ge

In the article the author reviews the issues of the formation of export strategies, their role in the strategies of firm's growth, the state role and responsibilities in the formation of export strategies. There are also discussed the assessment issues of the effectiveness of export strategies.

Key words: Export strategy; formation and management of export strategies; indicators of the effectiveness of export strategies.

JEL Codes: E60, E61, H32

ფინანსური ინსტიტუტების დაკრედიტების პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე

გიორგი აბუსელიძე,

ეკონომიკის დოქტორი,
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოციირებული პროფესორი
abuseri@mail.ru

გიორგი ქათამაძე,

შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი
katamadze.g@gmail.com

სტატია ეხება საქართველოში ფინანსური ინსტიტუტების დაკრედიტების პოლიტიკასა და მექანიზმებს, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ასევე განხილულია ბოლო პერიოდის დაკრედიტების შედეგები და გაანალიზებულია საკრედიტო პორტფელის რისკდაკატეგორიები; შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და კომერციული ბანკების დაკრედიტების პოლიტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები, განმარტებულია პასუხისმგებლიანი დაკრედიტების არსი და მნიშვნელობა, გაკეთებულია დასკვნები და მოცემულია რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ინსტიტუტები; დაკრედიტების პოლიტიკა; ეკონომიკური განვითარება; ბანკები; მიკროსაფინანსო ინსტიტუტები; პასუხისმგებლიანი დაკრედიტება.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის სტაბილური განვითარების მიღწევის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ცალკეული ეკონომიკური და ფინანსური ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირებაა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საბაზრო პრინციპების დანერგვისათვის მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს ეკონომიკის რეალური სექტორის, სანარმოებისა და ორგანიზა-

ციებისათვის ფინანსურ მხარდაჭერას, სადაც ფინანსურ ინსტიტუტებს განსაკუთრებული როლი აკისრია, ვინაიდან სწორედ მათი მეშვეობით ხდება სხვადასხვა მიმართულებით თანხების მოძრაობა, გადანაწილება და დაფინანსება.

საქართველოში ძირითადად თანხის მოძრაობას უზრუნველყოფს კომერციული ბანკები, რომლებიც თავიანთი სამართლებრივი და ორგანიზაციული ფორმით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი იყოს, მაგრამ ძირითადი მახასიათებელი თითოეული მათგანისათვის არის ის, რომ ისინი პასუხისმგებელია სხვადასხვა ფინანსურ ოპერაცია, ამასთანავე, მათ გარკვეულწილად აქვთ აღებული პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ვალდებულება.

ფინანსური ინსტიტუტების დაკრედიტების შედარებითი ანალიზი

ფინანსური ინსტიტუტების დაკრედიტების პოლიტიკა აქტუალური საკითხია, რამდენადაც დღეისათვის საქართველოში არსებულმა მაღალმა კონკურენციამ ბანკებსა და სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებს შორის, წარმოშვა ის პრობლემა, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არის სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტის სხვადასხვა პროდუქტის მომხმარებელი, ხოლო ამ პროდუქტების გაცემის წესი კი, ხშირ შემთხვევაში, ეწინააღმდეგება პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებს. შედეგად, ვლდებულობთ გადახდისუნარო მოსახლეობის საკმაოდ დიდ რაოდენობას, კრიზისში მყოფ ბიზნესკომპანიებს და ზოგადი ეკონომიკური ფონის გაუარესებას.

აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, ორი საფინანსო ინსტიტუტის – კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დაკრედიტების პოლიტიკის შედარებითი ანალიზით იმ შესაძლო რისკების იდენტიფიცირებისათვის, რაც შეიძლება მათ საქმიანობას მოჰყვეს, ასევე ყველა სახეობის ფინანსური ინსტიტუტის კერძოდ ბიზნესსუბიექტების და ანგარიშსწორების პროცესის სირთულეების გამარტივების მიზნით, დავსახეთ ზოგიერთი ადეკვატური ღონისძიება, რამაც, საბოლოო ანგარიშით, ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკის შეუფერხებელ განვითარებას.

საქართველოს კანონში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, რომელიც მიღებულია 2006 წლის 18 ივლისის, მე-3 მუხლში წერია: მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით [10] .

ამავე მუხლის მე-4 პუნქტში კი წერია, რომ : თუ საქართველოს ეროვნული ბანკი შემოწმების შედეგად დაადგენს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ამ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები, საქარ-

თველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გაათრთხილოს იგი, დააკისროს ფულადი ჯარიმა ან მიიღოს გადანყვეტილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

ამავე კანონის მე-4 მუხლი მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ზღუდავს რიგ საქმიანობაში და მას უსაზღვრავს საქმიანობის კონკრეტულ წრეს, კერძოდ: მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ შემდეგი საქმიანობა: ა) იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების, მათ შორის, სამომხმარებლო, სალომბარდო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა სესხების (კრედიტების) გაცემა; ამ მიზნით საკრედიტო საგადახდო ბარათის გამოშვება; ბ) ინვესტირება სახელმწიფო და საჯარო ფასიან ქალაქებში; გ) ფულადი გზავნილების განხორციელება; დ) სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება; ე) მიკროდაკრედიტებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა; ვ) სესხების (კრედიტების) მიღება რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან; ზ) იურიდიული პირების სანესდებო კაპიტალის წილების ფლობა, რომელთა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სანესდებო კაპიტალის 15%-ს; თ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფინანსური მომსახურებები და ოპერაციები: მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, ვალუტის გადაცვლა, თამასუქების, ობლიგაციების გამოშვება, რელიზაცია, გამოსყიდვა და ამ ფინანსურ მომსახურებისა და ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც.

კანონის მე-5 მუხლი განსაზღვრავს მიკროკრედიტის ცნებას და ოდენობას, კერძოდ: მიკროკრედიტი არის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის, დაბრუნებადობის, ფასიანობის და მიზნობრიობის პირობების შესაბამისად მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული ფულადი თანხა. 2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 50000 (ორმოცდაათი ათას) ლარს.

კომერციული ბანკის საკრედიტო საქმიანობა დაკავშირებულია მრავალი სახეობის რისკთან, რომლებიც მოიცავენ სესხების არდაფარვის (ან დროული არდაფარვის) პოტენციურ საშიშროებას. ყოველივე ეს განაპირობებს მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების აქტუალურობის მაღალ ხარისხს. გამომდინარე იქიდან, რომ კრედიტუნარიანობის შეფასება ესაა პროცესი, რომლის დროსაც შეისწავლება ის ფაქტორები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კრედიტის არათავისდროული და არასრული დაფარვა, შეიძლება ჩამოყალიბდეს კომერციული ბანკის მხრიდან პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მიზანი და ამოცანები:

1) შეისწავლოს და განსაზღვროს მსესხებლის მიერ საკრედიტო დავალიანების თავისდროულად და სრულად დაფარვის უნარი;

2) შეათვასოს და განსაზღვროს რისკის ის ხარისხი და დონე, რომლის საკუთარ თავზე ასაღებად კომარცყოული ბანკი არის მზად;

3) განსაზღვროს კრედიტის მოცულობა, რომელიც შეიძლება გაიცეს არსებული გარემოებების გათვალისწინებით;


4) შეათვასოს და განსაზღვროს ის პირობები (ვადა, გიარო, პროცენტი და სხვ.), რომელთა გათვალისწინებითაც მოხდება დაკრედიტება [6, გვ.376].

დღევანდელ საკრედიტო ბაზარზე დაკრედიტების კუთხით, კომერციული ბანკების პარალელურად, წამყვან როლს ასრულებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. მართალია, მათი რესურსი არის ბანკთან შედარებით ძვირი და განსხვავებული, თუმცა, მომხმარებლისათვის გააჩნია დადებითი მხარეებიც, კერძოდ, ძირითადად ფიზიკური პირებისა და ბიზნესკომპანიების იმ კატეგორიისათვის არის მისაღები, რომელთა საქმიანობა და დოკუმენტალური პირობები (ოფიციალური შემოსავლის დადასტურება) არ აკმაყოფილებს ბანკების მოთხოვნებს.

იმისათვის, რომ ნათლად დავეინახოთ ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ეფექტიანობა, საჭიროა გავაანალიზოთ მათი საქმიანობის შედეგები, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წლიური ანგარიშის სახით გამოაქვეყნა. საქართველოს ეროვნული ბანკის 2015 წლის ანგარიშის შესაბამისად, პრობლემური აქტივების მოცულობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაორმაგებულია და დაახლოებით 3,5 მლრდ ლარს შეადგენს.

დიაგრამა 1 [10]

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა



დიაგრამა აჩვენებს, მონაცემები აჩვენებს, რომ 2015 წლის მონაცემებით, მიკროსაფინანსო სექტორის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 1.2 მლრდ ლარი შეადგინა [10, გვ. 126].

იგი ძირითადად წარმოდგენილია სამი სექტორით:

1. ვაჭრობა და მომსახურება - 269 მლნ ლარი (პორტფელის 22 %);

2. სოფლის მეურნეობა და მეტყვეობა - 255 მლნ ლარი (პორტფელის 21 %);

3. სამომხმარებლო სესხები - 561 მლნ ლარი (პორტფელის 47 %).

უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრისათვის შეთავაზებულ პროდუქტებზე არსებული მაღალი მარუების გამო, მიკროსაფინანსო სექტორი დიდი მომგებიანობით ხასიათდება

რატომ მაინც და მაინც ამ მოცულობის სამომხმარებლო სესხების წილი პორტფელში? მიზეზის ახსნა მარტივია, ბანკები მსესხებლებისაგან მოითხოვენ დოკუმენტაციასა და ჩამონათვალს, რომელიც ოფიციალურად ადასტურებს შემოსავლის წყაროს, ამასთანავე ბანკი სოლიდარული თავდებობებით ცდილობს მაქსიმალურად შეამციროს რისკები, მიკროსაფინანსოების შემთხვევაში კი არის შემდეგი მიდგომა: შემოსავლების დასადასტურებლად მოითხოვება მინიმალური საბუთები, რიგ შემთხვევაში, საერთოდ არაა საჭირო დოკუმენტური დადასტურება, ასევე, უზრუნველყოფის საკითხი არის გამარტივებული, მაგრამ სამაგიეროდ, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ამ რისკებს აკომპენსირებს მაღალი საპროცენტო განაკვეთით.

რა თქმა უნდა, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელსაც არ აქვს იმ დოკუმენტაციისა თუ სხვა პირობების დაკმაყოფილების საშუალება, რომელსაც ბანკი ითხოვს, ურჩევნია მარტივი და მინიმუმამდე დაყვანილი სესხის განხილვის პროცესებით აიღოს კრედიტი და ამ გზის არჩევით იძულებულია თანხმობა განაცხადოს მისთვის ზოგჯერ მიუღებელ კრედიტის დაფარვის პირობებზე, იგულისხმება სესხის მოკლე ვადა და მაღალი შენატანი, მაღალი საპროცენტო განაკვეთი, მაღალი გაცემის საკომისიო და სხვა.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები აფინანსებენ მცირე ბაზრობის მოვაჭრეებს, ხელოსნებს, სოფლის მოსახლეობას, კერძო ტაქსის მძღოლებს და სხვა, რომელთა შემოსავლის დადასტურება ბანკისათვის პრობლემაა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შემთხვევაში კი დაფინანსება ხდება ზეპირი გამოკითხვის მეთოდით, ან ე.წ. შავი ჩანაწერების საფუძველზე. შემოსავლების არასწორი ან შეგნებულად გაზრდილი რისკის გათვალისწინებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცდილობს რისკის დაკომპენსირებას სხვა საშუალებით (მოკლევადიანი სესხები, სესხის მოცულობასთან შედარებით დიდად მაღალი ღირებულების გირაო, მაღალი საკომისიოები, მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ჯგუფური თავდებობა და სხვა).

ფაქტია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული კლიენტისათვის მისაღება სესხის მიღების მომენტში, როცა ის იკმაყოფილებს იმ მომენტისათვის არსებულ მოთხოვნებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე თვეში ეს ყველაფერი იძლევა უკუეფექტს, რომელიც რიგ შემთხვევაში, იწვევს კლიენტის/მომხმარებლის გამოუხსნორებელ, გადაულახავ პრობლემას/კრიზისს (მაგალითად, მაღალი საპროცენტო განაკვეთისა და მოკლევადიანი სესხის პირობებში, კლიენტს უწევს ყოველთვიურად ბიზნესიდან თანხის ამოღება სესხის დასაფარად, რო-

მელიც აკლდება საბრუნავ კაპიტალს და მიმდინარე მოგება ვერ ახერხებს მის დაკომპენსირებას, შედეგად კი ბიზნესს ეწყება ფინანსური რესურსის დეფიციტი და იწყება კრიზისი. იძენს საბრუნავ საშუალებას, სასაქონლო მარაგებს და შესაბამისად, პირდაპირპროორციულად მცირდება ბრუნვა და მოგება, ეს მაშინ, როცა გრძელვადიანი სესხის შემთხვევაში რეალიზაციისა და მოგების ციკლი ახერხებს ფინანსური რესურსის კომპენსირებას).

აქვე უნდა აღინიშნოს ის მომენტი, რომ რადგან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კანონი უკრძალავს დეპოზიტების მიღებას როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისაგან, ეს მომენტიც განაპირობებს სესხზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის არსებობას, ვინაიდან ბანკების შემთხვევაში ძირითადი დაფინანსების რესურსია დეპოზიტები, რაზეც ბანკი იხდის ვაცილებით ნაკლებ საპროცენტო განაკვეთს, იმასთან შედარებით, ვიდრე გასცემს სესხებს.

კომერციული ბანკების შემთხვევაში საცალო სესხებს მთლიანი პორტფელის 42% უჭირავს და მათი ეს მოცულობა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, სტაბილურია ბოლო წლებში და მკვეთრ მატებას არ განიცდის. 2015 წელს ყველაზე დიდი მოცულობით გაიზარდა მცირე და საშუალო სესხების სეგმენტი [10, გვ.74]. (იხ. ცხრილი).

მნიშვნელოვანია ასევე იმის აღნიშვნა, რომ სამომხმარებლო სესხებს 42% უჭირავს კომერციული ბანკების საცალო პროდუქტებში [10, გვ. 79].

საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) კომპოზიციის სეგმენტების მიხედვით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2011 წლის ბიოლოს არსებული კურსით)

	დეკ 2014		დეკ 2015		ცვლილება, %
	მლნ ლარი	წილი, %	მლნ ლარი	წილი, %	
კორპორატიული სესხები	4,846	37%	4,924	36%	2%
მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები	2,422	19%	3,056	22%	26%
საცალო სესხები	5,698	44%	5,739	42%	1%
სულ:	12,966	100%	13,719	100%	6%


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკების საქმიანობაზე მსჯელობისას უნდა დაფიქსირდეს ის ფაქტიც, რას პირდაპირ უკავშირდება მომხმარებლის არაკეთილსინდისიერ და უპასუხისმგებლო მომსახურებას, კერძოდ, ფინანსური ინსტიტუტების შესაძლო არაკეთილსინდისიერი და პროდუქტების გაყიდვაზე ორიენტირებული ქცევის პირობებში, იზრდება მომხმარებლების „გადატვირთვა“ პროდუქტებით. ფინანსური ინსტიტუტები ხშირად იყენებენ ე.წ. პაკეტურ შეთავაზებას, რაც გულისხმობს მომხმარებლისთვის ერთზე მეტი პროდუქტის შეთავაზებას სპეციალურ ფასად – რამდენიმე პროდუქტის ერთდროულად შეძენის შემთხვევაში მომხმარებელი იხდის იმაზე ნაკლებ საკომისიოს, ვიდრე გადაიხდიდა აღნიშნული პროდუქტე-

ბის ცალ-ცალკე შეძენისას. თუმცა, საყურადღებოა, რომ მსგავსი შეთავაზებისას, უმეტესწილად, ფასს განსაზღვრავს პროდუქტების რაოდენობა და მათი შეძენის, და არა სარგებლობის ფაქტი. შესაბამისად, „ნაკლები ფასით“ მოზიდული მომხმარებელი ყიდულობს რამდენიმე პროდუქტს, რომელთაგან შესაძლოა რეალურად მხოლოდ ერთი სჭირდებოდეს. [6, გვ. 41-57]

დიაგრამა 2

საცალო პროდუქტების განაწილება [10]



აღნიშნულის მიზეზი, ასევე შეიძლება იყოს ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაყიდული პროდუქტების რაოდენობაზე ორიენტირებული, თანამშრომელთა წახალისების სისტემა.

2015 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშით დაფიქსირად შემდეგი მონაცემები: „საცალო პროდუქტებში ზრდის მთავარი მამოძრავებელი იყო სამომხმარებლო და იპოთეკური სესხები, უმნიშვნელოდ გაიზარდა ავტოსესხები, ხოლო სხვა პროდუქტებში დაფიქსირდა შემცირება. სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების ზრდის მაჩვენებელმა 2015 წელს 10% შეადგინა ორივე პროდუქტის მიხედვით, თუმცა, 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, სამომხმარებლო სესხები 23%-ით, ხოლო იპოთეკური სესხები 30%-ით გაიზარდა“ [10, გვ. 79].

მიუხედავად იმისა, რომ ვალუტების ჭრილით, სესხის მომსახურების მაჩვენებლის თვალსაზრისით, ბანკებს აქამდეც გააჩნდათ განსხვავებული საკრედიტო სტანდარტები, 2015 წლის განმავლობაში ბანკებმა საცალო სესხებთან მიმართებით პროციკლურად გაამკაცრეს სესხის მომსახურების (სესხებზე ყოველთვიური გადასახდელებისა და ყოველთვიური შემოსავლის თანაფარდობა) კოეფიციენტის მოთხოვნა, ამასთან, ძირითადად – არაშეჭირებულ მსესხებლებთან მიმართებით პრაქტიკულად უცვლელი დარჩა უზრუნველყოფის თვალსაზრისითკუთხით (სესხის თანხისა და უზრუნველყოფის საშუალების ღირებულების თანაფარდობა) არსებული მოთხოვნები [10, გვ.78-80].

უნდა აღინიშნოს, რომ სამომხმარებლო სესხებზე აღნიშნული მიდგომა პოზიტიურია და მნიშვნელოვანი ფაქტორი, რათა გამოირიცხოს მსესხებლის საარსებო მინიმალური შემოსავლის გარეშე დატოვება. პროპორცია შემოსავალსა და ყოველთვიურ შენატანს შორის, ფინანსური ინსტიტუტების მიერ უნდა იყოს

კონტოლის პრიორიტეტული მიმართულება, რომ გამოირიცხოს მსესხებლების მიზანმიმართული ფინანსური წნეხი.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი სასესხო პორთფელის 46,8% უჭირავს სამომხმარებლო სესხებს. მიზეზი, რამაც გამოიწვია სამომხმარებლო სესხების დიდი ნაკადის მიკროსაფინანსო სექტორში ზრდა, არის რამოდენიმე ფაქტორი, მათ შორის ყველაზე მთავარია სესხის გამარტივებული განხილვის პოლიტიკა.

სესხის გამარტივებული განხილვის პოლიტიკა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბანკებისგან გასხვავებით, კლიენტის მხრიდან წარმოსადგენი მცირე დოკუმენტაციური ჩამონათვალით იფარგლება. ბანკების შემთხვევაში კლიენტი ხელფასის ცნობისა და სახელფასო ამონაწერი დაწყებული, შრომითი ხელშეკრულებითა და ოჯახის წევრების შემოსავლის შესახებ ინფორმაციით დამთავრებული, თითქმის ყველა დოკუმენტაციის წარდგენა უხდება ბანკში, მაშინ როცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემთხვევაში, ხშირად მხოლოდ პირადობის მოწმობა და მაქსიმუმ – ხელფასის ცნობაა საკმარისი. ხშირ შემთხვევაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ასევე კლიენტის კრედიტ ინფოს ნეგატიურ ბაზაში ყოფნასაც არ მიჩნევენ დიდ პრობლემად, მშინ როცა ბანკების შემთხვევაში კრედიტ ინფო არის სასესხო განხილვის პროცედურის დაწყების საფუძველი.

- დაკრედიტების აგრესიული პოლიტიკა-მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მენეჯმენტი, ხშირ შემთხვევაში თანამშრომლებს უდგენს როგორც თანხობრივ (გასაცემი სესხების ჯამური მოცულობა) ასევე, სესხის გაცემის რაოდენობრივ (კლიენტების რაოდენობა) გეგმას. მენეჯმენტის სწორედ ეს მიდგომა იწვევს დაკრედიტების აგრესიულ სტილს, რომლის დროსაც ხშირ შემთხვევაში გაცემული სესხების ხარისხობრივი მაჩვენებელი არ არის დამაკმაყოფილებელი, სწორედ ეს იწვევს სასესხო პორთფელის ხარისხის ვარდნას და საბოლოო ანგარიშით, სხვა რიგ ფაქტორთან ერთად გვევლინება ერთ-ერთ ფაქტორად, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პრობლემური სესხების მოცულობის ზრდა.

- სესხის მინიმალური მოცულობის დაბალი ზღვარი-ზანკეზს დადგენილი აქვს სესხის მინიმალური მოცულობა როგორც ბიზნესსესხზე, ასევე ფიზიკურ პირებზე. ეს ზღვარი თითქმის ყოველწლიურად მალლა იწევს, რისი მინიმალზაცია სასესხო პორთფელის ხარისხის ზრდა, ვინაიდან გაპრობლემებული სესხების დიდი ნაწილი, სწორედ მცირე თანხიანი სამომხმარებლო სესხებია.

- ჯგუფური თავდებობები გირაუნობის ნაცვლად და სხვა-მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ მსესხებელთა ის ნაწილი იჩენს განკსაკუთრებულ ინტერესს, რომელთაც აქვთ გირაოს (უძრავი ქონებით), უზრუნველყოფით პრობლემა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კლიენტებს სთავაზობს, უძრავი ქონების ნაცვლად, ალტერნატიულ საშუალებებს, კერძოდ, ჯგუფურ თავდებობებს, ან რიგ შემთხვევაში, თანახმაა მხოლოდ ერთი ფიზიკური პირის თავდე-

ბობაზე, რომელსაც ასევე შესაძლებელია არ ჰქონდეს დადასტურებული შემოსავალი. ამისგან განსხვავებით ბანკების სოლიდარულ თავდებისაგან ითხოვენ ისეთივე დოკუმენტაციას (ლევალური შემოსავლის დადასტურება)-როგორსაც მსესხებლისაგან. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში ეს მომენტიც არის დაკრედიტების ერთგვარი წახალისება.

ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობა უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ პროდუქტის მახასიათებლებისა და შესაბამისად, მასთან ასოცირებული რისკების გაანალიზებას, ასევე სხვადასხვა ფინანსური მომსახურების მიმწოდებლების მიერ შეთავაზებული მსგავსი პროდუქტების შედარებას, რაც ინფორმირებული და პასუხისმგებელიანი, ასევე მომხმარებლისთვის ფინანსურად მქსიმალურად ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა. თუმცა, ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობის პირობებშიც კი, შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების არქონის გამო, მომხმარებელმა შესაძლოა ვერ შეძლოს რისკების იდენტიფიცირება და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც უარყოფითად აისახება მის ფინანსურ კეთილდღეობაზე [6, გვ.41-57].

საინტერესოა, რამდენიმე განმარტება პასუხისმგებლიან დაკრედიტებასთან დაკავშირებით, მაგალითად, სლოვენის ბანკების ასოციაციის მიერ გამოცემულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კომერციული ბანკების საქმიანობას სლოვენიაში აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და წარმატებაზე, ამიტომ, ბანკების საქმიანობა უნდა ემყარებოდეს პასუხისმგებლიან დაკრედიტებას, რომელშიც მოიაზრება: კლიენტების წინაშე პასუხისმგებლობა, რომლიც გულისხმობს პროფესიულ მიდგომას და მაღალ ანალიტიკურ უნარებს, კლიენტის საჭიროებების კარგად ცოდნას, გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც ემყარება რისკების ანალიზს, მაღალეთიკურ ნორმებს და პასუხისმგებელიანი დაკრედიტების ეს ასპექტები ემყარება მაღალ ადამიანურ ფასეულობებსა და სოციალურ პასუხისმგებლობას [11, გვ. 2-4].

ამრიგად, ბანკებისგან განსხვავებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გააჩნიათ ზოგიერთი სპეციფიკა, რაც შეიძლება გახდეს უპასუხისმგებლო დაკრედიტების მიზეზი, რასაც შეუძლია შეაფერხოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ესენია: მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მიერ შემოსავლების კონტროლის მინიმალური მოთხოვნა; მაღალი საპროცენტო განაკვეთები; სესხის გაცემის გამარტივებული პროცედურები; მომსახურებისა და სესხის გაცემის მაღალი საკომისიოები; ბიზნესსუბიექტის ზრდის საშუალებათა შეზღუდვა და მოკლევადიან ურთიერთობაზე ორიენტირებული პოლიტიკა.

დასკვნითი მოსაზრებები

ფინანსური ინსტიტუტების როლი ბიზნესის დაკრედიტების პროცესში გადამწყვეტია ბიზნესსაქმიანობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. კერძოდ, ნებისმიერი საფინანსო ინსტიტუტის უპასუხისმგებლო დაკრედიტებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ბიზნესსუბიექტის (მშპ; სს; ი/მ და სხვა) გაუთვალისწინებელ,

ფორსმაჟორულ, კრიზისულ სიტუაციაში ჩავდება, რისი შედეგით, ხშირ შემთხვევაში, არის ბიზნესსუბიექტის გადახდისუუნარობა და გაკოტრებაც კი.

ამიტომ, მთავარი ამოცანაა, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დამკვიდრება, რაც გულისხმობს ბანკის/საფინანსო ინსტიტუტის მიერ კლიენტის ფინანსური მდგომარეობის გაანალიზებას, კრედიტის მიზნობრიობის დადგენას, თანხის იმ მოცულობის განსაზღვრას და სესხად გაცემას, რომლის გადახდის საშუალებაც აქვს კლიენტს მოცემული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე. ამისგან განსხვავებით, უპასუხისმგებლო დაკრედიტება არის ფინანსური ინსტიტუტის მიერ კლიენტის – ფიზიკური თუ იურიდიული პირის – ზემოაღნიშნული ფაქტორების, რისკებისა და ფინანსური ანალიზის (შეფასების) გარეშე დაკრედიტება. ამგვარი დაკრედიტების დროს ფინანსური ინსტიტუტის მიზანია განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი სესხის გაცემა და სესხის გაცემის შემლუდვის (დაკრედიტების უარის) ფაქტორების ხელოვნურად იგნორირება.

შესაბამისად, პსუხისმგებლიანი დაკრედიტება უნდა იყოს საფინანსო სექტორის პრიორიტეტი, ვინაიდან სწორედ ასეთი დაკრედიტებაა ერთ-ერთი ფაქტორთაგანი, რომლის არ დაცვამ შესაძლოა გამოიწვიოს ბიზნესსექტორში კრიზისი, რაც ადევკვატურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ცალკეული ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის შედეგებზე.

საფინანსო ინსტიტუტების პროდუქტები უნდა იყოს გამჭვირვალე, ხოლო პირობები მკაფიოდ განერილი; მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები უნდა იყოს მოქნილი და გასაგები ტერმინოლოგიით შედგენილი; ამ სფეროში სახელმწიფოს პრიორიტეტია მაქსიმალურად მკაცრი რეგულაციის დანერგვა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ფინანსურ ურთიერთობათა ლაბირინთებში.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტება მაქსიმალურად უნდა იყოს კონტროლირებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, და ასევე, ცალკეული ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა დამკვიდრონ სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტები, რაც უპირველესად, პასუხისმგებლიან დაკრედიტებას და მომხმარებელთა კეთილსინდისიერ მომსახურებას უზრუნველყოფს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995 წ.
2. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, თბ., 2009 წლის 24 სექტემბერი.
3. საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, თბ., 2006 წლის 18 ივლისი.
4. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, 1996 წლის 23 თებერვალი.
5. ლაშა გზირიშვილი, ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობა და ფინანსური

- განათლების მნიშვნელობა მომხმარებელთა უფლებების დაცვისთვის, ურნალი ეკონომიკა და საბანკო საქმე, 2013. ტომი I, N2.
6. ი. კოვზანაძე, გ.კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე თეორია და პრაქტიკა, თბ., 2014.
 7. ფინანსური სტაბილურობა, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=109> (საქართველოს ეროვნული ბანკის ელ.გვერდი. 06/06/2016)
 8. საქართველოს კონსტიტუცია, <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68> (საქართველოს პარლამენტის ელ.გვერდი. 06/06/2016)
 9. ეროვნული ბანკის ისტორია, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=130> (საქართველოს ეროვნული ბანკის ელ.გვერდი. 06/06/2016)
 10. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, 2015, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=348>
 11. BANK ASSOCIATION OF SLOVENIA CORPORATE COMMITTEE, PRINCIPLES OF RESPONSIBLE COMMERCIAL CREDITING, LJUBLJANA, NOVEMBER 2015.
 12. ISSN: 1690-4524 SYSTEMICS, CYBERNETICS AND INFORMATICS VOLUME 11 - NUMBER 8 - YEAR 2013.

The Lending Policy of Financial Institutions in Georgia and Its Impact on the Economic Development

Giorgi Abuselidze

*Associate Professor, Doctor of Economics,
Shota Rustaveli State University
E-mail: abuseri@mail.ru*

Giorgi Katamadze,

*Doctoral student,
Shota Rustaveli State University
E-mail: katamadze.g@gmail.com*

The article addresses the financial institutions crediting policies and mechanisms in Georgia, having an essential impact on economic development of the country. The authors overview the recent results of crediting and analyze risk-categories of credit portfolio. On the basis of comparative analysis there are shown positive and negative sides of crediting policies carried out by micro-financial organizations and commercial banks; explained the essence and importance of responsible lending, and corresponding conclusions and recommendations are given.

Keywords: Financial institutions; lending policy; economic development; banks; microfinance institutions; responsible lending.

JEL Codes: G20, G21, G23, G28

ტექნოლოგიური მენეჯმენტის თავისებურებები გლობალურ გარემოში

დავით ნიჟარაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*

თანამედროვე, გლობალურ ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა განაპირობა მთელი რიგი პოზიტიური შედეგები წარმოების, ვაჭრობის, ფინანსების, ახალი პროდუქტების შემუშავების, მარკეტინგისა თუ მენეჯმენტის მიმართულებით. უახლესმა კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა დიდწილად გაამარტივა საერთაშორისო ოპერაციებში ჩართული კომპანიების კომუნიკაციის პროცესი გლობალურ ბიზნესსამყაროსთან. გარდა ამისა, ინოვაციური მასალებისა და წარმოების ტექნოლოგიების სრულყოფამ, გაუმჯობესებულმა სატრანსპორტო გადაზიდვებმა გავლენა მოახდინა მოფლიოს მასშტაბით ტრანსნაციონალურ ფირმებსა და ბიზნესწრეებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხზე.


შესაბამისად, ტექნოლოგიური ცვლილებების მართვის პროცესი შეიძლება განვიხილოთ გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთ ძირითად კატალიზატორად, კომპანიებისთვის კი გლობალური კონკურენტუნარიანობის მიღწევის საშუალებად.

საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგია; ტექნოლოგიური მენეჯმენტი; ტექნოლოგიური ცოდნა; ტექნოლოგიათა მენეჯერი; ინოვაცია; კომერციალიზაცია.


ტექნოლოგიური მენეჯმენტის დანიშნულება გლობალურ ბიზნესში

ბოლო პერიოდში, კვლევისა და განვითარების (R&D) მიმართულებით ქვეყნების მიერ დახარჯული თანხები, როგორც არსებული, ასევე საპროგნოზო მაჩვენებლებით, ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, 2016 წლის მო-

ნაცემებით, აშშ-ის კვლევისა და განვითარების ხარჯი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 514 მლრდ დოლარით (3.4%), ხოლო ჩინეთის - 396 მლრდ-ით (6.3%) (იხ. დიაგრამა 1, 2.) [12]. საინტერესოა ასევე ცალკეული ქვეყნის მთლიან ეროვნულ პროდუქტში კვლევისა და განვითარების ხარჯის პროცენტული მაჩვენებელი (იხ. ცხრილი 1). ამ კუთხით 2004-2015 წლების რეიტინგში ლიდერის პოზიციებს ინარჩუნებს ისრაელი, მას მოყვება შვედეთი, ფინეთი და იაპონია. როგორც ცხრილიდან ჩანს, ბოლო 11 წლის განმავლობაში მათი R&D-ზე განხორციელებული მთლიანი შიგა ხარჯის პროცენტული წილი მშპ-ში სტაბილურად იზრდებოდა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, დადებითად აისახება ბიზნესკომპანიების კონკურენტუნარიანობაზე გლობალური ტრილით და სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი



დიაგრამა 2. აშშ-ის, ჩინეთის და ევროპის ქვეყნების 2014-2028 წლის ბიუჯეტი კვლევისა და განვითარების მიმართულებით (მლრდ დოლარი (PPP)). [3, გვ. 23]



მხარდაჭერა ინვესტიციად შეიძლება შეფასდეს, ამიტომ, ტექნოლოგიური პროცესების მართვის როგორც მენეჯმენტის შემადგენილი ნაწილის, თავისებურებების შესწავლა წამყავნი კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის შემადგენელ ნაწილად გადაიქცა [3, გვ. 23].

R&D-ზე გაწეული მთლიანი შიგა ხარჯის წილი ქვეყნის მშპ-ში -2004-2014 წწ. [12]

ცხრილი 1

ადგილი რეიტინგში	ქვეყანა	R&D-ს წილი მშპ-ში (%)										
		2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
1	ისრაელი	3,88	4,04	4,13	4,41	4,33	4,12	3,93	4,01	4,13	4,09	4,11
2	შვედეთი	3,39	3,39	3,50	3,26	3,50	3,45	3,22	3,25	3,28	3,31	3,16
3	ფინეთი	3,32	3,33	3,34	3,35	3,55	3,75	3,73	3,64	3,42	3,29	3,17
4	იაპონია	3,13	3,31	3,41	3,46	3,47	3,36	3,25	3,38	3,34	3,48	3,59
5	ისლანდია	0,00	2,70	2,92	2,58	2,54	2,66	0,00	2,50	0,00	1,87	1,89
6	სამხ.კორეა	2,53	2,63	2,83	3,00	3,12	3,29	3,47	3,74	4,03	4,15	4,29
7	აშშ	2,49	2,51	2,55	2,63	2,77	2,82	2,74	2,76	2,70	2,74	0,00
8	გერმანია	2,42	2,42	2,46	2,45	2,60	2,73	2,71	2,80	2,87	2,83	2,90
9	დანია	2,42	2,39	2,40	2,52	2,78	3,07	2,94	2,97	3,00	3,06	3,05
10	ავსტრია	2,17	2,38	2,37	2,43	2,59	2,61	2,74	2,68	2,93	2,96	3,07

ზოგადად, ტექნოლოგია (ბერძნულად: $\tau\epsilon\chi\nu\omicron\lambda\omicron\gamma\iota\alpha < \tau\epsilon\chi\nu\eta$ „ოსტატობა“ + $\lambda\omicron\gamma\omicron\varsigma$ „სიტყვა, სწავლება“ + სუფიქსი $\iota\alpha$) არის მეცნიერება იმ იარაღების, პროცესებისა და მეთოდების შესახებ, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა საგნისა და ობიექტების დამზადებისათვის, რაიმეს წარმოების მიზნით. სხვაგვარად, ტექნოლოგია არის ნივთიერების, ენერჯის და ინფორმაციის გადამუშავების ხერხი [10].

პროგრესული ტექნოლოგიური ცოდნა კი არის ისეთი კომპონენტების ცოდნა, რომელიც უკავშირდება პროდუქციისა და მომსახურების წარმოების უახლეს მეთოდებს, პროცესს და ტექნიკას და ა.შ. ამ თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია ბაზრის ცოდნა, რომელიც წარმოადგენს გასაღების არხების, პროდუქტის მახასიათებლებისა და მომხმარებელთა მოლოდინის საფუძვლიან ცოდნას. როგორც წესი, ახალი პროდუქცია ღირს უფრო იაფი და ამასთან ერთად თვისებრივად გაუმჯობესებულია [6, გვ. 11]. მ. პორტერის მიხედვით, რაც არ უნდა თანამედროვე იყოს ტექნოლოგია, იგი კომერციალიზაციის მექანიზმის გარეშე ყოველგვარ აზრს კარგავს და ეს პროცესი კი ვერ იქნება დამოუკიდებელი კომპანიის სტრატეგიული გეგმებისგან [2, გვ. 1-3]. ეს ყველაფერი კი საფუძვლად დაედო ტექნოლოგიური მენეჯმენტის, როგორც ცალკე დისციპლინის წარმოშობას.

ტექნოლოგიური მენეჯმენტი მენეჯმენტის მეცნიერების ნაწილია, რომელიც მოიცავს მართვის ისეთ უნარჩვევებს, რაც უზრუნველყოფს ბიზნესის განვითარებას და ოპერირებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით [13]. ტექნოლოგიათა მენეჯმენტის კიდევ ერთი მთავარი ფუნქციის რეალიზება დაკავშირებულია სიახლის წარმოების, მარკეტინგის და ექსპლუატაციის საკითხების ერთობლივ განხილვასთან, რომლის დროსაც მრავალი სპეციფიკური მომენტი გასათვალისწინებელი. მაგალითად, სხვების მიერ შექმნილი ტექნოლოგიის გადაღებისას ყოველთვის არსებობს გარკვეული რისკი, რომ დაიკარგება ახალი ტექნოლოგიის პოტენციური შესაძლებლობების ნაწილი, ვინაიდან შეიძლება დამნერგავმა სანარმომ ვერ მოახერხოს სიახლის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ყველა არსებითი გარემოების ზუსტი გამოვლენა [1, გვ. 14].

დღესდღეობით ტექნოლოგიური პროცესების მართვის საკითხები დგას გლობალური კომპანიების წინამეც და აიძულებს მათ ბიზნესგარემოს ამ ნიშნულზე კომპონენტის ცვლილების ფონზე გამონახონ ახალი გზები კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად [4, გვ. XI].

ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე, მენეჯმენტი ძირითადად ბიზნესის მართვის ისეთ კონკრეტულ სფეროებში სპეციალიზაციას ეყრდნობოდა, როგორცაა მარკეტინგი, ფინანსები, სამართალი და ა.შ. ახლა კი გაჩნდა ახალი მოთხოვნილება, რომელსაც მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (აშშ) პროფესორი შლომო მაიტელი (Shlomo Maital) შემდეგნაირად აღწერს: „ამჟამად წარმოიშვა და სწრაფად ვითარდება მოთხოვნილება ფართო ცოდნის მატარებელ მენეჯერებზე, რომლებიც ისევე კარგად ერკვევიან ტექნოლოგიებში, კვლევებსა და ახალი ნაწარმის დამუშავებაში, როგორც წარმოებაში, ფინანსებში, მარკეტინგსა და ადამიანურ რესურსებში“ [1, გვ. 12].

მოცემულ სფეროს მეცნიერები თანხმდებიან იმაზე, რომ ტექნოლოგიური ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალური კომპანიების კონკურენტუნარიანობაზე და სტარტეგიული მართვის პროცესში მისი ასახვის აუცილებლობაზე [5, გვ. 8]. ამის მაგალითად შესაძლებელია მოვიყვანოთ ცნობილი კომპანია Apple, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ, გლობალურ კომპანიად ითვლება და შექმნა ისეთი პროდუქტები როგორცაა Mac, iPod, iTunes, iPhone, iPad, Watch. რა თქმა უნდა, Apple-მა ბაზარზე ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების შემცველი პროდუქტების დანერგვით მნიშვნელოვანი კომერციული შედეგები მიიღო და ყველაზე ინოვაციური კომპანიების რეიტინგში წლების განმავლობაში წამყვან პოზიციას ინარჩუნებს (იხ. ცხრილი 2) [3, გვ. 16].

Forbs-ის რეიტინგის მიხედვით (იხ. ცხრილი 3) კვლევისა და განვითარების მიმართულებით, 2014-2015 წლებში ლიდერობს გერმანული ავტოგიგანტი Volkswagen-ი, მეორე დგილს კი ინარჩუნებს Samsung-ი (იხ. დიაგრამა 3).

10 ყველაზე ინოვაციური კომპანია მსოფლიოში 2010-2015 წწ. [3, გვ. 16]

ცხნილი 2


რეიტინგი	2010	2011	2012	2013	2014	2015
1	Apple	Apple	Apple	Apple	Apple	Apple
2	Google	Google	Google	Google	Google	Google
3	3M	3M	3M	Samsung	Amazon	Tesla
4	General Electric	General Electric	Samsung	Amazon	Samsung	Samsung
5	Toyota	Microsoft	General Electric	3M	Tesla	Amazon
6	Microsoft	IBM	Microsoft	General Electric	3M	3M
7	Procter & Gamble	Samsung	Toyota	Microsoft	General Electric	General Electric
8	IBM	Procter & Gamble	Procter & Gamble	IBM	Microsoft	Microsoft
9	Samsung	Toyota	IBM	Tesla	IBM	IBM
10	Intel	Facebook	Amazon	Facebook	Procter & Gamble	Toyota

Forbs-ის კომპანიების რეიტინგი კვლევისა და განვითარების მიმართულებით 2014-2015 წწ. [14]

ცხნილი 3

რეიტინგი	2015	2014	კომპანია	R&D-ს ხარჯი (მლრდ აშშ დოლარი)			სათავე ოფისი	ინდუსტრია
				2015	2014 (ცვლილება)	შემოსავლის %		
1	1	1	Volkswagen	\$15.3	13%	5.7%	ვეროპა	ავტო
2	2	2	Samsung	\$14.1	5%	7.2%	სამხ. კორეა	კომპ. და ელექტრონიკა
3	3	3	Intel	\$11.5	9%	20.6%	ჩრდ. ამერიკა	კომპ. და ელექტრონიკა
4	4	4	Microsoft	\$11.4	9%	13.1%	ჩრდ. ამერიკა	პროგრამირება
5	5	5	Roche	\$10.8	8%	20.8%	ვეროპა	ჯანდაცვა
6	9	9	Google	\$9.8	24%	14.9%	ჩრდ. ამერიკა	პროგრამირება, ინტერნეტ
7	14	14	Amazon	\$9.3	41%	10.4%	ჩრდ. ამერიკა	პროგრამირება, ინტერნეტ
8	7	7	Toyota	\$9.2	1%	3.7%	იაპონია	ავტო
9	6	6	Novartis	\$9.1	-8%	17.3%	ვეროპა	ჯანდაცვა
10	8	8	Johnson & Johnson	\$8.5	4%	11.4%	ჩრდ. ამერიკა	ჯანდაცვა
11	13	13	Pfizer	\$8.4	26%	16.9%	ჩრდ. ამერიკა	ჯანდაცვა
12	12	12	Daimler	\$7.6	9%	4.4%	ვეროპა	ავტო
13	11	11	General Motors	\$7.4	3%	4.7%	ჩრდ. ამერიკა	ავტო
14	10	10	Merck	\$7.2	-4%	17.0%	ჩრდ. ამერიკა	ჯანდაცვა
15	15	15	Ford	\$6.9	8%	4.8%	ჩრდ. ამერიკა	ავტო
16	16	16	Sanofi	\$6.4	1%	14.1%	ვეროპა	ჯანდაცვა
17	20	20	Cisco Systems	\$6.3	6%	13.4%	ჩრდ. ამერიკა	კომპ. და ელექტრონიკა
18	32	32	Apple	\$6.0	35%	3.3%	ჩრდ. ამერიკა	კომპ. და ელექტრონიკა
19	19	19	GlaxoSmithKline	\$5.7	-7%	15.0%	ვეროპა	ჯანდაცვა
20	28	28	AstraZeneca	\$5.6	16%	21.4%	ვეროპა	ჯანდაცვა
			ჯამი	\$176.5	9%	8.4%		

დიაგრამა 3 Samsung-ის კვლევისა და განვითარების ხარჯების დინამიკა 2011-2015 წწ. [11]



საინტერესოა ასევე ცნობილი გამოცემა Fortune-ის 2014 წლის ყველაზე ტექნოლოგიური კომპანიების ხუთეული:

1. **Apple** - წლიური შემოსავალი: 182 მლრდ დოლარი;
2. **Hewlett-Packard Company** - წლიური შემოსავალი: 111 მლრდ დოლარი;
3. **IBM** - წლიური შემოსავალი: 95 მლრდ დოლარი;
4. **Amazon** - წლიური შემოსავალი: 89 მლრდ დოლარი;
5. **Microsoft** - წლიური შემოსავალი: 87 მლრდ დოლარი;

Apple Fortune-ის 2015 წლის ყველაზე ინოვაციური კომპანიების რეიტინგშიც არ თმობს პირველ ადგილს (იხ. ცხრილი 4), მეორე პოზიციაზეა გლობალური ბაზრის ახალი მოთამაშე, ავტომწარმოებელი Tesla Motorsი. Fortune-ის ეს რანჟირება ძირითადად ეყრდნობა კომპანიების მიერ წლის განამელოებაში მიღებულ შემოსავლებს და მოგებას [8].

2015 წლის ყველაზე ინოვაციური კომპანია Fortune-ს მიხედვით [8]

ცხრილი 4

ადგილი რეიტინგში	კომპანიის დასახელება	ქვეყანა
1	Apple	აშშ
2	Google	აშშ
3	Tesla Motors	აშშ
4	Microsoft Corp.	აშშ
5	Samsung Group	სამხრეთ კორეა
6	Toyota	იაპონია
7	BMW	გერმანია
8	Gilead Sciences	აშშ
9	Amazon	აშშ
10	Daimler	აშშ

ზემოთ მოცემული მონაცემების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ კომპანიების მიერ კვლევის და განვითარების მიმართულებით განეული ხარჯების ზრდის ტენდენცია, ხშირ შემთხვევაში, არ განასაზღვრავს მათი ტექნოლოგიური და ინოვაციური პროცესების კომერციულ წარმატებას. გარდა ფინანსური კაპიტალისა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური და ინოვაციური პროცესების ეფექტიანი მენეჯმენტი.

ტექნოლოგიურ მენეჯერთა როლი და ფუნქციები

დღესდღეობით, სამრეწველო მართვის ამ ახალი მოთხოვნების შესაბამისი ფუნქციების რეალიზება სწორედ ტექნოლოგიათა მენეჯერების მიერ ხორციელდება. ხატოვნად რომ ვთქვათ, ისინი ისეთი სპეციალისტები არიან, რომლებიც თანაბრად ადვილად კითხულობენ და ანალიზებენ ტექნიკურ ნახაზებს და საბალანსო ანგარიშებს, ერთნაირი ენერჯით და პროფესიონალიზმით ურთიერთობენ პარტნიორებთან ახალი ნაწარმის კვლევის და განვითარების პროცესებში, კონკურენტებს აქტიურ წინააღმდეგობას უწევენ ახალი ბაზრებისთვის ბრძოლაში. ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული როგორც საშუალო, ასევე დაბალი რგოლის მენეჯერები და სპეციალისტები, ეს ყოველივე კი ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის ინოვაციურ პროცესების განვითარებას.

ტექნოლოგიათა მენეჯერების საქმიანობა სათანადო პრობლემათა განხილვის სამ დონეზე მიმდინარეობს:

პირველი შეესაბამება საწარმოთა ოპერაციულ მართვას, იგი დაკავშირებულია შიგა და გარე ტექნოლოგიური კონტროლის ამოცანების შესრულებასთან. შიგა ტექნოლოგიური კონტროლი გულისხმობს საწარმოს მიერ უკვე გამოყენებულ, ათვისების სტადიაში მყოფი ან დანერგვისთვის შერჩეულ ტექნოლოგიათა მდგომარეობისა და მახასიათებლების შეფასებას, ბიზნესზე მათი ზეგავლენის თვალსაზრისით. გარე ტექნოლოგიურმა კონტროლმა უნდა უზრუნველყოს კონკურენტების ტექნოლოგიური შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მისი შედარება საკუთარ შესაძლებლობებთან.

განხილვის მეორე დონე გულისხმობს ტექნოლოგიურ ცვლილებათა პროექტების მენეჯმენტს, მის შედგენას და ხორცშესხმის მართვას, ინოვაციური იდეების მოძიებიდან მისი სამეწარმეო პოტენციალის შეფასებამდე, ასევე, ამ ეტაპზე სასურველია ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით შესამისი ზომების მიღება და იმის განსაზღვრა, რამდენად მზად არიან თანამშრომლები მსგავსი სიახლეებისთვის. განხილვის მესამე დონე სტრატეგიული ხასიათისაა და იგი კომპანიების ყველაზე მსხვილმასშტაბიან სამეწარმეო გეგმებში ტექნოლოგიური პოლიტიკის ასახვას უკავშირდება. შესაბამისი, ე.წ. ეტაპური საკითხების განხილვისას, ტექნოლოგიათა მენეჯმენტის ყურადღება ფოკუსირდება გრძელვადიან პერსპექტივაში არსებული ტექნოლოგიების სრულყოფის ან ახალი ალტერნატივების გამოჩენის შესაძლებლობებზე. პირველ დონეზე ტექნოლოგიათა

მენეჯერი სათანადო კოორდინირებას უწევს ტექნიკურ და კომერციულ საქმიანობას საწარმოს შიგნით, მათი ინტერესების თანხვედრის მიზნით. მეორე დონეზე იგი ტექნოლოგიურ ცვლილებათა პროექტების კონსულტანტი ან ხელმძღვანელია - ირჩევს პროექტის შესრულების რაციონალურ მეთოდებს და პირობებს, მონაწილეობს მის შედგენასა და რეალიზების მონიტორინგში.

მესამე დონეზე კი ტექნოლოგიათა მენეჯერები საწარმოთა მართვის უმაღლესი ორგანოების მუშაობაში მონაწილეობენ და საკუთარი წვლილი შეაქვთ კომპანიათა სტრატეგიული მენეჯმენტის განხორციელებაში [1, გვ. 13-14].

2013 წლის Startupguide-ს მონაცემებით, ბოლო 30 წლის განმავლობაში მსოფლიოს ყველაზე ინოვაციურ მენეჯერთა ხუთეული ასეთია:

1. **Jeff Bezos** დ Amazon-ის უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი;
2. **Larry Page** დ Google-ის თანადამფუძნებელი;
3. **Sergey Brin** - Google-ის თანადამფუძნებელი, მულტიმილიონერი;
4. **Elon Musk** დ Paypal-ისა და Tesla-ს დამფუძნებელი;
5. **Reid Hoffman** დ LinkedIn-ის დამფუძნებელი [9].

ინოვაციური მენეჯერის კიდევ ერთი კარგი მაგალითია კევინ პლანკი, Under Armour-ის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი თავისი კომპანია მაისურების სტარტაპიდან სპორტული ტანსაცმლის ინდუსტრიის მნიშვნელოვან კონკურენტად აქცია. მან ეს ინოვაციებისა და პროდუქტის დიზაინის გაუმჯობესებით შეძლო, რითაც სპორტსმენების განვითარებას შეუწყო ხელი. აღსანიშნავია, რომ კომპანიამ დღეისათვის, ბალტიმორში დაფუძნებული Under Armour (UA)-ი 1.4 მლრდ დოლარიანი კომპანიაა. საერთო ჯამში, 100 უნივერსიტეტზე მეტი ატარებს UA-ს უნიფორმებს. კომპანიის ლოგო დ გადაჭაჭვული U და A დ თითქმის ისეთივე ცნობადი ხდება, როგორიც Nike [7, გვ. 221].

* * *

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ გლობალურ ბაზარზე მძაფრი კონკურენციის პირობებში, კომპანიები კონკურენტუნარიანობის მიღწევისა თუ შენარჩუნებისათვის, ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ახალი ტექნოლოგიების შემსწავლი პროდუქტი წარადგინონ საერთაშორისო ბაზარზე. შესაბამისად, მოცემული მიმართულებით მათ მიერ განეული ხარჯები ყოველწლიურად იზრდება, გარდა ამისა, ცალკეული ქვეყნები სულ უფრო მეტად ცდილობენ ინოვაციური პროცესების ფინანსურ მხარდაჭერას. გამომდინარე იქიდან, რომ ინოვაციური და ტექნოლოგიური სიახლეების შემუშავებისა და დანერგვის პროცესი საჭიროებს საკმოდ დიდ ფინანსურ და დროის რესურსს, მისი ეფექტიანობა დიდინილადაა დამოკიდებული ე.წ. ტექნოლოგიურ მენეჯერებზე, რომლებთაც გარდა ტექნოლოგიურ სფეროს ცოდნისა გააჩნიათ კარგი ლიდერული უნარ-ჩვევები და შეუძლიათ, ინოვაციური პროცესების დინამიკურობის პირობებში, სწორი მენეჯერული გადამწყვეტილებებით კომპანია ჩააყენონ მსოფლიო კლასის წარატებული ორგანიზაციების რიგებში.

ლიტერატურა:

1. სამაღაშვილი ა., სამენარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი, თბ., 2009.
2. Afuah A., Innovation Management: Strategies, Implementation and Profits, Oxford University Press, USA, 2003.
3. Jaruzelski B., Staack V., Schwartz k., 2015 Global Innovation 1000, PWS, Webinar, 2015.
4. Margaret A. White, Garry D. Bruton, The Management of Technology and Innovation, A Strategic Approach, 2011.
5. Melissa A. Schilling, Strategic Management of Technological Innovation, New York University, 2016.
6. Shane S., Handbook of Technology and Innovation Management, A John Wiley and Sons, Ltd., Publication, 2008.
7. Stephen P. Robbins, Mary Coulter, Management, Twelfth Edition, Pearson, 2014.
8. <http://fortune.com/>
9. <http://startupguide.com/>
10. <http://teqnologiurirevolucia.blogspot.com>
11. <http://www.bloomberg.com>
12. <http://www.oecd.org/>
13. <http://www.uvu.edu/tm>
14. www.forbs.com

David Nizharadze

*Professor, Doctor of Business Administration
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

The article discusses the peculiarities of technological management in the modern and a dynamic business environment. Based on the analysis of statistical information there are represented countries and as well as companies expenses in the research and development and its impact on their competitiveness. In the article there are also illustrated the world's most innovative technological companies ratings and highlighted the so-called "technological managers" role, the main functions, work specifics and concrete examples of the effective management of innovative processes.

Keywords: Technological management; business environment; global environment; innovative technological companies.

JEL Codes: O30, O31, O32, O33

ბრენდის იმიჯის გავლენა სმარტფონების მომხმარებელთა ქცევაზე

ეკატერინე უროტაძე

*ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი
ekaterine.urotadze@tsu.ge*

ნაშრომში განალიზებულია მსოფლიოში სმარტფონების წარმოების დინამიკა და მასში წამყვანი კომპანიების რეიტინგები. ნაჩვენებია, რომ უკანასკნელ წლებში სმარტფონების წარმოებაში შეიმჩნევა ზრდის ტემპები და ახალი ბრენდების შემუშავება, რაც მომხმარებელთა ქცევაზეც აისახება. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართველი მომხმარებლების მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე ბრენდის იმიჯის გავლენას. ჩატარებული მარკეტინგული კვლევის საფუძველზე მოცემულია ქართველი მომხმარებლების მიერ ბრენდული სმარტფონების ფლობისა და მათზე გადახდილი თანხების სტრუქტურა, აგრეთვე, ცნობილი ბრენდების შეფასებები და სმარტფონების ფუნქციებისათვის მინიჭებული უპირატესობები. ნაშრომში დადგენილია რესპონდენტების კმაყოფილების დონე, სასურველი ფასების სტრუქტურა, რესპონდენტების მიერ ბრენდების არჩევისას გათვალისწინებული ფაქტორები და ინფორმაციის მოძიების ხერხები. კვლევის საფუძველზე გამოვლენილია საბაზრო სეგმენტი, რომელიც აუთვისებელია.

საკვანძო სიტყვები: სმარტფონები; ბრენდის იმიჯი; მომხმარებელთა ქცევა; მარკეტინგული კვლევა.

პრობლემის აქტუალურობა და შესწავლის დონე. XXI საუკუნე ხასიათდება, როგორც მობილური ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელების ერა. თანამედროვე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია მობილური ტელეფონის გარეშე, რომელიც თანდათანობით ყოველდღიური ურთიერთობების განუყოფელი ნაწილი და შეუცვლელი ნივთი ხდება. ამასთან, სულ უფრო იზრდება მომხმარებელთა მოთხოვნა, რომ მობილურ ტელეფონს გააჩნდეს ისეთი ფუნ-

ეცხები, რომლებიც კომპიუტერთან მიმართებით მას უპირატესობას მიანიჭებს. ამიტომ, კოლოსალურად მატულობს სმარტფონების (ე.წ. “გონიერი მობილური ტელეფონების”) მოხმარება. მსოფლიო მასშტაბით მილიარდობით ადამიანი გადაერთო სმარტფონის გამოყენებაზე, რომელმაც, გარკვეულწილად, პერსონალური კომპიუტერი ჩაანაცვლა და რამდენიმე მოწყობილობა ერთ სივრცეში გააერთიანა. სმარტფონი დღეისათვის მალალტექნოლოგიური მოწყობილობების სამომხმარებლო ბაზარზე ყველაზე უფრო მოთხოვნადი პროდუქტია, ვინაიდან იგი მარტო დაკავშირების საშუალება როდია. ადამიანები სულ უფრო მეტ დროს უთმობენ მობილური ტელეფონის მეშვეობით საოფისე სამუშაოების შესრულებას, კითხვას, SMS მიმონერას, ვიდეორგოლების დათვალიერებას, სურათების გადაღებას, თამაშებს და ელექტრონულ გადახდებს. ბაზრის კვლევის ამერიკული კომპანია International Data Corporation (IDC)-ის მონაცემებით, დღეისათვის მობილური მოწყობილობების მსოფლიო ბაზრის უდიდესი წილი (80%) მოდის სმარტფონებზე. ამასთან, სმარტფონების 10 უმსხვილესი მწარმოებელი შეადგენს მსოფლიო ბაზრის 70%-ს [1]. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს მსოფლიოში დამზადდა 1 მლრდ სმარტფონი (38%-ით მეტი, ვიდრე 2012 წელს) [2].

2014-2015 წლებში სმარტფონების მსოფლიო წარმოების დინამიკა წამყვანი კომპანიების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ სმარტფონების წარმოების ზრდამ 2014 წელს შეადგინა 29,6%, 2015 წელს კი 12,3%. სმარტფონების მსოფლიო ბაზარზე წლებია, პირველობას კომპანიები - Samsung და Apple ეცილებიან. კვლევითი კომპანია Strategy Analytics-ის მონაცემებით, 2015 წელს Samsung-ის წილი სმარტფონების მსოფლიო ბაზარზე შემცირდა, ხოლო Apple-ის წილი, მართალია, გაიზარდა, მაგრამ, პირველად 13 წლის მანძილზე, კომპანიას შემოსავლები შეუმცირდა. სამაგიეროდ, სამმა ჩინურმა კომპანიამ - Huawei-მ, Lenovo-Motorola-მ და Xiaomi-მ გლობალურ ბაზარზე მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვეს. მათ წარმატებას ექსპერტები ხშირად იმით ხსნიან, რომ ჩინელი მწარმოებლები მომხმარებლებს სხვადასხვა საფასო კატეგორიის პროდუქციას სთავაზობენ [3].

კვლევითი კომპანია Gartner-ის ანალიტიკოსები თვლიან, რომ მსოფლიოში სმარტფონების ბაზარი გაჯერებულია და სმარტფონების გლობალური ბაზრის ზრდა ორნიშნა ტემპებით შეჩერდა, ამიტომ შემდგომი ზრდის ტემპები 10%-ს არ გადააჭარბებს [4]. კომპანია IDC ვარაუდობს, რომ 2016 წლის ბოლოს სმარტფონების მიწოდება მსოფლიო მასშტაბით გაიზარდება მხოლოდ 5,7%-ით და მიაღწევს 1,5 მლრდ ერთეულს, ხოლო 2020 წლისათვის მხოლოდ 1,9 მლრდ ერთეული იქნება. ანალიტიკური კომპანია TrendForce-ს ექსპერტების შეფასებით, 2017 წელს სმარტფონების გლობალური წარმოების ზრდა მოსალოდნელია 4,5%-ით [5]. ასეთ მოსაზრებებს ადასტურებს IDC-ის მიერ ჩატარებული მობილური ტელეფონების მსოფლიო ბაზრის კვლევის შედეგებიც. ამ კვლევის თანახმად, 2016 წლის პირველ კვარტალში სმარტფონების გაყიდვე-

ბის მოცულობით პირველ ადგილზეა სამხრეთკორეული კომპანია Samsung (81,9 მლნ ერთეული, ბაზრის 24,5%), მეორე ადგილს იკავებს ამერიკული კომპანია Apple (51,2 მლნ ერთეული, ბაზრის 15,3%). მესამე ადგილზეა ჩინური კომპანია Huawei (27,5 მლნ ერთეული, ბაზრის 8,2%). რეიტინგში მე-4 და მე-5 ადგილები დაიკავეს ბაზრის ახალმა მოთამაშეებმა, რომლებიც ტოპ-ხუთეულში ადრე არ შედიოდნენ. ესენია ჩინური კომპანიები: Oppo (28,5 მლნ ერთეული, ბაზრის 5,5%) და Vivo (14,3 მლნ ერთეული, ბაზრის 4,3%) [1].

სმარტფონების მსოფლიო წარმოება 2014-2015 წლებში [3]

კომპანია	წარმოება (მლნ ერთეული)		წილი (%)	
	2014 წ.	2015 წ.	2014 წ.	2015 წ.
Samsung	317,2	319,7	24,7	22,2
Apple	192,7	231,5	15,0	16,1
Huawei	74,1	107,1	5,8	7,4
Lenovo-Motorola	92,7	73,9	7,2	5,1
Xiaomi	61,1	72,0	4,8	5,0
სხვა	545,7	537,5	42,5	44,2
სულ	1283,5	1441,7	100,0	100,0
მოლიანი ზრდა (წლიური, %)	29,6	12,3		

კვლევითი სააგენტო Digitimes Research-ის ექსპერტებმა შეადგინეს 2016 წელს მსოფლიო მასშტაბით ყველაზე უფრო მეტად გაყიდვადი სმარტფონის ბრენდების რეიტინგი. პირველ ადგილზე გავიდა კომპანია Apple-ის ბრენდი iPhone 6S, რომელიც მიმდინარე წელს 14,2 მლნ ერთეული გაიყიდა. მეორე ადგილზე დასახელდა ფლაგმანის წინამორბედი iPhone 6, რომელიც 8,5 მლნ ერთეული გაიყიდა. რეიტინგში მესამე ადგილი დაიკავა კომპანია Samsung-ის ბრენდმა Galaxy S7-მა (გაიყიდა 8,3 მლნ ეგზემპლარი) [6]. სმარტფონების მსოფლიო ბაზარზე Apple-ის ბრენდების ლიდერობას ადასტურებს ანალიტიკური კომპანია Canaccord Genuity-ის კვლევის შედეგები. ამ კვლევის თანახმად, 2015 წელს კომპანია Apple-ის მოგების 94% iPhone-ის გაყიდვებმა განაპირობა. ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ წინა წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 85%-ს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სმარტფონების მსოფლიო ბაზარზე iPhone-ის წილი მხოლოდ 15%-ს აღწევს [7].

ამრიგად, როგორც ანალიზი გვიჩვენებს, სმარტფონების წარმოება, ზრდის ტემპების შენელების მიუხედავად, საგრძნობლად მატულობს, რაც, ცხადია, მომხმარებელთა ქცევაზეც აისახება. კონკურენციის გამძაფრებასთან ერთად, სულ

უფრო აქტიური ხდება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიოს კომპანიამ უპირატესობას ბაზარზე. ლოიალური მომხმარებელი არის ერთ-ერთი გარანტი იმისა, რომ კომპანიამ ბაზარზე წარმატებით დაიმკვიდროს თავი და საკუთარი ბრენდების სწორი პოზიციონირება მოახდინოს.

ბრენდებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების შესწავლა მარკეტინგის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. თანამედროვე მარკეტინგის კონცეფციის მიხედვით ძლიერ ბრენდს ქმნის არა მხოლოდ კომპანია, არამედ მასზე მომხმარებელთა შეხედულება. სწორედ ეს მოსაზრება განაპირობებს მომხმარებელთა დამოკიდებულებას ბრენდებისადმი [8]. შესაბამისად, აუცილებელია იმის შესწავლა, თუ როგორია ბრენდი მომხმარებლის აღქმაში და რა უპირატესობით ხასიათდება იგი. ბრენდებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების კვლევის ინტერესი ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, ბრენდებისადმი ლოიალურობის შესახებ ერთ-ერთი აღრინდელი განსაზღვრება ეკუთვნის ჯაკობის და კაინერს, რომლებმაც ლოიალურობა ქცევით ფაქტორებთან დააკავშირეს [9]. ასეთი მიდგომა განავრცო ოლივერმა და აღწერა იგი, როგორც ერთი და იმავე ბრენდის ან ბრენდების სერიის მუდმივად ყიდვის პროცესი, რომელიც სიტუაციის გავლენის თუ საბაზრო ძალისხმევის მიუხედავად ხორციელდება [10]. მორგანისა და ჰანტის მიხედვით, დღევანდელ მარკეტინგულ გარემოში მუდმივად იზრდება მომხმარებელთა ქცევის ამოცნობის საჭიროება, რაც ლოიალურობის სახეების იდენტიფიცირებას და სხვადასხვა ბრენდზე გადართვის გავების აუცილებლობას იწვევს [11]. ლოიალურობის საფუძველზე მომხმარებელთა შენარჩუნების ზრდა საბაზრო წილის მატებასაც განაპირობებს. რაიჩელდმა შეძლო მომხმარებელთა ლოიალურობიდან გამომდინარე სარგებლის შეჭამება, ხოლო მოგვიანებით, სხვა მკვლევარებთან ერთად დაადგინა, რომ ბრენდისადმი ლოიალურობა იწვევს პოზიტიური ხმების გავრცელებას და არსებული მომხმარებლების მხრიდან ბრენდის განმეორებით შექმნას [12]. ლოიალურობასთან მიმართებით მარკეტინგის ხერხების ზეგავლენაზე ამახვილებენ ყურადღებას დიკი და ბასუ [13]. ბლადინგერმა და რუბინსონმა მომხმარებლები დაყვეს ქცევითი და დამოკიდებულებითი ლოიალურობის მიხედვით [14]. ვორტინგტონმა, თავის კოლეგებთან ერთად, შეიმუშავა ლოიალურობის უფრო რთული, სამგანზომილებიანი მოდელი, რომელშიც ერთმანეთს დაუკავშირა მომხმარებელთა შემეცნებითი, ემოციური და ქცევითი რეაქციები [15]. ჩაუდჰურიმ და ჰოლბრუკმა დაადგინეს მომხმარებლის ნდობასა და ბრენდისადმი ლოიალურობას შორის კავშირი [16]. ალჰაბიბის მიხედვით, ბრენდისადმი ნდობა იწვევს ლოიალურობას, რომელიც ძვირად ფასობს [17]. ლოიალურობაზე მოქმედ ფაქტორები საინტერესოაა აღწერილი კელერისა და კუუსიკის შრომებში [18, 19]. დასახელებული ფაქტორებიდან უმნიშვნელოვანესია ბრენდის იმიჯი.

ბრენდის იმიჯი ლოიალურობაზე მოქმედი კომპლექსური ფაქტორია. ის ლოიალურობაზე ორმხრივ ზემოქმედებას ახდენს. პირველ რიგში, მომხმარებლები ბრენდის არჩევისას საკუთარ იდენტობას გამოხატავენ. ააკერი ხსნის, თუ

როგორ ირჩევენ მომხმარებლები იმ ბრენდებს, რომელთა დამახასიათებელი თვისებები ჰარმონიაშია მათ ხასიათთან [20]. კიმა, ჰანგმა და ჰარკმა დაადგინეს, რომ ბრენდის ლოიალურობაზე გავლენას ახდენს ბრენდის ინდივიდუალობა და იდენტიფიკაცია [21]. მეორე მხრივ, ბრენდის იმიჯმა შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებელთა ლოიალურობაზე, ვინაიდან ადამიანები ხშირად საკუთარ თავს სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას აკუთვნებენ. ფორნიერის აზრით, ადამიანები აფასებენ სხვების ფასეულობებს საკუთარ თავთან შედარების გზით. ამიტომ მომხმარებლებს ურჩევნიათ, დაუახლოვდნენ ისეთ ადამიანებს, ვისაც მათი მსგავსი წარმოდგენები და ფასეულობები აქვთ. შესაბამისად, მომხმარებლებისა და ბრენდებს შორის ურთიერთობაზე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნავარაუდები შეთავსების საგანი. ფორნიერის თანახმად, ბრენდები არა მარტო ეხმარებიან მომხმარებლებს, არამედ მათ ცხოვრებას უფრო შინაარსიანს ხდიან [22].

მკვლევარების უმეტესობა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ კომპანიებმა უნდა იზრუნონ მომხმარებლებთან გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაზე, ხოლო ბრენდის იმიჯის ფორმირება განიხილონ, როგორც ბიზნესის სტრატეგიული მიზნებისადმი უმთავრესი მიდგომა. ასეთი შეხედულების გააზრება განსაკუთრებით სასარგებლოა ქართული კომპანიებისათვის, რომლებიც ბაზარზე საქმიანობისას მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იმაშია, რომ ნაკლებადაა შესწავლილი საქართველოს ბაზარზე ამა თუ იმ პროდუქტის მომხმარებელთა ქცევაზე ბრენდის იმიჯის გავლენა. მართალია, მომხმარებელთა ქცევისა და ბრენდებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით გარკვეული კვლევები ტარდება საქართველოში [23, 24], მაგრამ ისინი არასაკმარისია და ზემოთ დასახელებული საკითხები კვლავაც სათანადო მეცნიერულ დამუშავებას საჭიროებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ბაზარზე სმარტფონების, როგორც ყველაზე უფრო მოთხოვნადი და გავრცელებული პროდუქტის, მომხმარებელთა ქცევაზე ბრენდის იმიჯის გავლენის შესწავლა, აგრეთვე იმის წარმოჩენა, თუ რას აქცევენ ყურადღებას ქართველი მომხმარებლები სმარტფონების ყიდვის დროს და როგორ ვლინდება მათი ლოიალურობა.

კვლევის მეთოდოლოგია. პირველადი მონაცემების შესაგროვებლად კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ ანკეტა, რომელიც რამდენიმე სტრუქტურირებული კითხვისგან შედგებოდა. ვინაიდან კვლევა არ ითვალისწინებდა რომელიმე კონკრეტული ბრენდის ან კომპანიის შესწავლას, ანკეტა ზოგადი ხასიათის კითხვებით დაკომპლექტდა, რაც არსებული საერთო სიტუაციის აღწერის საშუალებას იძლეოდა. კვლევა ეფუძნება გამოკითხვის მეთოდს [25], რომელიც ჩატარდა როგორც პირდაპირი ინტერვიუს, ასევე ინტერნეტის მეშვეობით. გამოკითხვის არეს წარმოადგენდა ქალაქი თბილისი, სადაც რესპონდენ-

ტები საალბათო პრინციპით შეირჩა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით, დღეისათვის საქართველოში მობილური აბონენტების რაოდენობა შეადგენს 4,3 მლნ-ს ადამიანს [26]. კვლევაში მოვახდინეთ მოსახლეობის დაჯგუფება და შერჩევის ფორმირება ისეთნაირად, რომ იგი რეპრეზენტაციული ყოფილიყო. 95%-იანი სანდო ალბათობისა და 4%-იანი ცდომილების გათვალისწინებით, შერჩევის მოცულობამ ჩვენ მიერ ჩატარებულ მარკეტინგულ კვლევაში შეადგინა 600 რესპონდენტი, რომლებიც სმარტფონების აქტიური მომხმარებლები არიან. მიღებული მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამით. კვლევის უტყუარობისა და სანდოობისათვის გამოვთვალეთ კრონბახის ალფა, რომლის საშუალო მნიშვნელობა აღმოჩნდა 0,74, რაც ამტკიცებს იმას, რომ შედეგები მისაღებია.


კვლევის შედეგები. გამოკითხულთა 55% იყო მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 45% - მამაკაცი. კვლევამ აჩვენა, რომ სმარტფონების დანიშნულების მიმართ ორივე სქესის წარმომადგენლებს ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ. კერძოდ, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ჰქონდეთ თანამედროვე ტელეფონი ჯ სმარტფონი, განსხვავება კი მხოლოდ ტელეფონის მახასიათებლების მიმართ მათ მიერ მინიჭებულ უპირატესობებშია. რაც შეეხება რესპონდენტების განაწილებას ასაკის მიხედვით, შემდეგნაირია: 18 წლამდე ასაკის არის გამოკითხულთა 11%, 18-დან 25 წლამდე - 43%, 25-დან 35 წლამდე ჯ 26%, 35-დან 65 წლამდე - 17% და 65 წელზე ზევით ჯ 3%. როგორც მოსალოდნელი იყო, საკვლევი ობიექტის მიმართ ყველაზე მეტი დაინტერესება გამოიჩინეს ახალგაზრდული სეგმენტის წარმომადგენლებმა. სწორედ ისინი არიან სმარტფონების აქტიური და მრავალფუნქციური მომხმარებლები.

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, მომხმარებელთა ოჯახის შემოსავლების შესახებ ინფორმაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 23% -ის ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 500 ლარამდეა, 31%-ის ჯ 700 ლარამდე, 15%-ის ჯ 1000 ლარამდე, 8%-ის ჯ 1200 ლარამდე, 5%-ის კი 1200 ლარზე მეტია. გამოკითხულთა 17%-მა საკუთარი ოჯახის შემოსავლების დაფიქსირებაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ მათ ამის შესახებ არ იცნან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტთა აბსოლუტურ უმეტესობას გააჩნია ბრენდული ტელეფონები. კერძოდ, გამოკითხულთა 25% ფლობს Samsung-ის ფირმის ტელეფონს, 21% - HTC-ის ტელეფონს, 12%- Lenovo-ს, 11% - Nokia-ს ტელეფონს, 10% - Huawei-ს, 9% - Sony-ის, ხოლო 7% - Apple-ს მოდელებს. გამოკითხულთა მხოლოდ 5% ფლობს სხვა, ნაკლებად ცნობილი ფირმის მიერ წარმოებულ სმარტფონებს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სამყარო “ჩაბეჭილი ვაშლის ეფექტს” განიცდის, Apple iPhone რესპონდენტთა მცირე რაოდენობას აღმოაჩნდა, რაც, ცხადია, პროდუქტის მაღალი ფასით შეიძლება აიხსნას. ეს ფაქტი ამყარებს ჩვენს ჰიპოთეზას იმის შესახებ,

რომ ქართველ მომხმარებელთა უმეტესობის მიყიდველობითუნარიანობა დაბალია და ძვირადღირებული სმარტფონების შეძენის შესაძლებლობა არ აქვს, რაც რესპონდენტების მიერ სმარტფონებში გადახდილ თანხებშიც აისახება (იხ. გრაფიკი 1). როგორც გრაფიკიდან ჩანს, რესპონდენტების მიერ სმარტფონებისათვის გადახდილი საშუალო ფასი 400-600 ლარის ფარგლებში მერყეობს. ამასთან, ცნობილია, რომ მძლავრი ბრენდული სმარტფონები საკმაოდ ძვირია, საქართველოს ბაზარზე კი მათი ფასი 800-დან 1400 ლარამდეა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველი მომხმარებლების უმეტესობას სუსტი სიმძლავრის ბრენდული სმარტფონი აქვს.

სმარტფონის ყიდვის შესახებ გადაწყვეტილებაზე, ფასთან ერთად, გავლენას ახდენს ბრენდის დასახელება. კვლევამ გამოავლინა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა (31%) სმარტფონების ბრენდებიდან უპირატესობას ანიჭებს Apple-ს, 20% - Samsung-ს, 15% - HTC-ს, 11%- Lenovo-ს, 9% - Huawei-ს, 7% - Nokia-ს,




5% - Sony-ს, ხოლო 2% - ნაკლებად ცნობილ ბრენდებს. როგორც ჩანს, ქართველი მომხმარებლების თითქმის მესამედს სურს Apple-ს სმარტფონის შეძენა, მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი ამას ვერ ახერხებს და მოთხოვნილებას Samsung-ის ან HTC-ის ტელეფონებით იკმაყოფილებს. Nokia-ს და Sony-ს მომხმარებლები უფრო ლოიალურები არიან და ყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას თავიანთი საყვარელი ბრენდების სასარგებლოდ ღებულობენ.

კვლევის პროცესში 10 ბაღიანი სკალით შევაფასეთ მომხმარებლებისათვის ცნობილი სმარტფონების ბრენდები. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შევარჩიეთ სმარტფონების მწარმოებელი 12 კომპანიის ბრენდები. აქედან ქართველი მომხმარებლებისათვის კარგად ნაცნობი აღმოჩნდა 7 კომპანიის ბრენდები (Apple, Samsung, HTC, Lenovo, Huawei, Sony და Nokia). დანარჩენი ბრენდები (Thl, Doogee, Zopo, OnePlus One, Jiayu, locean და Xiaomi) საქართველოს ბაზარზე დამკვიდრებული არაა და, შესაბამისად, მათი ცნობადობაც


დაბალია, კერძოდ, გამოკითხულთა 85-90% მათ არ იცნობს. ამასთან, ისინი, ვისთვისაც ეს ბრენდები ნაცნობია, მათ დაბალ შეფასებებს აძლევენ. რაც შეეხება ცნობილ ბრენდებს, რესპონდენტების მიერ მინიჭებული ქულების საერთო რაოდენობის 31% მიიღო Apple -მ, 18% - Samsung-მა, 17% - HTC-მ, 13%-Lenovo-მ, 11%- Huawei -მ, 6% -Sony-მ და 4% - Nokia-მ.

საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რომელ ოპერაციულ სისტემას ანიჭებენ ქართველი მომხმარებლები უპირატესობას. ამისათვის შევარჩიეთ მობილური ტელეფონების მსოფლიო ბაზარზე ყველაზე მეტად გავრცელებული ოპერაციული სისტემები და რესპონდენტებს ვთხოვეთ, შეეფასებინათ ისინი 5 ბალიანი სკალით. კვლევამ გვიჩვენა, რომ გამოკითხულთა 25%-ს წარმოდგენა არ აქვს მობილური ტელეფონების ოპერაციულ სისტემებზე, ხოლო 75%-ს შეუძლია ამ მახასიათებლების შეფასება. აღმოჩნდა, რომ ოპერაციულ სისტემებიდან რესპონდენტების უმეტესობა (53%) უპირატესობას ანიჭებს Android-ს, 23%- Apple ios-ს, 16%- Windows-ს, 5% - WebOS-ს და 3%- Nokia Asha-ს.



კვლევის შედეგად დადგინდა, თუ რა მიზნით იყენებენ ქართველი მომხმარებლები სმარტფონებს. რესპონდენტების 90% სმარტფონებს იყენებს მრავალფუნქციური დატვირთვით, 7% - მხოლოდ დარეკვისა და ტექსტური შეტყობინების გასაგზავნად, ვინაიდან სხვა რამე არ აინტერესებს, 3% - მხოლოდ დარეკვისა და ტექსტური შეტყობინების გასაგზავნად, ვინაიდან სხვა რამეში ვერ ერკვევა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ სმარტფონების ფუნქციებიდან ყველაზე მეტად რომელი იზიდავს მომხმარებლებს. მე-2 გრაფიკზე ნაჩვენებია მომხმარებლების მიერ სმარტფონების ფუნქციური მახასიათებლებისათვის მინიჭებული უპირატესობები. აშკარაა, რომ რესპონდენტებისათვის მნიშვნელოვანია თითოეული მახასიათებელი, რაც ადასტურებს



იმას, რომ საქართველოს ბაზარზე მოთხოვნა, ძირითადად, მძლავრი ფუნქციური მახასიათებლების მქონე სმარტფონებზე მოდის. ამიტომ საინტერესოა იმის გარკვევა, თუ როგორ არიან გათვითცნობიერებულნი მომხმარებლები ტელეფონის სიმძლავრესა და მრავალფუნქციურობაში. ამ თვალსაზრისით კი ძირითადია პროცესორისა და ვიდეო ბარათების მახასიათებლები. როგორც კვლევა გვიჩვენებს, რესპონდენტების უმეტესობა არ იცნობს სმარტფონების პროცესორებს და ვიდეო ბარათებს (იხ. გრაფიკი 3 და 4), მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბაზარზე, მათ შორის საქართველოში, გავრცელებული სმარტფონების უმრავლესობა სწორედ ასეთი დეტალების ბაზაზეა აგებული.





როგორც კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რესპონდენტთა 28% კმაყოფილია საკუთარი სმარტფონით, 52% მიიჩნევს, რომ მას სჭირდება უფრო მძლავრი და ფუნქციური ტელეფონი, ხოლო 20% შენაძენით საერთოდ უკმაყოფილოა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა იმის დადგენა, შეიძენენ თუ არა მომხმარებლები მის ამჟამინდელ ტელეფონზე უკეთესს, მისაღებ ფასად რომ შესთავაზონ. აღმოჩნდა, რომ ასეთი შეთავაზების შემთხვევაში რესპონდენტთა 80% ახალი სმარტფონის ყიდვის შესახებ დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკურია იმის დადგენა, თუ რამდენს გადაიხდიან მომხმარებლები სასურველი სმარტფონის შესაძენად. როგორც უკვე აღინიშნა, ქართველი მომხმარებლების უმეტესობას სურს, ჰქონდეს მძლავრი და მულტიფუნქციური ბრენდული სმარტფონი, რომლის საბაზრო ფასი ჩვენს ქვეყანაში 800-დან 1400 ლარამდე მერყეობს. მე-5 გრაფიკი გვიჩვენებს, რომ ასეთ საფასო კატეგორიაში მოქცეულია რესპონდენტთა 24%. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რესპონდენტთა რაოდენობის 76%, დაბალი მსყიდველობითი უნარის გამო, მისთვის სასურველ სმარტფონს ვერ ყიდულობს.



სმარტფონებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, საინტერესოა, რას ანიჭებენ ყიდვის პროცესში მომხმარებლები უპირატესობას – ტელეფონის ბრენდს თუ მის ფუნქციურ მახასიათებლებს. გამოკითხულთა 69%-მა აღნიშნა, რომ მისთვის გადამწყვეტია ბრენდული პროდუქტის შექმნა, ხოლო 31% -ის აზრით, სმარტფონის შექმნისას კონკრეტულ ბრენდს ან ფირმას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, ტელეფონს მძლავრი ტექნიკური მახასიათებლები ჰქონდეს. კვლევიდან გამომდინარე, რესპონდენტების იგივე რაოდენობა არჩევანს ბრენდის სასარგებლოდ გააკეთებდა მაშინაც, შეთავაზებული ორი სმარტფონიდან ერთი უცნობი ფირმის მიერ წარმოებული შედარებით მძლავრი და მულტიფუნქციური რომ ყოფილიყო, ხოლო მეორე – უკეთესი მახასიათებლების მქონე ნაკლებად ცნობილი ბრენდი. რაც შეეხება სმარტფონის შექმნის სიხშირეს, კვლევა აჩვენებს, რომ გამოკითხულთა ყველაზე მეტი რაოდენობა (47%) სმარტფონს ყიდულობს ორ წელიწადში ერთხელ, 28% - წელიწადში ერთხელ, 14% - სამ წელიწადში ერთხელ, 9% - ოთხ წელიწადში ერთხელ და 2% - ექვს თვეში ერთხელ.

კვლევის ბოლო ნაწილი ეხება იმ ფაქტორებს და ინფორმაციის მოძიების ხერხებს, რომლებსაც რესპონდენტები ყურადღებას აქცევენ სმარტფონების ბრენდების არჩევის დროს. ამისათვის გამოვიყენეთ 1-დან 10-მდე შეფასების სკალა. რაც უფრო მეტად ეთანხმებოდა რესპონდენტი მოსაზრებას, მით უფრო მაღალ შეფასებას იძლეოდა. კვლევის შედეგები მოცემულია მე-6 და მე-7 გრაფიკებზე, საიდანაც ჩანს, რომ სმარტფონების ბრენდის არჩევისას ყველაზე მნიშვნელოვანია შეთავაზებული საქონლისა და მომსახურების ხარისხი, ხოლო ინფორმაციის მოძიების ხერხებიდან – სოციალური ქსელები, ახლობლების აზრი და რეკლამა.



დასკვნები. ჩვენ მიერ ჩატარებული მარკეტინგული კვლევებიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. ქართველ მომხმარებლებზე ბრენდის იმიჯის გავლენა მაღალია, თუმცა, მათი დიდი ნაწილის ცნობადობა შემოისაზღვრება მხოლოდ სმარტფონების აღიარებული ბრენდებით, ამიტომ ისინი მხოლოდ ამ ბრენდებს ანიჭებენ უპირატესობას.

2. ქართველი მომხმარებლები, ძირითადად, მძლავრ მრავალფუნქციურ სმარტფონებს ირჩევენ. ამასთან, მომხმარებელთა უმეტესობამ არ იცის, როგორ შეარჩიოს მისთვის სასურველი ტელეფონი, ვინაიდან სმარტფონების მახასიათებლების შესახებ მათი გათვითცნობიერების დონე დაბალია.

3. ქართველი მომხმარებლების უდიდესი ნაწილი, დაბალი მყიდველობითი უნარის გამო, მისთვის სასურველ სმარტფონს ვერ ყიდულობს, ვინაიდან საქართველოს ბაზარზე, ძირითადად, წარმოდგენილია ძვირადღირებული ბრენდული სმარტფონები და მომხმარებელთა უმეტესობა არ იცნობს სხვა კომპანიებს, რომლებიც ასევე მძლავრ მრავალფუნქციურ სმარტფონებს აწარმოებენ. შესაბამისად, იკვეთება საბაზრო სეგმენტი, რომელიც აუთვისებელია.

4. სმარტფონების ბრენდების არჩევისას ქართველი მომხმარებლები, ძირითადად, ყურადღებას აქცევენ შემოთავაზებული საქონლისა და მომსახურების ხარისხს, ხოლო ინფორმაციის მოძიებისას კი სოციალურ ქსელებში გამოთქმულ მოსაზრებებს, ახლობლების აზრს და რეკლამას.

გემოლანიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ბაზარზე უნდა დამკვიდრდეს მძლავრი მულტიფუნქციური მახასიათებლების მქონე სმარტფონები, ხოლო კომპანიებმა, მომხმარებელთა ცნობადობის ასამაღლებლად, უნდა ჩაატარონ სტიმულირების შესაბამისი ღონისძიებები. სწორი საკომუნიკაციო არხების ჩამოყალიბება და მიზანმიმართული მარკეტინგული ხერხების გამოყენება გაზრდის უცნობი ბრენდებისადმი მომხმარებელთა ნდობას. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მომხმარებლების მიერ მათთვის სასურველი პროდუქტის შეძენას, სმარტფონების უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ბრენდების საქართველოს ბაზარზე დამკვიდრებას, რაც ადგილობრივ ბიზნესზე დადებითად აისახება.

ლიტერატურა:

1. <https://www.idc.com/>
2. http://www.idc.com/research/container_error.jsp
3. <http://www.strategyanalytics.com>
4. <http://www.gartner.com>
5. <http://trendforce.com>
6. <http://www.digitimes.com/reports/>
7. <http://www.canaccordgenuity.com/>

8. Roger D. Blackwell, Paul W. Miniard, James F. Engel. Consumer Behaviour. 10th Edition, Thomson, 2007, p. 33.
9. Jacoby, J., Kyner, B.D. Brand Loyalty vs. Repeat Purchasing Behaviour. Journal of Marketing. 1973, Vol. 10, pp. 1-9.
10. Oliver Richard L. Whence Consumer Loyalty? Journal of Marketing. 1999, Vol. 63 (Special Issue), pp. 33-44.
11. Morgan, R. M. and Hunt, S. D. The Commitment –Trust Theory of Relationship marketing. Journal of Marketing. 1995, Vol. 58, No.3, pp. 20–39.
12. Reichheld F. The Loyalty Effect, the Hidden Force behind Growth, Profits and Lasting Value. Harvard Business School Press. 1996.
13. Dick, A.S., Basu, K. Customer Loyalty: Toward an Integrated Conceptual Framework. Journal of the Academy of Marketing Science. 1994, Vol. 22, No. 2, pp. 99-113.
14. Bladinger, A.L., Rubinson, J. Brand Loyalty: The Link Between Attitude and Behavior. Journal of Advertising Research. 1996, Vol. 36, pp. 22-34.
15. Worthington S., Russell-Bennett, Rebekah and Hartel, Charmine E. J. A tridimensional approach for auditing brand loyalty. Journal of Brand Management. 2009, Vol. 17, No. 4, pp. 243–253.
16. Chaudhuri A., Holbrook M.B. The Chain of Effects from Brand Trust and Brand Affect to Brand Performance: The Role of Brand Loyalty. Journal of marketing. 2001, Vol. 65 (April), pp.81-93.
17. Alhabeeb, M. J. On consumer trust and product loyalty. International Journal of Consumer Studies. 2007, Vol. 31, No. 6, pp. 609–612.
18. Keller, K.I. Brand Synthesis: The Multidimensionality of Brand Knowledge. Journal of Consumer Research. 2003, Vol. 29, No. 4, pp. 595-600.
19. Kuusik A. Affecting customer loyalty: do different factors have various influences in different loyalty levels? The University of Tartu Faculty of Economics and Business Administration Working Paper, 2007, Vol. 58, pp. 3-29.
20. Aaker D. Managing Brand Equity, San Francisco: Free Press. 1991.
21. Chung K. Kim, Dongchul Han, Seung-Bae Park . The Effect of Brand Personality and Brand Identification on Brand Loyalty: Applying the Theory of Social Identification. Japanese Psychological Research. 2001, Vol. 43, No.4, pp.195 - 206.
22. Fournier S. Consumers and Their Brands: Developing Relationship Theory in Consumer Research. The Journal of Consumer Research. 1998, Vol. 24, No. 4, pp. 343-373.
23. Todua N., Jashi Ch. Perception of Consumer loyalty of Foreign Brands (Georgian Case). Proceedings of 19th International Conference on Corporate and Marketing Communication. Milan (Italy), 2014. pp. 159-160.
24. თოდუა ნ. საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა. გამომცემლობა “უნივერსალი”, თბილისი, 2012.
25. Черчилль Г. А., Браун Т. Маркетинговые исследования. Учебник. Пер. с англ. – СПб.: Издательство “Питер”, 2007.
26. <http://analytics.gncc.ge/>

The Impact of Brand Image on Consumer Behavior of Smartphones

Ekaterine Urotadze

Assistant Professor, Doctor of Economics

Iv. Javakishvili State University

ekaterine.urotadze@tsu.ge

In the article there are analyzed the dynamics of the world's production of smartphones and ratings of leading companies. There is shown, that in recent years there are observed growth rates in the production of smartphones and development of new brands, which is reflected in consumers behavior. In the article special attention is paid to the influence of brand's image on the purchase decision of Georgian consumers. On the basis of the conducted market research there is given the ownership structure of branded smartphones and made payments, as well as the evaluation of the known brands and the advantages given to smartphones' functions by Georgian consumers. In the given work there is found the levels of respondent's satisfaction, structure of desired price, as well as factors, to be considered when choosing the brands and the techniques for information search by respondents. On the basis of the study there is identified a market segment, which is underdeveloped.

Keywords: Smartphones; brand image; consumer behavior; marketing research.

JEL Codes: M30, M31, M39.

„ტექნოლოგიური ხაფანგი“ და მისი დაძლევის სირთულეები

ნოდარ დუნდუა

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
nodardundua@yahoo.com*

საესეებით ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს XXII საუკუნეში საქართველოს ეკონომიკის ტექნოლოგიურად გადაიარაღებას. გარდა იმისა, რომ ლოკალურ დონეზე მოძველებული ტექნოლოგიებით კერძო ფირმები კონკურენციას ვერ უწევენ მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების ნაწარმს, დაბალეფექტიანია ისედაც შეზღუდული რესურსების და, რაც მთავარია, ადამიანთა რესურსის გამოყენება, რაც მულტიპლიკატორული რეჟიმით დიდ ეკონომიკურ დანახარჯებს იწვევს.

განსაკუთრებით რთულია გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვის ტექნოლოგიური ხაფანგისგან თავის დაღწევა მრავალი მიზეზის გამო (პირადი გადანაცვეტილება, ბუნდოვანი მომავალი, მაღალი საპროცენტო განაკვეთი, შერეული ტექნოლოგიებით წარმოებისას უკან - ძველ ტექნოლოგიებზე დაბრუნების საფრთხე და ა.შ.). თუმცა, არიან ქვეყნები, რომლებმაც საკმაოდ ადვილად დაძლიეს ეს საფრთხე, მაგალითად, თურქეთი, ჩინეთი (განსაკუთრებით ალსნიშნავია ეს უკანასკნელი, რადგანაც წლების მანძილზე კომუნისტური არაკონკურენციული ეკონომიკის გადანაცობა მოახერხა თანამედროვე სტანდარტებზე).

საქართველოში კი, ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ მძიმე მრეწველობის სფეროში ტექნოლოგიურ ხაფანგში იმყოფება, სხვა სფეროებში კი იმ მარტივი მიზეზით არ გვაქვს ანალოგიური პრობლემა, რომ პრაქტიკულად ძველ საწარმოთა უმრავლესობა უბრალოდ აღარ ფუნქციონირებს.

რაც შეეხება არსებული სიტუაციიდან გამოსავალს, სახელმწიფოს მხრიდან დადებით ინიციატივას წარმოადგენს პროექტი - „აწარმოე საქართველოში“, რომელიც გულისხმობს მოსახლეობისთვის გრძელვადიან და იაფ კრედიტს, რომლის 80%-ის ინვესტირება უნდა მოხდეს

ძირითად საშუალებებში, თუმცა, აქაც მთავარი ფაქტორი იქნება, რამდენად სჭერა ხალხს საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისა გრძელვადიანი ჭრილით.

ტექნოლოგიური ხაფანგიდან გამოსავლის ყველაზე სწრაფ და მარტივ მეთოდს წარმოადგენს ლიზინგი, როდესაც ადამიანს არ სჭირდება ზედმეტი უზრუნველყოფა და ისე შეუძლია განაახლოს საკუთარი ძირითადი საშუალებები. თუმცა, ჩვენს ქვეყანაში ეს პროდუქტი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ განვითარებული და საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, თვით სახელმწიფო პროექტებშიც კი ვერ მოხერხდა ლიზინგის ეფექტიანად ჩართვა. აგრეთვე, სხვა ქვეყნების ნაცადი მეთოდების გამოყენება და ნაცვლად ინვესტორის მხრიდან ერთბაშად ბიუჯეტის შესავსებად მიღებული თანხებისა, უმჯობესი იქნება ქვეყანაში შეიქმნას ისეთი საინვესტიციო გარემო, სადაც უცხოელი ინვესტორი დაინტერესდება საკუთარი ტექნოლოგიისა და ცოდნის შემოტანით, რითიც მოხდება ადგილობრივი მუშახელისა და კონკურენტი ფირმების განათლება და აღნიშნული ტექნოლოგიების გავრცელება.

საკვანძო სიტყვები: „ტექნოლოგიური ხაფანგი“ (მიზნები და დაღწევის საშუალება); ეკონომიკის ტექნოლოგიური გადაიარაღება; ლიზინგი.

გლობალიზაციის პირობებში ქვეყნები, საზოგადოებები და, შესაბამისად, ეკონომიკები ასე ღია და გახსნილი, აგრეთვე, თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით, ადვილად ხელმისაწვდომი და კონკურენტული, ალბათ, კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა. დღეს შესაძლებელია დავსხდეთ საკუთარ პერსონალურ კომპიუტერთან, რომლის ნაწილები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არის აწყობილი, შავი ზღვის გადაკვეთით, ან თუნდაც სატელიტური მონყობილობის საშუალებით, კოსმოსიდან მივიღოთ ინტერნეტი და ბრაზილიაში ჩვეულებრივი ფიზიკური პირისგან ვიყიდოთ რაიმე სუვენირი თუ ნივთი, რომელსაც ორ კვირაში სახლში მოგვიტანენ.

ერთი შეხედვით, ამგვარ პირობებში ქვეყნის ეკონომიკა და განსაკუთრებით ინოვაციური ტექნოლოგიები, ადვილად გავრცელებადი უნდა იყოს სახელმწიფოებს შორის და ტექნოლოგიებს შორის სხვაობა წლიდან წლამდე სულ უფრო უნდა მცირდებოდეს, თუმცა სტატისტიკა სხვაგვარ მაჩვენებლებზე მეტყველებს: განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებსა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებს შორის, ძირითად შემთხვევებში, სულ უფრო მეტია ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ მაჩვენებლებში სხვაობა; ამის ერთ-ერთ მიზეზად მკვლევარები განვითარებადი ქვეყნების „ტექნოლოგიურ ხაფანგში“ მოხვედრას ასახელებენ.

რა განაპირობებს იმას, რომ განვითარებადი ქვეყნების უდიდესი ნაწილი ვერ ახერხებს წარმოების ტექნოლოგიურ გადაიარაღებას? ან კერძო მენარ-

მეები და ფირმები რატომ არ ინდომებენ ახალ, ბევრად მოქნილ, საერთაშორისო სტანდარტების დამაკმაყოფილებელ და, ხშირ შემთხვევაში, მოხმარების პერიოდში ნაკლები დანახარჯების მქონე ტექნოლოგიებზე გადასვლას? რა განსაზღვრავს მათ არჩევანს, რა ზიანს აყენებს „ტექნოლოგიურ ხაფანგში“ მოხვედრა კერძო ფირმასა და ზოგადად ეკონომიკას და როგორ შეიძლება, რომ აღნიშნული პრობლემა გადაიჭრას? - სტატიაში სწორედ ამ საკითხებს განვიხილავთ.

ეკონომიკურ ხაფანგში აღმოჩენის მიზეზები

როგორც შესავალში აღინიშნა, მიუხედავად ფინანსური და ტექნოლოგიური ბაზრების გახსნილობისა, მრავალი განვითარებადი ქვეყანა არათუ ვერ ახერხებს ტექნოლოგიური მონოპოლიზაციებით განვითარებული ქვეყნების დაწევას, პირიქით, მაშინ, როდესაც განვითარებული ქვეყნები ინოვაციებით დღითიდღე ხვეწენ საკუთარი წარმოების მეთოდებს, განვითარებად ქვეყნებში არსებული ტექნოლოგიური დანადგარებიც კი დიფუზიას განიცდის, კიდევ უფრო ძველდება და შორდება თანამედროვე სტანდარტებს. აღნიშნული დანადგარებით ნაწარმოები საქონელი კი, გარდა იმისა, რომ არარენტაბელურია და ძვირი ჯდება, ხშირ შემთხვევაში, საერთაშორისო სტანდარტებსაც ვერ აკმაყოფილებს და, შესაბამისად, არაკონკურირებადია ამ მხრივაც.

შორს რომ არ წავიდეთ, 1,712 მლნ დასაქმებული ადამიანის მყოფი საქართველოს რეალური მშპ 2013 წელს შეადგენდა დაახლოებით 7.38 მლრდ აშშ დოლარს მაშინ, როდესაც გერმანიის - 40.68 მლნ დასაქმებული ადამიანის მყოფი ქვეყნის რეალურმა მშპ-მ 3231.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ანუ დაახლოებით 23-ჯერ მეტი მოსახლეობით, მაგრამ 438-ჯერ უფრო მეტი რეალური მშპ აქვს გერმანიას [7; 8] (ამ შემთხვევაში დასაქმებულთა ქართული დათვლის სისტემა უგულებელყოფილია, თუმცა, განსხვავება იმდენად თვალშისაცემია მონაცემთა შორის, რომ დიდ გავლენას, თუნდაც საქართველოში დასაქმებულთა ზუსტი აღრიცხვიანობა ვერ მოგვეცემდა), ამის ერთ-ერთი მიზეზი ჩვენს შემთხვევაშიც, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, სწორედ ტექნოლოგიურ ხაფანგშიც უნდა ვეძებოთ.

ტექნოლოგიური ხაფანგის მიზეზები თავდაპირველად მიკროეკონომიკის დონეზე უნდა ვეძებოთ, სადაც კერძო პირებს უბრალოდ არ სურთ საკუთარი საწარმოების გადაიარაღება. ადამიანს, თუ ჩავთვლით, რომ იგი მოქმედებს, როგორც „ჰომო ეკონომიკუსი“, ანუ ცდილობს მაქსიმალური სარგებელი მიიღოს მინიმალური დანახარჯებით, რაციონალურად აზროვნების შემთხვევაში, გრძელვადიან პერსპექტივაში, ნამდვილად უნდა უღირდეს ტექნოლოგიის განახლება, რადგანაც მიუხედავად ერთჯერადი დანახარჯისა, გრძელვადიან პერსპექტივაში ახალი ტექნოლოგია საოპერაციო ხარჯების შემცირების ან მეტი პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა, მაგრამ განვითარებად ქვეყნებში

ძალიან ძნელად იღებენ კომპანიის მფლობელები გადაიარაღების გადანყვეტილებას, რისი მიზეზიც მრავალია. გარდა იმისა, რომ ბაზარზე არსებული ფირმების დიდი ნაწილის მენეჯერები „ჰომო ტრანსფორმატიკუსად“ ან ზოგჯერ სულაც „ჰომო სოვიეტიკუსადაც“ კი გვევლინება, რომელთა ძირითადი მიზანი მოკლევადიანი სპეკულაციებით არსებული საწარმოო შესაძლებლობებით მოგების მიღებაა, აგრეთვე, მნიშვნელოვანია თავად „ჰომო ეკონომიკუსების“ დამოკიდებულებაც ქვეყნისა და მისი ეკონომიკის სტაბილურობაზე.

ე. ბალაცკი თავის პუბლიკაციაში „ტექნოლოგიური ზრდა და ეკონომიკური ხაფანგები“ კერძო ფირმის დონეზე გადანყვეტილების მიმღები პირის მოქმედებას, ჩაანცვლოს თუ არა მოქმედი ტექნოლოგია ახლით, შემდეგი მათემატიკური ფორმულით განმარტავს:

$$\int_0^{\tau} [C_S(t) - C_N(t)] dt = T_0$$

სადაც t – დროა; τ – დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ფირმა დანახარჯების ამოღებას ვარაუდობს; (C_S) – ძველი ტექნოლოგიების დანახარჯებია (საოპერაციო ხარჯები); (C_N) კი – ახალი ტექნოლოგიების. შესაბამისად, თუ ფორმულის მარცხენა მხარე მარჯვენა მხარეზე მეტი აღმოჩნდება, მაშინ ხდება გადასვლა ახალ ტექნოლოგიებზე, რადგანაც ძველი ტექნოლოგიების დანახარჯები აჭარბებს ახალს, თუკი პირიქით, მარჯვენა მხარე უფრო დიდი აღმოჩნდება, ამ შემთხვევაში, ფირმა რჩება ეკონომიკურ ხაფანგში. ამ ფორმულიდან ჩანს, რომ რაც უფრო დიდვადიან დაგეგმარებას ახორციელებს მენარმე, ანუ რაც უფრო დიდია (– დროის პერიოდი, მით მეტია შანსი ფირმამ მიიღოს გადანყვეტილება და გადავიდეს ახალ ტექნოლოგიაზე [4, გვ. 53-76]. მარტივი მაგალითი რომ ავიღოთ, თუკი ფირმა ახალ ტექნოლოგიაზე გადასვლით დაზოგავს თითოეულ გამოშვებულ პროდუქტზე 1 თეთრს, ამისთვის მას დასჭირდება 10000 ლარიანი დანადგარი, თვეში კი უშვებს 20000 ერთეულ საქონელს, ფირმას დასჭირდება მინიმუმ 50 თვე, რათა ამოიღოს მის მიერ განხორციელებული ერთჯერადი დანახარჯი მონეობილობის შექმნაზე (დროში ფულის ღირებულება და პროცენტი ამ შემთხვევაში უგულებელყოფილია).

რა თქმა უნდა, გარდამავალი ანდა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, მენარმეებს უჭირთ გრძელვადიანი გადანყვეტილებების მიღება, რადგან ამგვარ ქვეყნებში თავად მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გრძელვადიანი პროგნოზირება ჭირს, ხშირია რყევები და რეცესიები, რაც პირდაპირ მოქმედებს ეკონომიკურ სუბიექტთა არჩევანზე. ამიტომაც, ურჩვენიათ უფრო ხშირად - მოკლევადიან პერიოდში მიიღონ მაქსიმალური მოგება, რესურსების სრული დატვირთვისა და მაქსიმალური გამოყენების ხარჯზე. ერთი სიტყვით, დღევანდელი კვერცხი, სამწუხაროდ, ბევრს ურჩევნია ხვალინდელ ქათამს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მოქმედებს თავად ფირმების და შემდეგ უკვე პროპორციულად ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

აქვე, საინტერესო კვლევა ჩატარადა რუსეთში 2009 წელს, სადაც ბიზნესის მფლობელები გამოკითხეს, თუ რა ვადაზე გეგმავდნენ ისინი თავიანთ ბიზნესს [5].

დაგეგმვის პერიოდი	რესპონდენტების რაოდენობა, %
არაუმეტეს 3 თვისა	7,5
არაუმეტეს 6 თვისა	16,5
არაუმეტეს 1 წლისა	36,0
არაუმეტეს 2 წლისა	12,0
არაუმეტეს 3 წლისა	9,5
არაუმეტეს 5 წლისა	7,0
არაუმეტეს 10 წლისა	1,5
10 წელზე მეტი	5,5
საქმიანობას საერთოდ არ გეგმავს	4,5
დაგეგმვის საშუალო პერიოდი, წლები	2,3

მეორე, რასაც ყურადღება ექცევა ტექნოლოგიური ხაფანგის ანალიზისას, არის ის, თუ რამდენად არის კომპანია ორიენტირებული განვითარებასა და ზრდაზე, თუ მხოლოდ არსებული სანარმოო სიმძლავრის შენარჩუნებაზე ფიქრობს? ე. ბალაჯკი აქაც გვთავაზობს გარდაქმნების შედეგად მიღებულ მათემატიკურ ფორმულას

$$(c_{S0} - c_{N0})(e^{\lambda\tau} - 1) > \lambda T / x$$

სადაც შემოაქვს ახალი აღმნიშვნელი – λ , რომელიც კომპანიის გაფართოებისა და ზრდის ტემპს აღნიშნავს და, როგორც ფორმულიდანაც ჩანს, იმ პერიოდთან ერთად, რომლის დროსაც კომპანია დანახარჯების ამოღებას ვარაუდობს τ , λ -იც გადამწყვეტ როლს თამაშობს გადანყვეტილების მიღებისას. ახსნა, ფირმა რაც უფრო მეტად განვითარებაზე და გაფართოებაზეა ორიენტირებული, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ მიიღოს გადანყვეტილება ტექნოლოგიურ ცვლილებებზე. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ერთნაირი საინვესტიციო შესაძლებლობების შემთხვევაშიც კი შესაძლებელია, რომ 2 ფირმიდან ერთი დარჩეს ტექნოლოგიურ ხაფანგში (თუკი არ არის მზარდი წარმოების და გაფართოებისკენ მიდრეკილი), ხოლო მეორე, პირიქით, გადავიდეს ახალ ტექნოლოგიაზე [4, გვ. 53-76].

ამ თეორიის განვრცობა შეიძლება ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზეც, და ტექნოლოგიური ხაფანგის მიზეზები შეგვიძლია ვეძებოთ გარდამავალი ქვეყ-

ნების ეკონომიკის არასტაბილურ ზრდაში, თუმცა, აქაც პასუხი ერთმნიშვნელოვანი არ არის, მხოლოდ დროებითი ცვლილება რეცესიის ეკონომიკურ სტაბილურობაზე ან დროებით ზრდაზე არ არის საკმარისი ეკონომიკის ტექნოლოგიური ხაფანგიდან გამოყვანისთვის; ამისთვის საჭიროა მაღალი და ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდა, ამის მაგალითი ჩვენს ქვეყანაშიც გვქონდა.

2003-2007 წლებში, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობდა ეკონომიკის სწრაფი ტემპებით ზრდა და სხვადასხვა მეურნეობებს გაუჩნდათ შემოსავლები, მათმა უმრავლესობამ დაგროვებული კაპიტალი უძრავ ქონებასა და პირადი მოხმარებისთვის გამოიყენა; ამას შემდეგ მოჰყვა 2008 წლის ომი და ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა კვლავ რყევა განიცადა, რის შედეგადაც ქვეყანა კვლავაც, როგორც, ალბათ, ბოლო 50 წლის მანძილზე, ტექნოლოგიურ ხაფანგშია აღმოჩენილი. ეს ლოგიკურიც არის: როდესაც დიდი ხნის რეცესიის შემდეგ კერძო ფირმები და მეურნეობები იღებენ სტაბილურ შემოსავლებს, თავდაპირველად, უმეტესობა ცდილობს პირადი მოთხოვნისა და სურვილების დაკმაყოფილებას, რადგანაც მანაც არ არის საწყის ეტაპზე ნდობა სამომავლოდ ანალოგიური შემოსავლების არსებობისა.

მეორე მხრივ, აგრეთვე რთულია ტექნოლოგიური ხაფანგიდან თავის დაღწევის გარეშე სტაბილური მზარდი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება. როგორც ვ. ბ. პოლტეროვიჩი აღნიშნავს, „ეკონომიკური ზრდისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი თავად ეკონომიკური ზრდა არის“ – ანუ, გარკვეულწილად, ჩაკეტილ წრეს ემსგავსება ეს სიტუაცია. ე. ბალაცკის თავის პუბლიკაციაში მოყვანილი აქვს ცნობილი ამერიკელი ბანკირის ჯ.პ. მორგანის ციტატა, რომელიც თავის შვილს ეუბნება, რომ დადგება დრო, როდესაც ყველა იფიქრებს ამერიკის ბნელ მომავალზე, რომ უკვე ძალიან ბევრი გზატკეცილი, ძალიან ბევრი ქარხანა და საწარმოა და ამდენს ეკონომიკა ვერ გაუძლებს, თუმცა, თავად ამ ქვეყნის ზრდა იზრუნებს ყველაფერზე. ანუ, ამ გამონათქვამში ჩანს მისი რწმენა საკუთარი ეკონომიკისადმი, რაც განაპირობებს კიდევ ამერიკის ეკონომიკურ წარმატებას დღემდე [4, გვ. 53-76].

უსათუოდ აღსანიშნავია ჩინეთის მაგალითიც: ჩინეთი შერეული ტიპის ეკონომიკას წარმოადგენს, სადაც უამრავი საწარმო თუ ბანკი კვლავ სახელმწიფოს საკუთრება და გარკვეულ სფეროებში პირდაპირი სახელმწიფო ღირეფტივებით იმართება ეკონომიკა, თუმცა, მისი ბოლოდროინდელი ეკონომიკური წარმატება აშკარაა. რამ განაპირობა ეს და როგორ მოხდა, რომ ამხელა მასშტაბის მქონე ქვეყანა არ გაეხვია ტექნოლოგიურ ხაფანგში, როდესაც მცირე ზომის ქვეყნებსაც კი უჭირთ გადაიარაღება? პასუხი უნდა ვეძებოთ სახელმწიფო პოლიტიკაში, რომელიც თანმიმდევრულად ხორციელდებოდა და რამდენიმე ეტაპს მოიცავს. საწყის ეტაპზე მსოფლიო ბაზარზე გავრცელებული იყო დაბალი ხარისხის ჩინური პროდუქცია, რომლითაც ხდებოდა ე.წ. ეკონომიკური ბიძგის აღება, მიღებული შემოსავლებითა და, უფრო მეტწილად, მიღებული ინვესტიციებით ხდებოდა გადაიარაღება და კიდევ უფრო მაღალი

ხარისხისა და ფასის მქონე პროდუქციის და, შესაბამისად, მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევა (აქ განსაკუთრებული როლი, ჩემი აზრით, მანც საერთაშორისო კორპორაციებმა შეასრულეს, ჩინეთის მთავრობასთან ერთად).

ანალოგიური სქემა თავის დროზე გამოიყენა თურქეთმაც, ინვესტორს შეუქმნეს მაქსიმალურად ლიბერალური კანონმდებლობა და პირობები ბიზნესის საწარმოებლად, რის სანაცვლოდაც მას უნდა დაენერგა ტექნოლოგიური სიახლეები, რითაც თურქეთმა აიცილა ტექნოლოგიურ ხაფანგში აღმოჩენის საფრთხე და მასი ეკონომიკა დღესდღეისობით საკმაოდ წარმატებულად მუშაობს [4].

ეკონომიკური ხაფანგიდან დაღწევის სირთულეები

ე. ბალაუკი გვთავაზობს ტექნოლოგიური ხაფანგიდან დაღწევის განხილვის შესაძლებლობისთვის შემდეგს:

დავუშვათ, რომ

$$(c_{S0} - c_{N0})(e^{\lambda\tau} - 1) > \lambda T / x$$

$r = 0$ და ეკონომიკური ზრდის ტემპი არის დადებითი ($\lambda > 0$). ამ შემთხვევაში იქმნება ე.წ. მკვდარი ზონა, საიდანაც ტექნოლოგიური ხაფანგიდან დაღწევა შეუძლებელია $[0; \lambda^*]$. თუკი ეკონომიკური ზრდის ტემპი უარყოფითია ($\lambda < 0$), ამ შემთხვევაშიც მკვდარ ზონაში ხვდება ეკონომიკა $[\lambda^*; 0]$ და ეშვება ტექნოლოგიურ ხაფანგში. ამგვარ სიტუაციებში საჭირო ხდება მკვეთრი და გადამწყვეტი ჩარევა [4].

წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების „საიდუმლო“ მათი ეკონომიკების წარმომადგენლების ქცევებში უნდა ვეძებოთ. მაგალითად, მოყვანილია ჰ. ფორდისა და ე. კარნეგის საქციელი. ასწლეულების მანძილზე დომინირებულ პოზიციაში იმყოფებოდა კარნეგის ქარხნები და ამ წლების მანძილზე მუდმივად ცდილობდა იგი ძველი ტექნოლოგიების ახლებით ჩანაცვლებას. 1873-1875 წლებში მან დიდი თანხა დახარჯა ძირითადი საშუალებების რემონტში, თუმცა, მალევე შეიტყო, რომ ინგლისში გამოიგონეს ახალი დანადგარი, რომელიც წარმოებას მნიშვნელოვნად აიაფებდა. დაუყოვნებლივმა გადასვლამ ახალ ტექნოლოგიაზე, დიდი ბრუნვების ფონზე, მალევე გაამართლა ეს დანახარჯი.

მეორე გამორჩეული ისტორია ჰენრი ფორდს ეხება, რომელმაც დახურა ქარხანა ჰაილენ პარკში, და ეს საქციელი შემდეგნაირად ახსნა: წლების მანძილზე ეს ქარხანა იყო ჩვენი სიამაყის ნაწილი, თუმცა, ნახშირის ახლებურად გადამუშავების მეთოდი აღმოჩნდა ბევრად უფრო სარგებელიანი, შესაბამისად, ჩვენ ვხურავთ აღნიშნულ ქარხანას და შეგვაქვს კორექტივები წარმოების სტრუქტურაში. შეიძლება 10 წლის შემდეგ ეს მეთოდიც მოძველდეს, მაშინ ჩვენ ახალ ქარხანასაც დავხურავთ და გავხსნით სხვას. ერთი დეტალის ღირებულება ინოვაციური მეთოდით გაძვირდა 2 ცენტით, თუმცა, მთლიანი

პროცესი იმდენად გაიაფდა, რომ საბოლოო ო ნივთის ღირებულება 0.285 ცენტრიდან 0.1663 ცენტამდე დაეცა, რაც დღის განმავლობაში 1200 დოლარის დანაზოგს უდრიდა.

ტექნოლოგიის განახლების გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა აგრეთვე გავითვალისწინოთ პროცენტი (დროში ფულის ღირებულება) და ინფლაცია, ამისათვის ბალეცკი გვთავაზობს შემდეგ ფორმულას:

$$\frac{[e^{(\lambda+\beta-\pi-r)\tau} - 1]\Delta}{\lambda + \beta - \pi - r} = \frac{T}{px}$$

სადაც Δ უდრის $g_s - g_N$ ძველი და ახალი ტექნოლოგიების პირობებში არსებული დანახარჯების სხვაობას; β - ფასების მატებას გასაანალიზებელი ფირმის პროდუქციაზე; π - ინფლაციის დონეს; r - მაღისკონტირებელ ფაქტორს (პროცენტი). ფირმები, რომლებსაც გააჩნიათ შემდეგი მდგომარეობა ($\beta - \pi > 0$), იმყოფებიან მომგებიან სიტუაციაში და სავარაუდოა, რომ მეტი საშუალება აქვთ გამოძვრნენ ტექნოლოგიური ხაფანგიდან, და, პირიქით - ($\beta - \pi < 0$) აღნიშნული სტრუქტურის მქონე ფირმები ნაკლებად სავარაუდოა, რომ გადაურჩნენ ტექნოლოგიურ ხაფანგს [4].

ამ ფორმულიდან აგრეთვე გამომდინარეობს, რომ რაც უფრო დაბალია საპროცენტო განაკვეთი, ეკონომიკას მით უფრო მეტი შანსი აქვს, თავი დააღწიოს ტექნოლოგიურ ხაფანგს. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო მეტი ეკონომიკური ზრდის ტემპი სჭირდება ქვეყანას. ლოგიკა მარტივია: როდესაც ქვეყანაში არსებობს მაღალი საპროცენტო განაკვეთი, დიდი თანხების ძირითად საშუალებებში ინვესტირებას აზრი ეკარგება, როდესაც შრომისა და ზედმეტი რისკის გარეშე შესაძლებელია მიახლოებული შემოსავლის მიღება საპროცენტო სარგებელიდან; ამიტომაც, ბიზნესსექტორის წარმომადგენლები თავს იკავებენ ხოლმე ამგვარ სიტუაციებში ინვესტირებით. აგრეთვე, მეორე შემთხვევაში, როდესაც საპროცენტო განაკვეთი მაღალია, ფულის მოძიებას ბევრად ძვირი ჯდება და, შესაბამისად, ამასაც თავს არიდებენ ის კომპანიები, რომელთაც საკუთარი სახსრებით არ შეუძლიათ გადაიარაღება. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე საპროცენტო განაკვეთს მუდმივად შემცირების ტენდენცია აქვს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ამან მაინც ვერ შეძლო გადანონვა და ქვეყნის ტექნოლოგიური გადაიარაღებისთვის ხელის შეწყობა. ქვეყანაში უფრო იაფი გახდა სახსრების მოძიება და დაიკლო დეპოზიტების პროცენტებმაც, თუმცა, ნაცვლად ამ თანხების ტექნოლოგიურ დანადგარებში გადანაცვლებისა, დეპოზიტებიდან გატანილი თანხები ძირითადად უძრავ ქონებაში დაბანდდა. შედეგად, მივიღეთ პარადოქსული სიტუაცია, როდესაც ეკონომიკა მეტ-ნაკლებად სტაგნაციას განიცდის, უძრავ ქონებაზე ფასები კი შედარებით გაიზარდა (აქაც მთავარი ფაქტორი ბუნდოვანი ეკონომიკური მომავალია).

ზოგადად კი განვითარებად ქვეყნებში სახსრების მოძიება უფრო დიდი პროცენტი უჭდება ადამიანს, სწორედ იმიტომ, რომ ამგვარი ქვეყნის ეკონომიკური მომავლის გათვლა უფრო ბუნდოვანია და მეტ რისკთან ასოცირდება; მეტი რისკი, შესაბამისად, მეტ პროცენტთან, მეტი პროცენტი კი, ერთი მხრივ, ხელს უშლის კაპიტალის მქონე ადამიანებს ეს თანხები ტექნოლოგიებში ჩადონ, მეორე მხრივ კი, ვისაც სურს საფინანსო ინსტიტუტების საშუალებით თანხების მოპოვება, მას ამ პროდუქტს უძვირებს. აქაც კვლავ მივდივართ ჩაკეტილ წრესთან.

არსებობს ტექნოლოგიური ჩანაცვლების კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც გულისხმობს თანდათანობით ან ნაწილობრივ გადასვლას, როდესაც კომპანია ძველითა და ახალი ტექნოლოგიებით პარალელური რეჟიმით აწარმოებს საქონელს. ასეთ შემთხვევაში ვიღებთ შერეულ ტექნოლოგიურ სტრატეგიას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ორი ან მეტი სხვადასხვა სახეობის ტექნოლოგიების თანამონაწილეობით პროდუქციის გამოშვებას (ახალი და მოძველებული).

მსგავს შემთხვევაში არსებობს საფრთხე, რომ მოძველებულმა ტექნოლოგიებმა თავისკენ გადაქაჩოს განახლებული ტექნოლოგიების ბენეფიტები და კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიცია წყალში გადაყრილი აღმოჩნდეს.

მაშინ რატომ არ ხდება მთლიანად გათავისუფლება მოძველებული ტექნოლოგიებისგან და რა შემთხვევაში არის გამართლებული ამგვარი სტრატეგია?

შერეული ტექნოლოგიების დროს ფირმა მოქმედებს შემდეგი დანახარჯებით [4]:

$$C_0 = c_S x_S + c_N x_N ,$$

სადაც x_S და x_N - გამოშვებული პროდუქციის რაოდენობაა, შესაბამისად, ძველი და ახალი ტექნოლოგიებით.

თუკი დავუშვებთ, რომ მთლიანი გამოშვება უცვლელია, მაშინ მართებულია ჩანაწერი $dc_S/dx_N = -dc_N/dx_S$, შესაბამისად:

$$\left(\frac{dc_N}{dx_N} + \frac{dc_S}{dx_S} \right) \frac{x_N}{x_0} - \frac{dc_S}{dx_S} = \frac{c_S - c_N}{x_0}$$

თუკი ამ ფორმულის მარცხენა მხარე უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე მარჯვენა მხარე, მაშინ ახალ ტექნოლოგიებს გააჩნია დომინანტობის ტენდენცია, ანუ ეს ნიშნავს, რომ გამოშვების მოცულობის ზრდა მომგებიანია მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების ზრდის შემთხვევაში. აქ განმსაზღვრელია სამი ფაქტორი: პირველი, ძველი და ახალი ტექნოლოგიების დანაკარგებს შორის სხვაობა ($c_S - c_N$), საწყისი გამოშვების დონე (x_0) და ფირმის საწყისი ტრანსფორმაციული აქტივობა (x_N) [4, გვ. 53-76].

აგრეთვე, გასათვალისწინებელია მასშტაბისა და განათლების ეფექტი, ანუ იზრდება თანამედროვე ტექნოლოგიებით მომუშავე დასაქმებულების ეფექტიანობა. და, შესაბამისად, მცირდება დანახარჯები. სწორედ ეს ფაქტორი შეგვიძლია ჩავთვალოთ ტექნოლოგიური განახლების ერთ-ერთ მთავარ მოტივად.

მაგრამ, საინტერესოა მეორე შემთხვევაში რა მოხდება, თუკი მთლიანად მაინც მოძველებული ტექნოლოგია დომინირებს? ამ კითხვაზე ე. ბალაცკი გვთავაზობს შემდეგ ფორმულას იმ შემთხვევაში, როდესაც $x_N \rightarrow 0$:

$$\frac{dc}{dx} \Big|_S = - \frac{c_S - c_N}{x_0}$$

ამ ფორმულიდან ჩანს, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტია სანყისი პირობები; თუკი თავიდანვე მოგება არ იქნება საკმარისად მაღალი, ფირმებმა შეიძლება დაიწყონ ფიქრი ძველ ტექნოლოგიებზე დაბრუნებაზე. რადგანაც მძლავრია რუტინა და მუშახელის დამოკიდებულებაც ძველი ტექნოლოგიების მიმართ. თუკი მარცხენა მხარე აღმოჩნდება მეტი, ვიდრე მარჯვენა, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება იქნება მომგებიანი ნებისმიერი x_N გამოშვებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, წარმოიქმნება ნეგატიური განწყობილება ახალი ტექნოლოგიების მიმართ. სწორედ ამიტომ შერეული ტექნოლოგიების გამოყენება, თუკი სანყის ეტაპზევე თვალშისაცემ ეფექტს არ იძლევა, არის ძალიან სახიფათო, რადგან ფირმის პატრონებს უბიძგებს ძველი ტექნოლოგიებზე მიბრუნებისკენ [4].

* * *

საინტერესოა ზოგადად იმის განხვილვაც, თუ რამდენად არის შესაძლებელი შერეული ტექნოლოგიური წარმოების შემთხვევაში მივიღოთ ეკონომიკური ზრდა და რა არის ამისათვის საჭირო. მათემატიკური დაკვირვებით მიღებულია საინტერესო შედეგი: ორი სხვადასხვა ტექნოლოგიის დროს პროდუქციის გამოშვება მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როდესაც პროდუქციის წილი, რომელიც ინარმოება დაბალი ტექნოლოგიით, არის ძალიან დაბალი ან, პირიქით, ძალიან მაღალი, ანუ შერეული ტექნოლოგიებით წარმოება თავის თავში მოიცავს საფრთხეს და მიდრეკილებას რეცესიისადმი, თუმცა ის ავტომატურ რეცესიას არ გულისხმობს.

ლიტერატურა:

1. მექვაბიშვილი ე., ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბილისი, „ინოვაცია“, 2009.
2. შაპავა ვ., გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები). წიგნში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი 8. თბილისი, „სიახლე“, 2010.
3. არატრადიციული ეკონომიკა. თბილისი, შაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
4. საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბილისი, „ინტელექტი“, 2015.
5. Э.В. Балацкий, ЭКОНОМИЧЕСКИЙ РОСТ И ТЕХНОЛОГИЧЕСКИЕ ЛОВУШКИ, Опубликовано в: «Общество и экономика», 2003, №11.
6. Э.В. Балацкий, институциональная экономика, журнал экономической теории 2012, N:2.
7. Экономический рост и технологические ловушки, <http://kapital-rus.ru/articles/article/182087/>.
8. Papava V., *Post-Communist Capitalism and Modern World of Dead Economy*. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 3, 2009, No. 2.
9. http://geostat.ge/?action=page&p_id=115&lang=geo.
10. http://www.quandl.com/WORLDBANK/DEU_NV_AGR_TOTL_ZS-Germany-Agriculture-value-added-of-GDP.

“Technological Trap” and Its Overcoming Difficulties

Nodar Dundua

Doctoral Student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

E-mail: nodardundua@yahoo.com

The article clearly refers to the great importance of technological changes in economics of a country in the 21st century. Apart that private firms cannot compete to the production of the developed economics of the world with their aged technologies at the local level, the limited resources and basically human resources are utilized non-effectively, which results in great expenses in multiplicative mode.

Overcoming of a technological trap is extremely difficult for the countries with transitional and developing economics due to many reasons (personal decision, obscure future, high percentage rate, the threat of returning back to the old technologies while producing through mixed technologies, etc). Although there are countries which has quite easily overcame such threat, for example Turkey, China (the last one should be noted

especially as they arranged to change the communist, non-competitive economics to the modern standards).

As for our country, in fact, we can say that we are in a technological trap as well in the field of heavy manufacture, there is no same problem in other fields for the sample reason that most of the old enterprises do not operate any more.

As for the solution for the current situation, the project of the government “Produce in Georgia” is quite positive initiative which implies long-term and cheap credit for population, 80% of which shall be invested in fixed assets, but the key factor shall be the level of rely of people upon economic stability of the country in long-term view.

The most rapid and simple method for overcoming of technological trap is leasing, when a person does not need in excessive securing and can renew fixed assets without it. Although in our country this product is not yet properly developed and is quite expensive pleasure. Even state projects cannot effectively include leasing. Furthermore, instead of using of the methods approbated in other countries and the amounts received from investor to fill budget, it should be better to create such investment environment in the country where a foreign investor shall be interested in introducing of its own technologies and knowledge which may educate local manpower and spread the mentioned technologies.

Keywords: “Technological trap” (reasons and overcoming means); technological modernization of the economy; leasing.

JEL Codes: O30, O31, O32, O33

ტურიზმის ღონისძიებების პირდაპირი ეკონომიკური სარგებლიანობის გამოთვლის მეთოდოლოგიური საკითხები

გიორგი ბრეგაძე,

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის დოქტორანტი

Email: g.bregadze@gnta.ge

ტურიზმის სწრაფმა ზრდამ და დივერსიფიკაციამ საჭირო გახადა ამ გლობალური ფენომენის უფრო სიღრმისეული შესწავლა და ტურიზმის ეროვნულ ეკონომიკაზე რეალური ეფექტების გამოშვების აუცილებლობის საკითხი დააყენა.

ნაშრომში ხაზგასმულია კვლევაზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობის საკითხი, რაც პოლიტიკის შედეგების გამოშვით ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი უნდა გახდეს. საქართველოში ბოლო პერიოდში გაზრდილი ღონისძიებების რაოდენობა საზოგადოების უდიდეს ინტერესს იწვევს. ამ ღონისძიებების უმრავლესობა სახელმწიფო სუბსიდირებით იფარება, შესაბამისად დიდი ინტერესი ამ ინვესტიციების მიერ გენერირებული შემოსავლის მოცულობის შესახებ. ნაშრომის მიზანს სწორედ ტურიზმის სფეროში პოლიტიკის ფორმირებისათვის საჭირო მონაცემთა მოპოვების მეთოდოლოგიური საკითხების დახვეწა და ანალიზი წარმოადგენს, რაც ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების საფუძველი უნდა გახდეს.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პოლიტიკა; ადგილობრივი რეზიდენტების დანახარჯები; თარიღის გადამნაცვლებლები და ოპორტუნისტები; ღონისძიების მიკერძოებული კვლევები; უეფას სუპერთასი.

ტურიზმზე დანახარჯებისა და მისი ეფექტიანობის გამოშვის მნიშვნელობა

სისტემური ღონისძიებებს შემუშავება და განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმის განვითარებაში, რაც ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას, დასაქმების სტიმულირებას და სხვა დადებით ეფექტებს იწვევს. შესაბამისად,

მნიშვნელოვანია აღნიშნულ ღონისძიებათა პირდაპირი ეკონომიკური საქმიანობის გამოთვლა, რითაც შემდეგი მიზნების მიღწევაა შესაძლებელი:

- სახელმწიფოს და კერძო სექტორს ინფორმირებულს ხდის საზოგადოების სარგებელზე, რომელიც მათ მიერ განეულმა დანახარჯებმა მოიტანა ტურისტულ ინფრასტრუქტურასა თუ ღონისძიების სპონსორობით [1, გვ 81];

- საპრომოციო და ინფრასტრუქტურულ ინვესტიციაზე უკუგების გამოთვლამ შეიძლება წახალისოს კერძო ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთ სასარგებლო პარტნიორობა;

- ღონისძიებებზე ტურისტების მოზიდვით დაინტერესებულ პირებს ეხმარება განსაზღვრონ მათი მცდელობების ეფექტიანობა;

- საზოგადოების ღონისძიების ეკონომიკური სარგებლიანობის შესახებ ინფორმირება საშუალებას აძლევს მათ მხარი დაუჭირონ ან შეენიანაღმდეგონ ღონისძიების ჩატარებას;

- ორგანიზატორებს ეხმარება სპონსორების მოზიდვასა და ღონისძიების მასშტაბის გაზრდის დასაბუთებაში;

- ეკონომიკაზე ღონისძიების არაპირდაპირი ეფექტების გასაზომად „დანახარჯები-გამოშვების“ მოდელის ფორმირების საფუძველია.

მთლიანობაში, ღონისძიებების და დანახარჯებისა და ეკონომიკური ეფექტების გაზომვის მეთოდოლოგიის განვითარება რეზიდენტებს, მომხმარებლებს, ბიზნესსა და სახელმწიფოს საშუალებას აძლევს მიიღონ ეფექტიანი მარკეტინგული და განვითარებისკენ მიმართული გადაწყვეტილებები [2, გვ.26].

ფესტივალებსა და ღონისძიებებზე დამსწრეების გამოსაკითხად რამდენიმე პრინციპის გამოყოფაა შესაძლებელი:

ა) ადგილობრივი რეზიდენტების დანახარჯების გამორიცხვა

ფესტივალების და ღონისძიებების ეკონომიკური სარგებელია დამატებითი ფულის შემოტანა ეკონომიკაში. მიუხედავად იმისა, რომ ლოკალური დანახარჯები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ღონისძიების ორგანიზატორებისთვის, ეკონომიკურ ასპექტით მათი დანახარჯები უბრალოდ ფულის ბრუნვას წარმოადგენს, რომელიც უკვე საზოგადოებაში არსებობდა. შესაბამისად, ის არ ეწევა ადგილობრივი ეკონომიკის წმინდა ზრდის კონტრიბუციას. ადგილობრივი მოსახლეობის დანახარჯები ფესტივალზე ნიშნავს, რომ ეს ფული არ დაიხარჯა რაიმე სხვა ადგილობრივ ბიზნესზე, ამიტომ, წმინდა ეფექტი ნულის ტოლია. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ფულის ღონისძიებაზე დახარჯვით მისი შენახვა მოხდა ადგილობრივ ეკონომიკაში, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება მის გარეშე დახარჯულიყო. ამ არგუმენტს ხანდახან „იმპორტის ჩანაცვლებას“ უწოდებენ და შეიძლება წარმოადგენდეს დადებით ეკონომიკურ ეფექტს. მიუხედავად ამისა, იმპორტის ჩანაცვლების ეფექტის არსებობის დამტკიცება ამ კონტექსტით საკმაოდ რთულია [3, გვ.173];

ბ) „თარიღის გადამნაცვლელების“ და „ოპორტუნისტების“ გამორიცხვა

„ოპორტუნისტები“ არიან ის ვიზიტორები, რომლებმაც უკვე განახორციელეს ვიზიტი, თუმცა სხვა მიზნით [1;2;4]. „თარიღის გადამნაცვლელები“ კი არიან ის ვიზიტორები, რომლებიც ისედაც აპირებდნენ ვიზიტს, მაგრამ თარიღი გადაანაცვლეს ამ ღონისძიებაზე დასასწრებად [1;2;5;6].

მთლიანობაში, ეკონომიკური ეფექტის დასათვლელად საჭიროა იმ ვიზიტორების გამორიცხვა, რომლებიც ისედაც ჩამოდიოდნენ, იმის მიუხედავად, ეს ღონისძიება ჩატარდებოდა თუ არა;

გ) პოტენციური ნეგატიური ეკონომიკური ეფექტების გათვალისწინება

ზოგ ღონისძიებას შეიძლება გააჩნდეს უარყოფითი ეკონომიკური ეფექტი. იმ შემთხვევაში, როდესაც დამატებითი ადამიანების მოზიდვა ხდება ეკონომიკაში, ეს იწვევს სერვისებზე დამატებით მოთხოვნას. ამ დროს უარყოფითმა ეფექტებმა შეიძლება მოიცვას ისეთი საკითხები, როგორცაა: ტრანსპორტის გადატვირთვა, საგზაო უბედური შემთხვევები, ვანდალიზმი, საპოლიციო და სახანძრო უსაფრთხოება, გარემოს დეგრადაცია, ნაგვის გადაყრა, ადგილობრივი რეზიდენტებისთვის გაზრდილი ფასები სასალო მალაზიებსა და რესტორნებში და ადგილობრივების ცხოვრების სტილის არევა. აგრეთვე, გასათვალისწინებელია ის ვიზიტორები, რომლებიც აპირებდნენ ჩამოსვლას ღონისძიებისგან განსხვავებული მიზნით, მაგრამ არ ჩამოვიდნენ იმის გამო, რომ ღონისძიება იმართებოდა. ამის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო გადამეტებული მოთხოვნის გამო ადგილების დეფიციტი ან მოთხოვნის ზრდის შედეგად გამონვეული ფასის ზრდა. ასევე, დასვენების მიზნით მოგზაურმა არ მოისურვა დიდი რაოდენობის ხალხის პირობებში ვიზიტი [7, გვ 42]. რამდენიმე ამ ეფექტების ეკონომიკურ ღირებულებაში გადაყვანა რთულია, რაც შეიძლება მათი იგნორირების მიზეზიც იყოს.

ღონისძიების ზოგადი ეფექტი წარმოადგენს კითხვარების საშუალებით ამ ღონისძიების დამსწრეების დანახარჯების შესახებ გამოკითხვას. ეს იძლევა ღონისძიების პირდაპირი დანახარჯების შეფასების საშუალებას. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება შემდგომ გამოყენებული იყოს მთლიანი ეკონომიკური ეფექტების შესაფასებლად, რომელიც მოიცავს არაპირდაპირ და მასტიმულირებელ ეფექტებს და ეკონომიკური მოდელის გამოყენებით გამოთვლილ მულტიპლიკატორს. სტატიაში ჩვენ აქცენტს მხოლოდ პირდაპირ ეფექტებზე გავამახვილებთ.

ღონისძიების პირდაპირი გავლენის შეფასებისას შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა ფაქტორი გამოიკვეთოს და მოიცვას: *კეთილმოწყობითი სამუშაოები, ვიზიტორების დანახარჯები, გამყიდველები და მოვაჭრეები*. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ კვლევების უმრავლესობა აქცენტს მხოლოდ ვიზიტორების დანახარჯებზე აკეთებს და უგულვებელყოფს დანარჩენ ორ ფაქტორს, რაც ძირითადად ღონისძიების სპეციფიკაზე დამოკიდებული. ღონისძიებიდან გამომდინარე, ვიზიტორების დანახარჯები შეიძლება ერთადერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი იყოს. ჩვენი ნაშრომისთვის სწორედ ვიზიტორების კვლევა წარმოადგენს უმთავრეს მიზანს, თუმცა, ღონისძიების სხვა შესაძლო პირდაპირ გავლენასაც განვიხილავთ ეკონომიკაზე.

კეთილმოწყობის სამუშაოები წარმოადგენს დამატებით აქტივობას ადგილის ღონისძიებისთვის მომზადებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ფესტივალი მუსიკალურია, დანახარჯები დაკავშირებული იქნება სცენების და ბარების აწყობასთან, კანალიზაციის, წყლის და ელექტროენერჯის გაყვანის სამუშაოებთან. ბევრი

სამუშაო ადგილობრივი მაცხოვრებლების სამუშაო ძალის გამოყენებით ან მათგან სამშენებლო მასალის შესყიდვის საშუალებით განხორციელდება. მხოლოდ ადგილობრივი მომწოდებლებისგან შესყიდვები უნდა ჩაითვალოს პირდაპირი ეფექტის საზომად.

ვიზიტორების დანახარჯების გამოთვლა შემფასებლების მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს. ტურისტების დანახარჯების შეფასება, როგორც წესი, ინდივიდუალური ან ჯგუფური ვიზიტის ბაზაზე ხდება და გამოითვლება ფორმულით

ტურისტების ეკონომიკური ეფექტები=ვიზიტების რაოდენობა×ვიზიტზე საშუალო დანახარჯი×მულტიპლიკატორი

ამ ფორმულის მიხედვით ვიზიტორების ეკონომიკური ეფექტების დასადგენად სამი საზომია საჭირო:

1. ღონისძიების დამსწრე ტურისტების რაოდენობის შეფასება;
2. ტურისტების ან მათი ჯგუფების საშუალო დანახარჯების შეფასება;
3. მულტიპლიკატორის შეფასება, რომელიც დანახარჯების მეორადი ეფექტების გასაზომად იქნება გამოყენებული [8]. აღნიშნული მაჩვენებელი ჩვენი შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს, აქ კი აქცენტს მხოლოდ პირდაპირ დანახარჯებზე ვაკეთებთ.

ღონისძიებაზე მთლიანი დამსწრეების რაოდენობის განსაზღვრისთვის რამდენიმე მეთოდი გამოიყენება. სამწუხაროდ, ერთი უნივერსალური მეთოდი არ არსებობს, რომლის გამოყენებაც ყველა შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა. „კარებიანი ღონისძიებები“, რომელიც კონტროლირებული შესასვლელიან ტერიტორიაზე ტარდება, მარტივად დათვლის შესაძლებლობას იძლევა. ვიზიტორების დათვლა შესაძლებელია შესვლის წერტილში ან ბილეთების გაყიდვის საშუალებით. მკვლევარებისთვის, სამწუხაროდ, ბევრი ღონისძიება ღია საზოგადოებისთვის და ტარდება ისეთ ტერიტორიაზე (მაგ. საზოგადოებრივი პარკები), სადაც ასეთი საკონტროლო შესასვლელის მოწყობა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში საჭიროა არაპირდაპირი მეთოდების გამოყენება. ყველა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ადგილობრივების განცალკევება მათ მიერ დახარჯული თანხის უგულვებელყოფის მიზნით [6, გვ 440].

კვლევების უმრავლესობა ვიზიტორების დანახარჯების შეფასებით იწყება. ვიზიტორების დანახარჯების შეფასების ყველაზე პოპულარულ მეთოდს ვიზიტორების კითხვარით გამოკითხვა წარმოადგენს. ვიზიტორების გარკვეულ შერჩეულ რაოდენობას დანახარჯების შესახებ ინფორმაციას ეკითხებიან, თუმცა, როგორც წესი, კითხვარი ასევე მოიცავს კითხვებს მოგზაურობის, განთავსების, საკვების და სხვა დეტალების შესახებაც (მათ შორის სუვენირებზე). კითხვარების შედეგად გამოითვლება სხვადასხვა კატეგორიის საშუალო დანახარჯები, რომელიც შემდგომ გადამრავლებულია ვიზიტორების რაოდენობის შეფასებაზე. დანახარჯების ინდიკატორი ბილეთის ფასთან შეფარდებით მნიშვნელოვნად განსხვავდება

ღონისძიებებსა და ქვეყნებს შორის. მაგალითად, 1990 წლის ადელაიდეს ფესტივალზე, ყოველ 1 დოლარ დახარჯულ ბილეთზე 5.40 დოლარი დაიხარჯა განთავსებაზე, საკვებზე და ტრანსპორტზე [6, გვ 442].

კუპერის და სხვების აზრით, ტურისტული დანახარჯი შესახლოა მხოლოდ სიზუსტის რაღაც დოზით შეფასდეს სპეციფიკური დანახარჯების კითხვარების გამოყენებით, რაც კითხვარების ვალიდურობის შესახებ მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს[9]. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ვიზიტორების კითხვარიდან აღებული დანახარჯები სიფრთხილით უნდა იქნეს გაანალიზებული, რადგან რესპონდენტებმა შეიძლება ვერ შეძლონ ზუსტად დანახარჯების გახსენება და ასევე გაუჭირდეთ მათი დანახარჯების წინასწარ სიზუსტით განსაზღვრა. მონაცემები ადასტურებს, რომ ყველაზე ზუსტი შედეგები მიიღება, თუ კითხვა ითხოვს გაიხსენონ მოვლენა წინა 24 საათის განმავლობაში [2, გვ 28].

გამოკითხვის გავრცელებული საშუალებაა დამსწრეების მთლიანი რაოდენობის შერჩევა. გამოკითხვა ეფუძნება შერჩევას, რადგან ის ნაკლებ დროს და დანახარჯს მოითხოვს, ვიდრე მთლიანი დამსწრეების პოპულაცია.

შერჩევა უნდა იყოს შემთხვევითი. სხვა სიტყვებით, ყველა რესპონდენტს გამოკითხვაში მონაწილეობის ერთნაირი შანსი უნდა ჰქონდეს. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ ინტერვიუერი თავს არიდებს გარკვეული კატეგორიის ვიზიტორებთან მისვლას, მაშინ ისინი წარმოდგენილი არ იქნებიან კითხვარში, რითაც ვერ აისახება ტიპური ღონისძიების დამსწრის დანახარჯები. წარმომადგენლობითი შერჩევა ღონისძიებებზე შეიძლება საკმაოდ რთული იყოს. თუ შერჩევის შეგროვება ხორციელდება ერთ ლოკაციაზე, მაშინ ყველა დამსწრეს ვერ ექნება ერთნაირი შანსი გამოკითხული იყოს.

რეპრეზენტატიული შერჩევის დროს შენონვის აუცილებლობა არ არსებობს. შენონვა გამოიყენება მაშინ, როცა ერთი შეფასება შენონილია ისე, რომ რომელიმე კონკრეტული ჯგუფის პასუხების ექსტრაპოლირება მოხდეს, მისი ნამდვილი პროპორციის დასადგენად ვიზიტორების პოპულაციაში. რეპრეზენტატიულ შერჩევაში, ყოველ ჯგუფს ერთნაირი შანსი აქვს ინტერვიუსთვის შეირჩეს. მაშასადამე, თუ რესპონდენტების 10% იტყვის, რომ ქალაქის გარედან არის და 90% არის ლოკალური რეზიდენტები, მაშინ 10% უნდა ჩაითვალოს ქალაქის გარედან.

მოვაჭრეების დანახარჯების გავლენა ასევე უნდა აისახოს მთლიანი ეკონომიკური ეფექტების შეფასებისას. ვიზიტორების ეფექტების მსგავსად, მოვაჭრეების ეკონომიკური ეფექტებიც გეოგრაფიაზეა დამოკიდებული. არსებობს მოვაჭრეების ეკონომიკური ეფექტების ორი კომპონენტი: ტურისტ-გაჭრების დანახარჯები და ადგილობრივი მოვაჭრეების დანახარჯები ლოკალურ ეკონომიკაში. ადგილობრივი მოვაჭრეების დანახარჯები არ უნდა ჩაითვალოს ეკონომიკურ ეფექტად, რადგან ეს უბრალოდ ღირებულების გადანაწილებაა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელი ფაქტია, რომ ადგილობრივი მოვაჭრეების გაყიდვები ეკონომიკაში რჩება, ხოლო ჩამოსული მოვაჭრეების გაყიდვები გადის ეკონომიკიდან. მაშასადამე, ეს ორნაწილიანი ეფექტი საკმაოდ უნიკალური გამოწვევაა.

ლონისძიების რეალური ეფექტების გადამეტების საფრთხე

ლონისძიების ეკონომიკური ეფექტების კვლევა ხშირად მიუკერძოებლად და ობიექტურად არ ტარდება. ლონისძიების ეკონომიკური ეფექტების ანალიზის ჩატარების პოლიტიკური გადაწყვეტილება ხშირად მიმართულია არა ნამდვილი ეფექტის განსაზღვრისკენ, არამედ იმაზე, რომ საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვება შეძლონ მასზე არარეალური ეკონომიკური ეფექტების დამატებით. ხშირად გარედან დაქირავებული კონსულტანტები, რომლებიც წესით ნეიტრალურები უნდა იყვნენ, საკუთარ კლიენტებს ეუბნებიან, რისი გავლენააც მათ სურთ, რომ „მათმა ლონისძიებამ დიდი რაოდენობის შემოსავალი მოიტანა“ [10, გვ 32]. ხანდახან შეცდომები ხდება იმის გამო, რომ ეკონომიკური ეფექტების კონსეფციები და მისი გაზომვის პროცედურები არასწორადაა გააზრებული, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, კვლევითი კომპანიები სპეციალურად ირჩევენ ისეთ მეთოდებს, რომ წინასწარ-განზრახულად მოხდეს რიცხვების გადამეტება.

ლონისძიების შედარებით მცირე ეკონომიკური სარგებელი შეიძლება „გადაითარგმნოს“ პოლიტიკოსებისგან ნაკლებ მხარდაჭერაში, შედეგად შეიძლება იქამდეც მივიდეს საქმე, რომ ლონისძიება საერთოდ არ დაფინანსდეს. ეთიკურად მოქცევამ იმ პირობებში, როდესაც სხვები ასე არ იქცევიან, შეიძლება კრიტიკულად დააზიანოს ლონისძიების რეიტინგი. შედეგად შეიძლება რაციონალურად ჩაითვალოს ლონისძიების ეკონომიკური სარგებლის გადამეტებით ჩვენება, იმისთვის რომ სხვა ლონისძიებებთან შედარებით მაჩვენებელი კონკურენტული აღმოჩნდეს [7, გვ 35]. ამიტომ, ქართულ რეალობაში მეტად მნიშვნელოვანია თავიდანვე დაფუძნდეს გაზომვის სწორი სტანდარტი იმისთვის, რომ მომავალში ერთის მიერ მიღებული გადაჭარბებული მაჩვენებელი არ გახდეს არასწორი სტიმულის მიმცემი სხვებისთვის და დაუშვან იგივე შეცდომები. ჩვენი რწმენით, მიუხედავად ეკონომიკური ეფექტების ანალიზის სუსტი მხარეებისა, ის მნიშვნელოვანი და ღირებული საშუალებაა, თუ მისი გამოყენება რეალური ექსპერტების მიერ ხდება.

უფას სუპერთასის ეკონომიკური ეფექტების კვლევა

უფას აღმასრულებელმა კომიტეტმა თბილისის მისცა შესაძლებლობა ემასპინძლა მეგა-სპორტული ლონისძიებისთვის, რომელიც უფას სუპერთასის სახელითაა ცნობილი. უფას სუპერთასის მატჩი “ბარსელონასა” და “სევილიას” შორის დინამო არენაზე” 2015 წლის 11 აგვისტოს გაიმართა. უფას ჩემპიონთა ლიგის რდა ევროპის ლიგის გამარჯვებულ გუნდებს შორის შეხვედრამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია, ლონისძიებას დაესწრნენ გულშემატკივრები მთელი მსოფლიოდან.


აღნიშნული ლონისძიების მნიშვნელობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ სწორედ ეს თამაში შეგვერჩია ეკონომიკური ეფექტების პირველი კვლევის ჩასატარებლად. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ხანგრძლივი ძიებისა, საქართვე-

ლოში ანალოგიური სახის კვლევა არ აღმოჩნდა ჩატარებული. ასე, რომ შეიძლება ჩაითვალოს, ეს ღონისძიების ეკონომიკური ეფექტების კვლევის პირველი მცდელობაა.

შერჩევის ზომის განსაზღვრისთვის საჭირო იყო პოპულაციის მთლიანი რაოდენობის ცოდნა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მონაცემებით, უეფას სუპერ თასს დაახლოებით უნდა დასწრებოდა 10 400 უცხოელი ვიზიტორი. თუმცა, რომელი ქვეყნის რეზიდენტებს წარმოადგენდნენ ეს ვიზიტორები, მათგან პასუხის მიღება ვერ მოხერხდა. ასევე გაურკვეველი იყო ბილეთების გადაყიდვის გზით სტადიონზე მოხვედრილი უცხოელების რაოდენობა, რაც ჩვენი აზრით, უცხოელების სტრუქტურას შეცვლიდა და რაოდენობას მნიშვნელოვნად გაზრდიდა. ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდებოდა ესპანელი გულშემოტკივრების მიერ მობრუნებული ბილეთების შესახებ, რომელიც კითხვას აჩენდა ესპანელი ვიზიტორების ზუსტი რაოდენობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ღონისძიების ორგანიზატორებს შორის თავიდანვე არ არსებობდა ინტერესი ამ მნიშვნელოვანი რაოდენობების განსაზღვრის, რაც ამ პროექტის შემუშავების პროცესში აუცილებლად უნდა ასახულიყო. აქედან გამომდინარე, წინასწარ შერჩეული სტრატეგიური უცხოელების კვლევის მეთოდი ჩანაცვლდა შემთხვევითი მეთოდით, რომელსაც უნდა განესაზღვრა უცხოელი ვიზიტორების რეალური სტრუქტურა მატჩზე. შედეგად, შერჩევის ზომად განისაზღვრა 400 ინტერვიუ. კვლევაში დაგვეხმარნენ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველოს თანამშრომლები და სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები.

კვლევამ საინტერესო შედეგები აჩვენა. აქ აქცენტს მხოლოდ რამდენიმე მაჩვენებელზე გავაკეთებთ.

დიაგრამა 1. ვიზიტორების განაწილება რეზიდენტი ქვეყნების მიხედვით



უცხოელი მაყურებლების უმრავლესობა მამაკაცი იყო - 86%, ხოლო ყველაზე დიდი ასაკობრივი სეგმენტი 21-30 წელს შეადგენდა (39,3%). აღსანიშნა-

ვია, რომ კროსტაბულაციური ანალიზის თანახმად, ქალების უმრავლესობას რუსები შეადგენდნენ (31,6%), ესპანეთი კი ამ მაჩვენებლით მხოლოდ მეორე იყო (28,9%). რაც შეეხება მამაკაცებს, აქ ლიდერობდნენ ესპანელები (28,4%) და რუსები (14,4%).

ვიზიტორებმა სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით იმგზავრეს საქართველოში. ამ საშუალებებიდან საჰაერო დომინირებდა 84%-ით, სახმელეთო გზით 13% შემოვიდა, ხოლო სარკინიგზო გზით შემომსვლელთა წილი ყველაზე ნაკლები - 3% იყო. რაც შეეხება ავიახაზებს, ვიზიტორებმა მთლიანობაში 18 სხვადასხვა ავიახაზით იფრინეს. მათგან პირველ ადგილზეა- Turkish Airlines (41,4%), მეორეზე- Georgian Airways (13,6%), მესამეზე -Pegasus (11%) და ა.შ.

რაც შეეხება განთავსების საშუალებებს, ვიზიტორების უმრავლესობა სასტუმროში გაჩერდა (70.8%), მას მოსდევს გესტჰაუსი და ჰოსტელი (13.5%) და ნაქირავები ბინა (8,6%). მთლიანობაში, საშუალო ღამისთევების რაოდენობა 4.5 ღამეს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ უცხოელი ვიზიტორების 11% ტურისტული პაკეტით იმყოფებოდა. მათ შორის ყველაზე დიდი სეგმენტი ესპანელების იყო - 37,9%, ერაყი - 20,7%, რუსეთი - 10,3%, პოლონეთი-6,9% და ა.შ. საქართველოს მასშტაბით ტურებს რესპონდენტთა 27,7% გეგმავდა ან უკვე შესყიდული ჰქონდა.

ვიზიტორების დანახარჯების სტრუქტურა კი კატეგორიების მიხედვით, შემდეგია (იხ. ცხრილი)

დანახარჯებში კატეგორიების მიხედვით

კატეგორია	წილი
განთავსება	41%
საკვები, სასმელი	25%
შოპინგი	13%
გართობა	10%
ადგილობრივი ტრანსპორტი	6%
სხვა	5%

მთლიანობაში ესპანელი ვიზიტორების საშუალო დანახარჯმა (ტრანსპორტიდან მხოლოდ Georgian Airways ჩათვლით, მატჩზე დასასწრები ბილეთის გამოკლებით) 1868 ლარი შეადგინა, ხოლო სხვა უცხოელების-1748 ლარი. თუ დავუშვებთ, რომ თამაშს სულ მცირე 10 000 უცხოელი ვიზიტორი ესწრებოდა, პირდაპირმა ეკონომიკურმა ეფექტმა დაახლოებით 17 828 000 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება მათ მოსაზრებას თბილისზე, როგორც სპორტული ღონისძიებების დესტინაციამზე, უმრავლესობამ ის ძალიან მიმზიდველად მიიჩნია. ასევე, უმრავლესობა (97%) ურჩევდა თავის მეგობრებს თბილისს, როგორც ტურისტულ დესტინაციას.

დასკვნა და რეკომენდაციები

უფეას სუპერთასის ეკონომიკური ეფექტების პირველი კვლევის ჩატარება, მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, დიდი მნიშვნელობისაა. კვლევის პროცესში გამოიკვეთა ის ნაკლოვანებები, რომელიც მომავალში მეთოდოლოგიის დახვეწასა და მონაცემების სიზუსტის გაუმჯობესებაში დაგვეხმარება. აღეკვადური რეკომენდაციისა და ზოგიერთი იდეის შეთავაზება მოხდა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვის. შედეგად, 2016 წლის ივნისში, უკვე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეგიდით და ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა, Maroon 5 კონცერტის ეკონომიკური ეფექტების კვლევა. მიუხედავად იმისა, რომ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული ჩვენზე დამოკიდებული ბევრი პრობლემა მოგვარდა, კვლავ რჩება ბევრი გადაუჭრელი საკითხი. ამ საკითხების მოსაგვარებლად გთავაზობთ ზოგიერთ რეკომენდაციას:

- **საქართველოში ღონისძიებების დაგეგმვის ეტაპზე აუცილებელია წინასწარ შემუშავდეს უცხოელ ვიზიტორთა (ან ადგილობრივი ეკონომიკის განედან შემოსულ ვიზიტორთა) დათვლის მეთოდი.**

მიუხედავად იმისა, რომ თავის განცხადებებში ოფიციალური პირები ხშირად აღნიშნავენ ამ ღონისძიებების მნიშვნელობას უცხოელი ტურისტების მოზიდვის საქმეში, მათი დათვლის რეალური მექანიზმი არა შემუშავებული. საჭიროა შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც საიტებს, რომლებიც ბილეთების ონლაინ რეჟიმით ყიდიან, დაავალდებულებს ასევე, აწარმოონ ტრანზაქციების და გაყიდული ბილეთების ზუსტი აღრიცხვა ქვეყნების მიხედვით. აღნიშნულ მონაცემებს კვლევის დაგეგმვის პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ასევე პროექტის დაგეგმვის ეტაპზე საჭიროა ცალსახად განისაზღვროს ამ ღონისძიებების ეკონომიკურ კვლევაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაცია.

- **ცალსახად უნდა განისაზღვროს ღონისძიებების კვლევაზე პასუხისმგებელი ორგანო, გაანალიზდეს კონკრეტული ღონისძიებების მომავალში ჩატარების მიზანშეწონილობა და მოხდეს პასუხისმგებლობის აღება წარუმატებლობის შემთხვევაში.**

საქართველოში ღონისძიებების კვლევების აქამდე ჩატარებლობის მიზეზი სწორედ პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მცდელობაში უნდა ვეძიოთ. იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიება ვერ მოახდენს მასზე განეული დანახარჯების სრულად ამოღებას, შესაძლოა დადგეს ოფიციალური პირების პასუხისმგებლობის საკითხი. ეს არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს კვლევას, საჭიროა მეტი გამჭვირვალობა, როგორც შემოსავლების, ასევე დანახარჯების კუთხით. ამით გაიზრდება სახელმწიფო სახსრების ეფექტიანობა და დაფინანსდება მხოლოდ ის პროექტები, რომელიც ყველაზე უფრო დიდი სარგებლის მომტანია სახელმწიფოსთვის. ამისთვის საჭიროა მკვლევარების სრული ობიექტურობა, რათა არ მოექცნენ გავლენის ქვეშ; ასევე საჭიროა ცალსახად განისაზღვროს პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანო კვლევის ჩატარებაზე.

• უნდა მოხდეს ტურიზმის სტატისტიკური სამსახურის მიერ წარმოებული სტატისტიკური მონაცემების გაუმჯობესება, შერჩევის გაზრდა და ახალ კლასიფიკატორებზე გადასვლა.

სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა მეტი ინტერესი სტატისტიკური მონაცემების სიზუსტის გაუმჯობესების მიმართულებით. დღესდღეობით წარმოებული მონაცემების უმრავლესობა ვერ იძლევა ნათელ სურათს არსებული პრობლემების შესახებ, რომელიც ძირითადად შერჩევის სიმცირით არის გამოწვეული. საჭიროა მეტი დაფინანსება და სტატისტიკური მონაცემების მნიშვნელობის გააზრება, როგორც მთავრობის საქმიანობის შეფასების უმთავრესი ინსტრუმენტის. ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტების კვლევის კონტექსტით მეტი ინფორმაციის არსებობა, საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ღონისძიების არაპირდაპირი ეფექტები, რომელიც მულტიპლიკატორის კონცეფციამაგა დაფუძნებული, როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე რეგიონულ დონეზე.

ლიტერატურა:

1. Crompton, John L., Seokho Lee, and Thomas J. Shuster (2001). "A Guide for Undertaking Economic Impact Studies: The Springfest Example." *Journal of Travel Research*, 40 (August): 79-87.
2. Frechtling, D.C. (2006), An Assessment of Visitor Expenditure Methods and Models, *Journal of Travel Research*, Vol. 45, August 2006, pp. 26-35.
3. Hughes, H. (2000), *Arts, Entertainment and Tourism*, Butterworth-Heinemann.
4. Tyrrell, Timothy J., and Robert J. Johnston (2001). "A Framework for Assessing Direct Economic Impacts of Tourist Events: Distinguishing Origins, Destinations, and Causes of Expenditures." *Journal of Travel Research*, 40 (August): 94-100.
5. Ryan, C. (1998). "Economic Impacts of Small Events: Estimates and Determinants-A New Zealand Example." *Tourism Economics*, 4 (4): 339-52.
6. Getz, D. (1994a). *Event Tourism: Evaluating the Impacts*, In Ritchie, J. and C. Goeldner (eds), *Travel, Tourism, and Hospitality Research*, John Wiley & Sons, New York, 437-450.
7. Crompton J. L. & McKay S. L. (1994). *Measuring the Economic Impact of Festivals and Events: Some Myths, Misapplications and Ethical Dilemmas*. *Festival Management and Event Tourism*, 2(1), 33-44.
8. Stynes, D. J. (1999). *Approaches to Estimating the Economic Impacts of Tourism: Some Examples*. *Economic Impact Approaches*. East Lansing, MI.
9. Cooper, C., Fletcher, J., Fyall, A., Gilbert, D. and Wanhill, S. (2005), *Tourism: Principles and Practice*, 3rd edition, Pearson.
10. Dunnavant, K. (1989). *The impact of economies*. *Sports inc*. March 13, 31-33.

Methodological Issues of the Calculation of Events Direct Economic Benefits

Giorgi Bregadze

Doctoral Student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Email: g.bregadze@gnta.ge

Tourism is the most viable and sustainable economic development option for Georgia and one of the main sources of foreign exchange earnings. Events are considered as one of the most effective ways to attract foreign visitors to the country, and, recently, government of Georgia has begun investing in this direction very actively. The given article stresses the necessity of research based economic policy in tourism sector. In this regard, it is of paramount importance to measure economic effects of the events which are subsidized from the taxpayers' money. Public would like to know how much income the invested money brings back to the economy. In this article the methodology, which is used to describe economic effects of UEFA Super Cup held in Tbilisi, helps to answer this question. It is worth mentioning that this is the first attempt to measure the economic effect of an event held in Georgia.

Keywords: Economic policy; costs of local residents; date postponers and opportunists; biased studies of events; UEFA Super Cup.

JEL Codes: L82, L83, L84

ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი საქართველოს საბაჟო სისტემის ეფექტიან მართვაში

რუსუდან სეთურიძე

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,
rusudan.seturidze@tsu.ge*

თანამედროვე ეპოქაში ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საბაჟო სისტემის ეფექტიან მართვაში კი ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი განსაკუთრებულია. საბაჟოს ნებისმიერი თანამშრომლისთვის და სხვადასხვა დონის ხელმძღვანელისთვის უმნიშვნელოვანესია საჭირო ინფორმაციის მიღება საჭირო დროს, საჭირო რაოდენობით და შესაბამისი ფორმით. ამ კუთხით ინფორმაციისა და ტექნოლოგიების როლი მნიშვნელოვნად იზრდება.

სტატიაში განხილულია სისტემები, სადაც დღეისათვის წარმატებითაა დანერგილი თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები: საბაჟო მონაცემების ავტომატიზებული სისტემა – Asycuda, პირის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის საინფორმაციო სისტემა – 1ღმ, სახელმწიფო ფინანსური მართვის საინფორმაციო სისტემა – რაცლე, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა – ეოცუმენტ, ადამიანთა რესურსების მართვის სისტემა – ელმ. განხილულია www.rs.ge ვებპორტალზე განთავსებული საბაჟო სისტემის ეფექტიანი მართვის ხელშემწყობი ელექტრონული მომსახურებები. ყურადღება გამახვილებულია საქართველოსა და ევროკავშირის ერთიანი საინფორმაციო სივრცის დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სტატიაში გამოკვეთილია საბაჟო სისტემის ეფექტიანი მართვისთვის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სრულყოფის გზები, ჩამოყალიბებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი; ეფექტიანი მართვა; საბაჟო სისტემა.

საბაჟო სისტემაში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვისა და განახლების აუცილებლობა

განვითარების პროცესში მყოფი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა, ვინაიდან მისი გამოყენება ხელს უწყობს ქვეყნის დაჩქარებულ განვითარებას. ამიტომაც აუცილებელია საქართველოში სამართლიანი საბაჟო ადმინისტრირების სისტემის ჩამოყალიბება, რათა ქვეყანა იყოს საიმედო პარტნიორი საერთაშორისო ვაჭრობაში, ასევე სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული და აქტიური წევრი.

საქართველოს საბაჟო სისტემაში ერთიანი საინფორმაციო სისტემების დანერგვამ და წარმატებით ფუნქციონირებამ, საბაჟო სამსახურის საქმიანობა გამჭვირვალე და წარმატებული გახადა. საბაჟო ადმინისტრაციის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორებია: ინფორმაციული ტექნოლოგიების ხარისხი, თანამშრომელთა კვალიფიკაცია და მიზანზე ორიენტირებული სტრუქტურა.

საქართველოს საბაჟო სისტემაში 1998 წლამდე არ არსებობდა საინფორმაციო სისტემები [1, გვ.52]. რეფორმამდე ფინანსთა სამინისტროში შემავალი საბაჟო, საგადასახადო დეპარტამენტებსა და ფინანსურ პოლიციაში არსებულ მონაცემთა ბაზებს შორის სინქრონიზაცია თითქმის არ ხდებოდა. მონაცემთა ბაზაში შესულ ინფორმაციას შემოსავლების სამსახურში თანამშრომლები ხელით ამუშავებდნენ და გაერთიანებული ანგარიში ზედა რგოლებში ხელნაწერის სახით მიდიოდა. იერარქიაში, ინფორმაცია ქვემოდან ზემოთ მოძრაობის დროს, მახინჯდებოდა, რის შედეგადაც ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობა არასწორ ინფორმაციას იღებდა და შესაბამისად ადმინისტრირება რთულდებოდა [2, გვ.104].

XXI საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში დაიწყო ზრუნვა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაზე: შეიქმნა დაკავებული თანამდებობის შესაბამისად თანამშრომლებისათვის ავტომატიზებული სამუშაო ადგილები, მოხდა გადამხდელთა და გადასახადების ადმინისტრირების სისტემების სრულყოფა, ეტაპობრივად შეიქმნა ცენტრალური მონაცემთა ბაზა, ჩატარდა მონაცემთა ბაზების ნორმალიზაციის სამუშაოები, გადანაწიდა სხვა მნიშვნელოვანი ამოცანები.

ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში (საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტები, ფინანსური პოლიცია, ხაზინა) მთელი საქართველოს მასშტაბით არსებული ელექტრონული რესურსები ერთიან საინფორმაციო სივრცეში მოექცა. შეიქმნა მონაცემთა ცენტრალური საცავი (თ ქლშ) და მონაცემთა შენახვის უნიკალური სტრუქტურა. პირველი ეტაპზე ჩამოყალიბდა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ერთიანი ინტეგრირებული ბაზა და კორპორაციული ვებპორტალი. სხვადასხვა საინფორმაციო სისტემის დანერგვით განხორციელდა ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების სისტემის ცენტრალიზაცია, რაც საბაჟო-გამშვებ პუნქტებსა და გაფორმების ადგილებში მიმდინარე ოპერაციების დროის რეალური რეჟიმით

მართვისა და კონტროლის შესაძლებლობას იძლეოდა. ეს ყველფერი იმპორტიორების და ექსპორტიორების დროის დანახარჯებს მაქსიმალურად ამცირებდა და უქმდებოდა საბაჟო კონტროლის ზედმეტი ბარიერები. ქვეყნის საბაჟო სისტემაში ეტაპობრივად დაინერგა თანამედროვე საინფორმაციო სისტემები:

- Asycuda – (Automated SYstem for CUstoms Data) საბაჟო მონაცემების ავტომატიზებული სისტემა;
- PIRS – პირის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის საინფორმაციო სისტემა;
- Government Finance Management Information System - Oracle- სახელმწიფო ფინანსური მართვის საინფორმაციო სისტემა და ა.შ.

ამასთან, საბაჟო სისტემაში დაინერგა საინფორმაციო სისტემები: „eDocument“ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, eHRMS – ადამიანთა რესურსების მართვის სისტემა [3] და სხვა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეისთვის საქართველოში ფინანსთა სამინისტრო სამთავრობო სტრუქტურებს შორის ყველაზე პროგრესულ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ფლობს.

საბაჟო სისტემაში მოქმედი თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები Asycuda - საბაჟო მონაცემების ავტომატიზებული სისტემა

საქართველოში რეფორმამდე იმპორტირებული ან ექსპორტირებული საქონლის საბაჟო გაფორმების პროცესში ინსპექტორს საკუთარი სურვილით შეეძლო შეემოწმებინა ან არ შეემოწმებინა იმპორტ/ექსპორტირებული საქონელი, გადამხდელს შედავებოდა ნებისმიერ წვრილმანზე, მოეთხოვა არარეალური დოკუმენტაცია. საბაჟო პროცედურა იწლებოდა 2-10 ან მეტი დღე, ნებისმიერი ტვირთის გაფორმებისას ხდებოდა კორუფციული გარიგება, ამისთვის ყველანაირი სადავე ინსპექტორის ხელთ იყო. კორუფცია იწყებოდა დაბალი რგოლიდან და ადიოდა ხელმძღვანელ რგოლებამდე. საბაჟო კანონმდებლობა ამ პროცესებს ვერ არეგულირებდა, ვინაიდან კანონმდებლობაში არსებობდა კოლიზიები [2, გვ.102]. შესაბამისად არ ხდებოდა იმპორტ/ექსპორტირებული საქონლის სრული აღრიცხვა.

საბაჟო სისტემაში 1998 წელს დაინერგა საბაჟო მონაცემების ავტომატიზებული სისტემა სეცუდა [4], რომელიც შეიქმნა გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ჩო (ნიტედ ატიონს ჩონფერენცე ონ თრადე ანდ ეველოპმენტ) ფარგლებში [5]. იგი მოიცავდა ყველა იმ პროცედურის კომპიუტერიზაციას, რომელიც საბაჟო ორგანოებში სრულდებოდა [6, გვ.83]. ამით შესაძლებელი გახდა საბაჟო სისტემაში იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონლის სრული აღრიცხვა.

2003 წლიდან საქართველოში განხორციელდა საბაჟო სისტემის რეფორმა. [7, გვ.20]. ვეროკავშირმა, ერთ-ერთმა პირველთაგანმა, მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია საქართველოს გარდამავალი პერიოდის მძიმე წლებში, მათ

შორის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვისა და წარმატებულად ფუნქციონირების საქმეში.

Asycuda-ს მონტაჟის პირველი ეტაპი 2004 წელს დასრულდა, მოხდა სისტემის განახლება და სხვადასხვა მოდულის დამატება, ამუშავდა Asycuda++-ის ვერსია, დაიწყო საბაჟო პროცედურების ეტაპობრივი გამარტივება, რაც შესაბამისად, საბაჟო სისტემის ეფექტიანი მართვის საშუალებას იძლეოდა [2, გვ.103].

Asycuda++-ს მეშვეობით ამოქმედდა რისკის მართვის სისტემა, რომელიც განსაზღვრავდა რომელი და რა კატეგორიის ტვირთი, რა ხარისხით უნდა შემოწმებულიყო. ამ პროგრამის საშუალებით სასაქონლო დეკლარაციის გაფორმებისას, სისტემა ადარებს დეკლარაციის და პროგრამაში არსებული რისკის პროფილების მონაცემებს, მათი თანხვედრის შემთხვევაში კი დეკლარაცია გადაჰყავს შესაბამისი ფერის დერეფანში. დერეფნის ფერი ისაზღვრება რისკის პროფილის შინაარსით და ასევე შემთხვევითი შერჩევითობის პრინციპით.

სისტემის მიერ დეკლარაციის შესაბამისი ფერის დერეფანში გადაყვანის შემდეგ საბაჟო ოფიცერს ელექტრონული სახით მიეწოდება შეტყობინება გასატარებელი ღონისძიების შესახებ და ხდება დეკლარაციის შესაბამისი პროცედურით გაფორმება. მოგვიანებით მოხდა რისკის მართვის სისტემის კიდევ უფრო მაქსიმალურად ეფექტიანი და მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბება და მისი დახვეწა. თუ ადრე გაფორმების პროცედურის ხანგრძლივობა 2-10 დღე გრძელდებოდა, დღეისთვის საბაჟო დეკლარაციის გაფორმების პროცედურის ხანგრძლივობა 15 წუთამდე, წითელი დერეფანის შემთხვევაში კი - 1 საათამდე შემცირდა [2, გვ.102].

2015 წელს, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის დახმარებით, განხორციელდა საბაჟო რისკების მოდერნიზაციის პროექტი, რისკების მართვის სისტემის მიერ საქონლისთვის წითელი დერეფნის განსაზღვრის შემთხვევაში, დეკლარაციების განაწილება მებაჟე-ოფიცერებს შორის ხდება სისტემის მიერ, ელექტრონულად, მებაჟე-ოფიცერთა დატვირთვის მიხედვით, რაც ზრდის სამუშაოს ოპერატიულად შესრულების შესაძლებლობას, ამცირებს პროცედურის დასრულებისთვის საჭირო დროს და ამცირებს კორუფციის რისკს.

მსოფლიო ბანკის ჯგუფის - საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ტექნიკური დახმარებით დასრულდა საბაჟო ავტომატიზებული სისტემების განახლება: ASYCUDA World-ის ახალი გაუმჯობესებული ფუნქციების მქონე ვერსიის დანერგვა და თანამშროლობისათვის შესაბამის ტრენინგების უზრუნველყოფა. სისტემაში დაინერგა ახალი მოდულები, რამაც გააუმჯობესა ადმინისტრირების ეფექტიანობა.

2014 წლის ოქტომბერში საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრსა და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის, ერთი მხრივ, და საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის კავშირის, მეორე მხრივ, თანამშრომლობით Asycuda World-ში განხორციელდა SafeTIR და EPD-TIR მოდულებთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტა. ვაჭრობის ხელშეწყობის სისტემის-TFS საშუალებით, ხორციელდება სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის სატვირთო გადაზიდვების შესახებ ინფორმაციის გაცვლა. კერძოდ, დაინტერესე-

ბულ და ჩართულ მხარეებს შორის საზღვაო-საკონტეინერო ტვირთების მონაცემების და პარამეტრების გაცვლა.

აღნიშნულის კვალობაზე ხორციელდებოდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ტექნიკური დახმარების პროექტი. საბაჟო სისტემის ხარვეზების შესწავლის შედეგად 2015 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები: საბაჟო რისკების მართვის სისტემის პოლიტიკის განსაზღვრა; ინსტრუქციების შემუშავება რისკის მართვის, ანალიზის და კონტროლის საწარმოებლად; ზოგადი კონტროლის პოლიტიკის, მათ შორის, განმარტებების, საქმიანობის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების (KPI) და კონტროლის განხორციელების პრინციპების შემუშავება და არაინტრუზიული (კონტროლი სკანერის საშუალების, ფიზიკური დათვალიერების გარეშე) შემოწმებების (NII) გამოყენება; დამტკიცებულ იქნა საბაჟო რისკების მართვის სტრატეგია შესაბამისი პროგრესული სამოქმედო გეგმით.

საინფორმაციო სისტემის - `Asycuda World~ დანერგვის სამუშაოების ჩატარება და წარმატებულად ფუნქციონირება არასაკმარისია. პერიოდულად სხვადასხვა პრობლემა იჩენს თავს. საჭიროა მათი ოპერატიულად მოგვარება, ხარვეზების გამოსწორება, გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე მოთხოვნები ინფორმაციული ტექნოლოგიების კუთხით სწრაფად მზარდია.

Oracle - Government Finance Management Information System - სახელმწიფო ფინანსური მართვის საინფორმაციო სისტემა

რეფორმის შემდეგ ფინანსთა სამინისტროს ყველა დონეზე, ერთიანი პლატფორმით, ფუნქციონირება დაიწყო სახელმწიფო ფინანსური მართვის საინფორმაციო სისტემამ (Oracle), რომლის მეშვეობითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ყველა თანამშრომელს, ფუნქციებისა და მოვალეობების მიხედვით, აქვს წვდომა ერთიანი ბაზის გარკვეულ მოდულზე. ამ სისტემის დახმარებით ეტაპობრივად ხდება სხვადასხვა მოდულის დამატება. თავდაპირველად ონლაინ რეჟიმით საბაჟო სისტემისთვის შეიქმნა და “რეზიდენტი და არარეზიდენტი პირების საბაჟო სამართალდარღვევათა” მოდული და `საფოსტო გზავნილების აღრიცხვის~ მოდული. საგადასახადო კუთხით კი - `გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათის ელექტრონული აღრიცხვიანობის~ მოდული. შემდგომში კი მოხდა მათი გაერთიანება, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა როგორც საბაჟო, ასევე საგადასახადო პროცედურები. მაგალითად, შესაძლებელი გახდა საბაჟო სისტემაში გადასახადის ერთ სახეობაში ზედმეტობით გადახდილი თანხით დაფარულიყო სხვა საგადასახადო ვალდებულება ან ავტომატურად მომხდარიყო თანხის გამოყენება იგივე გადასახადში და ა.შ. ზემოაღნიშნულმა შესაძლებელი გახადა ადმინისტრირების გაუმჯობესება როგორც საბაჟო, ასევე საგადასახადო კუთხით [2, გვ.105]. თანდათანობით ხდებოდა სხვადასხვა მოდულის დამატება.

2016 წელს Oracle საინფორმაციო სისტემას დაემატა და განახლდა სხვადასხვა მოდულები:

- DUTY-FREE თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული და რეალიზებული საქონლის აღრიცხვის ელექტრონული სერვისი. სისტემის მიზანია თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მქონე საწარმოთათვის დადგენილი ფორმით შემოსავლების სამსახურში წარსადგენი ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მიწოდება. ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული და რეალიზებული საქონლის ელექტრონული აღრიცხვისათვის შეიქმნა ახალი ელექტრონული სერვისი;
- საქართველოს რკინიგზასა და შემოსავლების სამსახურს შორის ინფორმაციის გაცვლის მოდული, რომელიც ელექტრონული სერვისის საშუალებით ხორციელდება. კერძოდ, დღეისთვის შესაძლებელია სარკინიგზო შემადგენლობის საქართველოში შემოსვლა/გასვლის და ქვეყნის შიგნით მოძრაობის სრული აღწერა და ტვირთის პარამეტრების შესახებ ელექტრონულად ინფორმაციის გაცვლა;
- სისტემაში განხორციელდა საფოსტო გზავნილების აღრიცხვის პროცესის მოდერნიზება, გაიმიჯნა ფიზიკური და ონლაინ გზავნილები, დაემატა ექსპორტის გზავნილების ატვირთვის ფუნქცია. ახალი სისტემის საშუალებით შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისათვის გამარტივებულია მართვისა და კონტროლის განხორციელება;
- ფუნქციონირება დაიწყო ერთიანი ელექტრონული ნებართვების სისტემის მოდული, რომელშიც ჩართულია 8 სახელმწიფო უწყება (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვ.[8]). სისტემის საშუალებით ხდება საბაჟო კონტროლის განხორციელებისას წარსადგენი ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების ელექტრონული აღრიცხვის პროცესის ავტომატიზაცია, რაც ზრდის მართვის ეფექტიანობას.

PIRS - პერსონალური იდენტიფიცირებისა და რეგისტრაციის სისტემა

2006 წელს, სახმელეთო საზღვარზე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ, აშშ-ის მიერ დაფინანსებული საქართველოს საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში, დაწერა პერსონალური იდენტიფიცირებისა და რეგისტრაციის სისტემა (PIRS). ეს სისტემა გამოიყენება საქართველოს საზღვრებზე. მასში აისახება საზღვრის გადაკვეთისას მგზავრისა და ცარიელ სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაცია. სისტემა შეიცავს დასკანერებულ სამგზავრო დოკუმენტებს, ფოტოებს, საპასპორტო და სხვა მონაცემებს, რომელსაც კონტროლის მძღავრი მექანიზმი გააჩნია. ამ სისტემაში სასაზღვრო და საბაჟო უწყების თანამშრომლები ერთობლივად მუშაობენ. ხელმძღვანელი პირების მიერ საზღვარზე არსებული ინფორმაციის ონლაინ წვდომა კიდევ უფრო აძლიერებს საბაჟო სისტემაში ადმინისტრირების პროცესს [2, გვ.105].

პერიოდულად ხდება სისტემის PIRS განახლება, სადაც სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთთა ბიომეტრიული მონაცემებით იდენტიფიცირების შესაძლებლობების გაზრდა (თითის ანაბეჭდი, სახის სიმეტრია ან სხვა). 2016 წელს მოხდა სახელმწიფო საზღვრის ორივე მხარეს მდებარე საბაჟო გამშვები პუნქტების (სგპ) შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფა (საქართველო-თურქეთის და საქართველო-აზერბაიჯანის), ასევე, სგპ-ის სასაზღვრო და საბაჟო კონტროლისათვის აუცილებელი სპეციალტურვილობის გაუმჯობესება.

eDocument - დოკუმენტბრუნვის მართვის ელექტრონული სისტემა

რეფორმის შემდეგ შემოსავლების სამსახურში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის eDocument- სისტემის მეშვეობით. ამ სისტემით სისტემატურად მიმდინარეობს კონტროლი ბაზაში, ასევე - შემოსული კორესპონდენციის შესრულებასა და დოკუმენტების რეგისტრაციაზე. ის მარტივი და ეფექტიანი ელექტრონული საოფისე პროდუქტია, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურებრივი ინფორმაციის ქალაქის გარეშე მიმოცვლას.

2016 წელს დაწყებულ იქნა მუშაობა სისტემის - Single Page Application (SPA) ვერსიაზე და განისაზღვრა მისი სატესტო გაშვების თარიღი. სისტემა დაინერგა ცენტრალური და თვითმმართველი ერთეულების ხელისუფლების 40-ზე მეტ ორგანიზაციაში.

eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის სისტემა

რეფორმამდე ადამიანთა რესურსების მართვის სისტემა იყო მარტივი, რომელიც ემყარებოდა პროტექციონისტულ და კორუფციულ პრინციპებს.

HRMS - ადამიანთა რესურსების მართვის სისტემაა, რომელიც ფინანსთა სამინისტროსა და მის ყველა სტრუქტურულ ერთეულს მოიცავს.

ამ სისტემის დანერგვამ უზრუნველყო შემოსავლების სამსახურის პერსონალის მუშაობის ეფექტიანობა. დაინერგა ელექტრონული სწავლების პორტალი, რომლის დახმარებით (ნებისმიერ დროს, სახლიდან გაუსვლელად) მართვდება:

1. საბაჟო კანონმდებლობისა და პროცედურების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიღება;

2. ახალი თანამშრომლების უწყებაში ადაპტაცია;

3. უწყების თანამშრომლების თვითრეალიზაციის შესაძლებლობის გაზრდა;

4. პროფესიული განვითარება/უნარ-ჩვევების განმტკიცება;

5. ინფორმაციის სწრაფი გავრცელება.

2015 წელს ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის მიერ შექმნილ ადამიანთა რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემაში (eHRMS), საშტატო განრიგის შესაბამისად, სრულყოფილად აისახა ყველა თანამშრომლის პირადი საქმე.

2016 წელს გაუმჯობესდა და დაიხვეწა სისტემის ფუნქციონალი. განახლდა კლასიფიკატორების მართვის სქემა, თანამშრომლის პირადი ბარათი და სხვადასხვა ჩანართი. სისტემას დაემატა სამუშაო აღწერილობებისა და წოდებების ამსახველი ფუნქციონალები, განახლდა ანგარიშგებების არსებული ფუნქციონალი და ა.შ.

**ელექტრონული მომსახურება - ეფექტიანი მართვის ერთ-ერთ
ფაქტორი
www.mof.ge - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი**

რეფორმამდე საბაჟო სისტემის მართვის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ხელოვნურად შექმნილი ინფორმაციული ვაკუუმი, ამიტომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო ვებგვერდის www.mof.ge [9] სისტემატური განახლება. ვებგვერდზე ძველი, გამოუსადეგარი ინფორმაცია შეიცვალა ახლით. მნიშვნელოვანია, რომ დღეისთვის კანონმდებლობის ცვლილებებისას www.mof.ge საიტზე ახალი კანონმდებლობის ტექსტური, ვიდეო ვერსიების და დეტალური განმარტებების განთავსება ოპერატიულად ხდება.

2016 წელს შეიქმნა და ვებსივრცეში განთავსდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ახალი ვებგვერდი.

www.rs.ge – შემოსავლების სამსახურის ვებპორტალი

შეიქმნა შემოსავლების სამსახურის სერვისების ვებპორტალი www.rs.ge, რომლითაც დაინტერესებული პირს შეუძლია არამართო რეალური ინფორმაციის მიღება (მაგალითად, საქართველოს საზღვარზე შემოსატანი საქონლის გაფორმებისთვის საჭირო საკანონმდებლო მასალები, სხვადასხვა საქონლის გადასახდელების ელექტროგამომთვლელები, საკონსულტაციო ხასიათის ინფორმაცია და ა.შ.) [10], არამედ, ეს გახდა შემოსავლების სამსახურის მრავალრიცხოვანი ელექტრონული მომსახურების ონლაინპორტალი.

რამდენიმე წელია, აქტიურად ხდება საქართველოს საბაჟო სისტემაში ინტერნეტ-კავშირზე დაფუძნებული მომსახურებებით ტრადიციული ურთიერთობების ჩანაცვლება. დღეისთვის ადგილი აქვს აღნიშნული სერვისის შეთავაზებას არამართო როგორც ალტერნატიული შესაძლებლობა, არამედ როგორც ერთადერთი შესაძლო ვარიანტი, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ დროთა განმავლობაში დისტანციური ოპერაციები ჩანაცვლებს მათსავე ტრადიციულ ანალოგებს, რაც განსაზღვრავს კიდევ აღნიშნული საკითხის აქტუალურობას და ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას [11, გვ.11]. დღეისათვის სულ უფრო იზრდება საბაჟო სისტემაში ელექტრონული დოკუმენტების რაოდენობა. ასე მაგალითად, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით 3,6%-ით გაიზარდა ელექტრონულად წინასწარ დაბეჭდილი დეკლარაციების რაოდენობა.

საქართველოსა და ევროკავშირის ერთიანი საინფორმაციო სივრცე

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ინტეგრაცია. საბაჟო სისტემაში გადაიდგა ნაბიჯები საქართველოსა და ევროკავშირის ერთიანი საინფორმაციო სივრცის დანერგვასთან დაკავშირებით. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში დაიწყო მუშაობა: საერთო ტრანზიტის კონვენციაზე, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორისა და უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის იმპლემენტაციაზე.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებისა და ევროკავშირის პრეფერენციული გენერალიზებული სისტემის (GSP) ფარგლებში დაიწყო მუშაობა საქართველოსა და ევროკავშირის ერთიანი სისტემის – რეგისტრირებული ექსპორტიორების სისტემის - REX შექმნაზე [12, გვ.448], რომელიც, სავარაუდოდ, 2017 წელს ამოქმედდება. REX-ის ოპერატიულად რეალიზების მიზნით, ევროკომისიის სამსახური საქართველოს უწევს დახმარებას ინფორმაციული ტექნოლოგიების მოთხოვნილი სისტემის რეალიზებაში. საქართველო მუშაობს რეგისტრირებული ექსპორტიორების ელექტრონულ სისტემაზე, სადაც შესაძლებელი იქნება საჭირო მონაცემების მონახვა, დამუშავება, რედაქტირება, ასევე სისტემაში ჩადებული იქნება ვებკონსულტირება, სისტემის მოთხოვნები, სწავლება. ევროკომისია შექმნის რეგისტრირებული ექსპორტიორების ცენტრალურ მონაცემთა ბაზას, რომლის დახმარებითაც სარეალიზაციო საქონლის თავისუფალ ბრუნვაში გაშვებამდე შეეძლებათ იმის შემოწმება, ამ საქონლის მომწოდებელი არის თუ არა რეგისტრირებული ექსპორტიორი.

ივეგმება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის წევრ ქვეყნების ერთიან საბაჟო სამართალდარღვევების ქსელზე CEN (The Customs Enforcement Network) ინფორმაციის განთავსება, სხვა ქვეყნების საბაჟო სამართალდარღვევების გაცნობა და ანალიზი.

2016 წელს, საბაჟო სისტემაში მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) მიერ შემუშავებული სპეციალური, საბაჟო კონტროლის WCO CTS პროგრამული უზრუნველყოფა დაინერგა. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა სხვადასხვა ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლისა და შენახვის საუკეთესო შესაძლებლობას წიძლევა. პროგრამული უზრუნველყოფის - WCO CTS-ს დანერგვით, საბაჟო ადმინისტრაციები შეძლებენ ტვირთის რისკები შეაფასონ სპეციალურად შექმნილ სტრუქტურირებულ მონაცემთა ბაზაში. ამასთან, მოხდება მაღალი რისკის მქონე ტვირთების სწრაფი და ეფექტიანი იდენტიფიცირება, დაბალი რისკის ტვირთები კი მოძრაობას მარტივი რეჟიმით განახორციელებენ [10].

შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE)

ტირ (საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების შესახებ TIR-ის წიგნაკი) სამდივნოს მიერ 2013 წელს შემოთავაზებულ პროექტს - „განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, შესაძლებლობების გაუმჯობესება საზღვრის ლეგიტიმურად გადაკვეთის, რეგიონული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის საკითხებში“. 2014 წლის სექტემბერში დასრულდა პროექტის პირველი ეტაპი - მომზადდა ხარვეზების ანალიზი, რომელიც აფასებს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში არსებული საკანონმდებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე არსებულ ხარვეზებს. 2015 წლის განმავლობაში გაეროს, თურქეთის და საქართველოს საბაჟო ადმინისტრაციებს შორის ტექნიკური შეხვედრების დროს შეთანხმდა პროექტის ოპერატიული დეტალები.

საქართველოს საბაჟო სისტემაში მოხდა ძირეული ცვლილებები, რამაც თავისი შედეგები გამოიღო - შესაძლებელი გახდა საბაჟო სისტემაში კორუფციის აღმოფხვრა და ადმინისტრირების ეფექტიანობის გაზრდა, რაშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წვლილი საბაჟო სისტემაში დანერგილ თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ეკუთვნის. რეფორმების ფარგლებში სწორი ადმინისტრირების, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვისა და მისი ეტაპობრივი განახლების შედეგად საბაჟო დეპარტამენტი გადაიქცა ერთ-ერთ მძლავრ სტრუქტურულ ერთეულად.

შემოსავლების სამსახურში საინფორმაციო სისტემების დანერგვამ და წარმატებით ფუნქციონირებამ შეუწყო ხელი აღნიშნული სამსახურის მართვის სრულყოფას და მისი საქმიანობა გამჭვირვალე და წარმატებული გახდა. საბაჟო სისტემაში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სწორი ადმინისტრირება შესაძლებელს ხდის პრობლემების გარეშე მოხდეს გადასვლა ევროკავშირის ერთიან საინფორმაციო სივრცეზე, რაც ქვეყნის განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

დასკვნები და რეკომენდაციები

საბაჟო სისტემის ეფექტიანი მართვისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის შემთხვევაში ანალიზი გვაძლევს გარკვეული დასკვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენის საშუალებას:

- ✓ მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის საკმარისი თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის საშუალების წარმატებულად ჩატარება – აუცილებელია დანერგილი ტექნოლოგიების გამოყენების უწყვეტი ანალიზი და მისი განახლება, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების მოთხოვნების გათვალისწინება;
- ✓ საჭიროა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მიერ შესრულებული ყოველი ოპერაციის გაანალიზება, ოპერატიული ინფორმაციის დამუშავება და შეუბამისი ანალიტიკური ანგარიშების მომზადება, რაც კიდევ უფრო გაზრდის მართვის ეფექტიანობას;
- ✓ საინფორმაციო სისტემის - ASYCUDA World, ფუნქციონირებისას თავს იჩენს

- ტექნიკური (მაგალითად, ქსელის ფუნქციონირების, მესხიერების ზრდის და ა.შ.) პრობლემები, რაც ადეკვატური ჩარევით უნდა აღმოიფხვრას;
- ✓ გასათვალისწინებელია, რომ ASYCUDA World სისტემას პერიოდულად ემატება ახალი მოდულები, ამიტომ აუცილებელია ტექნიკურ აღჭურვილობაზე უწყვეტი ზრუნვა, აპარატურული უზრუნველყოფის და ინტერნეტ-კავშირის სიჩქარის გაძლიერება;
 - ✓ პრაქტიკა ადასტურებს, რომ საჭიროა საბაჟო ადმინისტრირების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების გადამოწმება. ასე, მაგალითად, უნდა ხდებოდეს პროგრამაში არსებული ინფორმაციის ოპტიმიზაცია, სისტემის მიერ მიღებული რეპორტების გადამუშავება, პერიოდულად მისი დახვეწა და სხვ.;
 - ✓ საინფორმაციო სისტემა - ASYCUDA World, მართალია, ავტომატურად ითვლის გადასახადებს, მაგრამ, ხშირად ამ გადასახადების დარიცხვამდე საჭიროა ზოგიერთი მონაცემის შეკრება, რაც დღეისათვის ASYCUDA World სისტემას არ გააჩნია, სისტემაში ჩაშენებული კალკულიატორის დამატება კი გაამარტივებდა მუშაობის პროცესს;
 - ✓ სისტემას - Oracle-ს ტექნიკური კუთხით, ASYCUDA World სისტემის ანალოგიური პრობლემები გააჩნია, ვინაიდან Oracle კიდევ უფრო მზარდი სისტემაა (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ არამართო საბაჟო სისტემის მოდულები ფუნქციონირებს, არამედ საგადასახადო სისტემის მოდულებიცაა თავმოყრილი და წლიდან წლამდე ხდება ახალი მოდულების დამატება);
 - ✓ სისტემაში - Oracle გასამარტივებელი და დასახვეწია მისი საძიებო სისტემა, რაც გამოიხატება იმით, რომ სხვადასხვა პარამეტრის მოთხოვნისას გაძნელებულია შედეგის მიღება;
 - ✓ სისტემაში - Oracle-ის ზოგიერთ ფორმაში მონაცემების შეტანისას რამდენიმე ენის (ქართული, ინგლისური და გერმანული) გამოყენებისას სხვადასხვა ენის ხელით გადაყვანა ანელებს მონაცემთა შეტანის სისწრაფეს, ამიტომ საჭიროა უზრუნველყოფილი იქნეს ენის ავტომატური გადართვა;
 - ✓ სისტემაში - Oracle-ის თითოეულ მოდულში არსებული მონაცემების ოპტიმიზაცია ხელს შეუწყობს სისტემის უფრო ეფექტიან მუშაობას;
 - ✓ დღეისთვის მიმდინარეობს სისტემის - Oracle პერსონალური იდენტიფიცირებისა და რეგისტრაციის სისტემასთან - PIRS ინტეგრაციის სამუშაოები, რაც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, რათა არ მოხდეს სისტემის გადატვირთვა;
 - ✓ PIRS სისტემას ანალოგიური პრობლემა აქვს ტექნიკური თვალსაზრისით. დასახვეწი და გასაძლიერებელია საძიებო სისტემა;
 - ✓ მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა საქართველოსა და ევროკავშირის ერთიანი საინფორმაციო სივრცის დანერგვასთან დაკავშირებით. მუდმივად უნდა ექცეოდეს ყურადღება რესურსების სწორ გადანაწილებას, საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას;
 - ✓ სასურველია საქართველოს მთავრობის მხრიდან აქტიური ხელის შეწყობა, რათა შემოსავლების სამსახურის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვისა და მუშაობის გამოცდილება გაზიარებული იქნეს

საქართველოს სხვა სახელმწიფო სამსახურებში ნებისმიერი დარგის მართვის სრულყოფის საქმეში;

- ✓ პერიოდულად უნდა ჩატარდეს ელექტრონულად საბაჟოს თანამშრომლების მოკლე ანკეტური გამოკითხვა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ხარვეზების შესახებ და შემდეგ რეკომენდაციების დამუშავება და შედეგების გათვალისწინება;
- ✓ საბაჟო სისტემაში უნდა გაგრძელდეს მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და მათთან კოორდინებული მუშაობის უზრუნველყოფა, რაც თავისთავად გაზრდის საბაჟო სისტემის მართვის ეფექტიანობას;
- ✓ საჭიროა მუდმივად მოხდეს შემოსავლების სამსახურის მრავალრიცხოვანი ელექტრონული მომსახურების ონლაინპორტალის დახვეწა, პორტალთან მუშაობის ონლაინდახმარებისა და ტრენინგების ჩატარება ქვეყნის მასშტაბით მოქმედ იმპორტიორ/ექსპორტიორ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან;
- ✓ მნიშვნელოვანია სხვადასხვა საინფორმაციო სისტემის ინტეგრაციის სამუშაოები, სხვადასხვა სტრუქტურებს შორის მონაცემების გაცვლის შესაძლებლობა, რაც აუცილებლად უნდა იყოს ტექნიკურად უზრუნველყოფილი;
- ✓ წლიდან წლამდე იზრდება საბაჟო სისტემაში ელექტრონული მომსახურების რაოდენობა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ პარალელურად საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ინფორმაციულობა, საქართველოს ყველა რეგიონში ტრენინგების ჩატარება ელექტრონული მომსახურების მომხმარებლებთან, რათა არსებული რესურსები ოპტიმალურად იქნეს გამოყენებული.

ლიტერატურა:

1. Seturidze R., New trendz in development of GEORGIA'S Economic border Information Systems, III International Internet conference „New trends of development of V4 Countries & Ukraine“ Volyn Institute for Economics and Management, Book Reports, Ukraine, 2011.
2. სეთურიძე რ., საინფორმაციო სისტემები – საქართველოს საბაჟო სისტემის მართვის სრულყოფის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2014, N6, გვ.101-118.
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2015 წლის ანგარიში http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=9892
4. <http://www.asycuda.org/> -საბაჟოს მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა.
5. www.unctad.org - გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია - მუდმივმოქმედი საერთაშორისო ორგანო, უენევა, 1964.
6. სეთურიძე რ., საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლემები, პერსპექტივები, II საუნივერსიტეტათაშორისო, „უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაჟო სისტემაში“, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მოხსენებათა კრებული, 2011.

7. Seturidze R., Lekashvili E., The reforms realized in the customs system of GEORGIA and contradictions, XVI IRSPM International Conference, Contradictions in public management, Managing in volatile times, Italy, Rome, 2012, <http://www.irspm.net/publications/viewcategory/56-9-openpanel.html?start=10>
8. საქართველოს მთავრობის „ლიცენზიების, ნებართვებისა და სერთიფიკატების ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვისა და ამოქმედების შესახებ“ N1018 09.06.2014 განკარგულება.
9. www.mof.ge - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
10. www.rs.ge - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ვებპორტალი.
11. სეთურიძე რ., ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაჟო სისტემაში, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012.
12. Meskhia I., Seturidze R., The European Union’s Generalized System of Preferences (GSP) and the Prospect of a Unified Database, World Academy of Science, Engineering and Technology, ISSUE 82, Spain, Barcelona, 2013.

The Role of Information Technologies in the Efficient Management of Georgian Customs System

Rusudan Seturidze

*Assistant-professor, Doctor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

In modern times, the information technologies have a vital importance for the country and play a special role in the efficient management of the customs system of the country. It is very important for any customs system employee or different-level managers to receive the necessary information at necessary time and in due form and amount. In this respect, the role of the information and technologies is increasing a lot.

The article considers the systems, where the modern information systems are introduced successfully by now: customs data automated system ASYCUDA, Personal Identification and Registration Information System PIRS, State Financial Management Information System ORACLE, the customs records management automated system eDocument, the customs human resources management system eHRMS. The article considers the e-services promoting the efficient management of the customs system found at www.rs.ge and questions of introducing a single information space of Georgia and European Union. At the end of the article, the ways to perfect the modern information technologies for efficient management of the customs system are considered and the conclusions and recommendations are given.

Keywords: IT management; efficient management; customs system.

JEL Codes: M15, M16, M1, P33.

ვროპის სამეზობლო პოლიტიკა საქართველოში მცირე მენარეგობის განვითარების კონტექსტით

თამარ ხაბულაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

სტატიაში განხილულია ყველა ის სამთავრობო დოკუმენტი, რომლებიც ევროკავშირმა შექმნა საქართველოსთან თანამშრომლობის და ღრმა ინტეგრაციის უზრუნველყოფისთვის. ესენია: სამოქმედო გეგმა „ევროკავშირი – საქართველო“, „საქართველო – ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, „თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)“ და „მცირე ბიზნესის აქტი“.

სტატიაში განხილული და შეფასებულია იმ 10 პრინციპის საქართველოში დანერგვის მდგომარეობა, რომელთა დაცვა სავალდებულოა ევროპული მცირე ბიზნესის სტანდარტებით. სტატია მთავრდება შემატყობველი დასკვნით.

საკვანძო სიტყვები: ინტეგრაცია; თანამშრომლობა; მცირე ბიზნესი; პრინციპები; შეთანხმება; ევროკავშირი.

საყველდაოდ ცნობილია, რომ ქვეყანაში სამუშაო ადგილების გაზრდა და აქედან გამომდინარე, სიღარიბის დაძლევა არსებითად მხოლოდ მცირე (და საშუალო) ბიზნესის განვითარება-გაფართოებით შეიძლება. იმის მიუხედავად, რომ ევროპის მოსახლეობას არც სამუშაო ადგილები აკლიათ და არც ღარიბები არიან, 2008 წელს ევროკავშირმა მაინც მიიღო “მცირე ბიზნესის აქტი” [1], რომელიც ამ სექტორზე ზრუნვის კიდევ უფრო ფართოდ გაშლა-გაფართოებას ითვალისწინებს. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მთავრობის მიერ დეკლარირებულ მზაობას ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისით, და, აგრეთვე, იმ ქმედებებს, რაც საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში ხორციელდება ევროკავშირის მოდელთან მიახლოების უზრუნველსაყოფად, საჭიროა ვიცნობდეთ ამ სფეროში მათ საკანონმდებლო აქტებს

და ჩვენც ვნერგავდეთ იმ პრინციპებს, რაც მათ აქვთ დანერგილი. ეს აუცილებლობა განსაკუთრებულად საჭირო გახდა დღეს, რადგანაც საქართველო ევროკავშირისგან ვიზა-ლიბერალიზაციის მოლოდინშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპის ბაზარზე თავისუფლად გავლენ ქართველი მენარმეები თავისი პროდუქციით. მაგრამ, რამდენად თავსებადი ვიქნებით ჩვენ ევროკავშირის ბაზართან, ეს უკვე იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად გავითავისეთ ჩვენ მათი ფასეულობები, ბიზნესის სფეროში. ასეთი ევროპული ფასეულობაა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების, DCFTA-ის და “მცირე ბიზნესის აქტის” მოთხოვნები.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკით საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობა. 2006 წლის 14 ნოემბრიდან საქართველოსთვის ძალაში შევიდა სამოქმედო გეგმა - “ევროკავშირი-საქართველო”. ეს გეგმა არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ერთ-ერთი გამოხატულება, რომელიც დაეხმარება საქართველოს ევროპასთან ურთიერთობების განვითარებაში და ევროკავშირის ნორმებთან და სტანდარტებთან თავისი კანონმდებლობის დაახლოების საქმეში.

აღნიშნული გეგმით ევროკავშირმა შესთავაზა საქართველოს ინტენსიური თანამშრომლობა ეკონომიკის, პოლიტიკის, უსაფრთხოების და კულტურის საკითხებში. ევროკავშირთან თანამშრომლობის ხარისხი დამოკიდებულია, საერთო ფასეულობების ერთგულებაზე საქართველოს მხრიდან და ქვეყნის უნარზე, განახორციელოს ევროკავშირთან ერთად დასახული პრიორიტეტები საერთაშორისო და ევროპული ნორმების და პრინციპების შესაბამისად. ამ ურთიერთობის განვითარების ტემპი მთლიანად არის დამოკიდებული საქართველოს მონდობებზე ამ მიმართულებით.

სამოქმედო გეგმით - “ევროკავშირი-საქართველო”, ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული თანამშრომლობიდან შეიქმნა ღრმა ინტეგრაციაზე გადასვლის პერსპექტივა, რომლის გამოხატულებაც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) და ვიზა-ლიბერალიზაცია, რომელსაც საქართველო ევროკავშირიდან სავარაუდოდ 2016 წლის ბოლოს მიიღებს.

“საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების” ერთ-ერთი ძირითადი საკითხია საქართველოს და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბება. ევროკავშირთან თანამშრომლობა გულისხმობს ევროკავშირის და საქართველოს ბიზნესის იმ ადმინისტრაციული და მარეგულირებელი ჩარჩოების დახვეწას, რაც ევროკავშირისა და საქართველოს ფარგლებში ფუნქციონირებს და ეყრდნობა ევროკავშირის მცირე და საშუალო საწარმოების პოლიტიკას, ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით. “საქართველო, – ვკითხულობთ ამ შეთანხმებაში, – უნდა მიისწრაფოდეს, რომ დააფუძნოს ქმედითი საბაზრო ეკონომიკა და ეტაპობრივად დაუახლოვოს საკუთარი ეკონომიკური და ფინანსური რეგულაციები ევროკავშირის რეგუ-

ლაციებს და იმავდროულად უზრუნველყოს სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება” [2].

საქართველოს მთავრობა საგანგებო ყურადღებას უთმობს ბიზნესის, კერძოდ კი, მცირე და საშუალო ბიზნესის სანარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების (რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება – DCFTA) კონტექსტით. DCFTA-ს მოთხოვნებთან ადაპტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რათა ქართულმა ბიზნესმა შეძლოს ექსპორტის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება.

DCFTA შევიდა ძალაში 2014 წლის 1 სექტემბრიდან. 2015 წელს საქართველომ დაიწყო მოლაპარაკებები ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციებთან. 2005 წლიდან საქართველოს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა გააჩნია 7200 დასახელების საქონელზე ევროკავშირთან. შედეგად, 2014 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2993,8 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4,3%-ით აღემატება (აქედან ექსპორტი 624,1 მლნ დოლარი, იმპორტი 2369,7 მლნ დოლარი. პირველი გაიზარდა 2,8%-ით, მეორე – 4,7%-ზე მეტად). ევროკავშირთან ვაჭრობის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 26% შეადგინა [3, გვ. 7].

2015 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების პროექტს, რომელიც ითვალისწინებს DCFTA-ის და მცირე და საშუალო ბიზნესის სანარმოების მხარდაჭერას, რომლის ბიუჯეტიცა – 44,5 მლნ ევრო. ამ პროექტის მიზანია [3, გვ. 17]:

- DCFTA-ს პოლიტიკის ჩარჩოს შემდგომი გაძლიერება და მცირე და საშუალო მენარმეობის ხელშეწყობა;
- ვაჭრობასთან და კერძო სექტორთან დაკავშირებული ინსტიტუციების გაძლიერება;
- ეკონომიკური აგენტების და მცირე და საშუალო მენარმეობის გაძლიერება DCFTA-ის პროცესების პარალელურად.

დღეს საქართველოს ექსპორტში მცირე და საშუალო მენარმეობის ხვედრითი წონა მინიმალურია. ამიტომ, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, უმნიშვნელოვანესია ექსპორტის ხელშეწყობა. იმ სარგებლის მაქსიმიზაციისთვის, რომელსაც DCFTA პოტენციურად სთავაზობს მენარმეებს, მნიშვნელოვანია, როგორც მათი ცნობიერების ამაღლება DCFTA-ის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ასევე ამ მოთხოვნების ადაპტაციაში ხელშეწყობა.

DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაცია დღეისათვის გამონვევას წარმოადგენს განსაკუთრებით მცირე და საშუალო მენარმეებისთვის, რადგანაც მოითხოვს არა მხოლოდ საექსპორტო ბაზარზე მოთხოვნების ცოდნას, არამედ, დამატებით ფინანსურ რესურსებს ამ მოთხოვნების შესაბამისად მენარმეობის განვითარებისთვის.

DCFTA-ის მოთხოვნებთან მენარმეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოში პერმანენტულად იმართება ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრები როგორც კერძო სექტორთან, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან, შემუშავებულია DCFTA-ის სამოქმედო გეგმაც 2014-2017 წლებისთვის, რომელიც სხვა მიმართულებასთან ერთად მოიცავს მცირე და საშუალო მენარმეების ცნობიერების ამაღლებასაც.

მცირე და საშუალო მენარმეების ცნობიერების ამაღლება DCFTA-ის პერსპექტივებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია განვითარების სამომავლო გეგმის დასახვის თვალსაზრისით. ამ მიზნით, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმაში – „საქართველო-2020“, ჩანერილია შემდეგი: „განხორციელდება ღონისძიებები, როგორც მცირე და საშუალო კომპანიების, ასევე, ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლების და შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით. რეგულარულად მოეწყობა მრგვალი მაგიდები, შეხვედრები, თემატური კონფერენციები... [3, გვ. 38].

ევროკავშირმა კიდევ უფრო დააკონკრეტა მოთხოვნები მცირე სანარმოებზე დოკუმენტში, რომელიც მიიღო 2008 წელს და რომელსაც ეწოდა „მცირე ბიზნესის აქტი“.

„მცირე ბიზნესის აქტის“ მოთხოვნები (პრინციპები)

ევროკავშირის „მცირე ბიზნესის აქტი“ არის სამთავრობო დოკუმენტი, რომელშიც მოცემული პრინციპები რეკომენდებულია გასატარებლად. ეს პრინციპებია [1; 4].

- სამენარმეო განათლების ამაღლება და ბიზნესში ქალების ჩართულობის გაძლიერება;
- გაკოტრების რეგულირება და მეორე შანსის მიცემა გაკოტრებისას;
- იფიქრე ჯერ მცირეზე;
- მცირე სანარმოთა საჭიროებებზე საჯარო ადმინისტრაციების რეაგირების უზრუნველყოფა;
- საჯარო პოლიტიკის ინსტრუმენტების მორგება მცირე ბიზნესის საჭიროებებზე;
- მცირე სანარმოთა ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, საკანონმდებლო და ბიზნესგარემოს სრულყოფა კომერციული ოპერაციების დროული ანგარიშსწორების უზრუნველსაყოფად;
- სტანდარტების და რეგულაციების დანერგვა;
- მცირე სანარმოებში მართვის უნარების დახვეწისა და საინოვაციო საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- მცირე სანარმოების „მწვანე ეკონომიკაში“ ჩართვა;
- მცირე სანარმოების წახალისება და დახმარება, რათა მათ ისარგებლონ ბაზრების ზრდით.

პირველი პრინციპის – *სამენარმეო განათლების ამაღლება და ბიზნესში ქალების ჩართულობის გაძლიერება* – ცხოვრებაში გატარება

საქართველოში დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დღიდან. სახელმწიფო უნივერსიტეტების გვერდით გაიხსნა მრავალი კერძო უნივერსიტეტები, რომლებშიც ყველაზე მოთხოვნადი იყო ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობა. ეს პროცესი გრძელდება დღესაც. ამას დაემატა პროფესიული კოლეჯები, რომლებშიც ასევე, ერთ-ერთი მოთხოვნადი სპეციალობაა “მცირე ბიზნესის მწარმოებელი”.

აუცილებლად აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საქართველოს მცირე ბიზნესში ქალთა ჩართულობა ძალიან მაღალია. განსაკუთრებით ეს ითქმის სავაჭრო ბიზნესზე, ლომბარდებზე, სასტუმროებზე, ტურისტულ ბიზნესზე, განათლებაზე, მომსახურების სექტორზე.

მეორე პრინციპი – *გაკოტრების რეგულირება და მეორე შანსის მიცემა გაკოტრებისას* – ასევე დაცულია საქართველოში. შემუშავებულია და მოქმედებს კანონი “გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ” და ძალაშია რეაბილიტაციის, ანუ გადახდისუუნარობის აღდგენის ნ-თვიანი პერიოდი, რომელსაც მმართველი საბჭო აძლევს გაკოტრების პროცესში მყოფ საწარმოს. ეს მისთვის ფაქტობრივ არის ეკონომიკური გაჯანსაღების მეორე შანსის მიცემა. მაგრამ არის სხვა პრობლემა- გაკოტრების შემთხვევაში დაბალია ამონაგების მაჩვენებელი, იგი შეადგენს ერთ დოლარზე 39,9 ცენტს, მაშინ, როდესაც DCFTA-ის ქვეყნებში იგივე სიტუაციაში იგი 72,1 ცენტია [3, გვ. 14].

მესამე პრინციპი – *იფიქრე ჯერ მცირეზე*. – ეს ხატოვანი გამოთქმა იმას ნიშნავს, რომ ქვეყანამ უპირველესად უნდა შექმნას მცირე მენარმეობის პოლიტიკა, რომლის ორგანიზებისთვის საჭირო სტრუქტურები და მექანიზმები და ა. შ. 2006 წლამდე საქართველოში “მცირე და საშუალო მენარმეობის მხარდაჭერის” კანონიც არსებობდა, მცირე ბიზნესის განვითარების ფონდიც და მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების ცენტრიც. მეტიც, ქ. თბილისის მერიასთანაც არსებობდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ცენტრი. “ვარდების რევოლუციით” მოსულმა მთავრობამ 2006 წელს ეს ყველაფერი გააუქმა ისე, რომ არაფრით მათი ჩანაცვლება არ მომხდარა.

2012 წლის პირველი ოქტომბრიდან მოსულმა ახალმა მთავრობამ ამ მიამრთულებით გარკვეული ნაბიჯები გადადგა. შეიქმნა ორი უწყება – მენარმეობის განვითარების სააგენტო და ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

მენარმეობის განვითარების სააგენტო მცირე და საშუალო მენარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკის და პროგრამების განხორციელების ერთადერთი მაკოორდინირებელ სტრუქტურას წარმოადგენს საქართველოში. სააგენტოს ძირითადი მიზნებია: დამწყები ბიზნესების მხარდაჭერა DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში, საკონსულტაციო მომსახურების განვება, საერთაშორისო და ადგილობრვ ბაზრებზე არსებული მოთხოვნის შესწავლა და ინფორმაციის მიწოდება მენარმეებზე, მენარმეთა დახმარება დონორებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობებში და სხვა. რაც შეეხება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, მისი ფუნქციებია: ინოვაციების სტიმულირება, სამეცნიერო და ბიზნესწრეებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა, მაღალსიჩქარიანი

ინტერნეტის განვითარების ხელშეწყობა, ინოვაციების დანერგვით მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ხელშეწყობა და სხვა.

საქართველოში არსებობს მცირე და საშუალო მენარმეობის მხარდამჭერი რამდენიმე სხვა ორგანიზაცია, კერძოდ: საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია და დასაქმების ასოციაცია. ისინი კონსულტაციებს უწევენ მენარმეებს.

მეოთხე პრინციპია – მცირე საწარმოთა საჭიროებებზე საჯარო ადმინისტრაციების რეაგირების უზრუნველყოფა. მასში იგულისხმება სამთავრობო სერვისებით სარგებლობა, საწარმოს რეგისტრაციის წესების გამარტივება, ბიზნესზე რეგულაციების ზემოქმედების შესწავლა. ამ სფეროში საქართველოს მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს. შემცირებულია საწარმოების გახსნის ადმინისტრაციული ბარიერები. გამარტივებულია ბიზნესის კეთება. “Doing Buuness 2016” კვლევის მიხედვით ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოს 189 ქვეყანას შორის 24-ე ადგილზეა [3, გვ. 11]. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვითაც, საქართველო 23-ე ადგილზეა. გაუმჯობესებული აქვს სუვერენული რეიტინგებიც.

მცირე საწარმოებისთვის გამარტივებულია საჯარო მომსახურება. მისი უმეტესი ნაწილი თავმოყრილია ერთ სივრცეში (მაგალითად, ქ. თბილისში – იუსტიციის სახლში). დანერგილია ელექტრონული მომსახურება გადასახადის გადახდაზე, დეკლარაციის წარდგენაზე და ა. შ.

მეხუთე პრინციპია – საჯარო პოლიტიკის ინსტრუმენტების მონ-გება მცირე ბიზნესის საჭიროებებზე. დღეს საქართველოში მცირე საწარ-მოებისთვის ბიზნეს-სერვისების უზრუნველყოფა შეზღუდულია. ერთ-ერთი ევროპული პრიორიტეტი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წახა-ლისება, ასევე, შეზღუდულია. მართალია, ელექტრონული ტენდერების 40%-ში სახელშეკრულებო თანხის მოცულობები არ აღემატება 10000 ლარს [5, გვ. 32], რაც მისაღებია მცირე მენარმეებისათვის, მაგრამ ინტერნეტის სივრცეში არ არის არცერთი მისამართი, სადაც მცირე მენარმე შეძლებს ამომწურავი და განახლებული ინფორმაციის მიღებას ბიზნესის წარმოების მისთვის საინტერესო ყველა საკითხზე. ქართულ ყოფაში პრობლემაა ისიც, რომ ყველა მცირე მენარმემ არ იცის ინტერნეტის გამოყენება, ან არა აქვს წვდომა მასზე.

მეექვსე პრინციპია – მცირე საწარმოთა ფინანსებისადმი ხელმ-ისაწვდომობის გაუმჯობესება, საკანონმდებლო და ბიზნეს-გარემოს სრულ-ყოფა კომერციული ოპერაციების ღირვული ანგარიშსწორების უზრუნ-ველსაყოფად. მცირე ბიზნესში კერძო კაპიტალი არ არის საკმარისი, ხოლო ფასიანი ქალაქების ბაზარი საქართველოში მცირე და არალიკვიდურია. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაძლიერების თვალსაზრისით ევროკავშირი მიიჩნევს ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორცაა საბანკო სექტორში კონკურენციის გაძლიერება, ადგილობრივი ინსტიტუციური საინვესტიციო ბა-ზის შექმნა (მაგალითად, სადაზღვევო და საპენსიო რეფორმების გზით).

დღეს საქართველოში მცირე საწარმოების კაპიტალი ძირითადად ფორმირდება საკუთარი, საოჯახო და მეგობარ-ნათესავების ფულადი დანაზოგებით. საბანკო დაკრედიტების კონსერვატიული მიდგომა და საგირავნო უზრუნველყოფის მაღალი მოთხოვნები მცირე საწარმოების განვითარებას აფერხებს. მიკრო-საფინანსო ორგანიზაციები ძალიან სწრაფად აძლევენ კრედიტებს მცირე საწარმოებს, მაგრამ მაღალი რისკის გამო, მათი საპროცენტო განაკვეთი კაბალურია – 36-44% წლინადში. ბოლო წლებში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სპეციალური პროგრამები (“იაფი კრედიტი”, “საწარმო საქართველოში”) და მცირე მენარმეები დააფინანსა ბიუჯეტის საფუძველზე ფორმირებული იაფი სესხებით (სესხის 2%-ს იხდის მენარმე, 12%-ს სახელმწიფო), მაგრამ ფინანსებზე წვდომის ეს გზაც რთული აღმოჩნდა მათთვის, რადგან ამის მისაღებად მათ თავიანთი ბიზნეს-გეგმით კონკურსში უნდა გაიმარჯვონ. მაგრამ საკითხავია, ქართველი მცირე მენარმეები, რომელთაც ავერ “გუმინ” ისწავლეს საბაზრო ეკონომიკის ანი-ბანი, შეძლებენ კონკურსში გასამარჯვებლად ბიზნეს-გეგმის დანერგას? არის სხვა ბარიერებიც.

ყველა ამ პრობლემის მოგვარება გათვალისწინებულია საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიაში. მეტიც, საქართველოს მთავრობა ამ წლებში აპირებს გრანტების მეშვეობით მცირე საწარმოთა დაფინანსების გაუმჯობესებას, რისთვისაც გადაიხედება გრანტებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები [3, გვ. 30].

მეშვიდე პრინციპი – *სტანდარტების და რეგულაციების დანერგვა* – იძლევა სტანდარტების, ტექნიკური ნორმების და შესაბამისობის დადგენის სფეროში ევროკავშირში მოქმედ საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ პრაქტიკაზე გადასვლის რეკომენდაციას. კერძოდ [6, გვ. 25]:

- ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა საქართველოში ტექნიკური ნორმების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის და აკრედიტაციის თანამედროვე ინსტიტუციური სისტემის შექმნის და გაძლიერების მიზნით;
- სტანდარტიზაციაზე, აკრედიტაციაზე, შესაბამისობის დადგენაზე, მეტროლოგიასა და ბაზრის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების ინტერაგირება ევროპულ და საერთაშორისო სტრუქტურებში;
- თანამშრომლობა საერთაშორისო კლასიფიკაციის საეტალონო ლაბორატორიების შესაქმნელად და სხვა.

ეს სამუშაოები საქართველოში 2006 წლიდან არის დაწყებული, მაგრამ საქართველოს სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის ინსტიტუტს დაფინანსების უქონლობის გამო, ამ სამუშაოების მეტად მცირე ნაწილი აქვს ჯერ შესრულებული. ძნელდება ქართულ სამენარმეო სივრცეში იმ ევროპული სტანდარტების და ტექნიკური ნორმების დანერგვაც, რომელიც უკვე ითარგმნა ამ ინსტიტუტში, რადგან ისინი იყიდება, მათი შექმნის საშუალება კი ყველა მცირე მენარმეებს არა აქვთ. ჩვენი აზრით, სტანდარტები უფასოდ უნდა ურიგდებოდეთ მენარმეებს, მათი თარგმნის და ბეჭდვის ხარჯებს კი სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა ფარავდეს.

მერვე პრინციპია – მცირე საწარმოებში მართვის უნარების დახვეწისა და საინოვაციო საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. საქართველოს მცირე მენარმეობაში სწორედ ამ პრინციპის გატარების დადასტურებაა “საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგიაში (2016-2020 წწ.)” ასეთი პრიორიტეტების ჩანერა [3, გვ. 21]:

➤ სამენარმეო სწავლების გაუმჯობესება ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად;

➤ ინოვაციური მენარმეობის წასახალისებლად კონკრეტული მხარდაჭერი ღონისძიებების გატარება.

ამავე დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ “მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის სიმცირე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა მცირე და საშუალო საწარმოთა ზრდისა და განვითარებისთვის... ამ ეტაპზე საქართველოს განათლების სისტემაში სრულად არ არის დანერგილი სამენარმეო განათლება საუკეთესო ევროპული და საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად. ასევე არ არის დანერგილი უწყვეტი სწავლება” [3, გვ. 31]. ამის სალიკვიდაციოდ სტრატეგია მრავალ სხვადასხვა ღონისძიების – ტრენინგ-პროგრამები, არაფორმალური განათლების პილოტური პროგრამები და ა. შ. გატარებას ითვალისწინებს.

არასახარბილო მდგომარეობა გვაქვს ინოვაციურ მენარმეობის განვითარების კუთხით. ინოვაციურ შესაძლებლობებში საქართველოს 121-ე ადგილი უკავია, უახლეს ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობაში – 97-ე ადგილი, ფირმის დონეზე ტექნოლოგიების გამოყენებაში – 103 ადგილი, კომპანიის დანახარჯებში კვლევასა და განვითარებაზე – 127-ე ადგილი.

მცირე (და საშუალო) საწარმოებს არა აქვთ შესაძლებლობა განახორციელონ ინვესტიციები ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებში. მათთან ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობაც უაღრესად დაბალია. აქედან გამომდინარე, საჭიროა სახელმწიფომ შეუწყოს ხელი მათ ინოვაციურ განვითარებას. ამ საქმეს ერთჯერადი “ინექციები” არ უშველის, ის სისტემური და მასშტაბური უნდა იყოს.

მეცხრე პრინციპი – მცირე საწარმოების “მწვანე ეკონომიკაში” ჩართვა, მოუწოდებს მცირე საწარმოებს თავისი საქმიანობა წარმართონ მაქსიმალურ ეკოლოგიურ სისუფთავეში. მართალია, საქართველოს მთავრობაც ახალისებს ბიზნეს-საზოგადოებას, რათა მან მიაქციოს ყურადღება გარემოს დაცვის საკითხებს, მაგრამ მცირე და საშუალო საწარმოებს ასეთი ეკოეფექტურობის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარება არა აქვთ. “საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია (2016-2020 წ.წ.)” “ ამ მიზნით ითვალისწინებს ტრენინგ-პროგრამის შემუშავებას, კონსულტაციებს და გარემოს დამცველი მმართველის (მენეჯერის) კურსების მოწყობას” [3, გვ. 35]. ჩვენი აზრით, ეს საკმარისი არ არის.

მეათე პრინციპი – მცირე საწარმოების წახალისება და დახმარება, რათა მათ ისარგებლონ ბაზრების ზრდით, ეს ფაქტობრივად არის ინტერ-

ნაციონალიზაციაზე რეკომენდაცია. საქართველოში ეს სიახლეც დაწყებულია. ჩამოყალიბებულია მენარმეობის განვითარების სააგენტო, რომელიც ეხმარება ექსპორტზე ორიენტირებულ ფირმებს. მათ ასევე ხელს უწყობს საქართველოს საინვესტიციო სააგენტო. ისი მცირე საწარმოებს აწვდის ინფორმაციას საგარეო ბაზრების შესახებ, გამოფენების შესახებ, ეხმარებიან საერთაშორისო პარტნიორების მოძებნაში და ა. შ. ცნობიერების ასეთი ამაღლება მცირე მენარმეებს ხელს უწყობს მათი პროდუქციის ბაზრის გაფართოებაში.

საქართველოში მცირე საწარმოთა ექსპორტის ხელშეწყობის აქტივობებში ნაკლებად ჩანს თინანსური დახმარება. 2008 წელს სახელმწიფომ ექსპორტის დასაფინანსებლად გამოყო 34,5 მლნ ლარი რესურსი (ისიყ სასესხო) [5, გვ. 34]. შემდგომ წლებში ექსპორტის ხელშეწყობი პროგრამა აღარ დაფინანსებულა.

საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგიაში (2016-2020 წ.წ.), ამ საკითხის გამოსწორებაც დაიგეგმა, კერძოდ, მეტი ყურადღება ისევ და ისევ დათმობილი აქვს საექსპორტო ბაზრების კვლევას და ონლაინ პორტალის მეშვეობით მენარმეებისთვის ინფორმაციის მიწოდებას, მარკეტინგის გაუმჯობესებას, საერთაშორისო გამოფენებში ქართველ მენარმეთა მონაწილეობის ხელშეწყობას და ა. შ. დასაანანია, რომ 2020 წლამდე პერიოდშიც საქართველოს მთავრობა არ ითვალისწინებს ექსპორტზე ორიენტირებულ მცირე (და საშუალო) საწარმოებისთვის ბიუჯეტურ დაფინანსებას.

* * *

გემოაღნიშნული პრინციპების საქართველოში დანერგვის მდგომარეობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მცირე ბიზნესში მათი გამოყენება დაწყებულია, მაგრამ პროცესი დასრულებული არ არის. ამ საქმეში ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აიღოს თავის თავზე, რადგანაც დამოუკიდებლად ქართველი მცირე მენარმეები ვერც ამ პრინციპების ათვისებას შეძლებენ და ვერც მის პრაქტიკულ გამოყენებას. ამის გარეშე კი, საქართველოს მცირე ბიზნესის ურთიერთობები ევროკავშირთან ვერ შედგება.

ლიტერატურა:

1. A “Small Business Act (SBA) for Europa, Brussels, 25.06.2008.
2. საქართველო-ევროკავშირის ასოციირების შესახებ შეთანხმება, კარი 5, მუხლი 277(2), თბ., 2014.
3. საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, დანართი 1, თბ., 2015.
4. საქართველოში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის ანალიზი, თბ., 2012.
5. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა. სამოქმედო გეგმა – “ევროკავშირი-საქართველო”, თბ., 2006.

The European Neighbourhood Policy in Georgia in the Context of Small Business Development

Tamar Khabelashvili

*Doctoral Student,
Ivane Javakishvili Tbilisi State University*

The article - “European Neighborhood Policy in Georgia in the Context of Small Business Development” discusses all of the governmental documents, which the EU created in terms of cooperation and deeper integration with Georgia. These include: the Action Plan “European Union - Georgia,” “Georgia - European Union Association Agreement,” “Free Trade Agreement (DCFTA) and” Small Business Act.”

In the article there are addressed and assessed the situation of the implementation of 10 principles in Georgia, which are obligatory according to the European standards for small businesses. The article ends with a summary of findings.

Keywords: integration; cooperation; small business; principles; the European Union.

JEL Codes: E52, L26, M13

ოცადაექვსსაუკუნოვანი ფანომენი: ისრაელის ბაკჰეითილები საქართველოსთვის

საქართველო და ისრაელი - ეს არის ორი უძველესი ბიბლიური ქვეყანა, რომელთაც ავერ უკვე 26 საუკუნეა ერთმანეთთან მეგობრობის და პატივისცემის, თანასწორი ურთიერთობების უიშვიათესი ტრადიციები აქვთ.

ამ ორი ერის ურთიერთობა განსაკუთრების საყურადღებოა დღევანდელი აშლილი და აწვნილი მსოფლიოსთვის, მათ შორის წამყვანი და დიდი ერებისთვის.

„საქართველო - ეს არის თანამედროვეობის უდიდესი სასწაული, რომლის შედარებაც შეიძლება მხოლოდ ისრაელთან. ის არის არა მხოლოდ ძველი, არამედ ცოცხალი ცივილიზაცია. შეხედეთ ათენს და რომს. მათ წარსულს არავითარი კავშირი არა აქვს თანამედროვეობასთან, საქართველოში, კი ყველაფერი ძველი აგრძელებს სიცოცხლეს დღევანდელიობაში.“ - წერს ცნობილი ებრაელი მეცნიერი და თეოლოგი ავიგდორ ესკინი.

თანამედროვე ისრაელის სახელმწიფო იშვა 1948 წელს, როცა გაეროს დადგენილებით მათ გამოეყოთ 14 ათასი კვ. კმ. ფართობი ყოფილი პალესტინის ტერიტორიიდან (ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში ლომის წილი მიუძღვის იოსებ სტალინს, რომელმაც დასავლეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, შეძლო თავისი გაეტანა და შეექმნა პატარა ქვეყანა.

სულ რაღაც 68 წლის განმავლობაში ისრაელში პანანინა სახელმწიფოდან ერის წყალობით, გადაიქცა ქვეყნად, რომლის მოსახლეობა (6 მილიონზე მეტი) რვაჯერ აღემატება 1948 წელს არსებულ რაოდენობას, გადაიქცა უძლიერეს ქვეყნად, რომელიც დომინირებს არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ ძალზე დიდი გავლენა აქვს მთელს მსოფლიოში, რამეთუ მსოფლიო ფინანსების 75%-ს დღეს ებრაელები ფლობენ.

ამუამად ისრაელს ახლო აღმოსავლეთში წამყვანი პოზიცია უკავია ეკონომიკურ, სამხედრო, ტექნოლოგიურ და კულტურულ სფეროში.

მეტად საყურადღებოა მისი გამოცდილება მრეწველობის განვითარების საქმეში. ისრაელს არც საკუთარი ბუნებრივი რესურსები გააჩნია, არც მრეწველობის განვითარების საბაზო დარგები. გეოპოლიტიკური და სამხედრო სირთულეების გამო მას არ შეეძლო, გაეტარებინა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა ევროპის და ჩრდილო ამერიკის მოდელის მიხედვით. ისრაელის ყოფილი

პრეზიდენტი ეიზერ ვაიცმანი, მიუთითებდა, რომ „ჩვენ ისრაელმა, ფული და კაპიტალი ჩავდეთ ადამიანთა ტვინებში(ანუ განათლების სფეროში) იმიტომ რომ სხვა არავითარი რესურსი არ გავგაჩნდა“

ისრაელი გარემომოტყმულია მტრულად განწყობილი 20-ზე მეტი ქვეყნით, რომლებმაც ამ 68 წლის განმავლობაში 7 ომი გააჩაღეს ისრაელის წინააღმდეგ, მაგრამ ყველა წააგეს.საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფის აუცილებლობა ისრაელს აიძულებს როგორც ეროვნული პროდუქტის, ისე შრომისუნარიანი მოსახლეობის ყველაზე ახალგაზრდული და შემძლე ნაწილით უზრუნველყოს თავდაცვა. ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შემოსავლებიდან 10-15% თავდაცვის ფონდს ხმარდება. ეს დასავლეთის უმრავლესი ქვეყნებისთვის 3-4% -ია.(სომხეთისთვის 9%-ია, საქართველოსთვის 6%.)

68 წლის განმავლობაში ისრაელმა მსოფლიოს 120 ქვეყნიდან ჩამოსული 5 მილიონამდე ადამიანი (მათ შორის სსრ კავშირის ქვეყნებიდან ჩასული 1,2 მილიონი ებრაელი) მიიღი.

საკუთარი ქვეყნის უზომოდ მოყვარულ საქმიან ებრაელებს მცხუნვარე მზის ქვეშ გაჰყავდათ გზები, აგებდნენ ხიდებს, სანაპიროებს, პორტებს, ქარხნებს, საცხოვრებელ სახლებს, აშენებდნენ პლანტაციებს. სწორედ ამგვარმა თავჩაუხრელმა შრომამ აქცია ისრაელი აგრარული ქვეყნიდან სამრეწველო წარმოების და სამეცნიერო აზრის განვითარებულ სახელმწიფოდ, რომელსაც ჰქონდა მაღალი მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრია, აგრეთვე თანამედროვე კვების მრეწველობა და ალმასის დამუშავების ერთ-ერთი მსოფლიო ცენტრი. ისრაელის ხვედრით წილად მოდის მსოფლიო საიუველირო ალმასის წარმოების 40%. შედარებისთვის – რუსეთში ალმასის დამუშავების მრეწველობაში დასაქმებულია 2-ჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე ისრაელში, სასაქონლო პროდუქცია კი ინარმოება 8-ჯერ ნაკლები, ვიდრე ისრაელში.

ისრაელის სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მაღალი ინტენსივობით, მონი-ნავე აგრონომიით და მელიორაციით. პირდაპირ გამაოგნებელია: იერუსალიმი, მისი შემოგარენი და თითქმის ყველა მიმდებარე ადგილი კლდოვანია, ქვიშიანი და მაინც სოფლის მეურნეობის პროდუქტების საოცარი სიუხვეა. მოსავალი 2-ჯერ მოჰყავთ ხრიოკზე სიცოცხლეს ქმნიან მონინავე ტექნოლოგიებით („ჰაი-ტექი“) წყალობით).

მაშინ როცა ისრაელში ფაქტობრივად წყალი არ არის (ამასვე ადასტურებს ისრაელის 92 წლის პრეზიდენტი შიმონ პერესი, რომელმაც კიევში ჩამოსვლისას თქვა, რომ წყალს ჩვეულებრივად პოულობენ, არ მოიპოვებენ ჩვენ კი მისი მოპოვება დაუიწყეთ, მერე კი წყლის გამტკნარებაც ვისწავლეთ“), ცხელი წყალი ყველას აქვს. მზის ბატარეები ცვლის ჰიდროელექტრო სადგურებს და ატომურ ელექტროსადგურებს. ზაფხულობით 4-თვიანი გვაღვაა და მაინც სარწყავი მიწების წყალობით ყველაფერი ყვავის. მთებში მიწის ქვეშ ტბებია, საიდანაც წყალი უდაბნოში მოჰყავთ. წვიმის წყალცას არ ჰკარგავენ-რემერვუარებში აგროვებენ. ყოველი ხის ყოველი ყვავილის ახლოს სარწყავი მილი გაყვანილი.

ეს არის წვეთოვანი რწყვის მეთოდი, რომელსაც ისრაელში დიდი ხანია იყენებენ. იგი მცენარეს, ხეს იმდენ წყალს აწვდის, რამდენის ესაჭიროება, რათა წალკოტში არათუ გამხმარი, არამედ უწყლობისაგან შეყვითლებული ფოთოლიც არსად გაერიოს. ისრაელში სოფლის მეურნეობის ერთი მუშაკი ქვეყნის 82 მოქალაქეს უზრუნველყოფს პროდუქტებით. რუსეთში ერთი ძროხის წველალობა 3 ლიტრ შეადგენს ისრაელში, კი 10 ათას ლიტრს.

მშენებლობა, ფართო საყოფაცხოვრებო ინდუსტრია, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო საოპერაციო მედიცინა, მრავალპროფილიანი უმაღლესი განათლება, კომპიუტერიზებული საბანკო სისტემა და მოსახლეობის სერვისის სხვა სახეობანი ისრაელის ეკონომიკის ბირთვია. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ „ჰაი-ტექის“ (მაღალი ტექნოლოგიების) სფერო, რომელშიც ისრაელი ასევე მსოფიოს ერთ-ერთი ლიდერია. „ჰაი-ტექ“-ის საწარმოთა ხვედრითი წილი ისრაელის ექსპორტში 80%-მდეა. არმიამი განვეული ახალგაზრდები ცდილობენ, იმსახურონ სრულიად საარმიო კომპიუტერულ ცენტრ „მამრან“-ში, რომლის კურსდამთავრებულების თვიური ხელფასი 7 ათასი დოლარია და 4-ჯერ აღემატება საშუალო სასტარტო ხელფასს და მაინც ისრაელში არ ჰყოფნით 5 ათასზე მეტი სპეციალისტი „ჰაი-ტექ“-ის სფეროში.

ისრაელში თავდაცვა იდეოლოგიურად უმაღლეს დონეზეა აყვანილი. ისრაელს აქვს ატომური და წყალბადის ბომბი, უმაღლესი სიზუსტის რაკეტები, რომლებიც მტრის რაკეტებს ჰაერში ანადგურებენ, ჰყავს უძლიერესი დამფენვის სამსახური „მოსადი“. ქვეყნის თავდაცვა ანა მარტო კაცების არამედ ქალების მოვალეობაცაა. არმიამი ყველა მსახურობს. არც ერთი თავმოყვარე გოგონა ან გაივლის იმ ბიჭის გვერდით ვინც ჯანში ნამყოფი არაა.

„ჩვენ არც ხალხი გვყავდა და არც იარაღი გვქონდა,- ამბობს შიმონ პერესი, არც გენერლები გვყავდა და არც საბრძოლო გამოცდილება გვქონდა. რა უნდა გვექნა? ადამიანები უნდა გამხდარიყვნენ მამაცები და უშიშარნი. მათ უნდა გაეგოთ, რომ ჩვენ არჩევანი არა გვაქვს. „ჩვენ მხოლოდ უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენ ერთხელაც, რომ დავმარცხდეთ, მორჩა. მეორე, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ იარაღი არ გვქონდა, მისი წარმოება დავიწყეთ, განვაავითარეთ თავდაცვის სექტორი, რომელიც მუშაობდა არმიამი, რადგან ვიყავით მარტო და თანაც მტრულ გარემოში. სწორედ ამის წყალობით გაიმარჯვა ისრაელმა ყველა ომში არაბთა წინააღმდეგ და ტერიტორია 5-ჯერ გააფართოვა“.

პერესის აზრით, პოტენციალი ადამიანებს დიდი აქვთ, მაგრამ ისინი ზარმაცები არიან. თუ რაიმეს მიღწევა გინდათ, ბევრი უნდა იმუშაოთ, ციდან არაფერი ცვივა. ჩვენ ისრაელში ძალიან ბევრს ვმუშაობდით, რა არის ამაში ცუდი... უნდა გაჰყვეთ მეცნიერებას, რომელსაც არა აქვს საზღვარი, შეზღუდვა და რეფლექსები. წარსული იცოდეთ, რათა წარსულის შეცდომები არ გაიმეოროთ... თუ თქვენი ოცნებები უფრო მეტია, ვიდრე მიღწევები, ეს ნიშნავს რომ თქვენ ახალგაზრდა ხართ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია „ქართველი ებრაელის ფენომენი“. ასეთი რამ სხვა ერმა არ იცის. ქართველ ებრაელთა ფენომენის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლენაა ის ფაქტი, რომ ქართულ მიწაზე 26-საუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე „არსად არ თქმულა და არ გაგონილა, რომ ოდესმე ქართულ ურიას საქართველოსთვის ელაღატოს და რაიმე ცნობები სხვა სახელმწიფო მტერთათვის გადაეცათ, თუმცა ამის შემთხვევა მათ ხშირად მიეცემოდათ“ (ზაქარია ჭიჭინაძე).

„ეს მოხდა რომში, – წერს ისტორიკოსი და მიმოძილველი აბონ ციციაშვილი თავის 800-გვერდიან წიგნში „ებრაელები და საქართველო“, – ქართველებს მალაზიაში შემთხვევით კალონინის თხის ძალზე ძვირადღირებული ნივთი გაუტყდათ. მალაზიის კარი იმწამსვე დაიკეტა. მეპატრონემ ქართველებს ნივთის საფასურის ანაზღაურება მოსთხოვა. მათ საკმარისი თანხა არ აღმოაჩნდათ. იქვე შემთხვევით მყოფმა უცნობმა ყური მოჰკრა ქართულ საუბარს, იხმო მეპატრონე. „რამდენია გადასახადიო“, – ჰკითხა. 3800დოლარიო, უპასუხა მეპატრონემ. უცნობმა ეს თანხა გადაუთვალა, შემდეგ მოუბრუნდა ქართველებს და ქართულად უთხრა, თქვენნი ჭირიც წაუღიაო, ძმებო, თან აღნიშნა, თბილისში დაბადებული ქართველი ებრაელი ვარო, არც გვარი უთხრა, არც სახელი და სიყვარულით გამოემშვიდობა“.

ქართველმა ებრაელებმა ისრაელში დადგეს შოთა რუსთაველის ძეგლი და დააარსეს მისი ქუჩა, ასევე, თბილისის მოედანი, ლაპარაკობენ, მღერიან და ტირიან ქართულად, ზრდიან შვილებს ქართული ტრადიციებით.

„ერთადერთი ერი – სტუმარი, – წერს აბონ ციციაშვილი, რომელმაც საუკუნეები იცხოვრა საქართველოს ტერიტორიაზე თავისი უბედური ბედის გამო და რომელსაც არასოდეს არ უთქვამს, ეს მიწა ჩემია, ან განსაკუთრებული უფლებები მომეცით, ებრაელი ვრია, მის სამშობლოსაც გაუღიმა ბედმა, აიკრა გუდა -ნაბადი, მადლობა გადაუხადა ქართველ ხალხს განეული შრომისათვის, ერთ ჭერ-ქვეშ ცხოვრებისათვის და წავიდა“.

სხვები? - ამაზე არც ფიქრობენ.

* * *

**საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია –
„გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
თბილისი, 2016, 11-12 ნოემბერი**

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ზერიძე:

სულ ახლახან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „გლობალიზაცია: გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. განხილულ საკითხთა წრე იყო საკმაოდ ფართო: გლობალიზაციის თეორიული ასპექტებიდან დაწყებული, მასთან დაკავშირებული რისკებით დამთავრებული. კონფერენციის მონაწილეთა წრე იყო საკმაოდ შთამბეჭდავი - გერმანია, პოლონეთი, რუსეთი, ბალტიისპირეთი, რუმინეთი, უკრაინა, საქართველო.

ტერმინი - „გლობალიზაცია“, შედარებით ახალი სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა, როგორც მოვლენა, მას ადგილი XX საუკუნის თითქმის მთელ პერიოდში ჰქონდა. გლობალიზაციას ახასიათებს რამდენიმე სპექტრი (შრე) - გლობალიზაცია პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში და სხვა, მაგრამ, გლობალიზაციამ ეკონომიკასა და განათლებაში (ქვეყნებს შორის საგარეო ვაჭრობის განვითარება, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნა, ახალი ტექნოლოგიების დამკვიდრება, განათლების უნივერსალურ სტანდარტებზე გადასვლა) თვისებრივად შეცვალა სამყაროს იერსახე და მისი დინამიკა.

გლობალიზაციის ფენომენს ჰყავს მომხრეებიც და ოპონენტებიც: მომხრეები თვლიან, რომ ეს პროცესი არის ობიექტური და გარდაუვალი, რამეთუ ტექნიკურ პროგრესს და ეკონომიკის განვითარებას ვერაფერი ვერ აღუდგება წინ, ხოლო ოპონენტების აზრით, გლობალიზაციის შედეგად მდიდარი ქვეყნები უფრო მდიდრდებიან, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისათვის სიღარიბე მწვავე პრობლემად რჩება.

ისმის კითხვა: სად არის გამოსავალი? როგორც ყოველთვის, ჭეშმარიტება შუაშია (aurea mediokritas - ოქროს შუალედი) - გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მთავრობებმა უნდა გაატარონ ისეთი პოლიტიკა (ეკონომიკური), რომელიც შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას (მოსახლეობას) გამონახოს თავის ადგილი მსოფლიო ეკონომიკის მდიდარ მოზაიკაში.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 130-მდე ქართველმა და უცხოელმა მეცნიერ-ეკონომისტმა, მათ შორის სხვადასხვა ქვეყნისა და უნივერსიტეტის წარმომადგენელმა (გერმანიიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან, ლატვიაიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, რუმინეთიდან და სხვა ქვეყნებიდან). კონფერენციაზე მუშაობდა 7 სექცია:

- I სექცია - თეორიული ეკონომიკა, მაკროეკონომიკა, ეკონომეტრიკა;
- II სექცია - მიკროეკონომიკა, რეგიონული ეკონომიკა;
- III სექცია - ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა;
- IV სექცია - საერთაშორისო ეკონომიკა, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ეკონომიკური პოლიტიკა;
- V სექცია - საერთაშორისო ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ეკონომიკური ინფორმატიკა;
- VI სექცია - ფინანსები, საბანკო საქმე, ბულალტრული აღრიცხვა და აუდიტი;
- VII სექცია - ტურიზმი და არასაწარმოო სფერო.

კონფერენციის მონაწილეებმა წარმოადგინეს მეცნიერული კვლევების შედეგები, ასევე მოხდა მეცნიერთა გამოცდილებებისა და შეხედულებების ინტენსიური ურთიერთგაზიარება.

პლენარული სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „საქართველო თავისი ეკონომიკური პოტენციალით, ტერიტორიით მცირე ქვეყანაა და ამდენად პოლიტიკა იმ კუთხით უნდა წარიმართოს, რომ საქართველომ საკუთარი ადგილი ნახოს გლობალურ ეკონომიკურ მასშტაბებში, რაც არც თუ ისე მარტივია“.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ქალაქ თბილისის მერი, პროფესორი დავით ნარმანია, აკადემიკოსები: ვლადიმერ შაპავა და აფთანდილ სილაგაძე და სხვები.

კონფერენციის პლენარულ სდომაზე აკადემიკოსმა ვლადიმერ შაპავამ საინტერესო მოხსენება წარმოადგინა: „რეტროეკონომიკა-ნეკროეკონომიკის გლობალიზაციის წინაპირობა“, სადაც პროფესორმა დამსწრეებს ნეკროეკონომიკის შესახებ ახალი ხედვა გააცნო. კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდნენ: ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (IABE) ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი გავრილეთე ადან მარიუსი (თემა: „საავიაციო რისკები და ტერორიზმი“), თსუ-ის პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი

(თემა: „მოდერნიზაციული ავტორიტარიზმის ეკონომიკური შინაარსი: საქართველოს გამოცდილება“), პოლონეთის საზღვაო აკადემიის პროფესორი იგორ არეფიევი (თემა: „სატრანსპორტო სანარმოების ფინანსური მდგრადობის პროგნოზირებისა და შეფასების მეთოდები რისკების პირობებში“), თსუ-ის პროფესორი ნუგზარ თოდუა (თემა: „გლობალიზაციის გავლენა საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის უსაფრთხოებაზე“) და ციტაუ-გორლიცის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის პროფესორი მათიას ფოგტი (თემა: „წოდინდან დაინყო გლობალიზაცია?“).

მომხსენებლებმა განიხილეს მიმდინარე ეკონომიკური საკითხები, გლობალური ეკონომიკის გამოწვევები, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური როლი მსოფლიოში, ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები. კონფერენცია პრაქტიკულად მოიცავდა ყველა იმ საკითხს, რომლებიც კი აქტუალურია ეკონომიკაში ბოლო პერიოდში.

პლენარულის სხდომის შემდეგ, კონფერენციის მონაწილეებმა მუშაობა სექციებში განაგრძეს, სადაც საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს.

I სექცია

თეორიული ეკონომიკა, მაკროეკონომიკა, ეკონომეტრიკა

სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი

პირველ სექციაში წარმოდგენილი იყო მოხსენებები თეორიული ეკონომიკის, მიკროეკონომიკის და ეკონომეტრიკის მიმართულეებიდან.

აკადემიკოს ვ. პაპავას მოხსენება მიეძღვნა ეკონომიკური თეორიის უაღრესად საინტერესო და ახალ პრობლემას - რეტროეკონომიკის როლს ნეკროეკონომიკის გლობალიზაციაში. მოხსენებელმა არგუმენტირებულად ახსნა თუ რა არის იმის მიზეზი, რომ ბევრი უმთავრესად ღარიბი ქვეყნების ეკონომიკაში ძირითადად მოძველებული ტექნოლოგიები გამოიყენება, რის გამოც ყველა ამ ქვეყანას აქვს რეტროეკონომიკა. ეკონომიკის ზომბირების პროცესი მის ტექნოლოგიურ განახლებას უშლის ხელს და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევაში სახელმწიფოს როლი უაღრესად მნიშვნელოვანია.

პროფესორმა იური ანანიაშვილმა განიხილა ლაფერ-კეინზიანურ სინთეზზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური წონასწორობის LKS მოდელი, რომელშიაც ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ფუნქციებში ამხსნელცვლადებად ჩართულია ფასების დონე და საშუალო საგასახადო განაკვეთი. ასეთი მიდგომა ერთი ზოგადი მოდელის ფარგლებში ორი კერძო ვარიანტის LKST-სა და LKSP-ის გაანგარიშების საშუალებას იძლევა. მოხსენებელმა დაახასიათა ორივე მოდელის თვისებები და აჩვენა, რომ ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში არსებობს გარკვეული კორელაცია ფასების დონესა და საგადასახადო დონეს შორის.

პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილის მოხსენებაში გაანალიზებული იქნა მსოფლიოში განხორციელებული და მიმდინარე მოდერნიზაციის ეტაპები და ფორმები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ეკონომიკური მოდერნიზაციის მოდელეებზე, ეკონომიკური მოდერნიზაციის პოლიტიკურ მდგენელზე, კერძოდ, ავტორიტარული მოდერნიზმის ფენომენზე. საქართველოში `ვარდუჭის ხელისუფლების~ 9-წლიანი გამოცდილების ანალიზის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ ეს იყო ავტორიტარული მოდერნიზმის ქართული ვარიანტი(-მოდელი). ნაჩვენები იქნა ამ უკანასკნელის წინააღმდეგობრივი ხასიათი, მისი მარცხის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები.

პროფესორმა გიორგი ბედიანაშვილმა თავის გამოსვლაში ისაუბრა გლობალიზაციის კონტექსტით კულტურის, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და ბიზნესის ფაქტორის შესახებ. მთავარი ყურადღება გამახვილდა კულტურის სისტემურ-კონცეპტუალურ მოდელზე. კულტურის ჰოფსტედესული რაოდენობრივი მახასიათებლების გამოყენებით აჩვენა საქართველოსთვის ამ მაჩვენებლების თანაფარდობა სხვადასხვა ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებლებთან. ჩამოაყალიბა საქართველოსთვის კულტურულ ფასეულობათა გარდაქმნის მიმართულებები გრძელვადიან პერსპექტივაში.

პროფესორი რევაზ გველესიანის მოხსენება მიეძღვნა აქტუალურ თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრობლემას - ეკონომიკური წესრიგის სპეციფიკური ჩარჩო პირობების ფორმირებას, რომელიც განხილული იქნა ინვესტირების მაკროეკონომიკური პირობების - (საგადასახადო და ხარჯების პოლიტიკის, სტარიფო ხელშეკრულების, პარტნიორების მიერ ხელფასებისა და სახელფასო სტრუქტურების ფიქსირების, ფულადი პოლიტიკის, საპროცენტო განაკვეთებისა და ა.შ.) ჩამოყალიბების კუთხით.

პროფესორ თ. ვერულავამ ადამიანის ჯანმრთელობა განიხილა ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად, მან ხაზი გაუსვა ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მიღწეულ წარმატებებს და ამასთანავე, ისაუბრა ზოგიერთ პრობლემაზეც. მომხსენებელმა მიზანშეწონილად ჩათვალა პირველადი სისტემის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯებთან მიმართებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინება. აკადემიური დოქტორის მარინა ტაბატაძის მოხსენება მიეძღვნა სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგიის საკითხებს ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში. მან განიხილა სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები არასტაბილური განვითარების დროს, კრიზისების პრევენციის სამთავრობო სტრატეგიები, სახელმწიფოს მართვის სისტემის ფუნქციონირების ეკონომიკური მექანიზმები, საზოგადოების როლი განვითარების პროცესში და მისი ტრანსფორმაციები ეკონომიკის ლიბერალიზაციის პირობებში.

ეკონომიკის დოქტორმა ც. ძონენიძემ ისაუბრა საჯარო საქონლის როლზე კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და საჯარო საქონელთან მიმართებით სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტზე.

ოსუ-ის დოქტორანტის ნინო ზურაშვილის მოხსენებაში გადმოცემული იყო ქალაქ თბილისში უძრავი ქონების ანალიზი.

კონფერენციის უცხოელი სტუმრის პროფესორ ლევ იაკობსონის მოხსენება შეეხო რუსეთის ფედერაციაში ექსპერტების როლის შეფასებას ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში. მოხსენებლმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამჟამად ჭარბობს პრობლემისადმი ტექნოკრატიული მიდგომა, რაც მისი აზრით, შეიცავს არათანმიმდევრული და არარაციონალური გადაწყვეტილებების მიღების საფრთხეს. კონფერენციის ასევე უცხოელი მონაწილის - პროფესორ ნატალია მაკაშევას მოხსენებაში განხილული იქნა ფილოსოფიის, თეორიული ეკონომიკისა და ეკონომიკის ისტორიის მიჯნაზე არსებული პრობლემა - ცნობილი რუსი ეკონომისტის მ. ტუგან-ბარანოვსკის მიერ განხორციელებული მცდელობა - შეეერთებინა რაციონალური ხედვა და კანტიანური იმპერატივი, რითაც იგი ესწრაფვოდა პოლიტიკური ეკონომიის ეთიკური საფუძვლის შექმნას.

II სექცია

მიკროეკონომიკა, რეგიონული ეკონომიკა

სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი ეთერ ხარაიშვილი

სექციაში გათვალისწინებული იყო 10 მოხსენება 13 მოხსენებლით. მოხსენებები ძირითადად რამდენიმე აქტუალურ პრობლემას შეეხებოდა: 1. კონკურენტუნარიანობა და კონკურენცია, კლასტერების როლი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში; 2. აგრობიზნესის განვითარების ეკონომიკური და ფინანსური უზრუნველყოფის გამოწვევები გლობალიზაციის პირობებში; 3. გლობალიზაცია და რეგიონული ეკონომიკური პრობლემები.

სექციაში ძირითადად მონაწილეობდნენ ოსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორები მიკროეკონომიკის, მარკეტინგის, მენეჯმენტის, ეკონომიკური პოლიტიკის, ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრებიდან, ასევე, იყვნენ მონაწილე სტუმრები საქართველოს საავიაციო ინსტიტუტიდან. სექციაში წარმოდგენილი სტატიები საკმაოდ მრავალფეროვან საკითხებს და პრობლემეტიკას მოიცავდა. სექციაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი მოხსენებები: ინტელექტუალური საკუთრება საქართველოში (დამენია ნ.), სოციალური მენარმეობა საქართველოში: პრობლემები, პერსპექტივები (ერქომაიშვილი გ., ფარესაშვილი ნ), ევროკავშირის ქვეყნებში საოჯახო ფერმერული მეურნეობის თანამედროვე პრაქტიკა და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის (ნაცვლიშვილი ი.), აგროსასურსათო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა მსოფლიოსა და საქართველოში (ოქრუაშვილი ნ., სეთური მ.), კლასტერების როლი და მნიშვნელობა კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში (სამჭკუაშვილი ნ.), კონცესიები ტრანსპორტის სფეროში (სუხიტაშვილი ი., იმედაშვილი გ.), აგრობიზნესის ფუნქციონირების ძირითადი ტენდენციები და ფინანსური უზრუნ-

ველყოფის სისტემა საქართველოში (ლუტიძე თ.), ფერმერული მეურნეობების მასშტაბების ზრდის პოტენციური შესაძლებლობები საქართველოში (ჩავლიძე-ვილი მ.), ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის სტიმულირების პროგრამები და მათი ეფექტიანობა (ხარაიშვილი ე., სალარიშვილი ნ.) .

დღეისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის უზრუნველყოფას სათანადო რაოდენობისა და ხარისხის აგროსასურსათო პროდუქციით. გლობალიზაციის პირობებში ცალკეული ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, ადგილობრივი ბაზრის მდგომარეობაზე უშუალოდ აისახება მსოფლიო აგროსასურსათო ბაზრის ცვლილებები. გლობალიზაცია არის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება პლანეტის არსებობის შენარჩუნების უმთავრეს პირობას - ადამიანთა საკვებით უზრუნველყოფის აუცილებლობას. ამ მიმართულებით მკვლევარებმა სხვადასხვა პრობლემა შეაფასეს. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს საერთაშორისო ვაჭრობის როლზე ქვეყნების განვითარებაში. ამ თვალსაზრისით განიხილეს ორი ალტერნატიული სტრატეგია: 1. ექსპორტის სტიმულირება; 2. იმპორტის ჩანაცვლება. მათ ასევე, შეაფასეს აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკა ადგილობრივი წარმოების ზრდით, გააკეთეს დასკვნები ადგილობრივი წარმოების ზრდისა და ექსპორტის სტიმულირების საფუძველზე დადებითი სავაჭრო ბალანსის ფორმირების შესახებ. როგორც ადგილობრივი, ასევე, უცხოეთის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე წარმოდგენილი იქნა საინტერესო ხედვები ფერმერულ მეურნეობათა ოპტიმალურ მასშტაბებზე, მცირე და მსხვილ ფერმერული მეურნეობათა უპირატესობებზე.

რეგიონული განვითარების კუთხით მეცნიერებმა ყურადღება გაამახვილეს კლასტერულ სტრატეგიაზე და შეაფასეს იგი როგორც რეგიონების განვითარების დაგეგმვის პროცესში აუცილებელი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი.

სიახლე იყო საქართველოში სოციალური მენარმეობის არსებული მდგომარეობისა და განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორების ანალიზი. შემოთავაზებული იქნა სოციალური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნის იდეა.

გლობალიზაციის პირობებში, მკვეთრად იჩინა თავი სახელმწიფო ობიექტების კომერციალიზაციისათვის ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობამ. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, ხშირ შემთხვევაში, მთავრობები პრივატიზების ნაცვლად იყენებენ კონცესიის შეთანხმებას. მომხსენებლებმა აღნიშნული აქტუალური საკითხი სატრანსპორტო ობიექტების მაგალითებზე წარმოადგინეს, დეტალურად შეაფასეს კონცესიის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

სექციამ მოხსენებების საფუძველზე ორი ტიპის რეკომენდაცია შეიმუშავა: 1. სამთავრობო სტრუქტურებისათვის; 2. კერძო სექტორისათვის.

ზოგადად კონფერენცია, მათ შორის „მიკროეკონომიკა, რეგიონული ეკონომიკა“ სექციის მუშაობა ნაყოფიერად წარიმართა. გარდა იმისა, რომ მკვლევარებმა ერთმანეთს გაუზიარეს თანამდეროვე აქტუალური პრობლემები და

შემოგთავაზებს მათი გადაჭრის რეკომენდაციები, იყო საინტერესო შეხვედრები უცხოელ მეცნიერებთან. განსაკუთრებით მინდა გამოვყო შეხვედრა, რომელიც წარიმართა მიკროეკონომიკის კათედრაზე ჩეხეთის რესპუბლიკის ბრნოს უნივერსიტეტის პროფესორებთან: ივეტა სიმეროვასთან (დეკანის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში), ალიონა კოსმანოვასთან (დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში) და პეტერ ნემეცკესთან. მათთან საქმიანი საუბრების პროცესში გამოიკვეთა ბრნოს და ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის განვითარების გზების ძიების აუცილებლობა როგორც სამეცნიერო, ასევე, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების გაფართოებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

III სექცია

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა

სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი სიმონ გელაშვილი

სექციაზე წარმოდგენილი იყო სულ 11 მოხსენება, მათგან მოსმენილი იქნა 7. ესენია: გლობალიზაცია სტატისტიკის თვალთახედვით (მინდორაშვილი მ.); სისხლის სამართლის სტატისტიკის მეთოდოლოგიის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში (აბესაძე ნ., მჭედლიშვილი ლ.); იაპონიის წვლილი გლობალურ სტატისტიკურ გარემოში (გელაშვილი ს.); საქართველოსთვის რუსეთის ბაზრის პერსპექტივა და ტენდენციები ემბარგოს შემდეგ (მარშავა ქ., ძეგისაური ლ.); სკოლამდელი განათლება - განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ნულოვანი საფეხური (ჩარეჩიშვილი ლ.); სოციალური მედია - პროგნოზირების სანდო ინდიკატორი? (გიგინეიშვილი ნ.); მიგრაციული პროცესების ინფორმაციული წყაროები და მიგრაციის მაჩვენებლები (ქინქლაძე რ., ყურაშვილი გ.).

სექციაზე მოსმენილმა მოხსენებებმა დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან ყოველი მათგანი მოიცავდა როგორც თეორიული, ასევე გამოყენებითი ხასიათის სიახლეებს. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია შემდეგმა მოხსენებებმა: „გლობალიზაცია სტატისტიკის თვალთახედვით“, რომელშიც ყურადღება იყო გამახვილებული გლობალიზაციის პოზიტიურ ასპექტებზე და იმავდროულად დაფარულ რისკებზეც, განსაკუთრებით ეკონომიკაში. ამის გამო ოფიციალური სტატისტიკა იძულებულია გადახედოს შიგა ეკონომიკის გასაზომად ეროვნული ანგარიშების, მონაცემების შეგროვებისა და კომპილაციის არსებულ სისტემებს. საინტერესო იყო ასევე მოხსენება „იაპონიის წვლილი გლობალურ სტატისტიკურ გარემოში“, რომელშიც წარმოდგენილი იყო იაპონიაში დაარსებული გაეროს ერთადერთი საერთაშორისო ინსტიტუტის დ აზია-წყნარი ოკეანის სტატისტიკური ინსტიტუტის დ როლი სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკო-

სების კვალიფიკაციის ამაღლებაში. აღნიშნულ ინსტიტუტს დიდი წვლილი შეაქვს მსოფლიო მასშტაბით სტატისტიკის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში. ფართო დისკუსია გამოიწვია მოხსენებამ „სოციალური მედია - პროგნოზირების სანდო ინდიკატორი?“, სადაც მოხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ციფრული მედიის მნიშვნელობაზე თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში, რაც ერთ-ერთ ლიდერ ინდუსტრიად იქცა. საინტერესო მაგალითი იყო მოყვანილი ვირტუალურ სივრცეში პოლიტიკური პარტიების საქმიანობაზე. ასევე დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი და ფართო დისკუსია გაიმართა მოხსენების გარშემო - „სისხლის სამართლის სტატისტიკის მეთოდოლოგიის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში“. მასში განხილული იყო სისხლის სამართლის საქმეების მოძრაობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა პირველი ინსტანციის სასამართლოების მიხედვით და მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) რეკომენდაციების გათვალისწინებით სამართლებრივი სტატისტიკის სრულყოფის საკითხები.

სექციაზე წარმოდგენილი მოხსენებების საფუძველზე მომზადდა თეორიულდემთოლოგიური და პრაქტიკული ხასიათის კონკრეტული რეკომენდაციები, რომელიც გადაეცა კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს.

IV სექცია

საერთაშორისო ეკონომიკა, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ეკონომიკური პოლიტიკა

სექციის ხელმძღვანელი: აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ინიციატივით ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მაღალორგანიზებულობით გამოირჩეოდა. კონფერენცია მიეძღვნა მეტად აქტუალურ - გლობალიზაციის ფონზე თანამედროვე ეკონომიკური კვლევების გაძლიერების პრობლემას. კონფერენციაზე საინტერესო კვლევითი შედეგები წარმოაჩინეს ცნობილმა ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა, ახალგაზრდა და პერსპექტიულმა მკვლევარებმა. ღონისძიების ჩატარება უფრო მიმზიდველი გახდა მოხსენებების წინასწარმა გამოქვეყნებამ (დაზეჟდვამ).

IV სექციაში განსახილველად წარმოდგენილი იყო სწავლული-ეკონომისტების შემდეგი მოხსენებები: „საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობათა სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები“ (ნ. ახვლედიანი); „საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია და ინტეგრაცია, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი (ბ. ბერიშვილი)“; „ევროატლანტიკური ფასეულობები“ (მ. ვეშაპიძე, მ. დარბაიძე, თ. ბერიძე); `თავისუფალი ინდუსტრიული ზონები საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება~ (გ. მენაფიური); „ჰინდაპინი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონო-

მიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე)“ (დ. სიხარულიძე); „ევროპული ინტეგრაციის ისტორიული ასპექტები“ (რ. ფუტკარაძე); „საქართველოს 2015 წლის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი: შესაძლებლობები და გამოწვევები“ (გ. ლაღანიძე); „საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის პრობლემა გლობალიზაციის პირობებში“ (ლ. ყორღანაშვილი); „ტრანსნაციონალური კორპორაციები და ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერი“ (შ. შაბურიშვილი); „გლობალური კონკურენცია და წარმატებული სტრატეგია“ (ე. ჯულაყიძე) და სხვა.

მოსხენებებში წარმოდგენილი მოსაზრებების მიხედვით: გლობალიზებულ ეკონომიკაში უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ლიბერალურ მიდგომებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი საჭიროა მთარველობითი პოლიტიკის გამოყენებაც; ევროკავშირთან მჭიდრო ინტეგრაცია პრიორიტეტულია საქართველოსთვის; ევროატლანტიკური ფასეულობების გამოკვლევები უნდა გაღრმავდეს; საჭიროა მთავრობამ მაქსიმალურად წაახალისოს, როგორც საექსპორტო პროდუქციის წარმოება, ასევე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამ მიზნით, ჩვენი ქვეყნისთვის სარგებელიანი იქნება „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების“ სწრაფად ამოქმედება; საქართველოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფილი ანალიზი ყოველთვის ფასეულია და სხვ.

პლენარული და სექციური სამუშაოების მიმდინარეობამ კონფერენციის პროდუქტიულობა გამოკვეთა, შედეგების შეჯამებისას შემუშავდა საინტერესო რეკომენდაციებიც, კერძოდ: საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშავოს კონკრეტული ღონისძიებების გეგმა (გაწერილი წლების მიხედვით) თუ რომელ წელს რა დონით მიუახლოვდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები იმ „საშუალო ევროპულ ეკონომიკურ ინტეგრაციულ მაჩვენებლებს“, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარებას ევროკავშირში.

V სექცია

საერთაშორისო ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ეკონომიკური ინფორმატიკა

სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი ნუგზარ თოდუა

სექციაზე წარმოდგენილი იყო 22 მოხსენება: ეკონომიური წარმოების (Lean production) პროექტის არსი და მისი გავლენა კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე (დუდაური თ.); ეროვნული იდენტობა და ქვეყნის ბრენდირება გლობალურ სისტემაში (თანდილაშვილი ა.); საქართველოს სასურსათო ბაზარზე სამართლებრივი გარემოს ფორმირების ძირითადი ასპექტები (თოდუა ნუგზარი თ., მღებრიშვილი ბ., უროტაძე ე.); ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა ბიტკოინი და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში (კალანდაძე ლ.); ანტიკრიზისული პიარი (კობალავა მ.); ემოციური ინტელექტის

მნიშვნელობა წარმატების მიღწევაში (მაისურაძე თ.); მცირე და საშუალო მენარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა (მაისურაძე რ.); ინფორმაციული ნაკადების ოპტიმიზაცია და სრულყოფა ორგანიზაციაში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მაგალითზე (მაჩიტაძე მ., დავითაია შ.); კონსტრუქციული ქვეყნის სტიმულირება კონფლიქტურ სიტუაციაში (ნიკვაშვილი მ.); უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ეფექტი მასშინძელი ქვეყნის ეკონომიკაში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო ბიზნესის მაგალითზე) (ჟორჯოლიანი თ.); ბიზნესის ვირტუალიზაციის გლობალური ტენდენცია და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული პრობლემები (რამიშვილი ბ.); მრავალექტორიანობა-საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი (სამადაშვილი უ.); საბაჟოს მართვის ეფექტიანობის ამაღლება რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემის საშუალებით (სეთურიძე რ.); ვირტუალიზაციის ტექნოლოგიის არსი, თავისებურებანი და გამოყენების პერსპექტივები საქართველოში (სიჭინავა დ., გოგნაძე თ.); ბუნებრივი რესურსები - ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს ფორმირების ხელშემწყობი ფაქტორი (ქადაგიშვილი ლ.); მართვის ხარისხი და მისი გავლენა საქართველოს საჯარო სექტორზე (ქვეშელაშვილი გ.); საქართველოს ინოვაციური განვითარების სტარატეგია (ქუთათელაძე რ., ქუთათელაძე ქ.); კულტურა, როგორც „ცოდნის პერცეპცია“ და მისი ზეგავლენა საერთაშორისო ბიზნესზე (შენგელია თ.); თვითმენეჯმენტის თეორიიდან პრაქტიკისაკენ: კარიერის დაგეგმვისა და შექმნის პრინციპები (შიხაშვილი გ.); მარკეტინგის სოციალურ-ეთიკური ასპექტები (კონცეპტუალური მიმოხილვა) (ჩაჩიკა ჯ., ჯანგულაშვილი თ.); მაგისტრანტთა თვითმენეჯმენტის თავისებურებები საქართველოში (ხარაძე ნ., გულუა ე.); ემოციური ინტელექტის განვითარების მნიშვნელობა ბიზნესში (ხარხელი მ., მორჩილაძე გ.).

ნაშრომებში განხილულია გლობალიზაციის პირობებში საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები, გაანალიზებულია ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც დამახასიათებელია ინტერნაციონალიზმის პროცესში ჩართული ქართული კომპანიებისათვის. ნაშრომებში მოცემული კვლევის ძირითადი შედეგების განზოგადების საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნები:

ნაჩვენებია ქართული კომპანიებში ეკონომიური წარმოებისა და გაუმართლებელი ხარჯების შემცირების კონცეფციის დანერგვის შესაძლებლობები, რომლებიც უზრუნველყოფენ გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია გლობალურ გარემოში ქვეყნის იმიჯის ფორმირების, საიდენტიფიკაციო ფუნქციებისა და კონკურენტულ უპირატესობებზე პოზიტიური იმიჯის გავლენის თავისებურებებზე. ევროპასთან ასოცირების კონტექსტში უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიჩნეულია საქართველოში სასურსათო ბაზრის რეგულირების სფეროში ევროპული სტანდარტების დანერგვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დახასიათებულია სურსათის ბიზნეს-

თან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი აქტების შექმნისა და ამოქმედების პროცესი. ამ თვალსაზრისით, აქცენტი გაკეთებულია მარკირებისა და მომხმარებელთა ინფორმაციით უზრუნველყოფის საკითხებზე. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბიტკოინტექნოლოგიები საქართველოში განვითარების საწყის ეტაპზეა. თუმცა, გლობალიზაციის ტრენდი და ინტერნეტგაყიდვები, სავარაუდოდ, მოიტანს ბიტკოინის სწრაფად გავრცელებას საქართველოში. შესაბამისად, ბიტკოინის გამოყენება ბიზნესში სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდება.

წარმოდგენილია ანტიკრიზისული სტრატეგიის შემუშავების მართვის მექანიზმები, აგრეთვე ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ დასაქმებულთა მუშაობის ხარისხს, გუნდურობას, მოქნილობას და სხვა იმ თვისებებს, რითაც მათი დასაქმება ორგანიზაციისათვის ნაყოფიერი იქნება. შეფასებულია მცირე და საშუალო მენარმეობის თანამედროვე მდგომარეობა, აგრეთვე, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში განხორციელებული პროგრამები და პროექტები. ჩამოყალიბებულია კომუნიკაციის როლი ორგანიზაციის განვითარებაში, კომუნიკაციის ნაკადები და შემოთავაზებულია მათი ოპტიმიზაციისთვის საჭირო ტექნოლოგია. ვირტუალიზაციის კონტექსტით განხილულია ადამიანის ფაქტორის როლი ორგანიზაციებში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია პრაქტიკული თვითმენეჯმენტის ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორცაა კარიერის დაგეგმვისა და შექმნის საკითხები.

ბიზნესის განვითარების წინაპირობაა ქვეყანაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება. აღნიშნულის გათვალისწინებით, განხილულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე და ის პრობლემები, რომლებიც უკავშირდება უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებას. დასაბუთებულია საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოსვლისათვის ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ობიექტური აუცილებლობა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მთავარი მიმართულებად მიჩნეულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანი განხორციელება და დივერსიფიცირებულ საერთაშორისო ბაზრებზე საქმიანობა. საერთაშორისო ბიზნესზე კულტურულ ურთიერთობათა გავლენის შესახებ არსებული თეორიული მიდგომების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე არგუმენტირებულია კულტურის სტატიკური გაზომვებიდან დინამიკურ კონსტრუქციაზე - რეალობის ამსახველ ცოდნის პერსპექტივაზე გადასვლის აუცილებლობა.

ჩამოყალიბებულია ინფორმაციული სისტემების პროგრამული და აპარატურული კომპონენტების ვირტუალიზაციის ასპექტები, მათი ძირითადი უპირატესობები და ნაკლოვანებები, დასაბუთებულია ვირტუალიზაციის დანერგვის პერსპექტივები საქართველოს განათლების სფეროში. ნაჩვენებია რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემის როლი საბაჟო სისტემის მართვის სრულყოფაში. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ჩა-

ტარებული სხვადასხვა შეხვედრა ხელს შეუწყობს რისკების მართვის სრულყოფის კუთხით უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას, რაც საბაჟოს მართვის ეფექტიანობის ამაღლების გარანტია იქნება.

განალიზებულია საჯარო სექტორის რეფორმირებისა და ეფექტიანი საჯარო მმართველობის სისტემის შექმნის საკითხები. შესწავლილია საქართველოს ბუნებრივი რესურსების როლი ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებაში. მოცემულია სოციალური მარკეტინგის, კორპორაციული სოციალური მარკეტინგისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხების კონცეპტუალური მიმოხილვა და მათი პრაქტიკული განხორციელების მნიშვნელობა.

დადგენილია ძირითადი ტენდენციები და პრობლემური საკითხები, რომლებიც დროის ბიუჯეტის გამოყენების მიმართულებით არსებობს. შესწავლილია ძირითადი გამოწვევები და შემუშავებულია რეკომენდაციები, რათა ქვეყანამ მიიღოს სრულფასოვანი შრომისუნარიანი სამუშაო ძალა. ნაჩვენებია აგრეთვე ემოციური ინტელექტის განვითარების მნიშვნელობა როგორც მენეჯერებისთვის, ასევე მათ დაქვემდებარებაში მყოფი კადრებისთვის.

ნაშრომებში ჩამოყალიბებული დასკვნებისა და რეკომენდაციების პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და მათ აქტიურ ჩართვას ინტერნაციონალიზაციის პროცესში, რაც ქართული ბიზნესის წარმატებას უზრუნველყოფს.

VI სექცია

ფინანსები, საბანკო საქმე, ბულალტრული აღრიცხვა და აუდიტი

სექციის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე

სექციაზე წარმოდგენილი იყო 25 მოხსენება. სექციის მუშაობაში (მოხსენება-დისკუსიებში) მონაწილეობა მიიღო ოცმა მომხსენებელმა (მათ შორის 4 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი, 2 დოქტორანტი). სექციაში განხილულ თემატიკასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენებებს შორის ფართო და საინტერესო დისკუსიები წარიმართა, სექციაში მუშაობისას გამოიკვეთა, რომ ამ კონფერენციას არა მარტო თეორიული, არამედ ჩვენი ქვეყნის ბევრი საჭირობო პრაქტიკული ხასიათის პრობლემატიკის გადაწყვეტის გზებიც აქვს მოფიქრებული, რომლებზეც შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა დროულად უნდა მოახდინონ რეაგირება, კერძოდ: სექციაზე ძალზე მნიშვნელოვანი კვლევა წარმოადგინა აკაკი გაბელაიამ, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა. კვლევა ეხება საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზირების პრობლემას. მის მიერ ჩატარებულია საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების დინამიკის ანალიზი 2002-2015 წლებისათვის, მიღებულია შესაბამისი საბაზო მოდელები და ამ მოდელებზე ნაპოვ-

ნია ძირითად მაჩვენებლთა პროგნოზული შეფასებები 2016-2018 წლებისათვის. კვლევიდან გამომდინარე შეფასებულია ე.წ. ესტონური მოდელის დანერგვის გავლენა აღნიშნულ მაჩვენებლებზე. გაკეთებულია ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი (საკუთარი) შემოსავლების და მოგების გადასახადიდან მისაღები შემოსავლების პროგნოზული შეფასებები, ვფიქრობ ამ მასალის სრული სახით ფინანსთა სმინისტროსათვის გადაგზავნა სათანადო შედეგს გამოიღებს. სექციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და მტკივნეული საკითხების გადაჭრის როლზე გაამახვილეს ყურადღება (წარმოდგენილ თემაში „შემოსავლების აღიარების ახალი მოდელი-ფასს 15 ამონაგები კონტრაქტებიდან“) თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრამ, კერძოდ, ასოცირებულმა პროფესორმა ნადეჟდა კვატაშიძემ და ამავე კათედრის უფროსმა მასწავლებელმა ზინაბ გოგრიჭიანმა, რომელთა მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში ხაზი გაესვა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო საბჭოს და აშშ-ის ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს ერთობლივად შემუშავებულ ფასს 15 ამონაგები კონტრაქტებიდან~ საკითხს. სტანდარტი ამოქმედდება 2017 წლიდან და ჩანაცვლებს ბასს-ებს. ახალი სტანდარტი შეცვლის მრავალი სფეროს ამონაგების აღიარების ვადებსა და მეთოდებს, კერძოდ მშენებლობის, ტელეკომუნიკაციების (მობილური ქსელები, საკაბელო) ლიცენზირების (მედიასექტორი, მეცნიერება, ფრანზაიზინგი), უამრავი ქონების, პროგრამულ უზრუნველყოფას და სხვ. გამოითქვა შემფოთება, რომ აღნიშნული სტანდარტი და სავადასახადო კოდექსი შეუსაბამობაშია და მენარმეთა ძირითადი ნაწილი სრულ გაუგებრობაშია, ვინაიდან, ღღემდე არ არის გარკვეული ანგარიშგების წარმართვის კანონიერი ხედვა. სექციამ მიზანშეწონილად ჩათვლა ოპერატიულად ეცნობოს ამ პრობლემის დაუყოვნებლივ მოგვარების შესახებ ფინანსთა სამინისტროს, რათა მიღებულ იქნეს სათანადო გადაწყვეტილება ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, არაუგვიანეს 2017 წლამდე.

სექციის მუშაობის დროს ძალზე ფართო დისკუსიის საგანი გახდა ასოცირებული პროფესორის მურად ნარსიას მოხსენება - „აუდიტი, ახალი გამოწვევები საჯარო შესყიდვების სფეროში“. როგორც მოხსენებელმა აღნიშნა, საქართველოს 2012 წელს მიღებულმა კანონმა „ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, ჩიხში შეიყვანა ბიზნესმენები და აუდიტორები ბულალტრული აღრიცხვის წარმოების მხრივ. აქედან გამომდინარე, სექციამ მიიჩნია, რომ აღნიშნული კანონით შექმნილმა ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის ორგანომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად, უნდა გაატაროს ადეკვატური ღონისძიებები და მიიღოს გადამჭრელი ზომები იმ მიზნით, რომ სახელმწიფო შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე აუდიტორებმა გაუმართავი საკანონმდებლო აქტების გამო არ დაუშვან დარღვევა-გადაცდომები. დაუყოვნებლივ გადასაწყვეტია შესამაბისი ნორმატიული აქტის სრულყოფის საკითხი.

საინტერესო მეცნიერული რეკომენდაცია-წინადადებები იქნა წარმოდგენილი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო

საქმის კათედრის დოქტორანტის ლევან კალანდაძის მოხსენებაში - „ვირტუალური კრიპტოგრაფიული ვალუტა ბიტკოინი და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში“. კრიპტოგრაფიული ვალუტა ბიტკოინის გაჩენამ და მისი პოპულარიზაციის ზრდამ, ცენტრალურ ბანკებს ახალი ამოცანები დაუსახა. აღნიშნული საკითხი გახდა სექციის ფართო დისკუსიის საგანი.

სექციამ მუშაობის დროს მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის ლაშა ბერიძის მოხსენებას თემაზე - „კონკურენციის კვლევა საბანკო სექტორში ირიბი მეთოდის მიხედვით“, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უმსხვილესი კომერციული ბანკების წილების გამოთვლას და მეცნიერულ დასკვნებს. აღნიშნული კვლევა იმდენად მნიშვნელოვანი და საგულისხმოა, რომ ის დიდ დახმარებას გაუწევს „ბანკი რესპუბლიკის“, „თიბისი ბანკის“, „საქართველოს ბანკის“, „ლიბერთი ბანკის“ და სხვა ბანკების შესაბამის სამსახურებს, კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტაში.

VII სექცია

ტურიზმი და არასაწარმოო სფერო

სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი ხელაშვილი იოსები

სექციაში წარმოდგენილი იყო 22 მოხსენება საქართველოს გერმანელი, პოლონელი, ლიტველი და ქართველი მეცნიერების მიერ.

განხილული მოხსენებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პოლონელი მეცნიერის, *ამბროზიაკ ლუკასის* (Ambroziak Lukasz) მოხსენება თემაზე: „ექსპორტის დამატებული ღირებულება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში“.

გლობალიზაციის პირობებში, სულ უფრო ფართოვდება შრომის საერთაშორისო გადანაწილების გეოგრაფია. ამის შედეგად, იზრდება იმ პროდუქტებისა და მომსახურების რიცხვი, რომელთა წარმოებაში რამდენიმე ქვეყანაა ჩართული. მეტიც, ერთი და იმავე ქვეყანამ შესაძლოა არაერთხელ მიიღოს მონაწილეობა ტექნოლოგიური პროცესების სხვადასხვა ეტაპზე.

ასეთ ვითარებაში, რთულდება წარმოებაში მონაწილე ქვეყნების ექსპორტის დამატებული ღირებულების წყაროების განსაზღვრა სტატისტიკის ტრადიციული მეთოდებით. ავტორმა მოახდინა „მოხმარება-გამოშვების“ მოდელის ადაპტირება აღნიშნულ პროცესში ექსპორტის დამატებული ღირებულების განსაზღვრის მიზნით. მეთოდი აპრობირებული იქნა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის რეგიონის მაგალითზე.

კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული რეგიონის ერთიან ევროპულ ეკონომიკაში ინტეგრაციის შედეგად 1995-2011 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა შემავალი ქვეყნების საექსპორტო შემოსავლები და ეს ზრდა ძირითადად განაპირობა დამატებული ღირებულების ზრდამ იმ პროდუქტებსა და მომსახურებაზე, რომელიც შემოდიოდა რეგიონის ქვეყნებში სხვა ქვეყნებიდან.

საქართველოსათვის, რომელიც ადგას ევროინტეგრაციის გზას, აღნიშნული საკითხის შესწავლა უდავოდ აქტუალურია. განსაკუთრებით იგი მნიშვნელოვანია ტურიზმის ინდუსტრიასთან მიმართებით, სადაც ამ დარგის წილი ქვეყნის საერთო ექსპორტში აღემატება 36%-ს. ამასთან, არ არის აღრიცხული თუ რა როლი მიუძღვის ტურისტული მომსახურების ექსპორტში უცხოური კომპანიების პროდუქციას და მომსახურებას. ვინაიდან ტურიზმის განვითარება აღიარებულია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად, აღნიშნული საკითხის აქტუალურობა კიდევ უფრო გაიზრდება მომავალში.

აღნიშნავს იმსახურებს ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის *ნანა კაციტაძის* მოხსენება ე.წ. MICE-ს ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე საქართველოში. ტურიზმის ეს სახეობა, რომელიც ითვალისწინებს ვიზიტებს საქმიან და კულტურულ ღონისძიებებზე დასწრების და მონაწილეობის მიზნით, დარგის განვითარების პრიორიტეტს წარმოადგენს ზოგადად მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე და განსაკუთრებით საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის პროცესების გათვალისწინებით. ავტორი აღნიშნავს საქართველოში MICE-ს ტურიზმის განვითარების მოსალოდნელ შედეგებს: სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებას, განათლების გავრცელებას და პროფესიულ განვითარებას, ტურიზმისთვის მაღალი დონის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, ტურიზმის სფეროში სეზონურობის პრობლემების დაბალანსებას, შემოსავლების ზრდას და ქვეყანაში მდგრადი ტურიზმის განვითარებას, რაც მიმდინარე ეტაპზე ეკონომიკის განვითარების საერთაშორისო სტანდარტად ინერგება მთელს მსოფლიოში. ავტორის მიერ მოძიებული და გაანალიზებული ინფორმაცია დამაჯერებლად ასახულებს ამ დარგის განვითარების აუცილებლობას და ქმნის წინაპირობას შემდგომი კვლევების ჩასატარებლად, რაც თამამად შეიძლება შეფასდეს, როგორც ქვეყნისათვის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი აქტუალური და მნიშვნელოვანი მიმართულება.

ტურიზმის სექციის მუშაობაში აგრეთვე აღსანიშნავია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტის *რევაზ გეწაძის* მოხსენება ქვეყნის ე.წ. სუვერენული რეიტინგების თემაზე. ტურიზმის ინდუსტრიის ზრდა არსებითადაა დაკავშირებული უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან, ხოლო ინვესტიციების ღირებულება - ქვეყნის სუვერენულ რეიტინგზე. მომხსენებელმა განიხილა მსოფლიოში სამი წამყვანი სარეიტინგო კომპანიების მეთოდოლოგია: (Standard & Poor's, Fitch Ratings და Moody's), 10 ქვეყნის მიმართ (ავსტრია, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ნიდერლანდები, პორტუგალია და ესპანეთი), ასევე აღნიშნული რეიტინგების ცვალებადობა კრიზისულ და პოსტ-კრიზისულ პერიოდებში. ჩატარებული კვლევის შედეგად, ავტორმა წარმოადგინა თავისი მოსაზრება რეიტინგების ცვლის გენეზისსა და ძირითად ფაქტორებზე. ტურიზმის ინდუსტრიის შემდგომი ზრდის გეგმებთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობას იძენს ამ ასპექტების შესწავლა სასტუმროების ინვესტირების მიმართულებით.

სექციაში წარმოდგენილი იყო სხვა აქტუალური თემებიც, რომლებიც უკავშირდებოდა ტურიზმის რეგულირების სრულყოფის საკითხებს, ქვეყნის ურბა-

ნულ და რურარულ რეგიონების კომლექსურ განვითარებას ლატვიის მაგალითზე და სხვა საკითხებს.

დისკუსიებში იოსებ ხელაშვილმა უცხოელ სტუმრებთან განიხილა უძრავი ქონების საინვესტიციო ტრასტის შექმნის საკითხი. ხაზი გაესვა აღნიშნული ტრასტის სპეციფიკას და მისი განვითარების აქტუალურობას საქართველოში. სპეციფიკასთან დაკავშირებით ითქვა, რომ ეს ტრასტი გამიზნულია ქვეყანაში არსებული მცირე დანაზოგების უძრავი ქონების მსხვილ საინვესტიციო პროექტებში მობილიზებაზე. საქართველოში, სადაც საბანკო ანაბრების 95%-ზე მეტი შეადგენენ 5000 ლარზე ნაკლები შენატანები, თითოეული ასეთი დანაზოგი ვერ იქნება გამოყენებული, როგორც საინვესტიციო რესურსი. ამასთან, ამ ანაბრების მობილიზება, რამდენიმე ათეულ მლნ. ლარის ფონდში, საშუალებას მისცემს მათ გახდნენ უძრავი ქონების თანაინვესტორები და მაღალი ალბათობით მიიღონ ამ თანხებიდან მეტი სარგებელი, ვიდრე იღებენ პასიური ანაბრებიდან. აღინიშნა, რომ ამ სარგებლის მიღების მაღალ ალბათობას განაპირობებს უძრავი ქონების შედარებით მაღალი ლიკვიდურობა და აღნიშნული სტატუსის მატარებელი ტრასტების ვალდებულება გაანაწილონ მოგების 90% დივიდენდების სახით. ინვესტირების ობიექტები შესაძლოა იყოს სასტუმროები, საავადმყოფოები, სანაპიროები, მსხვილი სავაჭრო ცენტრები, საცხოვრებელი და საოფისე შენობები. მეტიც, დიდ ბრიტანეთში ასეთი ტრასტები უნდა ფლობდნენ სულ ცოტა სამ უძრავ ქონებას და თითოეული მათგანის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი ჰაკეტის ღირებულების 40%-ს. ასეთი მიდგომა ამცირებს ინვესტიციების რისკს მათი დივერსიფიკირების მეშვეობით.

შემოსავლების მიღების სანდოობასთან მიმართებით ხაზი გაესვა სამ დამატებით გარემოებას. ერთი, სასტუმრო ობიექტების ფუნქციონირების სტაბილურობას ხელს შეუწყობს ტურიზმის ინდუსტრიის ბუმი საქართველოში, რომელსაც ექცევა განსაკუთრებული ყურადღება მთავრობის მხრიდანაც. მეორე, ასეთ ფონდებში მოსახლეობის ფართო ჩართულობის გათვალისწინებით, შესაძლოა საოფისე შენობების დამქირავებლები გახდნენ სახელმწიფო დანესებულებები, რაც სტაბილური შემოსავლების გარანტი იქნება. დაბოლოს, დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული ტრასტების შემოსავლები განთავისუფლებულია მოგების გადასახადისგან. ეს ზრდის დივიდენდების მოცულობას, რომელიც წარმოადგენს დაბეგვრის ობიექტს.

განხილული ტრასტების შემოსავლები ნაწილდება ფონდის მრავალრიცხოვან აქციონერებზე. ასეთ გადანაწილებას ხელს უწყობს დასავლეთის ქვეყნებში მიღებული პრაქტიკა, სადაც აღნიშნული სტატუსის მატარებელი საჯარო ტრასტების ფონდში იკრძალება რომელიმე ერთი სუბიექტის (აქციონერის) მიერ საკონტროლო ჰაკეტის ფლობა. აღინიშნა, რომ აშშ-ის მაგალითზე, ერთი მფლობელის მაქსიმალური კვოტა 15% შეადგენს. ამრიგად ტრასტების დანერგვა ხელს შეუწყობს ქვეყანაში ერთ-ერთი მწვავე პრობლემის დაძლევას - მოსახლეობის საშუალო შემოსავლების მქონე ფენის გაფართოვებას.

სტუმრებმა აღნიშნეს, რომ ეს ტრასტები მხოლოდ ახლა იწყებს დანერგვას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და საქართველო შესაძლოა

სამაგალითო ქვეყანა გახდეს ამ თვალსაზრისით. ასევე აღინიშნა, რომ სანყის ეტაპზე შესაძლოა ჩამოყალიბდეს შპს-ის ტიპის ერთეული და მერე გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებად. ითქვა ისიც, რომ მსგავსი ტრასტისათვის საჭიროა შესაბამისი კანონმდებლობის ინიცირებაც.

დისკუსიის მონაწილეებმა ერთხმად აღიარეს, რომ აღნიშნული საკითხების შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება, პარლამენტისა და მთავრობისთვის, უპრიანია განხორციელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. ამის დასტურად ითქვა, რომ ფაკულტეტი შეიცავს ეკონომიკის, ბიზნესის და ტურიზმის მიმართულეებს, გააჩნია შესაბამისი საკადრო რესურსები და აქვს ამ მიმართულებით აკადემიური და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. ივლისსმებოდა აღნიშნულ თემაზე გამოქვეყნებული სტატიები და მონოგრაფია 2015-2016 წწ-ში, ფაკულტეტის პროფესორის მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება ფინანსების, საბანკო, სტატისტიკის და საინვესტიციო ფონდების მიმართულებებით, მათ შორის ფინანსთა მინისტრის, პრივატიზაციის მინისტრის, სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის და საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პოზიციებზე.

სექციების მუშაობის დასასრულს შედგა შემაჯამებელი სხდომა, სადაც ყველა სექციის ხელმძღვანელმა მალალი შეფასება მისცა საერთაშორისო კონფერენციის მუშაობას. თითოეულმა მათგანმა მალლიერება გამოხატა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და საორგანიზაციო კომიტეტის მიმართ კარგად დაგეგმილი და ორგანიზებული კონფერენციის ჩატარების უზრუნველყოფისათვის. ასევე აღინიშნა, რომ ასეთი წარმომადგენლობითი ფორუმების ჩატარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თსუ-ში, რადგან ეკონომისტების ძირითადი ბირთვი თავს სწორედ უნივერსიტეტის სივრცეში იყრის, აქედან გამომდინარე, სწორედ უნივერსიტეტი უნდა იყოს ძირითადი ცენტრი ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და სრულყოფის ღონისძიებებისა და თანამედროვე კონცეფციების შემუშავების საკითხებში. საერთაშორისო კონფერენციის აქტუალურობა გაზარდა უცხოელი კოლეგების თანამონაწილეობამ მთელი რიგი სამეცნიერო და სასწავლო საკითხების განხილვაში. ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყო მათი შეხვედრები ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულების პროფესორასთან, სადაც დაისახა ერთობლივი სამომავლო ღონისძიებები.

ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და საერთაშორისო კონფერენციის - „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელების ინიციატივით, დაიგეგმა კონფერენციაზე გამოვლენილი ძირითადი ტენდენციების, პრობლემური საკითხებისა და რეკომენდაციების დამუშავება და გამოცემა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი მოადგილე,
ასოციირებული პროფესორი

ნინო ფარქაშვილი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია CRITICS AND BIBLIOGRAPHY

Интересное фундаментальное исследование, с прикладными аспектами (Силагадзе А. Н., Сидоров В.А., Ядгаров Я. С.

«Феномен рыночного хозяйства: фундаментальные и прикладные основы». Редактор – Т. Беридзе, дэн, профессор, декан ф-та экономика и бизнеса ТГУ им. И. Джавахишвили. Тбилиси: «Универсал», 2016.-152 стр.)

В современных условиях рыночного хозяйствования все чаще возникает острая необходимость глубокого переосмысливания возникновения самого рыночного механизма и его места в общественном воспроизводстве. Данной проблематике посвящена рецензируемая монография авторов, являющиеся результатам их многолетних исследований и дискуссии в рамках научно-практических конференций.

В первой главе книги – «Теоретико-методологические основания рыночного хозяйства», представлены истоки и сущностные основы рыночного хозяйства, с позиции современного взгляда.

Вторая глава – «Рыночное хозяйство и кризисы в контексте воспроизводственных закономерностей», посвящена вопросам комплексного анализа кризисов в ракурсе воспроизводственных закономерностей. Здесь выделены проблемы взаимодействия государства и экономики, с точки зрения поиска факторов интенсивного развития.

В третьей главе рецензируемой работы изложены основы распределительных отношений в условиях рынка, дан комплексный анализ данного феномена во взаимосвязи со сбережениями, инвестициями и рыночным ценообразованием. В этой же главе рассмотрены также особенности неформальной экономики, по терминологии авторов, как антитезы рыночного хозяйства. Здесь же дается анализ инноваций сетевого инновационного развития рыночных институтов, характеристика инновационного фактора социально-экономического благополучия.

Четвертая глава работы, включает исследование аграрного сектора рыночного хозяйства. В этой главе выделены особенности рыночного механизма в аграрном секторе, рассмотрены экстенсивный, интенсивный и инновационный пути развития данного сектора, уделено внимание региональным и глобальным проблемам, а также научно-техническому аспекту.

Пятая глава – «Особенности воссоздания и развития рыночного хозяйства в постсоветских странах», посвящена комплексному анализу основных направлений и проблем формирования современного рыночного хозяйства в постсоветской Грузии, 252

поискам синтезированной модели взаимодействия плана и экономики современной Армении, кластерного подхода формирования национальной рыночной экономики в республике Казахстан.

В последней главе книги – «Рыночное хозяйство в контексте гуманистических ценностей», изложены сущность, причины и критерии самих гуманистических оснований рыночного хозяйства, его социализации, феномена рынка витальных ресурсов. В этой главе рассмотрены такой важный вопрос, как совершенствование образования и общественного сознания в процессе реализации гуманистических ценностей рыночного хозяйства.

К рецензируемой работе есть отдельные замечания и пожелания. В частности, на наш взгляд, наверное было бы целесообразно рассмотреть государств Прибалтики с точки зрения позитива или негатива для Латвии, Литвы и Эстонии фактора их вступления в Евросоюз. Был бы интересен также взгляд авторов на имеющиеся позитивный опыт и проблемы рыночного хозяйства в государствах восточной Европы (бывшие социалистические страны). Надеемся увидеть ответы на эти вопросы в будущих исследованиях авторов.

В целом представленная научной общественности книга, безусловно, вносит весомый вклад в теорию и практику рыночного хозяйства. Думаем, что рецензируемая монография А. Н. Силагадзе, В. А. Сидорова и Я. С. Ядгарова займет достойное место среди книг, посвященных фундаментальным и прикладным проблемам формирования и развития рыночного хозяйства.

Гогохия Р. А., доктор экономических наук, профессор,
главный редактор журнала «Экономика и бизнес».

Бецианашвили Г. В., доктор экономических наук, профессор,
главный редактор журнала «Глобализация и бизнес».

მრავალმხრივ საყურადღებო სახელმძღვანელო

(ე. ზარათაშვილი, მ. ჩეჩელაშვილი, ჯ. ზარანდია, მ. მარიდაშვილი,
ი. მახარაშვილი, თ. ლამბაშიძე, „შეღარებული მენეჯმენტი და
კლასტერიზაცია“ რედაქტორი ჰროფ. კ. ჯაყელი, თბილისი, 2016, 574 გვ.)

საქართველოში ბიზნესსა და მენარმეობაში მოქმედებენ როგორც ეროვნული, ასევე უცხოეთის უნივერსიტეტებში განათლებამიღებული პირები, რომლებიც წარმოდგენენ ფირმების დამფუძნებლებს, მესაკუთრეებს, მენეჯერებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ლიდერებს და სხვა ხელმძღვანელებს. ამ კატეგორიის თანამშრომლებს ესაჭიროებათ მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის, მეცნიერების, ხელოვნებისა და გამოცდილების სიღრმისეული ცოდნა.

საქართველოს ფირმების თანამშრომლობა უცხოეთის ფირმებთან, ქართული მენტალიტეტისა და უცხოური მენეჯმენტის გამოყენება, ახალი მიდგომებისა და გამოცდილების წინაშე აყენებს ქართულ ფირმებსა და მენეჯერებს. ამ თანამშრომლობის გაუმჯობესების საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლია სარეცენზიო ნაშრომს, რომელიც განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტებისათვის (ყველა დონე), პროფესორდმასწავლებლებისათვის, ბიზნესმენებისა და ყველა სხვა დაინტერესებული პირისათვის.

სახელმძღვანელო შედგება 20 თავისაგან, ის ჩვენი შეხედულებით, სოლიდური, სრულყოფილი სამეცნიერო ნაშრომია, რომელიც სამაგიდო წიგნად გადაიქცევა როგორც საუნივერსიტეტო, ასევე ბიზნესისა და მენარმეების წრეში.

სახელმძღვანელოში განხილულია მსოფლიოში ყველაზე განვითარებული მენეჯმენტი: ამერიკული, იაპონური, დიდი ბრიტანეთის, გერმანული, ფრანგული, ჩინური, შვეიცარიული, სკანდინავიური, ფინური, ნორვეგიული, კორეული. ჩამოთვლილიდან ჩანს, რომ მსჯელობის საგანია ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილება, რაც გამოირჩევა მონივნავე ტექნოლოგიებით, განვითარებული ეკონომიკით, სამეცნიეროდტექნიკური პროგრესით, ბუნებრივი რესურსების გამოყენების მაღალი რაციონალიზმით, მაღალკვალიფიციური პერსონალით, ეფექტიანი და ხარისხიანი მენეჯმენტით.

წარმოდგენილ ეროვნულ მენეჯმენტში გამოკვეთილია ის უპირატესობა, რაც ეროვნულია და სხვა მენეჯმენტში არ მოიპოვება. მაგალითად, საქმიანი

კულტურების მენეჯმენტი გამორჩეულია ევროპაში. მისი შედარებისას იაპონური მენეჯმენტის მოდელთან და ამერიკულ მენეჯმენტთან, ჩანს, რომ ზოგ შემთხვევაში განსხვავება მმართველურ პრაქტიკასა და გამოცდილებაშია, უფრო მეტად კი, როგორც ავტორები აღნიშნავენ, მსგავსებაა მმართველობით პრაქტიკასა და მენეჯმენტის ფილოსოფიაში. მაგრამ, აქვე შევნიშნავთ, რომ ევროპის ქვეყნების მენეჯმენტშიც კი ადგილი აქვს განსხვავებებს, რაც მომდინარეობს ეროვნული მენტალიტეტიდან. მაგ., ფრანგული ფირმები ცენტრალიზებულია და ფორმალიზებული, მაგრამ დელეგირების დონე დაბალია, ვიდრე გერმანულ და ინგლისურ ფირმებში. გერმანული ფირმები უფრო დეცენტრალიზებული, სპეციალიზებული და ორგანიზებულია ფუნქციების მიხედვით. ამავე დროს ინგლისური კომპანიები გამოირჩევა მეტი დეცენტრალიზაციით, ვიდრე გერმანული და ფრანგული ფირმების უმრავლესობა. როდესაც ვადარებთ ევროპულ მენეჯმენტს იაპონურ მენეჯმენტთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ XX საუკუნემდე იაპონიის მმართველობის პრაქტიკა განიცდიდა დასავლეთის ზეგავლენას. ამასთან, ეს იაპონიისთვის არ იყო ერთადერთი მიმართულება იმიტომ, რომ იაპონური ფირმები ძირითადად ორიენტირებული იყო თანამშრომლობის სხვა პრინციპებზე პატერნალიზაციის პოლიტიკის გატარებითა და კომპანიის როლზე. ეს კი სერიოზულად ეწინააღმდეგებოდა მართვის ახალი მეთოდების დანერგვას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონური ფირმები ცდილობდნენ ამერიკული მენეჯმენტის უფრო რაციონალური იდეების გამოყენებას. აქ განსაკუთრებულად მიგვაჩნია ხარისხის მართვის მენეჯმენტი, რომელიც აშშ-დან შემოვიდა იაპონიაში. იგი იაპონური ეფექტიანი მიდგომით უფრო სრულყოფილი გახდა და საფუძვლად დაედო იაპონური ეკონომიკის სასწაულს.

იაპონური მენეჯმენტის გამორჩეულობა გამოკვეთილია საქმიანობის განვითარების, ორგანიზებისა და მართვის საკითხებში. კერძოდ, იაპონიაში მოქმედებს: 1. სტაჟის მიხედვით დანინაურების უნიკალური სისტემა, რაც დაკავშირებულია ანაზღაურების სახეობასთან, მათი მიდგომით გამოცდილება და ასაკი მკვეთრი და თვალსაჩინო კრიტერიუმია დასაწინაურებლად, ამას ემატება განათლების დონე; 2. იაპონიაში ყოველ საწარმოშია პროფკავშირები (თანაც ერთი და არა რამდენიმე, როგორც ეს ბრიტანეთშია); 3. ერთდროული დასაქმება: იგი ეყრდნობა საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობის გრაფიკს ყოველწლიურად აპრილიდან მარტამდე, რაც უშუალო კავშირშია იაპონიის ფირმების ფინანსურ წელთან, რომელიც ემთხვევა საგანმანათლებლოს. დასაქმება ხდება ძირითადად აპრილის თვეში, ევროპულისა და აშშ-სგან განსხვავებით, სადაც დასაქმება ხდება წლის ნებისმიერ დროს; 4. სამრეწველო განათლება. კურსდამთავრებულები აპრილიდან უდგებიან თავის საქმეს და მათთვის ხდება სპეციალიზებული განათლების კურსის ორგანიზება, მათი სწრაფი ადაპტაციის მიზნით. სწავლება მრავალმხრივი და კომპლექსურია, რის საფუძველზე მსმენელი – ახალგაზრდა სპეციალისტი, სწრაფად ეუფლება კოლექტივიზმის შეგრძნებას, „გუნდური თამაშის“ წესებს, რომელიც წარმოადგენს იაპონიაში

ქვედანაყოფების ფორმირების ძირითად ჯგუფურ პრინციპს; 5. გადანყვეტილების მიღება „ქვემოდან ზემოთ“. იაპონურ ფირმებში გადანყვეტილების მიღების პროცესი დემოკრატიულია, განსხვავებით დასავლეთის ფირმებში დამკვიდრებული ავტორიტარულია, სადაც მმართველობა კონცენტრირებულია ტოპმენეჯერების ხელში და გადანყვეტილება ვრცელდება ზემოდან ქვემოთ განსაზღვრული იერარქიის შესაბამისად. იაპონიაში გადანყვეტილების დამუშავება დაფუძნებულია რისკისა და პასუხისმგებლობის განაწილების პრინციპზე, გადანყვეტილებას იღებენ კონსენსუსის გზით. ამ პროცესის უდავო ღირსებაა ფირმის თანამშრომლებს შორის ჰარმონიული ურთიერთობების უზრუნველყოფა, რითაც დადებითი შედეგები მიიღება წარმატების გაზიარებისათვის; 6. თანამშრომლების კეთილდღეობის პროგრამები. იაპონური ფირმები თანამშრომლებს სთავაზობს სოციალური მხარდაჭერისა და კეთილდღეობის პროგრამებს; 7. კოლექტივისა და ოჯახზე ორიენტირებული კულტურა. სხვა ქვეყნების მენეჯმენტში, თითქმის არსად არ აფასებენ ჯგუფურ ატმოსფეროს, ფსიქოლოგიურ კლიმატს ჯგუფში, როგორც ეს მიღებულია იაპონურ მენეჯმენტში, რომელიც იყენებს პიროვნებაზე ზემოქმედების მორალურდფსიქოლოგიურ ბერკეტებს. იაპონელები თლიან, რომ ფირმა ეკუთვნის თავის თანამშრომლებს და არა აქციონერებს, ეს კი იძლევა კოლექტივიზმის შეგრძნების საკმაოდ ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობას.

შედარებითი მენეჯმენტის ამ ერთი მაგალითით შეგვიძლია გავაკეთოთ ასეთი დასკვნა: სახელმძღვანელოს შემქმნელმა ჯგუფმა, პროფ. გ. ბარათაშვილის ხელმძღვანელობით, შეასრულა კოლოსალური მოცულობის სამუშაო, დაამუშავა მრავალი მეცნიერული ნაშრომი, სტატისტიკური მონაცემები იმისათვის, რომ თვალსაჩინო გამხდარიყო ცალკეული ეროვნული სახეობის მენეჯმენტი, ავტორებმა თითოეულისათვის შექმნეს მენეჯმენტის გამოკვეთის ავტორისეული მეთოდი. მაგ., დიდ ბრიტანეთში მენეჯმენტის დახასიათებისათვის მოცემულია ჯერ ქვეყნისა და ეკონომიკის საერთო მიმოხილვა, შემდეგ ეკონომიკის ბრიტანული მოდელი შედარებულია ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის მოდელებთან. განხილულია მონეტარული პოლიტიკა, უმუშევრობის დონე, ხელსაყრელი საგადასახადო და საინვესტიციო კლიმატი. ამის შემდეგ ავტორები ახასიათებენ დიდი ბრიტანეთის განვითარების მენეჯმენტის მოდელს, რომელშიც გამოკვეთილია: მენეჯმენტის დონის და მენეჯერების მომზადების სისტემის პრობლემები, პროფესიული მენეჯმენტი, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემები, საქმიანი ორგანიზაცია, გადანყვეტილების მიღების სტილი, ბრიტანული მენეჯერების თავისებურებები, მმართველობისა და კომუნიკაციის ბრიტანული სტრუქტურები, მართვის ბრიტანული სტილი. იაპონური მენეჯმენტის სპეციფიკასთან ერთად მოცემულია ქვეყნისა და მისი ეკონომიკის ზოგადი დახასიათება, იაპონიის ომისშემდგომი განვითარების თავისებურებები: იაპონური ეკონომიკის განვითარების მოდელი, საინფორმაციო ტექნოლოგიები; მენეჯ-

მენტის იაპონური მოდელი; კულტურული და ტექნოლოგიური დეტერმინიზმი მენეჯმენტის იაპონურ სისტემაში: მართვის იაპონური სისტემის მახასიათებელი თავისებობები და თავისებურებები; მენეჯერების როლი მართვის იაპონურ სისტემაში; ეროვნული და საქმიანი კულტურების შეჯახება; იაპონური მენეჯმენტის ახალი ტენდენციები; სიძნელეები ექსპორტის სფეროში; შიგა მოთხოვნების შემცირება; მართვის იაპონური სისტემის კრიზისი; იაპონიაში ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაცია და ა.შ., ანუ მენეჯმენტი გამოკვეთილია მისთვის გამორჩეული თავისებურებებით.

ეროვნული მენეჯმენტის სრულყოფილად და გაგებისათვის დამუშავებულია სხვადასხვა სახეობის ინფორმაციული წყაროები და მასალები, რომელთა მეშვეობით ავტორები გვაძლევენ არა მარტო მენეჯმენტის, არამედ ქვეყნისათვის სხვა უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების სიღრმისეულ დახასიათებას, რათა ნათელი იყოს მენეჯმენტისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების ერთობლივად აღქმა მისი სრულყოფილად განსაზღვრის მიზნით. ავტორების ასეთმა მიდგომამ მენეჯმენტი კი არ გამოკვეთა როგორც ერთი საგანი, არამედ მიმართულებათა ნაკრები, რომელშიც თავს იყრის ქვეყნის ეკონომიკური მოდელის მიმართულებები, ასევე მენეჯმენტის ამოცანებისა და ფუნქციების მთელი კომპლექსი, რაც ხასიათდება და სიღრმისეულად იკვეთება შედარებით მენეჯმენტში.

სახელმძღვანელოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ასევე, შედარებითი მენეჯმენტის თავისებურებებს ქვეყნების კლასტერულ ჯგუფებში. ჭეშმარიტებაა და ეს ამ სახელმძღვანელოში თავისი შინაარსით დადასტურებულია, რომ ყოველ ქვეყანას გააჩნია საკუთარი მენეჯმენტის სისტემა, უფრო მეტიც, ნებისმიერ განათლებულ და გამოცდილ მენეჯერს, იერარქიის შესაბამისად, გააჩნია საკუთარი მენეჯერული სტილი. ეს საკითხი გამოკვლეულია მრავალი მეცნიერის მიერ და მის ირგვლივ დაგროვილია დიდი რაოდენობის ინფორმაცია.

ავტორებმა მოცემულ თემატიკაზე გამოიყენეს საქმიანი კულტურების თავისებურებების შესწავლის ტექნოლოგია. იგი აგებულია: 1. „კულტურულ-კლასტერულ თეორიაზე“, რომელიც წარმოადგენს შედარებითი მენეჯმენტის პოზიციის საფუძველს. ამით აღიარებულია ეროვნული კულტურული თავისებურებების პირველადი როლი პიროვნებისა და ფირმის თანამშრომლების გაგებაში, შედეგად კი ყალიბდება ცალკეული ქვეყნის სრული კლასტერი, რომელთაგან თითოეული თავისი საკუთარი ნიშნებით ხასიათდება; 2. ცალკეული მოდელების შედარება. მაგ., აშშ-ისა და იაპონიის მენეჯმენტის სისტემების შედარება მნიშვნელოვნად ამარტივებს ქვეყნებს შორის განსხვავების ანალიზს.

სახელმძღვანელოში დახასიათებულია კლასტერული ჯგუფები – „აღმოსავლური“ და „დასავლური“ მართვის სტილის მიხედვით, მათ შორის: სკანდინავიური, გერმანული, ინგლისურენოვანი, რომანული, ლათინოამერიკული, შორეულ-აღმოსავლური, არაბული, ახლო აღმოსავლური (22

ქვეყანა) კლასტერები. ავტორები სწორად მიიჩნევენ, რომ ყოველი ქვეყნისათვის დამახასიათებელია საკუთარი საქმიანი კულტურა. ავტორებმა თავისი ინტერესის კონცენტრირება ძირითადად მოახდინეს დასავლეთის ქვეყნების მართვის სისტემებზე (რომლებიც ძალიან გვანან ერთმანეთს), რითაც ჩამოყალიბებულია „დასავლეთის მენეჯმენტის“ მყარი ცნება. მას, თავის მხრივ, ხშირად უპირისპირებენ „აღმოსავლურ მენეჯმენტს“. თითოეული ამ ქვეყნის სპეციფიკური ნიშნები წარმოდგენილია სახელმძღვანელოში. საკმაოდ ღრმად და დახასიათებული ცალკეული ქვეყნის თავისებურებები, მოქნილად და შეჭერებული მათი საქმიანი კულტურის წანამძღვრები და გაანალიზებული მიღწეული შედეგები უკანასკნელი 25-30 წლის პერიოდის განმავლობაში.

სახელმძღვანელოში, როგორც აღვნიშნეთ, განხილულია ქვეყანათა კლასტერული ჯგუფები უკვე მართვის მოდელის მიხედვით. შედარებულია ერთმანეთთან: 1. ანგლო-ამერიკული, 2. გერმანული და 3. იაპონური მოდელები, რაც დახასიათებულია შემდეგი ფაქტორების გამოყენებით: 1. სოციალური ღირებულებები და ფასეულობები, რაც მოდელებში სხვადასხვაა; 2. შრომითი კოლექტივების როლი, (პირველში პასიურია, მეორე და მესამე მოდელებში აქტიური); 3. დაფინანსების ძირითადი საშუალებები; 4. ინვესტირების დროითი პორიზონტი (1 მოდელში მოკლევადიანი, 2-3 მოდელებში – გრძელვადიანი); 5. კაპიტალის ღირებულება და მენეჯმენტის ანაზღაურება (1 მოდელში მაღალია, მეორე მოდელში – საშუალო, მესამე მოდელში – დაბალი); 6. კაპიტალის ბაზარი; 7. ძირითადი ეკონომიკური ერთეული (ეხება მსხვილ ბიზნესს: პირველ მოდელში ესაა კომპანია, მეორეში – ჰოლდინგი, მესამეში საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი); 8. ინვესტიციების ტიპი – შესაბამისად რადიკალური, რთული და ინკრემენტალური.

საინტერესოა, რომ ამ ქვეყნების მმართველობით სისტემებს, ასევე, საკუთარი თავისებურებები გააჩნია, რაც დაკავშირებულია ეროვნულ სპეციფიკასთან. ეს თავის მხრივ მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოცემულ ქვეყნებში ნათლად და გამოხატული ბიზნესის წარმართვის თავისებურებები. ავტორებს გაუკეთებიათ ანალოგია საქართველოში არსებულ სიტუაციასთან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქართველოსათვის არცერთი კრიტერიუმი არ არის ძალზე ახლო. რაც შეეხება ქვეყნების კლასტერულ ჯგუფებს, ექსპორტისა და იმპორტის საშუალო მაჩვენებლისა და HPD1 (აღამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი, რომელიც აღარებს სიღარიბის, განათლების, წერადკითხვის მცოდნე ადამიანების რაოდენობის, სიცოცხლის ხანგრძლივობისა და სხვა მაჩვენებლებს) დონის მიხედვით აქ საქართველო ხასიათდება: ქვეყნების ექსპორტისა და იმპორტის საშუალო მაჩვენებლითა და ხვდება HPD1 მაღალი დონით 1 კლასტერის პირველ ქვეკლასტერში, რომლის გვერდითაა ავსტრია, გერმანია, ბულგარეთი, ლატვია, მაკედონია, პოლონეთი, სერბეთი და სხვ.

სახელმძღვანელოს ეფექტიანობას ზრდის და უფრო და უფრო მნიშვნელოვანს ხდის მისი მესამე ნაწილი – ევროპული კლასტერული ქსელები. ავტო-

რებმა სახელმძღვანელოში ფართოდ გამოიყენეს კლასტერიზაციის ირგვლივ მომუშავე გამოჩენილ მეცნიერთა ნაშრომებში მოცემული მოსაზრებები. ამასთან, იმის გამო, რომ კლასტერის გამოვლენის, განსაზღვრისა და აღწერის პროცესი არაა სტანდარტიზებული, ავტორებმა შეიმუშავეს ევროპის ქვეყნების კლასტერიზაციაზე მიდგომის საკუთარი წესი, რითაც თითქმის ყველა ქვეყანა წარმოდგენილია როგორც რეგიონული ინოვაციური კლასტერი (ინგლისი, საფრანგეთი, ლიტვა, უნგრეთი, ესპანეთი, გერმანია, ჩეხეთი) და ეკონომიკური კლასტერი (ბულგარეთი, დანია, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, ფინეთი). საინტერესოდ მიგვაჩნია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ინოვაციური და ეკონომიკური თავისებურებების კლასტერების დახასიათება. კერძოდ, ეს ეხება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, უკრაინა.

სახელმძღვანელოს ამ ნაწილში ძალიან მოკლედაა დახასიათებული საქართველოს ეკონომიკის განვითარების საქმეში კლასტერიზაციის როლი, კერძოდ, ასეთია საქართველო-საფრანგეთის პარტნიორობა, რაც საშუალებას აძლევს ქართულ კომპანიებს თავიანთი ძალისხმევა მიმართონ და შესთავაზონ ფრანგულ მხარეს სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა, იპოვონ შესაძლო პარტნიორები, რათა ჩაერთონ სამეცნიერო კვლევების პროგრამებში.

პროფ. ევგენი ბარათაშვილის ხელმძღვანელობით, ავტორთა ჯგუფმა შესაშური შრომით შეძლო ერთ სახელმძღვანელოში სამ ნაწილად ლოგიკური თანმიმდევრობით გააერთიანებინა: 1. შედარებითი მენეჯმენტის ზოგადი თეორიის საკითხები; 2. შედარებითი მენეჯმენტი ქვეყნების კლასტერულ ჯგუფებში და 3. ევროპისა და დსთ-ის ქვეყნების რეგიონული ინოვაციური კლასტერები.

ნაშრომის მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა. მეოთხე თავის მეოთხე პარაგრაფი ეთმობა ბიზნესისა და მართვის ინსტიტუციურ და სოციოკულტურულ ტრანსფორმაციას საქართველოში, რაც მისასაღმებელია, მაგრამ ერთობ მცირეა მოცულობით, რის გამოც აღნიშნულ პრობლემაზე მკითხველს მწირი ინფორმაცია რჩება. საჭიროა ამ ხარვეზის შემდეგში გამოსწორება. შენიშვნას იმსახურებს წიგნის შრიფტის მცირე ზომაც, რაც, ცოტა არ იყოს, აძნელებს ტექსტის წაკითხვას. არაფერს ვამბობთ სტილისტურ-ორთოგრაფიულ უზუსტობებზე, რაც არცთუ იშვიათია ნაშრომში.

დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სარეცენზიო ნაშრომი არამხოლოდ სახელმძღვანელოა, არამედ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოკვლევაა.

ავტორების მიერ შექმნილი სახელმძღვანელო, ჩვენი აზრით, სამაგიდო წიგნია, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც აინტერესებს მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნების მენეჯმენტის გამოცდილების გაცნობა-შედარებითობის ასპექტით.

სახელმძღვანელოს შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საჭიროდ მიგვაჩნია მისი დიდი ტირაჟით გამოშვება და „შედარებითი მენეჯმენტის“ საგნის შემოღება უნივერსიტეტებში, ასევე ამ სახელმძღვანელოს გამოყენება ყველა იმ კურსზე, რომელთა მიზანია მმართველური (საჯარო, კერძო) კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. განსაკუთრებით სასარგებლო იქნება სახელმძღვანელოს გამოყენება ტრანსეროვნული კომპანიების მენეჯმენტში, სადაც აუცილებელია საქმიანობის შედარებითი მენეჯმენტის მიმართულებით, ფუნქციებითა და ფაქტორებით მოქნილი მართვა და ხელმძღვანელობა.

ლარისა თაბლაძე – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

მასილ კიკუაძე – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის ასოცირებული პროფესორი,

ნინო ფარქაძე – ეკონომიკის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი,

გურამ (გონა) ამყობაძე – საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი,

გუგული ყურაშვილი – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნათია დვალი

ნინო ებრაელიძე

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tshavtchavadze Avenue,
Tbilisi 0179 Tel +995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge